

644 /
1973/4

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

3

1973



სესია

189

გამოცემის მუდმივადმა წილი

12.424

3

მე რ ზ ი

1973

თბილისი

საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო



უინეარსი

პროზა, პოეზია

- 3. თამაზ შილაძე. აუზი. დასაწყისი.
- 54. მუხრან მამაზარიანი. ლექსები
- 65. ცილა არაშელია. ახმეტ ჩიჩქაძე. მოთხრობა
- 76. გივი ძეგლაძე. ლექსები
- 80. ზორბა ცხაღია. ლექსები
- 81. ბიება აგუილავა. ლექსები
- 82. მერი მიღელაური. ლექსები

ახალი თარგმანები

- 83. როგორც ბარსი. ლექსები. შესავალი წერილი და თარგმანი თამარ ერისთავისა

დოკუმენტური პროზა

- 90. ვაჟა ბიგაშვილი. ნადირობა ჩონ-ტაშში. დასასრული

111. ლევან გომთა

წერილები

- 112. ლუდგილა გრიციკი. უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობისათვის
- 119. ალექსი მინჰარაული. „ილიადას“ პირველი მების თარგმანის გამო
- 127. ნელი უბილავა. ლორენს სტერნი და თანამედროვე ინგლისური ლიტერატურა

ჩვენი კალენდარი

- 135. ჯუმბერ ბაგნიძე. უანდორ კებეში
- კუბლიციისტიკა
- 141. გურამ ფანჯიკიძე. თბილისი გუშინ, დღეს, ხვალ...
- 158. უკველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
აკაკი ბაძრაძე,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვერდუნიანი,
მერაბ ელიოზიშვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე
ლორთქიფანიძე,
ოტიპ პაპოკია,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ ფოფხაძე,
ნოდარ წულუკიძე,
ტარიელ ზანტური,
სერგი შილაძე,
თამაზ შილაძე,
ლაშა ჯანაშია.

ა უ ზ ი

1

ლილის ხელები ირაკლისთვის შემოე-
ხვია. სხვას არაფერს გრძნობდა გარდა
იმისა, რომ მისი სხეული თავბრუდამ-
ხვევი სისწრაფით მიჰქროდა სიბნელე-
ში. სახე ირაკლის ზურგში ჩაემალა და
თუ თავდაპირველად, როცა მოსახვევე-
ბი დაიწყო, შეეშინდა, ახლა შიშიც გაქ-
რა და ჩაბნელებულ სიცარიელეში,
თვითონაც მთლიანად ცარიელი, მხო-
ლოდ და მხოლოდ აღტაცებისა და გა-
ურკვეველი სურვილის ამარა, მიქროდა,
მიფრინავდა, დაჯერებულად, დანდობი-
ლად, ინსტინქტების ლოკატორით გათა-
მამებული, გაღაღებული, როგორც
ღამურა ქალაქის ლაბირინთში. სურვი-
ლი კი იზრდებოდა, იზრდებოდა, იზრ-
დებოდა და თუმცა არ იცოდა, რა უნ-
დოდა, მაინც სიხარულის მილიონი წი-
თელი ნაპერწკალი დაბორიალებდა მის
არსებაში, ტკაცატკუცით.

— ჩქარა! — ყვიროდა, — ჩქარა!

ზოგჯერ შემხვედრი მანქანა გამო-
ბდღვრიალდებოდა მოსახვევიდან და
ირაკლის პირდაპირ მისკენ მიჰყავდა
მოტოციკლი: ოლე, ოლე! და მხოლოდ
ბოლო წამს სულ რამდენიმე სანტიმეტ-
რით აცილებდა მოტოციკლს ხრამის პი-
რას მიყუყუთ, შეშინებულ მანქანას.

ირაკლიმ მოტოციკლით ჭიშკარი შეა-
მტვრია და ეზოში შევარდა.

— დაგვნებდით, — იძახდა, — დაგვ-
ნებდით!

ერთიორჯერ შემოუარეს სახლს გარ-
შემო და გაჩერდნენ.

ცოტახნის მერე ეზოში მეორე მოტო-
ციკლიც შემოგრიალდა, ზედ ლადო და
გულიყო ისხდნენ.

ირაკლიმ ლილის ხელი მოხვია და
აკოცა:

— მეზიზღები, მაიმუნო!

— მეც, — უთხრა ლილიმ და კი-
სერზე მოეხვია, — მეც მეზიზღები.

— ფუ, — გადააფურთხა ლადომ, —
რომეო და ჯულიეტა!

— მეც მაკოცე, — უთხრა გულიყომ

— რატომ უნდა გაკოცო? — გაიკ-
ვირვა ლადომ.

— იმიტომ რომ შემეშინდა.

— ქვეშაფსია...

— აქ დაიცადეთ, — ირაკლიმ კიბე
აირბინა. ცოტახნის მერე სახლი მთლია-
ნად განათდა, ირაკლიმ აივანზე ზეწარი
გადმოფინა, — უსიტყვო კაპიტულა-
ციაა, ამოდით!

— თქვენთან აღარ წამოვალ, — თქვა
გულიყომ.

— რატომ? — ჰკითხა ლილიმ.

— იმიტომ რომ გიყვები ხართ.

ირაკლის ხელში წერილი ეჭირა: —

მამაჩემის წერილია, გინდა წაგიკითხოთ?

— მოგცლია, — უთხრა ლადომ, სიგარეტს მოუკიდა.

— იწერება, წყნეთში ვისვენებო, — თქვა ირაკლიმ.

— ჰო, თქვენ ხომ იქაც გაქვთ აგარაკი, — თქვა გულიკომ, — ვერ ვიტან წყნეთს!

— აბა ჩვენები კი არ დამტოვებენ მარტო, — ლადომ გულიკოს მხარზე ხელი დაადო, — არც შენ არა, მაქსიმატო?

— აი, ლილი ბედნიერია, — თქვა გულიკომ, — მარტო ცხოვრობს, ჩემი მშობლებიც რომ გაყარილიყვნენ.

— გაჩუმდი, — ლილიმ კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და გაიმეორა, — გაჩუმდი...

— არ მოიწყინო, დეიდა ყუყუს ღღობაზე ვიყავითო... გესმით, არ მოიწყინო! — ირაკლი ბარათს ათვალეობდა.

— ჩვენი მოკითხვა დეიდა ყუყუს! — დაიძახა ლადომ.

— დედაც აქ არისო, ბატონ შალვასთან ერთად...

— ბატონი შალვა ვიღაა? — იკითხა გულიკომ.

— კოსტიუმებში და კორსეტებში ჩაჭედვითა და ელექტროფარნებით შეიარაღებულნი, ზემო წყნეთიდან ქვემო წყნეთისკენ ბილიკ-ბილიკ, როგორც ირმები წყაროსკენ, მიედინებიან ბედნიერი და წესიერი წყვილები, რათა პატივი სცენ ყუყუს, მიირთვან გოჭი, საჭაპური, ჩაქაფული, მარწყვის ტორტი (ეს ჩემი გამომცხვარია. რას მეუბნები?) ილაპარაკონ მთქნარებით, დახოცონ თავიანთ ხელებსა, მკერდსა თუ მხრებზე უამრავი კოლო, ქინქლი, ფარვანა, დააწინაურონ თუ დააჭევითონ ათასი ნაცნობი, გაათხოვონ თუ ქმარს გაყარონ ათასი ქალი, მოკლან კიბოთი, ან განკურნონ ღვინვარადში ექიმთან გაფრენილი ათასი ნაცნობი. მოიწონონ (ახ, ეს იკამ ჩამომიტანა პოლონეთიდან) ან სამუდამო უვარგო-

სობის იარლიყი მიაკრან ათას ილაპარაკონ საჭირბოროტო დოებრივ საქმეებზე: (წყალი დილით წამოწვეთას და შეწყდება, საჭირთა, აუცილებელია, გადაუდებელია კანალიზაციის გაყვანა. ლექსი ათქმევიან პატარა გოგონას (მომავალი ანა კალანდამეა!) გარჩიონ ფიშერისა და სპასკის პარტია, გაიხსენონ შინ დატოვებული შვილები, ბებები ცერბერებზე რომ უბიათ კართან, საპირფარეოში თუ სააბაზანოში საათობით ჩაკეტილ შვილიშვილებს გარედან რომ ეხვეწებიან: გამოდი, გეყოფა, გამოდი. (განა ჩვენ ასეთები ვიყავით?) მოიკითხონ მეოთხე სამმართველოს საავადმყოფოში წლობით ჩატოვებული მშობლები...

— მე კი ჩვენს აგარაკზე ორი წელია მარტო ვცხოვრობ, — თქვა ჩუმად ლილიმ.

— ეგ რა შუაშია! — გულიკომ ორივე ხელი შუბლზე მიიღო.

— წავალ, თბილისში დავრეკავ, — თქველილიმ.

— თუ მოგცეს კი, — ირაკლიმ წერილი დაკეცა და ჯიბეში ჩაიღო.

ლილი მეორე ოთახში გავიდა.

— ბეკო უნდა წამოგვეყვანა, — თქვა გულიკომ, — რა კარგი ბიჭია არა ბეკო? თუმცა ბეკოს თუ წამოვიყვანდით, ზინაც უნდა წამოგვეყვანა, ზინას დათო წამოყვებოდა, დათოს კი — ნიკო...

— გააგრძელე, — უთხრა ლადომ ირაკლის, — რატომ გაჩუმდი.

— სუყველაფერს ტყუის, — თქვა გულიკომ.

— მერე ქალები შევლენ დიასახლისის ოთახში, მოიშლიდებენ აზღუდებს, კორსეტებს, მოსწვევენ პაპიროსს, ფეხს ჩაპყოფენ, ხელში ატრიალებენ, მკერდში ჩაიკრავენ დიასახლისის ახალ ფეხსაცმელს: რა ხარ, ყუყუ, სად იშოვე, გოგო? აბა, მე კი არ დამირეკავ. დიდი არაფერი, — იტყვის დიასახლისი ყუყუ, — ეგ არი, რომ არავის ეცმევა, ქუჩაში თავისუფლად გამოხვალ. რა ხარ, ყუყუ, რა. უსინდისო. ჩემს თეთრ ჩექმებში



გამიცვალე, რა. ვერა, გოგო, შოთას ეწყინება, თორემ შენს ჩექმებზე ვგიჟდები. ფრანგულია. ვიცო...

— არაფერიც, ინგლისური ჩექმები უკეთესია, — თქვა გულიკომ.

— აღარ შემიძლია, მოვკვდი, — იჭაჭებოდა სიცილით ლადო.

გულიკო ტულეტში შევიდა და ცოტახნის მერე გაფითრებული დაბრუნდა იქიდან.

— გული ამერია!

— რატომ?

— შემეშინდა და იმიტომ. მე მარტო თვითმფრინავში არ მეშინია.

— ო, შე მაქსიბატო!

— მომეცი თ მაკრატელი, — იყვირა გულიკომ, — ამ სახლში მაკრატელი არ არის?

ირაკლიმ მაკრატელი მოუტანა და გულიკომ კაბა მუხლებს ზევით გადაიჭრა:

— მოვრჩით?

კაბის მოჭრილი კალთა ჰაერში ააფრიალა და ცეკვა დაიწყო.

მერე ყველანი ცეკვავდნენ და გულიკოს ახლა მინიატს ეძახდნენ. — ლადო, ხელები დაიმოკლე, — ყვიროდა გულიკო და თან კისკისებდა. მერე ტელეფონმა დარეკა.

— თბილისია!

ცოტახნის მერე ირაკლიც შევიდა იმ ოთახში, სადაც ტელეფონი იდგა. ლილი ტახტზე იწვა, ყურმილი ორივე ხელით ეჭირა.

— სინათლე ჩააქრე, — უთხრა ჩურჩულით ირაკლის.

ირაკლიმ შუქი ჩააქრო.

— მოდი აქ, — ლილი კედლისკენ ჩაიწია.

ირაკლი ტახტზე ჩამოჯდა, დაიხარა და მკერდზე აკოცა.

— დაიცადე...

უცებ დედის ხმა შემოესმა:

— გისმენთ!

რატომღაც ტირილი მოუნდა, ნეტადედა აქ ყოფილიყო და იმასთან წოლილიყო.

— გისმენთ!

ლილიმ ყურმილი დადო.

— კრეტინი ხარ, — უთხრა ირაკლიმ.

— იმას რატომღა აწვალე? ყოველდღე უნდა დაურეკო?

— მომშორდი!

— ლილი...

— მომწყდი-მეთქი თავიდან! — უყვირა ლილიმ.

— შენ არ იცი, როგორ მიყვარხარ, — ირაკლიმ ისევ კოცნა დაუპირა.

ლილი წამოხტა:

— გამიშვი.

— წამო, ვიცეკვოთ.

— წადი და მოვალ.

ირაკლი რომ ოთახიდან გამოვიდა, გულიკომ ჰკითხა:

— ტირის?

— ჰო.

— ისე მართლა მშურს ლილისი.

— მარტო რომ ცხოვრობს? — გაიკრიჭა ლადო.

— თუნდაც. გარდა ამისა, თავისი თავის უფროსია...

ამ დროს ლილი გამოვიდა:

— რატომ გაჩერდით, ვიცეკვოთ!

ირაკლის აფრიკული ნიღაბი ეკეთა და ხელშიც აფრიკული გრძელი შუბი ეჭირა, მამამისმა რომ ჩამოუტანა კონგოდან.

— ამ შუბით ჟირაფებს ხოცავენ.

— ჟირაფებს რატომ?

— იმიტომ რომ დეგენერატები არიან... ჟირაფებს, ზებრებს, ანტილოპებს.

— საწყალი ჟირაფები.

— დავიღალე, — თქვა გულიკომ და იატაკზე დაჯდა.

— ადექი ახლავე! — დაუყვირა ირაკლიმ.

— ჰიპებივით ვიქცევით, — თქვა გულიკომ, — და ძალიან გთხოვ, ნუ მიყვირი, ყვირილს ვერ ვიტან, ყვირილის გულისთვის კინაღამ მამაჩემს კოსტიუმი დავუწვი...

— სხვათაშორის, პირველი ჰიპი ჰეკლბერი ფინი იყო, მამაჩემმა მითხრა, —

თამაზ ზილქაძე
აუზი

ლადოც გულიკოს გვერდით დაჯდა, —
რა დროს ცეკვა, ისე მშობი, როგორც
ექსკურსიაზე.

— რა თქვი? — ირაკლი გულიკოს-
თან ახლოს ჩაცუტქდა, — გაიმეორე
რა თქვი.

— კინალამ მამაჩემს კოსტიუმი დავუ-
წვი-მეთქი... რა იყო?

ირაკლიმ ნილაბი მოიხსნა:

— კინალამ არ ითვლება...

— მოდი, შინ წავიდეთ, — გულიკომ
ლადოს მხარზე ხელი დაადო.

— მერე ვინ გიშლის, წადი.

— მარტო წავიდე?

— შენ რა, პრემიერმინისტრით მა-
რტო მოტოციკლების ესკორტით დადი-
ხარ?

ირაკლი წამოდგა, შუბი კედელზე
მიაყუდა, გაოფლილი ხელისგულები
შარვალზე შეიხოცა და გაიმეორა:

— კინალამ არ ითვლება...

— შენ რატომ მამაშენის მანქანას არ
წვავ, — გაიცინა გულიკომ, — გარა-
ჟში რომ გიყენიათ ჩაკეტილი, ახლოს
ვერ ეკარები, გეშინია, ჩემთან კი დიდი
გული გაქვს.

— კი მაგრამ მაინც რატომ უნდა და-
გეწვა მამაშენის კოსტიუმი? — ჰკითხა
ირაკლიმ.

— იმიტომ რომ მოსკოვში მინდოდა
წასვლა და არ გამიშვა, ჩემდა ჭირად
ააშენეს ეს აგარაკი, ზღვა კარგიაო, გი-
ხდებაო.

— მერე რატომ არ დაწვი?

— მართლა მეკითხები?

— ჰო.

— რა ვიცი... როგორ უნდა დამეწვა?

ლილიმ ნილაბი იატაკიდან აიღო და
გაიკეთა:

— მიხდება? — იკითხა.

— ძალიან, — გაეპასუხა ლადო, —
ძლივს არ დაემსგავსე ადამიანს!

— მაჩუქე რა, — შეეხვეწა ლილი
ირაკლის.

— შენი იყოს.

— როგორ მიხარია! — ლილი თითის-
წვერებზე შემობზრიალდა.

— მათხოვე, — ახლა გულიკომ გაი-

კეთა ნილაბი, — ჩემთან დიდი გული-
აქვს, რომ ჰკითხო, არაფრის ეშინია, მა-
მამისის მანქანას კი ახლოს ვერ ეკარე-
ბა, გარაჟის კარს ლოკავს...

— ადექი, — ირაკლიმ გულიკოს ხე-
ლი ჩაავლო და წამოაყენა, — ადექი
და წამომყევდი!

— სად?

— წამომყევდი-მეთქი.

— მაცალე, — გულიკომ ნილაბი მო-
იხსნა და ლილის გაუწოდა, — იდიო-
ტობაა, სული შემეხუთა.

— მაგას აირწინალი ეგონა, — გაი-
ცინა ლადომ.

— ესტრადაზე გავიკეთებ, — თქვა
ლილიმ და ნილაბს ხელი გადაუსვა, მი-
ეფერა.

— ყველანი ეზოში ჩადით, მეც ახ-
ლავე ჩამოვალ, — თქვა ირაკლიმ.

— მერე როგორღა უნდა იმღერო?

— ჰკითხა ლადომ ლილის.

ლილიმ ნილაბი გაიკეთა და სიმღერა
დაიწყო:

— მშვენივრადაც ვიმღერებ.

— მე შეიძლება კინოში გადამიღონ,
— თქვა გულიკომ.

— რას მეუბნები, — ლადო მიეარდა
და ლოყაზე აკოცა, — ნიჭიერი!

— ჰო, ჩემთან მამაჩემის მეგობარი
უნდა ჩამოვიდეს სტუმრად, კინორეჟი-
სორი...

— ჩადით-მეთქი ეზოში...

— კინოში თამაშს რა უნდა?

— არაფერი, — მხარი დაუჭირა გუ-
ლიკოს ლილიმ.

— მთავარია, ლამაზი იყო და ფოტო-
გენური.

— შენ კი უშნო ხარ, მაგრამ სარკე-
გენური, — უთხრა ლადომ, — მაგრამ
მამაშენის მეგობარი, დასასვენებლად
ჩამოსასვლელი რეჟისორი ისე როგორ
წახდება, რომ ერთი როლი ვერ მოგი-
ხერხოს.

— სწორედაც, დიდი ამბავი, კინოში
თამაშს რა უნდა, — გულიკო კარისკენ
გაემართა, — წავიდეთ, გვიანია... —
უცებ შეჩერდა და ლადოს მიუბრუნდა,
— შენ რა, მაწყირებ?

— მე-ე? — ლადომ ხელეები გაშალა, — ისე, რომ იცოდე, კინოში თამაში მოლაში აღარ არის.

უკვე კიბეზე ჩამოდიდნენ, ირაკლი წინ მიუძღოდათ, ხელში გასაღებების აცმას ატრიალებდა.

ეწოში რომ ჩავიდნენ, ირაკლი გარაჟისკენ გაემართა, კარი გააღო და „ვოლგა“ გამოიყვანა.

— ირაკლი! — დაუძახა ლილიმ.

— ჯერ ერთი, ჟირაფის მოკვლა არ გამიგონია, მეორეც, რა ჰგონია მაგას თავის თავი, მე ასეთი ტონით ლექტორი ვერ მიბედავს დალაპარაკებას, — მოულოდნელად გაბრაზდა გულიკო, — თანაც მომბეზრდა უკვე ეს თამაში და, თუ მოვდივართ შინ, წავიდეთ, ასე დახეული კაბით როგორ უნდა შევიდე, რას მეტყვიან, დედაჩემმა ქვეყანა გადაატრიალა, ძლივს მიშოვა ეს კაბა, ვინ არის მაგის მაქსიბატი, მაქსიბატი დედამისია, პირველმა იმან ჩაიცვა თბილისში გრძელი კაბა. ჩემთან დიდი გული აქვს... ვგავარ ვითომ მე ჟირაფს. შენ მითხარი, ლილი, რითი ვგავარ მე ჟირაფს, მაღალი მანც ვიყო, სულ იმას ვნატრობ ნეტავი მაღალი ვიყო-მეთქი, დაბალი რომ ვარ, იმიტომაც არაფერი არ მიხდება...

— ვინ გითხრა ჟირაფი ხარო? — გაიცინა ლილიმ.

— ვერ მიტანს.

— რატომ უნდა უყვარდე? — ჰკითხა ლილიმ მშვიდად.

— შენ გგონია, შენთვის გიყდება?

— აუცილებელია?

— შენც კარგი ვინმე ხარ.

ამასობაში ირაკლი მანქანიდან გადმოვიდა, გარაჟში შებრუნდა, იქიდან ბენზინით საესე ორი ვედრო გამოიტანა. მანქანის კარი გამოაღო, ორივე ვედრო მანქანაში ჩადგა, კარი ღიად დატოვა, გამობრუნდა და გულიკოს დაუძახა:

— უყურე და კარგად დაიხსომე!

— ჟირაფის მოკვლა გამიგია? — ამდროს გულიკოსთან ირაკლი მივიდა, კაბის ნაფლეთი გამოგლიჯა, აქამდე რომ

ხელში ეჭირა, შუბის ბუნიკზე დაახვიდა გაკევანძა.

— ააფრინე? — ჰკითხა ლადომ.

— მომშორდი!

გულიკო ლადოს მკლავში ჩააფრინდა:

— წავიდეთ აქედან, წავიდეთ!

ტირილი დაიწყო.

ლადომ გაიცინა:

— ხუმრობს...

ირაკლი მანქანასთან დაბრუნდა, ბუნიკზე დახვეული ნაჰერი ბენზინში ამოავლო. მერე წამოვიდა, თან ნაბიჯებს ითვლიდა:

— ერთი, ორი, სამი, კარგად დაიხსომე, ოთხი, ხუთი, ექვსი, როგორ უნდა დაწვა, შვიდი, რვა, ცხრა, გამოგადგება, ათი, თერთმეტი, თორმეტი, — მათთან მოვიდა, — დაიხიეთ უკან, ცამეტი, თოთხმეტი, თხუთმეტი.

— დაიცა, — უთხრა ლადომ, — მოტოციკლი?

— ქუჩაში გაიყვანე.

სანამ ლადო ორივე მოტოციკლს ქუჩაში გაიყვანდა, ირაკლი იდგა და იცდიდა.

მერე ლადო დაბრუნდა:

— წამოდი ახლა, — უთხრა ირაკლის, — გეყოფა მატრახაზობა.

— გადით ეზოდან, — თქვა ირაკლიმ და ჰიბიდან ასანთი ამოიღო.

— არ გაბედო! — ლადო ხელეებში ეცა, — თუ ძმა ხარ, ნუ იზამ მაგას!

— მომშორდი, თორემ გაგარტყამ!

— აბა, სცადე!

ირაკლიმ მოუქნია და ხელუკუღმა თხლიშა სახეში.

ლადო ღობეს მიაწყდა.

— ვაიმე, — იკვილა გულიკომ, — მართლა დაწვევს!

გააფთრებული მივარდა ირაკლის:

— როგორ შეიძლება მანქანის დაწვა, შენ ყოველთვის ასეთი ბოროტი იყავი. ირაკლიმ გაიცინა:—

— ვერ უყურებ ამას?

ლადო ეზოდან გავიდა, მოტოციკლზე დაჯდა:

თამაზ ზილაძე
აუზი

— მოდიხარ? — დაუძახა გულიკოს,
— შენ გეუბნები!

— სად მიდიხარ? — გულიკო მისკენ
გაიქცა, ქვეს ფეხი წამოკრა და მუხლზე-
ბით დაასკდა მიწას, ოთხით წაფორხი-
ლდა ლადოსკენ, — სად მიდიხარ, გიჟია,
მართლა დაწვავს.

— დაწვას, რა ვუყო...

გულიკო წამოდგა, მუხლზე ხელი მო-
ისვა, ხელისგულს დახედა, გატრიალ-
და, ირაკლისკენ წავიდა, თან ხელის-
გულს დასცქეროდა, თითქოს ზედ რაღ-
აც ედო, ირაკლის ხელი სახესთან მიუ-
ტანა:

— ნახე, სისხლი...

— წადი, გულიკო, მოტოციკლზე და-
ჯექი, — უთხრა ირაკლიმ, — შენ კარგი
გოგო ხარ.

— მეც ყველაფერი მოგატყუე... გე-
ხუმრე!

— ვიცი...

გულიკო ეზოდან გავიდა, ერთი წამით
ჭიშკართან შეჩერდა, ლილის მოხედა,
მაგრამ ლილი მას არ უყურებდა, ირაკ-
ლის შესცქეროდა. ორივე მუშტი პირ-
თან მიუტანა.

ლადო და გულიკო რომ წავიდნენ,
ლილიმ ჰკითხა ირაკლის:

— რატომ აკეთებ ამას?

— არ ვიცი...

— ჰოდა, დანებე თავი, წავიდე.

— შენ გგონია, მეშინია?

— არ გგონია.

— არა და მეშინია.

— მითუმეტეს.

— სწორედ მაგიტომ, სწორედ მაგი-
ტომ, სწორედ მაგიტომ, — ირაკლიმ
ასანთს გაჰკრა, შუბის ბუნჯზე დახვე-
ულ ნაჭერს ცეცხლი მისცა, შუბი შე-
მართა, — გაიქეცი! — იყვირა და შუ-
ბი მანქანისკენ გატყორცნა...



მერე მოტოციკლი აქაური ნებაყოფ-
ლობითი სპორტული საზოგადოების
„იალქნის“ გარაჟში დააყენეს, საიდა-
ნაც ისე წამოეყვანათ, რომ დარაჯს
ვერც კი გაეგო.

მერე ზღვის პირას მერხზე ისხდნენ.

— მცოვა, — თქვა ირაკლიმ... ლილიმ ხელი მოხვია:

— ახლაც გცივა?

— ჰო.

— გეშინია და იმიტომ.

— ჰო...

— პიეთონი ხარ.

— ჰო.

— ვითომ რა დაამტკიცე მაგით?

— დამიჭერენ?

— მე რა ვიცი... ისე ახი იქნება.

— უნდა წავიდე.

— სად?

— სულ უნდა წავიდე. ტანკერზე წა-
ვალ სამუშაოდ...

— ეგ ადვილი გგონია?

— ბოლოსდაბოლოს, ჩემი მანქანა
იყო.

— მიხვალ და მაშინვე აგიყვანენ მე-
ზღვაურად არა?

— მამაჩემს ვთხოვ.

— ისიც უთხარი, მანქანა დაგიწვი-
თქო.

— შენ გგონია, ეგ ნიღაბი ნამდვი-
ლად აფრქულია?

— არა?

— მერე ვიპოვე ფირმის ნიშანი, მოს-
კოვშია გაკეთებული, მე კი მითხრა,
კონგოდან ჩამოგიტანე.

— კარგი კია.

— მამაჩემს ბათუმში ნაცნობი ყავს,
დაურეკავს და ამიყვანენ.

— მამაშენი დიდი კაცია.

— სამაგიეროდ მეც ვაპატიებ.

— რას?

— ყველაფერს.

— მაინც?

— არ არის შენი საქმე!

— არც მაინტერესებს...

— წავალ, ქვეყნებს ვნახავ.

— კარგია.

— ორი წლის მერე დაებრუნდები.

— რა გეჩქარება?

— ანდა სულაც არ დაებრუნდები.

— ეგ უკეთესია.

— შენთვის სულერთია, არა?

— რა თქმა უნდა.

- ლილი?
- სიგარეტი მომეცი.
- არა მაქვს.
- ლილი წამოდგა:
- წავიდეთ.
- დაიცადე.
- აღარ გცივა?
- არა.
- სამაგიეროდ, მე მცივა...

2

მიმოსს შავი ფრაკი ეცვა და შავი, ზრიალა, მაღალი ცილინდრი ეხურა. თერთორი ხელთათმანები მოხდენილად წაიძრო, სათითაოდ დაიქნია, ცილინდრი მოიხადა, ხელთათმანები შიგ ჩაჰყარა, მერე ვიდაცა უხილავს გაუწოდა და ჰოი, საკვირველებავ: ცილინდრი გაქრა!

საწოლზე ამოცოცდა, ლაკის ფეხსაცმლების ტყაპატყუპით მუცელზე გადაშირბინა, ნიკაპზე ორივე ხელი დამაბჯინა და თვალეში ჩამხედა. დიდხანს ვუყურებდით ერთმანეთს თვალმოუშორებლად. ვგრძნობდი, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ეტყობა, ვერ ბედავდა. ვფიქრობდი, ვინმეში სხომ არ ვეშლები-მეთქი, რადგან, უცნაური კია, მაგრამ წინასწარ ვიცოდი, რასაც მეტყოდა, ხალზე მნიშვნელოვანი იქნებოდა, მე კი მას პირველად ვხედავდი, ამიტომ არ მინდოდა საიდუმლო უცხოისთვის გაენდო, მერე თვითონვე შეწუხდებოდა. დიმილით ვკითხე:

— რა გინდათ?

შეიძლება, ამით მიხვედრილიყო, რომ არ ვიცნობდი.

— არაფერი, — მიპასუხა მშვიდად და ახლა დავრწმუნდი, სწორედ ჩემთან ჰქონდა საქმე.

მოულოდნელად ავფორიაქდი. ჩემი დაბნეულობა რომ დამეფარა, ფრთხილად ავიყვანე და, როგორც ახალგამოჩეკილი წიწილა, ხელისგულზე დავისვი.

— რა პატარა ბრძანდებით, — ვცდილობდი ხმაში უდიდესი მოწიწება ჩამექსოვა, რადგან, მიუხედავად მეტად სასაცილო შესახედაობისა, სწორედ ასეთ გრძნობას იწვევდა.

— პატარა? — გაიკვირვა. შევატყუე ეწყინა.

გაშლილი ხელისგული, რომელზედაც ის გაფხორილი იდგა, პირთან ახლოს მივიტანე და ჩემს ახალ ნაცნობს, უცნაურსა და ამაყ კაცუნას, სული შევეუბერე. იყვირა:

— რას შვრებით. გაგიყდით? თქვენ სომ დიდი ხართ! იმის მაგივრად, რომ მომიართ...

— გეხუმრებით, — ვუთხარი სიცილით.

სრულებითაც არ მეცინებოდა, მაინც ვიცინოდი, არც სულის შეებერვა მინდოდა მისთვის.

— თქვენ ერთობით, მე კი მცივა, — თქვა და საცოდავად მოიბუხა...

— ლილიბუტების ცირკი ჩამოსულა! ლილიბუტების ცირკი ჩამოსულა! — მესმის ბავშვების ყიჟინა და მეღვიძება.

3

ეზოში აგურის ორსართულიანი სახლი წამომართულა. ეზო ვაშლის ხეებითა სავსე. ეს სახლი იმ შენობათა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც მათი პატრონები მთელი სიცოცხლის მანძილზე აშენებენ, ნელა, დინჯად და მუყაითად, როგორც ეს ხელმოკლე მშენებლებს ჩვევიათ.

ქვემო სართულის ორი ოთახი შუშაბანდში გამოდის, სადაც მაგიდა, რამდენიმე სკამი, ტახტი, მაცივარი და ტელევიზორი დგას. შუშაბანდი გადაუტისრავთ და ხელისგულის ოდენა ადგილზე სამხარეულო გაუმართავთ. მოჩანს გაზის ქურა, წითელი ბალონი და პატარა, ვიწრო მაგიდა.

წყალი ეზოდან მოაქვთ. ჭიდან. ეზო დაწნული მავთულითაა შემოღობილი.

მეორე სართულზე მხოლოდ ერთი ოთახია, დარბაზივით დიდი. ამ ოთახში არავინ ცხოვრობს, თუმცა ყველაზე გულმოდგინედ სწორედ მას ალაგებენ და უვლიან. დარბაზები მუდამ დახურუ-

თამაზ ბილაძე
აუზი

ლია, ოთახში სიბნელე და სიმყუდროვე გამეფებულა, დგას პარათინისა და ნაფტალინის მძაფრი სუნი. ეს სასტუმრო ოთახია, თუმცა ჯერ აქ არც ერთი სტუმარი არ შემოსულა. ოჯახის ძვირფასი ნივთები სწორედ ამ ოთახში აწყვიდა. ჩხუტი წყვილი საწოლი, ტილოჩამოფარებული კედლის სარკე, გრძელი, მსხვილფეხებიანი მაგიდა, ზედ რომ ბროლის უზარმაზარი საფერფლე დევს, სარჩულჩამოცმული ექვსი სკამი, შანდლებიანი პიანინო, ძველი, მოშლილი ტელევიზორი, რომლისთვისაც ეკრანის ნაცვლად ოჯახის გადიდებული სურათი ჩაუსვამთ, სარკიანი კარადა და ნარდი, თავისი მაგიდით. კედელზე კიდია დიდი, მრგვალი საათი, რომელიც არ მუშაობს, იმიტომ კი არა, რომ გაფუჭებულია, არამედ დიდხანს რომ გასძლოს. ჭერიდან ჩამოშვებული დიდი ჭალი ტილოშია გახვეული, გასახსნელად გამზადებულ ძეგლივით. საწოლის თავთან ტიტველი ბავშვის რამდენიმე ერთნაირი სურათია, ბამბუკის ჩარჩოიან. ჩარჩოებს გამადიდებელი შუშით ამომწვარი ერთნაირი წარწერები ამშვენებს: სალამი ბათუმიდან...

მეორე სართულს ზღვის მხარეს ფართო აივანი აქვს. აივნის რკინის მოაჯირი ჟანგს შეუჭამია. აქედან ზღვა მოჩანს. ზღვამდე ტრიალი მიწდორი გადაჰქიმულა. ამ სახლში ალექსანდრე სისორდიას ოჯახი ცხოვრობს. ალექსანდრე, ზროფესიით ეკონომისტი, ამჟამად პენსიონერია. შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრეს გაუმართლდა. ყველას კი არა აქვს საუშალები, აიშენოს ასეთი სახლი (ზღვის პირას) და სიბერე მშვიდად გაატაროს. მაგრამ არც ყველა ფიქრობს ამაზე მაშინ, როცა სიბერემდე ჯერ კიდევ ადრეა და, რომ არ ფიქრობს, არც ეს არის გასაკვირი, რადგან ცხოვრება ყოველ წამს ათას საზრუნავს გვიჩენს და ამიტომ არ გვრჩება დრო, გულითაც რომ გვინდოდეს, უზრუნველ სიბერეზე ვიფიქროთ. ალექსანდრე კი მხოლოდ ამაზე ფიქრობდა და აკი დაუფასდა კიდევ. თუმცა აქვე უნდა ვთქვათ, რომ

ეს არც ისე ადვილი იყო. ალექსანდრემთელი სიცოცხლის განმავლობაში პიკს კაპიკზე აწებებდა და ბევრს ისეთს იკლებდა, რასაც ჩვენ აუცილებელს ვეძახით, თუმცა ის ბევრი რამ ალექსანდრესათვისაც ასევე აუცილებელი იყო, მაგრამ, ჩვენგან განსხვავებით, ალექსანდრეს შეეძლო მოეთმინა, მოეთმინება კი, ალბათ დამერწმუნებით, მეტად მნიშვნელოვანი რამ გახლავთ. ყველაფერი, რასაც თქვენს გარშემო ხედავთ, მოთმინებითაა შექმნილი. მოთმინებით შენდება სახლი, მოთმინებით გაჰყავთ რკინიგზა, მოთმინებით იგონებენ ატომურ ყუმბარას, მოთმინებით ქმნიან ოჯახს, მოთმინებით იჭერენ ლომსაც, მარტო მახე, რაც არ უნდა ოსტატურად იყოს დაგებული, ვერაფერს გიშველის. მოთმინებაც, შეიძლება ითქვას, იგივე მახეა, სხვისთვის ან საკუთარი თავისთვის დაგებული. ალბათ იმასაც დამიდასტურებთ, რომ ყველაფერზე ძნელი ამ ქვეყნად სწორედ საკუთარი თავის დაოკებაა.

არ შეიძლება ამ სახლის ახლოს გაიაროთ და გულში არ ინატროთ, ნეტავი, ეს სახლი ჩემი ქნაო. ჭიშკართან მდგარ ალექსანდრეს ხშირად უნახავს ალტაცებისა თუ სიბრაზის გაელვება იმის სახეზე, ვინც ყოველ ზაფხულს, გაოფლილი და მტვერში ამოგანგლული, კარდაკარ დადის და ერთ ოთახს ეძებს საქირაოდ და ვისაც უკან ბარგაკიდებელი, გაწამებული ცოლ-შვილი მოჰყვება. „იფიქრე სიბერეზე, — ჩურჩულებს თავისთვის ალექსანდრე და თან გზაზე ბოშებივით გამწყრივებულ მოაგარაკეებს თვალით მიაცილებს, — სანამ დროა, სიბერეზე იფიქრე“. ამას ნიშნის მოგებით კი არ ამბობს, ეცოდება ისინი და ამიტომ ყველაზე სწორ რჩევას აძლევს.

ყოველ ასაკს თავისი სიმშვენეიერ ახლავს თან და, ვინც ამას ხედავს, იმისთვის არასოდეს გვიან არ არის იცხოვროს ისე, როგორც მას უნდა. ო, რა სასაცილო და საბრალოა ასეთი კაცისთვის ის, ვინც დაუფიქრებლად, დაუზოგავად, ბარბაროსულად, ზვიგენივით

გლუჯს და ნთქავს თავის ცხოვრებას, ვინც იტანჯება და სხვასაც ტანჯავს, აწუხებს, ავიწროვებს, სულს უხუთავს თავისი პაწაწინა, ამაო სურვილებით, ღამის თევით, პაპიროსის ბოლით, ეჭვიანობით, ზედმეტი ყურადღებით, მომაბეზრებელი სიყვარულით. ვინც ერთ დღეში ხარჯავს მთელი თვის ჯამაგირს, ყიდულობს ყვავილებს, ყელსახვევს, დადის კონოში, სტადიონზე, სეირნობს ტაქსით და ყველაფერ ამას ცხოვრებას ეძახის. არც კი იცის, რომ ცხოვრება იწყება დიდი მოთმინებისა და რულდუნების მერე, რომ ის დგას ყოველდღიური ფუსფუსისაგან მოშორებით, სიმშვიდეში ჩაფლული, როგორც სანატორიუმში, თავისი ჩალის სკამებით, ბილიარდით, პალმებით, მზიანი აივნითა და თეთრხალათიანი ექიმებით.

ალექსანდრე, ისევე როგორც ყველა პენსიონერი, გულხელდაკრეფილი არ ზის. კაცი მუდამ რალაცას უნდა აკეთებდეს, სიბერის ანაბარა მისი დატოვება არ შეიძლება. ალექსანდრე დამსხვრეულ ჭურჭელს აკოწიწებს და ამთელებს. თეფშებს, დოკებს, ლარნაკებს, ფინჯნებს, სურებს, ჭიქებს, ლამბაქებს... მაინც რამდენ რამეს ამსხვრევს ადამიანი! სპილოსავითაა. რამდენი რამე ტყდება ისეთი, რაც დასანანია, რადგან სახსოვარია, ან ძვირფას წუთს გაგონებს. თვალი შეეჩვია, შენც შეეჩვიე, შეჩვეულის გადაჩვევა კი ძნელია, თავი რომ დავანებოთ იმას, რომ შეიძლება ვეღარც კი იზოვო. და აი, ალექსანდრე აკოწიწებს, აწებებს, ამთელებს მას, რაც სხვამ მოურიდებლობის გამო, თუ შემთხვევით გატეხა, ნამსხვრევებად აქცია. ალექსანდრეს ბევრი მუშტარი ჰყავს. როგორც კი გაიგეს, ასეთი იშვიათი ნიჭი აქვსო, მაშინვე უამრავი ხალხი მოაწყდა. დამსხვრეულის გამთელება დიდი საქმეა, ამას მართლაც რომ ნიჭი უნდა, ნიჭი და მოთმინება, მოთმინება კი, როგორც უკვე იცით, ალექსანდრეს მოგონილია. არ იფიქროთ თავისი შრომისთვის ალექსანდრე საფასურს თხოვლობდეს, ასე რომ იყოს, მის გარჯას

არც კი მოვიხსენიებდი და თავს არ შეგაწყენდით. ალექსანდრე უნდა იყოს შრომობს, ხალხს ესმარება.

ალექსანდრეს მეუღლე ნუცა დიასახლისია. მთელი თავისი ჯან-ღონე ოჯახს შესწირა, ქმარ-შვილს. შვილი გვიან ეყოლათ. ნუცა ორმოცი წლისა იყო, ალექსანდრე კი ორმოცდაათის.

— ასეა ბატონო, გვიან რომ მოეკიდები ოჯახს, — ამბობს ალექსანდრე ღიმილით, — შვილიშვილი მგონია ბეკო.

ბეკო ოცი წლის ყმაწვილია. არც აქეთაა და არც იქით. ეს გახლავთ აწოწილი, ახალმოდანე თმაჩამოზრდილი, გრძელფეხება და გრძელცხვირა ბიჭი, ოდნავ მორცხვი და გაუბედავი. ეს თვისებაა სწორედ ის, რომელმაც შეიძლება ყველაზე უკიდურეს საქციელისკენ უბიძგოს. მშობლებს ბეკო ჯერ კიდევ ბავშვი ჰგონიათ და არც ცდებიან: ამ ასაკიდან ბიჭი წვალეებით და ნელა გამოდის, თუმცა მას უკვე თავდავიწყებით უყვარს მასზე ცხრა წლით უფროსი, ბავშვიანი ქალი. ეს ამბავი მშობლებმა კი არა, მთელმა ქალაქმა იცის და, თუ სხვებს სასაცილოდ არ ყოფნით, ამ წყნარი დალაგებული ოჯახისათვის ერთადერთი, შეიძლება ითქვას, თავზარდამცემი უბედურებაა.

„ნეტავი ბეკოს ჯარში წაიყვანდნენ, — ფიქრობს ალექსანდრე, — იქ მოუვლიან მაგას“.

ადამიანის ბუნება ისევე როგორც საერთოდ ბუნება, მოულოდნელი უცნაურობებითაა სავსე. როცა ეს უცნაურობა სხვას დაატყდება თავს, მაშინ მაინცდამაინც არ გვიკვირს და ადვილად ვურიგდებით, თქვენ წარმოიდგინეთ, მოგვეწონს კიდევ და ზოგჯერ მაგალითადაც კი მოგვყავს. ადამიანი მით უფრო განათლებულია, რაც უფრო მეტი ასეთი უცნაურობა გაუგონია და იცის. მაგრამ თუ ჩვენიანი ამ უცნაურობის მსხვერპლი ხდება, მაშინ კი უცნაურობა უბედურებად გადაიქცევა ხოლმე.

თამაზ ბილაძე
აშუი

აბა, ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ თქვენს ცამეტი წლის ქალიშვილს თხუთმეტი წლის ლაწირაკი უყვარს და მისი გულისთვის თავს იკლავს. საშინელება არა? მართალი ბრძანდებით, საშინელებაა. მაგრამ რომელი და ჯულიეტა სწორედ ამ ხნისანი არიან.

ბეკო საყვირზე უკრავს, რატომ მაინცდამაინც საყვირზე და არა, ვთქვათ, როიალსა და ვიოლინოზე, არავინ უწყის და რაც არ უნდა ჩამეძიოთ, ვერც მე გიპასუხებთ. ესეც მხოლოდ და მხოლოდ მის უცნაურობაზე მეტყველებს. საყვირი მშობლებს ბეკოს ბავშვობის გატაცება ეგონათ, რომელიც თანდათან გაუვლიდა და მერე, როცა სკოლას დაამთავრებდა, სამუდამოდ დაავიწყდებოდა. ან ეკონომიას შეისწავლიდა, როგოც მამამისი, ან კიდევ იურისტი გახდებოდა და პროკურორად იმუშავებდა. მშობლების განზრახვაში, რა თქმა უნდა, არაფერი იყო ცუდი, ოღონდ ბეკო სხვანაირად ფიქრობდა: სწავლა მუსიკალურ ტექნიკუმში გააგრძელა და მშობლებიც მხოლოდ იმიტომ დაეთანხმნენ, დარწმუნებულები რომ იყვნენ, იქ ბეკოს საყვირზე დაკვრის სურვილს დაუკარგავენო. მართლაც, მუსიკალურ ტექნიკუმს ყოველგვარი მონაცემი ჰქონდა ამისთვის. იქ ძირითადად გამგის მიერ დაწერილ სიმღერებს სწავლობდნენ და რაიონულ ოლიმპიადებზე ასრულებდნენ კიდევ. ამ სიმღერებს საჭიროებისდამიხედვით ტექსტი ეცვლებოდათ და ამიტომ ყოველი საზეიმო შემთხვევის დროს მუსიკალური ტექნიკუმის გუნდი მუდამ სცენაზე იდგა, დეკორაციასავით. გამგე მაღალი, გამზდარი კაცი იყო, რომელსაც, სადაც არ უნდა შეხვედროდით: რაიადმასკომში, ქუჩაში, ბაღში, სასამართლოს დარბაზში, ტექნიკუმში ხომ თავისთავად, ხელში სულ ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ პარტიტურა ეჭირა და ეს მძიმე წიგნი ისე დაჰქონდა, თითქოს გვეკადნებოდა, ცოტაც დამაცადეთ, ეს ოპერა ჩვენი სცენიდანაც თუ არ მოგასმენინოთო.

გამგეს სამი ქალიშვილი ჰყავდა, რომლებიც ყოველ წელს, ივლისის ბოლოს, თბილისში მიემგზავრებოდნენ. მედიცინო ინსტიტუტში გამოცდების ჩასაბარებლად და მერე, აგვისტოში, ასევე დამწყვირებულები, უკან ბრუნდებოდნენ. რა ემღერება ამ უბედურსო, — ამბობდნენ ქალაქში ტექნიკუმის გამგის, ბატონი კირილეს ზურგს უკან, მაგრამ ყველას მაინც უნებური პატივისცემა ჰქონდა ამ ჯიუტი და მიზანდასახული ოჯახის მიმართ.

ბეკოს ბატონმა კირილემაც ვერაფერი მოუხერხა, ვერ გამოგლიჯა საყვირი ხელიდან.

„ვისში გამოვიდა, ბატონო, ასეთი დამთხვეული, — ამბობს ღიმილით ალექსანდრე, — ბაბუამისი ბეკინა ისე მოკვდა, საყვირი თვალით არ უნახავს.“

მშობლებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ ბეკოც ბატონი კირილეს ქალიშვილების გზას გაუყენეს. ბიჭმა უნივერსიტეტში შეიტანა საბუთები და, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველსავე საგანში ჩაიჭრა. ასე გამეორდა ორ წელიწადს. ამ ზაფხულს ბეკომ კიდევ ერთხელ უნდა სცადოს ბედი და სანამ გამოცდების ჩასაბარებლად წავიდოდეს, აქაური რესტორნის ორკესტრში უკრავს.

აქაური რესტორანი მთელ მხარეში განთქმული გახლავთ. აქ მეზობელი კურორტებიდან აუარებელი ხალხი მოდის და რესტორნის წინ მუდამ მანქანები და ავტობუსები დგას. ეს რესტორანი, როგორც ჩვენმა გაზეთმა დაწერა „კარგი საჩუქარია ჩვენი ქალაქის მშრომელებისთვის“, იგი თანამედროვე მანერითაა აშენებული: ორ სენაურ კოშკს შუა მოქცეულია იმერული ორსართულიანი ოდა-სახლი, თავისი პალატი. კედლები სულ ჭედურობითაა დაფარული, გარდა ამისა, ჭერიდან მსხვილი, მძიმე ჯაჭვებია ჩამოშვებული, ერთ-ორ ჯაჭვზე კარდალა ჰკიდია, დანარჩენებზე ფანრები. კარდალები თითქმის ჭერამდეა აწეული, რადგან ტურისტები საფერაფლეებად იყენებდნენ. რო-

და პირველი შეკრთომა გაივლის, რესტორანი უსათუოდ ლამაზი მოგეჩვენება. ალბათ მართლაც ლამაზია, რადგან ტურისტებს ძალიან მოწონთ. დარბაზში ორკესტრისთვის პატარა ესტრადაა გამართული. ესტრადაზე ხის კუნძები აწყვია, დამკვრელები კუნძებზე სხედან და სტუმრებს მუსიკით ატკბობენ.

რესტორნის დირექტორი ბატონი დუხუ ზურგზე ხელებდაწყობილი დარბაზში დასვირნობს. იღივება და ვერცხლის კბილებს აჩენს, თითქოს სტუმრების გასაცინებლად აბაზიანებით გამოუტენია პირით. თუ რომელიმე სუფრიდან დაუძახებენ, მობრძანდი, ბატონო დუხუ, ერთი ჭიქა ღვინო მიირთვიო, მივა, კისერს დახრის, ჭიქას კბილებით დასწვდება, უცებ ასწევს და ასე გადაპკრავს ღვინოს, რაც იქ მყოფთა დიდ აღტაცებასა და ტაშის ცემას იწვევს. ისე ბატონი დუხუ ცუდი კაცი არ არის. ერთი ნატურა აქვს: როგორმე სადმე დათვი იშოვოს და რესტორნის წინ დააბას. „რა რესტორანია, პატივცემულო, უდათვოდო“, — ამბობს დუხუ და ვერცხლისფრად იღივება.

ორკესტრის ყველა წევრი აქაურია. ლილიც შეიძლება უკვე აქაურად ჩავთვალოდ, რადგან მას მერე რაც მისი მშობლები გაიყარნენ, თბილისიდან გადმოსახლდა და აგარაკზე მართო ცხოვრობს. თეთრი შარვალი და ბიჟის ჭრელი პერანგი აცვია. გამხდარი გოგოა, საშუალო ტანის. გაშლილი თმა მხრებზე აფენია. დიდ, შავ სათვალეს ატარებს. ხელში სულ სიგარეტი უჭირავს. ვერ იტყვი, ლამაზიაო, მაგრამ უსათუოდ მიაქცევ ყურადღებას. როცა გიყურებს, გგონია ვერ გხედავს, ან თუკი გხედავს, სრულებითაც არ აინტერესებს ვინა ხარ. მართო უყვარს ყოფნა. კარგად ცურავს. ზღვაში შორს შედის, დიდხანს რჩება იქ. აშკარად ცუდად მღერის, მაგრამ ჩვენი რესტორნისთვის არაუჭირს რა.

— ლილიპუტების ცირკი ჩამოსულა!
ლილიპუტების ცირკი ჩამოსულა! —
მესმის ბავშვების ყიჟინა და მეღვიძება. ვღებები, ვიცვამ, ფანჯარასთან მივდივარ. ბავშვები აღარ ჩანან, მათი ხმა კი ისევე მესმის: ლილიპუტების ცირკი ჩამოსულა!

ლილიპუტები ყოველ ზაფხულს ჩამოდის და რამდენიმე წარმოდგენას მართავენ აქაური საზაფხულო თეატრის შენობაში. ეს იმდენად ჩვეულებრივი ამბავია ჩვენი ქალაქისთვის, ბავშვების მეტე აღარავის უკვირს მათი ჩამოსვლა. ისინი ძველებურად დასდევენ უკან პატარა კაცუნებსა და ქალუკებს, რომლებიც ერთსადაიმავე დროს ბავშვებიც არიან და უფროსებიც... შეიძლება სწორედ ეს იზიდავთ ბავშვებს. მე კი ლილიპუტების ხსენებაზე ის სამწუხარო ამბავი მახსენდება, რომელიც შარშან, სწორედ ამ დროს ჩვენს ქალაქში მოხდა. რატომღაც ჩემს შეგნებაში სამუდამოდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს ლილიპუტები და ბავშვები. მათ ერთნაირად აღიზიანებთ ჩვენი გადამეტებული ყურადღება თუ უყურადღებობა.

ახლავე სჯობს ვითხრათ, რომ მე აქაური მასწავლებელი ვახლავართ, ქართულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლი. ჩემი როლი ამ მოთხრობაში, რასაკვირველია, უმნიშვნელოა, თავისუფლად შეიძლებაო, არც კი გაცნობოლით, მაგრამ სულმა წამძლია. ზოგჯერ სიმართლევ იმე გამომაშტერებს, ვინმეს მინდა დაუძახხო: მოიხედე, კაცო, მეცა ვარ ამ ქვეყანაზე-მეთქი. ხანდახან შუალამისას, როცა დღიურს ვწერ, მაცთური აზრი ამეკვიტება: რომელი გემის კაპიტანი შენა ხარ, ასე ზუსტად რომ ნუსხავ ყველაფერსო, მიდი, შენებურიც ჩაურიე, კალამი შენს ხელშია, გამკითხავი ვინ არისო. მართლაც, ძალზე მაცთუნებელია იმის წარმოდგენა, რომ ყოველის-შემძლე ხარ, შეგიძლია შენს, პროვინ-

თამაზ ბილაძე
აუზი



ციელი მასწავლებლის ღარიბულ სენა-
კში გამწყრივო ადამიანები ერთმანეთის
პირდაპირ, როგორც ჭადრაკის დაფაზე,
და შენი სურვილის მიხედვით მოექცე
მათ, მაგრამ არც ის მავიწყდება, რომ
ეს დიდი უსინდისობაა, თანაც თვითე-
ულმა მათგანმა, შეიძლება, სინამდვი-
ლეში ისეთი ნაბიჯი გადადგას, რომ მე
ვერც კი წარმოვიდგინო.

ჩემი ფანჯრიდან ცნობილი საბავშვო
მწერლის სახლი მოჩანს. სახლი ზედ
ზღვის პირას დგას, ქუჩის მხარეს პატა-
რა ეზო აქვს, ეზოს ფართობის თითქმის
ნახევარი საცურაო აუზს უჭირავს. აღ-
ბათ იკითხავთ, ზღვის პირას აუზი რა-
ლად უნდაო, მითუმეტეს, როცა გაი-
გებთ, რომ მწერალი არც ზღვაში ბანა-
ობს და არც აუზში. არქიტექტორმა,
ვინც ეს სახლი აუშენა მწერალს, აიხი-
რა ამ კარ-მიდამოს აუზი დაშვენდებაო
და მწერალიც აღარ გასძლიანებია. ეგ
იყო და ეგ. აუზის კედლები ხავსით არ-
ის დაფარული, დიდი ხნის დამდგარსა
და გამოუცვლელ წყალს უსიამოვნო
მწვანე ფერი დასდებია. ვერც ერთი ბავ-
შვი ვერ გაბედავს კედელზე გადაძრო-
მას და აუზში ბანაობას, მსურველი კი
ბევრია, თუმცა ზღვა აქვეა, ყურის ძირ-
ში, ბავშვებს მაინც აქეთ მოუწევთ გუ-
ლი, იმიტომ რომ ზღვა თავისუფლადაა,
ამ აუზს კი დიდი გულმოდგინეობით
დარაჯობენ: აივანზე თოფით ხელში და-
სეირნობს მწერლის პირადი მდივანი
სპინოზა. რასაკვირველია, სპინოზა მი-
სი ნამდვილი სახელი არ გახლავთ, ბონ-
დო ჰქვია და ლეკავაა გვარად. სპინოზა
მწერალმა შეარქვა და შერჩა კიდევ.
ის არც მწერლის პირადი მდივანი გახ-
ლავთ, მდივნობა კი არა, წერა-კითხვას
გაჭირვებით ახერხებს, მაგრამ ერთხელ
მწერალმა ღიმილით თქვა, ჩემი პირადი
მდივანიაო და ჩვენც დაუფუჯრეთ. სპი-
ნოზა მწერლის შორეული ნათესავია,
რომელიც ამ ხუთი წლის წინ ესტუმრა
მას და მერე აღარ მოშორებია, მის
სახლს დარაჯად დაუდგა, თუმცა მწე-
რალს არავითარი საფრთხე არ ელოდე-

ბა და არც მუშაობაში უმლის...
ხელს.

სპინოზა ორმოცდაათ წელს მიღწეუ-
ლი, საშუალო ტანის, ჯმუხი კაცია. კუპ-
რივით შავ, ჯაგარივით უხემ თმისა და
წვერში ჩამალულ სახეზე, პატარა რკი-
ნის ღილებივით თვალები უბრწყინავს.
თეთრი ტილოს შარვალი აცვია, ჩექმებ-
ში ჩატანებული. ჩითის პერანგზე მწერ-
ლის ნაჩუქარი ყილეტი შემოუცვამს.
ძალიც კი არ იქნება ისეთი ერთგული,
როგორიც სპინოზაა, ეს იშვიათი თვი-
სება, რა თქმა უნდა, საპატისაცემო იქ-
ნებოდა, სპინოზა რომ უკიდურესობამ-
დე არ მიეყვანა: ამ უწიგნურ კაცს ჭი-
რის დღესავით ეჯავრება ყველა, ვისაც
წიგნთან არა აქვს საქმე, ქუჩაში არავის
ესალმება, გარდა მასწავლებლებისა და
ნიკო ექიმისა, ჰო, კიდევ ბიბლიოთე-
კარ ნათელა თორდუას აძლევს სალამს.
ქუჩაში კი იშვიათად გამოდის, სახლი
და ბაზარი, ბაზარი და სახლი, აი მისი
გზა. ზოგჯერ საღამოთი რესტორანს მი-
ამურებს ზოლმე, ოღონდ შიგ არ შედის,
კართან ატუზული დგას და დარბაზში
იყურება. ამ დროს გადმობრუნებული
ჯიბეები თითოს წვერებით უჭირავს, თი-
თქოს რევერანსის გაკეთებას აპირებ-
დეს, შეიძლება ამით იმის თქმა უნდა,
რომ ჩვენ, ბატონო, შემოქმედებით ინ-
ტელიგენციას იმდენი ფული ვინ მოგე-
ცა, რესტორანში ვიჭეიფოთო. დუხუ
ოფიციატს თვალით ანიშნებს, ისიც და-
ფაცურდება, ცივ-ცივი ლიმონათის
ბოთლს გახსნის და სპინოზას გამოურ-
ბენინებს. სპინოზა ბოთლს ჩამოართ-
მევს, ლიმონათი ძალიან უყვარს, დუ-
ხუს მადლობის ნიშნად თავს დაუქნევს.
თუ ოფიციატს შემთხვევით ჭიქის გა-
მოტანა დაავიწყდება, სპინოზა დგას და
მოთმინებით იცდის, არასოდეს ბოთლს
არ მოიყუდებს და ისე არ დალევს ლი-
მონათს, რაც არ უნდა იყოს, ცნობილი
მწერლის პირადი მდივანია. ოფიციატ-
იც ჭიქას მალე გამოუტანს და სპინო-
ზას მადლობასაც დაიმსახურებს. თუ არ
გამცემთ, ჩემი აზრით, მთლად დალა-
გებული ვერ უნდა იყოს. თუმცა რა და-

სამალია, თვითონ მწერალს რამდენჯერ უთქვამს: ჩვენმა ბონდომ აკვანში მოიხადა ტვინის ანთებაო.

ცნობილი საბავშვო მწერალი ჩვენი ქალაქის მკვიდრი გახლავთ. პირველად აქედან რომ წავიდა, ერთი შარვალგამოხეული ბიჭი იყო. მერე სახელი გაითქვა. ჩვენს ქალაქში ყველა სახლში ჰქონდათ მისი წიგნები და არა მარტო წიგნები, უზრუნველბიდან და გაზეთებიდან ამოჭრილი მისი სურათებით კედლები გვექონდა აკრელებული: მწერალი სამუშაო მაგიდასთან, მწერალი კოლმეურნეებთან, მწერალი პიონერთა სასახლეში, მწერალი სანადიროდ... ხანში რომ შევიდა, დიდი ქალაქის ცხოვრება მოგზობდა და ისევ ძველ ბუდეს მოაშურა, როგორც თვითონ თქვა: მიწამ დამიძახაო. ნელ-ნელა ჩვენც ისე შევეჩვიეთ, მისი წიგნებიც დაგვაეციყდა და სურათებიც. რადგან ჩვენთან ცხოვრობს, ჩვენს გვერდით, ჩვენისთანა გვეგონია. შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, სწორედ რომ მასზეა ნათქვამი. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ჩვენს მხცოვან მწერალს პატივისცემა აკლდეს თავისი თანამოქალაქეებისაგან, თუმცა სამართლიანობა მაიძულებს ისიც ვთქვა, რომ იგივე თანამოქალაქეები ზოგჯერ ისეთ რამეს იტყვიან ამ სანთელივით წმინდა კაცზე, რასაც ალბათ გუნებაშიც კი ვერ გაივლებდნენ, მხოლოდ და მხოლოდ წიგნებითა და სურათებით რომ ცნობოდნენ იგი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმასაც ამბობენ, სპინოზა ტვინის ანთებამ კი არა, მაგის უცნაურმა ლაპარაკმა გადაირიაო, ღამღამობით სულ ვარსკვლავებზე ელაპარაკებო. იქიდან ხომალდი უნდა მოფრინდეს შენს წასაყვანად და აბა შენ იცი, მზად იყავი, რადგან შენი ავადმყოფობის წამალი მარტო იმ ვარსკვლავებზე არისო. თვითონ თავს ირობობს, სპინოზას კი რაღა ეგ უნდაო. ვარსკვლავების ჰკრეტამ უყო, მგელივით კისერგამეშებული რომ დადისო. უარესს გეტყვით, ერთი-ორჯერ ისიცა

თქვეს, ორივეს ერთი და იგივე ქალი უყვარს, მაგრამ ერთმანეთისთვის ვერ უმყვანებიან და ამიტომაც მიშტერებიან ვარსკვლავებსო... ვერ ვიტყვი, რამდენად მართალია ეს ამბავი, მაგრამ მეც ბევრჯერ მინახავს ვარსკვლავების ჰკრეტით გართული მწერალი და მისი მდივანი. სამჯერ დამიძახია — ღამე მშვიდობისა-მეთქი, მაგრამ არც კი გამოუხედავთ ქუჩისკენ. იმ ქალს კი არავინ ასახელებს, თუმცა რა დასახელება უნდა, ჩვენს ქალაქში, ვისაც კი შარვალი აცვია, ყველას ზინა უყვარს, ნიკო ექიმის რძალი. ზინა კი მართლაც დიდებული ქალია, დიდებული... თუმცა არა მგონია, ბედნიერი იყოს, ქალს ქმარი უნდა და არა მამამთილი. თუმცა ეს რა ჩემი საქმეა, ყველას თავისი ცხოვრება აქვს და ყველა თვითონვეა თავისი თავის მსაჯული.

ახალი დაღამებულია. ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი. ნიავი არ იძვრის, ელექტრონათურის შუქი ბალიდან რამდენიმე ხეს ანცალკეევებს და გგონია, ბაღში სულ ასეთი ოქროსფერი ზეები დგას. ისმის ჰრტიკინას ხმა.

აივანზე ბატონი ნიკო, ზინა და დათო ჩაის მიირთმევენ. ჩაბნელებულ ოთახში ტელევიზორის ეკრანი ციმციმებს. დათოს ცალი თვალი იქითკენ უპირავს.

— გამოვთიშოთ ახლა ტელევიზორი, — ამბობს ნიკო, — გეყოფა, ბაბუა.

ზინა დგება, ოთახში შედის და ტელევიზორს თიშავს.

ნიკო გეგეჰკორო მთელს რაიონში სახელგანთქმული ექიმი. შარშან სამოცი წელი შეუსრულდა და იუბილეც დიდი ამბით გადაუხადეთ კულტურის ახალ სახლში. ცოტა უცნაური ექიმი კია: რა დროსაც არ უნდა მიაკითხო, ქვეყანა რომ ინგრეოდეს, ადგება და წამოგყვება ავადმყოფის სანახაევად. რა უნდა ჰქირდეს კაცს, ნიკომ რომ ვერ შეატყოს და არ უმკურნალოს. ეს არის ძველი

თამაზ ბილაძე

აუზი

ყაიდის სოფლის ექიმი, რომელიც, სამწუხაროდ, დღითიდღე იშვიათად გვხვდება. ნიკო კბილსაც ამოგიღებს, კუქსაც ამოგირეცხავს, ჭრილობიდან ბალამსაც გამოუშვებს, მალამოს დაადებს, წნევას გაგიზომავს და, თუ დაქირდა, ბებიაქალობაც შეუძლია გასწიოს. მეორედ დაძახება არ უნდა, ავადმყოფს არ მიატოვებს, არ მოშორდება, სანამ ფეხზე არ წამოაყენებს, სულ თავზე დასტრიალებს. რამდენისთვის უმკურნალობა უსასყიდლოდ, რამდენისთვის თავისი ხელით მიუტანია იშვიათი წამალი. ავადმყოფს შუბლს არ გაუხსნის, მკაცრად ელაპარაკება. შეიძლება, ამიტომაც აქეთ მისი რიდი, ამიტომაც უჯერებენ. მაგრამ უნდა ნახოთ, როგორ იცვლება ეს ქვესავით კაცი, როცა დათუნა ხდება ავად. დარტყიანებულივით დაძრწის ოთახში, ხელისგულზე მუშტს იცემს და ერთსადიამივეს იმეორებს: ღმერთო, შენ მიშველე, ღმერთო, შენ მიშველე, ღმერთო, შენ მიშველეო. მთელი ცოდნა უცებ ავიწყდება, სხვა ექიმს ეძახის, იმ ექიმს გოშია ძაღლივით დასდევს კუდში, ელაქუცება. ექიმიც, გაამპარტავნებული და ნასიამოვნები ნიკოს ასეთი ყურადღებით, გატყულარპული ელაპარაკება, ჭკუას არიგებს: ეცადეთ, არ გააცივოთ, სტრეპტოციდის ნახევარი აბი მიეცით დღეში სამჯერ, მერე დიდი ამბით წერს რეცეპტს, დიდი ამბით იბანს ხელს, ნიკოს პირსახოცი უჭირავს, დიდი ამბით ემშვიდობება ჭიშკართან და მხარზე ხელს უთათუნებს, ნუ გეშინია, მოვარჩენო. მოვარჩენო, მოვარჩენო, — იმეორებს თავისთვის ნიკო, — ღმერთო, შენ მიშველე...

— იყოს ტელევიზორი, ნუ გამოთიშავთ, — ამბობს დათუნა.

— კარგი, ბაბუ, იყოს.

ზინა დგება და ტელევიზორს რთავს.

ნიკოს ვაჟიშვილმა, თეიმურაზმა, ოჯახის ტრადიცია დაარღვია, ექიმობა არ ისურვა, თუმცა ამით მამას გული მოუკლა. თბილისში თეატრალური ინსტიტუტი დაამთავრა, ერთხანს მარჯანიშვი-

ლის თეატრში მსახიობად მუშაობდა. მერე ტელესტუდიაში გადავიდა. ტორად, საიდანაც იმიტომ მოხსნეს, რომ გადაცემის დროს რალაცაზე ჩაფიქრდა და, როცა გამოერკვა, იკითხა — რას ვამბობდიო? მერე იფრიდიული ფაკულტეტი დაამთავრა და მილიციაში დაიწყო მუშაობა, გამომძიებლად.

— სოხუმისკენ ავტობუსი რომელ საათზე გადის? — ჰკითხულობს ზინა, თუმცა თვითონაც ძალიან კარგად იცის ავტობუსის გასვლის დრო, რადგან ამ ბოლო დროს სულ ამას კითხულობს და ნიკოც ერთსადიამივეს პასუხობს:

— თერთმეტის ნახევარზე.

„ღმერთმა ადამიანს ერთი ხელის დადება ქვეყანა მისცა, გინდა თბილისში ჩადგი ის ქვეყანა და გინდა აქ, ზღვის პირას, სულერთია, ყველგან შეიძლება ცხოვრება. მთავარია, ვინმე გიყვარდეს, — ესაუბრება ფიქრში ნიკო ზინას; გრძნობს, რომ ქალი გაქცევაზეა, მისი მოთმინება თითქმის ამოიწურა, — რა უყავით ამ სიყვარულს, სად გადაკარგეთ?“

ზინაც ფიქრში პასუხობს:

„განა შეიძლება არარსებულის დაკარგვა?“

„თეიმურაზი ბრიყვია, მაგრამ კეთილია...“

მოთმინებას, როგორც ცეცხლს შეშა, იმედი არ უნდა მოაკლო, თორემ გაქრება. ნიკომ ისიც იცის, რომ თუ ადამიანის მოთმინებას ერთხელ გამოცდი, მერე უნდა შეეშვა, თავი უნდა დაანებო, თორემ შეიძლება ხელში აგიფეთქდეს, ნაღმივით.

— ბაბუ, კარაქი წაუსვი პურს, — ამბობს ხმამაღლა ნიკო.

— ძალიან ცოტას ჭამს დათო, — ამბობს ზინაც, ფიქრში კი მამამთილს ასე პასუხობს:

„კეთილიაო? მგონი, ასე თქვით არა? მე კი ამქვეყნად ყველაზე მეტად ბრიყვი კეთილების მეშინია სწორედ. კეთილი იყო ის დარაჯიც, ხომ გახსოვთ ამას წინათ ინტერნატის აუზში დენი რომ გაუშვა, ბავშვები აღარ იბანავენბენ და

აღარ გაცელებიანო. დენმა კი ერთი ბავშვი იმსხვერპლა“.

— კარგი იქნება, ბორჯომში რომ წაიყვანდე ამ ზაფხულს.

— კი, მამა, როგორც თქვენ ბრძანებთ. რა თქვით, ავტობუსი როდის გადისო?

— თერთმეტის ნახევარზე, ეგ ბოლო ავტობუსია...

მერამდენედ პასუხობს ასე და ერთხელაც არ უკითხავს, რატომ გაინტერესებს ავტობუსის გასვლის დროო, იმიტომ რომ იცის, ზინა რასაც უპასუხებს:

— განა მე და თეიმურაზს ცოლ-ქმარი გეპეცია?

და რადგან სათქმელს თავს მოხსნის, ვეღარ გააჩერებს, დაგუბებული წყალივით გადმოხეთქავს:

— განა ჩემი მდგომარეობა სამარცხვინო არ არის?

ნიკომ უნდა თავი ჩაღუნოს, ხმა გაიკმინდოს და უსმინოს:

— დროა, ეს შეცდომა ყველამ გამოვასწოროთ. თუმცა მხოლოდ მე უნდა ვიძალო ისევ, აღარ შემიძლია... აქამდე ვიცდიდი, სიმართლე გითხრათ, მე თვითონ არ მიხდოდა წასვლა, ჯერ კიდევ ებღაუჭებოდი იმ ბავშვურ გატაცებას. არა, ის გატაცება მხოლოდ ბოროტება არ ყოფილა, მაშინ ბედნიერი ვიყავი, მაგრამ მხოლოდ წამით. იცით რა ძნელია მარტო მოგონებით ცხოვრება? გარდა ამისა, დედა ვარ და ვგრძნობ, რომ კიდევ ახალი უბედურება მელოდება. აი, თქვენ დათუნა გიყვართ, ანეზიერებთ, რა თქმა უნდა, ვერავინ გაგამტყუნებთ, ასეც უნდა იყოს, მაგრამ თქვენი საქციელით შევილს მაშორებთ, თუმცა დარწმუნებული ვარ, ეს უნებურად მოგდით, მაინც ასეა და რა ვქნა. დადგება დღე, როცა სულ მარტო დავრჩები. სულ, სულ, სულ მარტო. ამიტომ სჯობს რომ წავიდე, დროზე გავასწორო აქაურობას. ჩემი გადაწყვეტილება მტკიცეა და ამავე დროს სამართლიანიც. ისიც ვიცი, რომ არავის დიდ ტკივილს არ მიაყენებს ეს, გარდა... ვიცი ყველაზე მძიმე მაინც თქვენთვის იქნება, თქვენც

მარტო რჩებით, რა ვქნა, დათუნა, ჩემი ვერ დაგიტოვებთ? იმასაც გეტყვით, რომ მე თეიმურაზი აღარ მიყვარს და თუკი აღარ მიყვარს, თავი რატომ უნდა დავიტანჯო, ან იმას რაღას ვერჩი? ხშირ შემთხვევაში ჩვენ თვითონვე ვიბორკავთ ხელ-ფეხს და მხოლოდ სხვების დასახად ვცხოვრობთ: როგორა ხართ? კარგად, ძალიან კარგად! ნამდვილად კი სუნთქვაც აღარ შეგვიძლია. სარკეში ვიხედები და ჩემი თავის ნაცვლად სხვა ადამიანს ვხედავ, როგორც გრამწასმული მსახიობი. ეს ერთი წუთის ილუზია ზოგჯერ სიმართლეზე ძლიერია, მაგრამ საბოლოოდ მაინც ილუზიაა და მეტი არაფერი. მე კი მიხდა, სანამ ცოცხალი ვარ, ერთხელ მაინც ჩემი ნამდვილი სახით გამოვჩნდე.

მართლაც, ზინა ზუსტად ამის თქმას აპირებს, ყოველდღე ძილის წინ ხმამაღლა იმეორებს კიდევ, მაგრამ ნამდვილად კი სულ სხვა რამეს ფიქრობს. უპირველეს ყოვლისა, მისთვის აქ ცხოვრება ჯოჯოხეთია, მაგრამ თეიმურაზის ჯიბრით ითმენს. აქედან რომ წავიდე და შვილიც წაიყვანოს, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ თეიმურაზს ხელ-ფეხი გაუხსნას, მაშინვე ახალ ცოლს მოიყვანს. ზინას კი თეიმურაზი უყვარს, ამიტომ ღმერთს შესთხოვს თეიმურაზი მოკალიო, იქნებ როგორმე დავისვენოო. მაგრამ გულის სიღრმეში არ უნდა, რომ ეს მოხდეს. ასეთი გაორებული სურვილებით ცხოვრება კი ძნელია, წვალობს. ლოკინში, სიბნელეში თვალდაჭყეტილი, ერთსა და იმავეს ფიქრობს: აი, დათო გაიზრდება, ცოლს შეირთავს, ქორწილში უცებ კარი გაიღება და თეიმურაზი შემოვა, ქაღარა, ცხოვრებისაგან მოტეხილი და დაღლილი, ზინას მუხლებზე მოეხვევა (ოჰ!), კალთაში თავს ჩაუღებს და გულდათუთქული აქვითინდება, მავატიეო, ასე რომ გაგიმწარე სიცოცხლეო.

ასეთი ფიქრები წამებულნი ქალის

თამაზ ბილაძე
აუზი



როს ნელ-ნელა მომხიზვლელად ხდის, მაგრამ სარკემო ჩაიხედავს თუ არა, გული გადაუქანდება: ებერდები! თუმცა სიბერემდე ჯერ შორს არის, მაგრამ ნუგემის პაწაწინა სანთელიც კი არ ციმციმებს შორიახლოს. ამიტომ ისევ გაქცევაზე იწყებს ფიქრს, ფაცაფუცით ალაგებს ჩემოდანს, თბილად აცემებს დათუნას.

— სად მივდივართ? — ეკითხება ბავშვი.

უკეთესია ბავშვმა ყველაფერი იცოდეს:

— ახალ მამიკოსთან მივდივართ.
„ღმერთო ჩემო, — ელიმება მწარედ. — განა შეიძლება, ახალი მამიკო რომ არსებობდეს?“

— არსად! არსად! არსად! — ყვირის, — არსადაც არ მივდივართ!

ასე შეხიზნულმა უნდა გაატაროს მთელი თავისი ცხოვრება. მიტოვებულმა, შერცხვენილმა, სხვის ოჯახში, სამუდამოდ. მას ხომ ამ ოჯახთან არაფერი აკავშირებს, აქ არავინ უყვარს, ჰირღებთ მხოლოდ და იმიტომ ეფერებიან — მათი სისხლისა და ხორცის დედაა, ბავშვს კი გამზრდელი ჰირღება, გადია. ძიძა. პატივს რომ სცემდნენ, ამ ოჯახში ადამიანად რომ თვლიდნენ, წავიდოდა მისი მამამთილი თბილისში, თოკით შეკრავდა თეიმურაზს და აქ ჩამოათრევდა. მამამთილმა ბრძანა, თეიმურაზის სახელი ჩემს ოჯახში არ ახსენოთო. ბრძანება და თქმა ადვილია. აბა, ვისი სახელი ახსენოს? მომიყვანეთ თეიმურაზი, გესმით, მომიყვანეთ თქვენი სინდისგარეცხილი შვილი, მომიყვანეთ, რომ ფრჩხილებით სახე ჩამოგბლოტნო, მომიყვანეთ, რომ აი აქ, ამ ადგილას დაჩოქილმა პატიება მთხოვოს, მომიყვანეთ! მე ჯერ ოცდაცხრა წლისაც კი არა ვარ. მომიყვანეთ! მომიყვანეთ ის უხსენებელი! ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ მე სამადლო არაფერი მინდა.

მერე სუფრას ალაგებს, დათოს ტანზე ხდის და აწვენს.

შემოდის ნიკო:

— ღამე მშვიდობისა, ბაბუა, — ლიშვილს შუბლზე კოცნის.

— ღამე მშვიდობისა, ბატონო, — ამბობს ზინა.

ნიკო მიდის.
ზინა დათოს საწოლთან ჯდება, შლის „გულივერის მოგზაურობას“ და იწყებს ხმამაღლა კითხვას.

— ნუ კითხულობ, ისე მომიყევი, — ეუბნება დათო და ზინაც ალბათ მესაუკერ უყვება გულივერის ამბავს.

ზღვისპირა პატარა ქალაქს თავისი ცხოვრება აქვს. ზღვითაა გაყდენილი მისი ჰაერი, მისი ყოფა. აქაური მცხოვრებლები ზღვას თავის საკუთრებად თვლიან ისევე, როგორც სახლს. ტელევიზორს ან მაცივარს. ხურმისა და ფორთოხლის ხეებით დაბურულ ეზოებში ბრეზენტგადაფარებული ნაგები მოჩანს. აქაურმა კაცმა შეიძლება მანქანა არ იყიდოს, ნავს კი უსათუოდ შეიძენს. აქ მიწა ბარაქიანია, უხვი, დაუზარელი, მაგრამ აქაურ კაცს მაინც ზღვისკენ უპირაზს თვალში. ამ ლტოლვას უტყობ ადამიანი ვერ შეამჩნევს, პირიქით, დამსვენებლებს უკვირთ კიდევ ჩვენი მოჩვენებითი გულგრილობა ზღვისადმი: პლიაჟზე არ დავდივართ, ზღვისპირას ან ვსეირნობთ, არ ვცეკვავთ ვალსს სასულე ორკესტრის გრიალ-გრიალში. საქმე ის არის, რომ ისინი ისვენებენ, ჩვენ კი ვცხოვრობთ. პლიაჟზე მიმავალ, თითქმის შიშველ, რეზინის ფლოსტებში ფეხებწაყრილ დამსვენებელს ალბათ უსიამოვნოდ აერჯოლებს ტანში, როცა დაწესებულების გამოღებულ ფანჯრიდან ქალაღდებში თავწაყოფილ კაცს ხედავს, ანდა სასამართლოს შენობის წინ შექუჩებულ ხალხს. დამსვენებლებისთვის არც სახლის პატრონი არსებობს, რომელმაც მას თავისი ოთახი დაუთმო. სად ცხოვრობს თვითონ, რას აკეთებს, სად არის მთელი დღე? ზოგჯერ სახლის პატრონი თევზით ლედვს მთარმევს ხოლმე და დამსვენებელს ჰკონია, რომ ის მთელი დღე ლედვის ხეზე ზის, რადგან ნამეტანი კარგი ცხოვრებისგან აღარც იცის



რა ქნას, ყველაფერი მობეზრდა: ეს კარგად გაწყობილი სახლი, ეს მადლარით დაბურული ეზოც, ზღვა ხომ მობეზრდა და მობეზრდა. დამით ლელვის ხის ძირას იძინებს გასაშლელ საწოლზე, დილით კი ჯადოსანივით უცებ ქრება. დამსვენებლებსგან განსხვავებით, მსახიობები, მათ შორის ლილიპუტებიც, ყველაზე მახლობლები არიან ჩვენთვის, რადგან ისინი აქ სამუშაოდ არიან ჩამოსულნი. მართალია, არც ვართობას იკლებენ, მაგრამ ჩვენსავით მათაც ჯაფა ადგათ. ლილიპუტები დღეში ორ სპექტაკლს მართავენ. თითქმის უთენია ჩადიან ზღვაზე საბანაოდ, რადგან დღისით ზღვის პირას გამოჩენა ერიდებათ, ბავშვებს ემალებიან.

გზაზე ბეკო და მისი ამხანაგები მხვდებიან: ირაკლი, ლადო, გულიკო და ლილი.

ბეკო მესალმება:
— გამარჯობათ, პატივცემულო მასწავლებლო.

— თქვენ ბეკოს მასწავლებელი ბრძანდებით? — მეკითხება ირაკლი.

— დიახ.

— აბა თუ ასეა, მადლობა მინდა გადაგიხადოთ.

— რისთვის?

— ასეთი მხეცი რომ გაზარდეთ.

— თავი არ დამიზოგავს. — ვეუბნები ლილივით.

— დიდი მადლობა.

ლილი, გულიკო და ლადო ყვირიან:

— დიდი მადლობა ბავშვების სახელით!

— არაფრის, არაფრის!

— მორჩით მაიმუნობას! — ბრაზობს ბეკო.

ჩემთან, მოდის:

— ნუ უსმენთ, პატივცემულო მასწავლებლო, — მეუბნება დარცხვენით.

აი, ამას წინათ თედო სახოკიას წიგნში რა ამოვიკითხე: „კახეთში ასკილის ყვავილობას იცოდნენ ასკილობა ანუ ლოცვა ბელლიდან თავგების გასაძეველად. მოხარშავდნენ ფლავს, ზედ ასკილის ყვავილს დასდებდნენ, და დააჰყ-

რინებდნენ ხელში პატარას და გააქცევდნენ ტყისკენ. ბიჭს ეს ფლავი მოუხედავად უნდა წაეღო და ტყეში დაეტოვებინა. ასკილობის მომწყობთ სწამდათ, რომ თავგები ბიჭს უკან დაედევნებოდნენ ამ ფლავის შესაქმელად, ხოლო ბელელი, საცა ჭირნახული ინახებოდა, მათგან განთავისუფლდებოდა.“

ჩაფიქრებული ქალაქს კარგა შორს მანძილზე გამოეცილებივარ, უპატრონო ბავშვთა სახლთან მოვსულვარ.

ხის ორსართულიანი სახლი ეზოს სიღრმეში, კვიპაროსებშია შემალული, ეზოში ბალახი ბიბინებს.

ამ სახლს ბევრი სტუმარი ჰყავს. რესპუბლიკის ყველა კუთხიდან მოდიან აქ უშვილო ცოლ-ქმრები, მარტოხელა ქალი თუ კაცი სიმარტოვის წამლის საძებნელად. დიდხანს ირჩევენ, ათვალეირებენ, ზომავენ თუ წონიან ბავშვს, რომელიც მალე თავიანთ შვილად უნდა აქციონ, მემკვიდრედ, იმედად, ხმის გამცემად, რომ შეალიონ, და ხარჯონ, როგორმე მოიშორონ სულის სიღრმეში ბოღმასავით ჩაღეჭილი ალერსი, სითბო, სიყვარული, ეს ქვად ქცეული, უმოქმედო ენერგია.

ამ სახლს ჩვენ „იმედის წყაროს“ ვეძახით. მართლაც, წყაროსავით არ იღევა, მოსჩქედს, მოდგაფუნობს სახლის წიაღიდან ბავშვების ხმა, ურჩიამული, სიცილი, ტირილი, რომელსაც უამრავი მთრთოლვარე პეშვი ეპოტინება, მიაქვს ცინცხალი წყალი ამაო მოლოდინით დაქანცულისთვის, დამით გაოფლილ ლოგინში გაუთავებელი კინკლაობით, აბების ყლაპვით, აბაზანების მიღებით, ექიმის დაქვეებული მხერით გაწამებული სათვის.

ახლა სახლიდან ჩამიჩუმე არ ისმის. ბავშვებს სძინავთ. ეზოში თბილისიდან ჩამოსული ცოლ-ქმარი დასეირნობს. კაცი ორმოცდაათი წლისა იქნება, ქალი ცოტათი უმცროსია, მაგრამ აღარც ისაა ხვითო. გვერდზე, მუხლამდე გაჭრილი

თამაზ ვილაძე
აუზი

კაბა სიარულის დროს შხვართ ფეხებს უჩენს. კაცს უკვე ღიბი დასდებია. ჭალარა თმა ბურბუშელასავით აყრია თავზე, იფიქრებ, ქარის პირველსავე წამოქროლვაზე გადაუცვივავო. ფეხშიშველი დააბიჯებს ბალახში:

— უჰ, რა კარგია!

მისი ფეხსაცმელი ხის ძირას აწყვია. იქვე დიდი, ქერათმიანი თოჯინა დასკუპებულა, თითქოს ფეხსაცმლის ღარაჯად დაუსვამთო.

ქიშკართან „ვოლგა“ დგას. კაცი მაღლივ გახედავს ხოლმე მანქანას. „მზეშია, უნდა გადავაყენო“.

როგორც ჩანს, აქედან გოგონას წყევანა გადაუწყვეტიათ.

— ბიჭი უმადურია, გოგო მოგხედავს მაინც...

— თვრამეტი წლისა გახდება და გათხოვდება.

— თუ ლამაზი იქნა, კი.

— ჩვენც კარგი ავარჩიოთ.

— დირექტორთან ნაცნობს დავარეკინე. სად არის აქამდე?

— შესვენებაა.

— მოდი, აქ ვიჭიროთ ოთახი. რამდენი ხანია ზღვაზე არ ვყოფილვარ.

— გოგო მაინც სხვაა.

— შენ დაგემგვანება.

— არც წააგებს.

— ხი-ხი-ხი. ბიჭმა შეიძლება მანქანაც კი დაამსხვრიოს. თუმცა ახლა გოგობიც ატარებენ მანქანას.

— მე რატომ არ მსვამ საჭესთან?

— შენ ჩემი მოლაღური ხარ.

— აბა კი.

— ნეტა, წყალი თუა სადმე?

— აგე, ონკანი!

— იქ ძალი აბია.

— მშიშარა.

— როგორ გიხდება ეგ კაბა.

— ოჰო?

— რა იყო?

— არაფერი.

— ტუალეტი მაინც არა აქვთ?

— მოითმინე ცოტა.

— კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა.

— რა დავარქვით?

— ვის?

— ჩვენს შვილს.

— სახელი ერქმევა ალბათ.

— არა, ცისია უნდა დავარქვა. ცისია, ცი-ის-ი-ა, ცისიაა, ხომ კარგია?

— რაც გინდა ის დაარქვი, რა ვუყო მე.

— აბა, დედაშენის სახელი დავარქვით?

— რატომ მაინცდამაინც დედაჩემის?

— რა გაყვირებს?

— მოითმინე, მოითმინე, კარგი რა, მოითმინე!

როგორი სიმშვიდეა ირგვლივ, — ვფიქრობ მე, — ქვეყანა თითქოს მინის ყუთში ჩაუსვამთ, ფოთოლიც კი არ იძვრის. ძალღს თათებზე დაუღია თავი და სძინავს. ონკანიდან წყალი წვეთავს. წვეთი უხმოდ ეცემა ხავსიან ქვაზე. სახლის გამოღებულ ფანჯრებზე თეთრი ფარდებია ჩამოფარებული. კიბის თავში, ჩარდახის ქვეშ წითელი ზარი კიღია. აქეთ, ქიშკართან „ვოლგის“ უკანა ფანჯარა თვალისმომჭრელად ბრწყინავს.

5

ალექსანდრეს დიდი საქმე აქვს, ვიღაცამ ვეება სურის ნატეხები მოუტანა და იმ სურას ამთელებს. მთელი თვეა თავჩალუნული მუშაობს, ცოტალა დარჩა, საცაა მოამთავრებს კიდეც. ახლა ის ვაშლის ხის ძირას მაგიდასთან ზის და მუშაობს. ნუცა კიბის საფეხურზე მოკალათებულა და გაზეთს კითხულობს. ბეკო ჭის გვიმზე ჩამომჯდარა, ფეხებს აქანებს.

— რა დღეა დღეს? — ეს ალექსანდრეს ხმაა.

— ოთხშაბათი, — პასუხობს ნუცა.

— აუჰ!

— რა იყო?

— არაფერი... მაშ ოთხშაბათია?

— კი.

— ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა...

— ცხელა.

— ცხელა, ცხელა, ძალიან ცხელა... ოთხშაბათი...

— უი, პეტრე მომკვდარა!
 — პეტრე?
 — ფხაკაძე.
 — როდის ასაფლავებენ?
 — კვირას.
 — კვირა, კვირა... დღეს ოთხშაბათია ხომ?

— შემეცოდა ხომ იცი.
 — კი მაგრამ, რამ მოკლა?
 — კიბო ჰქონდა მგონი.
 — კიბო... კიბო...
 — რა ეშველება მის ცოლ-შვილს...
 — ვინც კვდება, ისაა ცოდო.
 — მართალი ხარ, ცოცხალს რა უჭირს.

— კაცი თავის თავს უკვდებაო, ხომ გაგიგონია. ქათმებს წყალი დაუდგი, დაწყებდებიან ამ სიცხეში.

— არ მასწავლო ახლა მაგი!
 — სხვა, სხვა რაო?
 — ვინ?
 — ვინ და გაზეთმა.
 — გაზეთი კი არა, ცეცხლი მიკივლია.
 — კი, ნამეტანი ცხელა.
 — მაგიტომ მიკივლია ცეცხლი?
 — აბა?
 — რა ვუყოთ ამ ბიჭს?
 — რა ვუყოთ და ცოლი შევრთოთ.
 — იხუმრე, იხუმრე, ავიშენდება ოჯახი.

— დამიჯერე, ქალო, სანამ ნიკოს მოუკლავს, შევრთოთ ცოლი.

„ახლა დაიწყება, — ფიქრობს ბეკო, — ა, ახლა“.

— რა დავაშავე ასეთი, ოჯახის გარეთ ცალი თვალითაც არ გამიხედავს, დღე-ღამე ჩემი მოსვენება არ არის, აი, ეს წუთია ჩამოვკეჭი უთენია ამდგარი, ქათამზე ადრე ვიღვიძებ, ღმერთი არა გწამთ, ადამიანი ვარ მე თუ რა! რატომ დავისაჯე ასე, შვილი დამკვრელი გამომივიდა, სხვისი შვილები, ბატონო, თბილისში სწავლობენ, ეგ რესტორანში ზის და უკრავს სალამურზე...

— სალამური არ არის ეს, — ჩაიბურტყუნა ბეკომ.

— პიანინო იყოს, ბატონო, — ნუცას

საყვირის ხსენება არ შეუძლია, — მაგის ღირსი ვიყავი ვითომ მე? კაი, ბატონო, არ ვჩივი, რა ვუყოთ, არ მქონია დაუფერას, რა გქნა, შვილია და ხომ არ მოვკლავ ჩემი ხელით, მაგრამ ვის გადაეკიდა იმ შეჩვენებულს, ქმარ-შვილიანი ქალის სიყვარული გაგიგონიათ სადმე?..

— ქმარი არ ყავს იმას...

— აბა, ისე ინახავს მამამთილი ხომ? — უყვირა დედამ, — მაგი რომ პატიოსანი ქალი იყოს, იმ სახლში ერთ დღეს არ გაჩერდებოდა.

ბეკომ რატომღაც ხმამაღლა გაიცინა.

— რა იყო, შვილო, რა გაციენებს? — მიუბრუნდა შვილს ნუცა, — რა ვთქვი სასაცილო?

— ცუდი იმ ქალზე ნამდვილად არ გამიგონია, — თქვა ალექსანდრემ.

— სად არის მაგის ქმარი, სად, კარგია ეს? — გაანჩხლდა ნუცა, — გეკითხები, კარგია-მეთქი ეს? — მერე შვილს უყვირა, — გააჩერე ფეხები!

— რას გიშლის ჩემი ფეხები?

— გაგიხმეს, გაგიხმეს ეგ ფეხები!

— კარგი, ქალო, გეყოფა, — ჩაილაპარაკა თავისთვის ალექსანდრემ, მაგრამ ნუცამ მაინც გაიგონა და უპასუხა:

— მართალი ბრძანდებით, მე ხომ მოსამსახურე ვარ თქვენი, მეტი არაფერი, რატომ არ გავაჩუმებ ამ დასამიწებელ ენას, რა მინდა? მართალი ბრძანდებით... კი, ბატონო, მოიყვანეთ ის ქალი სახლში, როგორც გენებოთ, მოიყვანეთ.

— იმ წუთას არ გამოგატანოს ნიკომ, თავს ურჩევნია რძალი.

— აბა რა, შვილიშვილს მომვლელი არ უნდა? ნიკო ჭკვიანია, თქვენ არა გაქვთ თავში ტვინი თორემ...

— რა ღროს ბეკოს ცოლია, ქალო, რას ამბობ? — გაიცინა ალექსანდრემ.

— ლილიბუტების ცირკი ჩამოსულა, — თქვა ბეკომ.

— ა, — ხელები გაშალა ალექსანდრემ, — ჭკუა მოეკითხება ახლა ამას?

თამაზ ზილაძე

აშშში

შარშან ორმა ლილიპუტმა — ცოლმა და ქმარმა, ალექსანდრესაც მოაკითხა; ოთახი უნდოდათ დაეჭირავენბინათ. ისხდნენ ლილიპუტები ვაშლის ხის ძირას, მერხზე, ფეხებს მიწაზე ვერ უწვდენდნენ, მეტად ამაყად და სერიოზულად ეჭირათ თავი, როგორც ეს საერთოდ ლილიპუტებს და უცხო გარემოში მოხვედრილ ბავშვებს ჩვევიათ, ხელში ღვინით სავსე ჭიქები ეჭირათ, რომელიც ალექსანდრემ მიართვათ.

კაც ლილიპუტს ამ სიციხეში შავი კრების კოსტიუმი, თეთრი გახამებულსაყელოიანი პერანგი და შავი ლაკის ფეხსაცმელი ეცვა. ქალს კი ცისფერი ნეილონის ბაბთებიანი და კალთაგაშლილი კაბა პეპელას ამსგავსებდა, ანდა ტელევიზორში ლექსის სათქმელად გამოყვანილ ბავშვს. დანაოჭებული და ძალზე გაპუდრული სახე ჰქონდა. თეთრი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი რატომღაც უნებურ სიბრაღულს იწვევდა ქალის მიმართ. მათ თუმცა ოთახზე უარი უთხრეს, მაინც აყოვნებდნენ წასვლას და ამის მიზეზი ის იყო, რომ ჭიშკართან ბავშვების ხროვა უცდიდათ. ბავშვებს შორის ჩამდგარი ლილიპუტები ღირსებას კარგავდნენ. მაშინვე ნაადრევად დაბერებულ ბავშვებს ემსგავსებოდნენ.

— ლილიპუტების ცირკი ჩამოსულა, — ბეკოს უნდა რამდენჯერმე გაიმეოროს ეს ფრაზა, — ლილიპუტების ცირკი ჩამოსულა, ლილიპუტების ცირკი ჩამოსულა, — მაგრამ დედის ერიდება.

აგვისტოში ბეკო რამდენიმე დღით ობილისში წავა, გამოცდების ჩასაბარებლად, მაგრამ ალბათ პირველსავე გამოცდაზე ჩაიჭრება და მაშინვე უკან გამოიქცევა. შემოდგომაზე აქედან ხალხი გაიკრიაფება, აქაურობა დაცარიელდება, ჩაკვდება. მისი ახალი ამხანაგებიც წავლენ. აღარც რესტორანში ივლის ვინმე დუხუხ წვერს მოუშვებს, თითქოს კირში არეული ტალახით მოითხუპნის სახეს და ზამთრის ძილისთვის გაემზადება. მერე გადაუღებელი წვიმები დაიწყება. სულ კინოში ხომ არ იჯდება? აქედან კი

ფეხს არ მოიცვლის, არ შეუძლია აქედან წასვლა. ჯარშიც რომ არ მიყავთ, სტია, ღვიძლი ტყევა. ისევ ჯარი სჯობს ამ წვიმებსა და სიმარტოვეს. ჰო, სიმარტოვეს. ბეკოს გაუკვირდა, ჩაფიქრდა, რამ ათქმევინა ეს სიტყვა? ჰო, ტელეფონმა ასწავლა ეს სიტყვა. ყოველ ცისმარგდლე ბეკო ავტომატიდან ურეკავს ზინას, როცა მისი მამამთილი შინ არ არის. ბეკო კრეფს ნომერს, ქალი იღებს ყურმილს: გისმენთ!

ბეკო ხმას არ იღებს.

— გისმენთ! — იმეორებს ქალი.

ბეკოს უნდა დაელაპარაკოს, მაგრამ პირს ვერ აღებს, ქალის სუნთქვა ესმის და გრძნობს, რომ მარტოა, მთელ ქვეყანაზე მარტოდმარტო.

ქალი ყურმილს კიდებს.

ბეკო ისევ რეკავს.

— გამაგებინეთ, ვინა ხართ! — ბრაზობს ქალი.

და ასეა ყოველდღე.

ისინი ერთმანეთს იცნობენ. ამ ქალაქში ყველა ერთმანეთს იცნობს. ქალმა ბიჭი მაშინ შეამჩნია, როცა სკოლიდან დაბრუნებულს მესამედ თუ მეოთხედ აღედევნა.

— თქვენ ჩვენს მეზობლად ცხოვრობთ, არა? — ჰკითხა ქალმა.

— დიახ.

— რა გქვიათ?

— ბეკო.

— კარგი სახელია.

— ისე...

— სწავლობთ?

— არა.

— მუშაობთ ალბათ.

— დიახ.

— სად

— რესტორანში, საყვირზე ვუკრავ.

— ოჰო? — გაიკვირვა ქალმა და წავიდა.

მეორეჯერ ქუჩაში ადევნებულ ბიჭს მოულოდნელად მოუტრიალდა:

— ბეკო, თქვენ ჩემთან რამე საქმე ხომ არა გაქვთ?

— არა, — ბეკო ყურის ძირამდე გაწითლდა.

— თუ რამე გინდათ, მითხარით, ნუ გერიდებათ.

— არა... დედას გეფიცებით...

— მომეჩვენა ალბათ...

— ღაიცადეთ, ღაიცადეთ, ღაიცადეთ! — დაუძახა კინალამ მიმავალ ქალს. კიდევ კარგი, თავი შეიკავა, ქალი რომ გაჩერებულიყო, რა უნდა ეთქვა?

ბეკოს უნდა ვინმეს ესმოდეს მისი და თუ ეს საერთოდ შეუძლებელია, უბრალოდ, ვინმეს გვერდით უნდა ყოფნა. შინ ოჯახის ანგელოზივით უვლიან და თავს ევლებიან, მაგრამ იმას კი ვერ ხედებიან, რომ ანგელოზივით მარტოა.

— მარტოა! მარტოა! მარტოა! — ბეკოს ეს სიტყვა მოსწონს და ამიტომ იმეორებს:

— მარტოა!

— აბა, მოკვდა საწყალი პეტრე? — კითხულობს ალექსანდრე.

— აგერ წერია, მე ხომ არ ვიკონებ.

— კარგი... დღეს ოთხშაბათია არა?

— კი.

— ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი...

— პანაშვიდზე კი უნდა მივიდეთ...

— მივიდეთ, რა უჭირს...

— ზეგ წავიდეთ მამინ...

— დღეს ოთხშაბათია ხომ?

— კი, ოთხშაბათი...

— ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი... კი, ზეგ წავიდეთ...

6

— გისმენთ! — ქალმა სიგარეტის ნამწვავი საფერფლეში ჩაჰყლიტა და გაიმეორა, — გისმენთ!

ყურმილში ვიღაცის გახშირებული სუნთქვა მოისმოდა. ქალმა ყურმილი ლოყთა და მხრით დაიკირა, კოლოფიდან ახალი სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა.

ტახტზე იჯდა, გაშლილი წიგნი კალთაში ეღო.

— ხმას რატომ არ იღებთ?

ტელეფონის მილი დადო, წამოდგა, წიგნი იატაკზე ჩამოუვარდა, არ აუღია,

ფანჯარასთან მივიდა და ფარდა გადართია.

ტელეფონმა ისევ დარეკა. ქალი მიტრიალებულა.

ტელეფონი განუწყვეტლივ რეკდა.

— რა გინდა? — თქვა ჩუმად ქალმა, ღიმილმა ტუჩის კუთხეში გაჩენილი ნაოჭები გაუქსო, მაგრამ იქიდან არ გადმოსულა, იქვე გაიყინა და გაქრა, — რა გინდა, შენ ლაწირაკო, — ქვედა ტუჩს კბილი დააქირა, — ოოო, — დაიხმუვლა ხმამაღლა, მწარედ, თითქოს არ ელოდა, რომ ეტკინებოდა, — ოოო, — გაიმეორა.

ფანჯრიდან სიგარეტი გადაავლო, მიტრიალდა, ტახტთან მივიდა, ტელეფონს დასწვდა, ამ ხნის განმავლობაში სულ რომ რეკდა, მაგრამ ყურმილი არ აუღია. ხელი ისე ედო აწრიალებული ტელეფონის ყურმილზე, თითქოს პაწაწინა დაქირილი მხეცი ეჭირა, ხელიდან რომ უსახტებოდა, ტკივილით დაბრმავებული, გაგაყვებული. ერთდროულად დახმარებასაც რომ მოითხოვდა და თანაც ჰიუტად მიიწვედა მისი ყელისკენ, ყველაზე უფრო რბილსა და ნაზ ადგილისკენ, რათა კბილებით ჩაფრენოდა, დაეგლიჯა, გამოეღადრა. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ ტკიოდა, მეტი არაფერი. ტკივილი ალაგზნებდა ახალი, სხვისი ტკივილის გასაჩენად, რათა საერთო ტკივილის ბურუსში ჩაკარგულიყო, ამით შეეება ეგრძნო, სული მოეთქვა.

— არა, არა, — იმეორებდა ქალი და თუმცა შეეძლო ხელის ერთი გაქნევით შეეწყვიტა ეს გაბმული რეკვა, მაინც ასე გაშეშებული იდგა, გაოგნებული იმის შეგრძნებით, რომ სხვას, ვიღაცას ახლა ყველაფერზე მეტად ამ ქვეყნად უნდოდა, რომ მასაც ტკენოდა რამე და თუმცა თავად არაფერი ეშველებოდა, მარტო მაინც არ იქნებოდა.

ტელეფონი მოულოდნელად გაჩუმდა. ქალს კიდევ კარგახანს ედო ხელი

თამაზ ბილაძე
აუზი



ცებულებსა და მოვრალეებს, ყველაფერი დავიწყებოდათ, გამეტებით უშენდნენ თოვლსა თუ ყინულის ნატეხს, იქნებ მასწავლებელს თავსაც კი აწონებდნენ, ნახე, რა ყოჩაღები ვართო. ის კი უკვე გამწარებით იბრძოდა, რადგან გრძნობდა, რომ ცოტაც და გონებას დაკარგავდა. უნდოდა ეყვირა, მიშველეთო, მაგრამ პირიც თოვლით ჰქონდა სასვე. მერე მართლაც დაჰკარგა გონება. აღარაფერი ახსოვს. ბავშვებს, ეტყობა, შეეშინდათ და გაიბარნენ.

კარგახანს იწევა თოვლიშ გონებადაკარგული. ასე იწეებოდა ალბათ დილაშიც, სკოლის დარაჯს რომ შემთხვევით არ ეპოვნა და არ წამოეყენებინა. სწორედ იმ დამეს მისცა დიდი სიტყე და მაშინ იყო სწორედ, თავისი თავი შორიდან რომ დაინახა, ერთდროულად უცნობიც და მტკივნეულად მახლობელიც, რომელიც თბილისში წითელი შარვლითა და წითელი ქოლგით დასერილობდა. ფიქრით სულ თბილისში იყო, ვერაფრით ვერ შეეჩვია აქაურობას, შეიძლება იმიტომ რომ აქ არ იყო მისი ნამდვილი სახლი.

სარკიდან გამხდარი, დიდთვალემა ქალი შემოსცქერის. ტუჩის კუთხეში ნაოჭი გასჩენია. ეს ღიმილის ნაოჭია, ობობას ფეხივით წვრილი და მსუბუქი, მაღე მთელ სახეზე რომ გადაირბენს და თხელსა და გამჟვრვალე ბადეს მოქსოვს. მერე ამ ბადეში მისი თვალები, ღიმილი, ფიქრი მოემწყვედევა და ყველაფერი გათავდება.

„ძალიან დიდი დრო გასულა“,—ფიქრობს ქალი.

ეს ის დროა, რომელსაც საათი ვერ გაზომავს, ამისთვის ადამიანს ჯერ ხელსაწყო არ მოუგონებია, ვერც მოიგონებს, იმიტომ რომ ასეთი დრო ყველას საკუთარი აქვს, გულისა და გონების ბურთულეებში მოქცეული, სილასავით რომ გადადის ერთიდან მეორეში დაუსრულეებლად, სანამ... სანამ ადამიანს ჯერ კიდევ შეუძლია, რომ იოცნებოს.

არაფერი არ შეცვლილა მის გარშემო, ოღონდ ყველაფერი რაღაცნაირად ჩვე-

ულებრივი გახდა. შეიძლება იმიტომ რომ რასაც დიდხანს უყურებ, იმდენი ხდება. დრო კი მართლაც ბევრი გასულა, გაცილებით უფორ ბევრი, ვიდრე მას წარმოედგინა. მისი ქვეყანა, რომელსაც ის სიმარტოვეში ოცნებით აწეებდა თუ ანგრევდა, შეუღარებლად მეტი ფათერაკებითა და მოულოდნელობებით იყო სასვე, ვიდრე ყოველდღიური ყოფა იმ ადამიანისა, ვინც ოჯახისა თუ მეგობრების წრითაა გარემოცული და სიმარტოვის ყველა კარი, შეგნებულად თუ თავდაცვის ბიოლოგიური ინსტინქტით, ყველა ჭუჭრუტანა, ხვრელი, სირო, ბზარიც კი საგულდაგულოდ აქვს დახშული, დაგმანული, ამოგლესილი თუ ამოქოლილი. მარტოხელა ადამიანს უფრო მეტი ესმის, უფრო მეტს ხედავს და ყველაფერი, რასაც ის ისმენს თუ ხედავს, მისი წარმოდგენების წყალობით უკიდურესად გამძაფრებულია. წარმოდგენების ეკალ-ბარდში გახლართულისთვის ყველა ადამიანური ჩვეულებრივი ვნება თუ საქციელი იღუმალეების ბურთუსითაა დაფარული და მისი ამოხსნის, შიგ შედწვევის გამუდმებული წადილი ქანცავს, თენთავს, გულს უცარიელებს ისევე, როგორც ყოველგვარი ამო გარჯა.

რასაკვირველია, ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ ისწავლა და შეიძინა, ბევრ რამეს უკვე მტვერიც კი დაედო, როგორც გამოუსადეგარ, სხვენში ატანნილ ნივთს, მაგრამ გრძნობს, სამაგიეროდ რაღაც დაკარგა, ურომლისოდაც ყველაფერი ჩვეულებრივი გახდა. ის რაღაცა ისეთი პატარა იყო, მისი დაკარგვა არც კი შეუძინებია. მტვრის ნამცეცივით ჩამოშორდა მის არსებას, ნემსით ნახვლეტზე შემხმარი სისხლის წვეთივით... თუ ქლოროფლის მარცვალივით.

როგორც ყველა უდედოდ გაზრდილი გოგო, გულჩახვეული იყო. დეიდა იტოს ყველაფერს ხომ ვერ ეტყოდა? გოგომ

თამაზ ბილაძე
აუზი

კი უსათუოდ უნდა თქვას, რასაც გრძნობს. გამოუთქმელი საიდუმლო მძიმეა და აუტანელი. საიდუმლოს ქვეყნის ჩასახეობა და შეინახავას, გულში კი ვერ დაიტოვებ — გახეთქავს. მეგობარი მაინც უნდა გყავდეს ვინმე, სულერთია ის მეგობარი მერე რას იტყვის, როცა შენგან წავა, როცა სხვა მეგობარს შეხვდება, მთავარია, საიდუმლო მარტო შენთან არ დარჩეს. ბოლოსდაბოლოს, მეგობარი საიდუმლოს გასამხელად გეჭირდება და არა ერთგულებისთვის.

დეიდა იტოს, პენსიონერ მასწავლებელს, ყველა აღამიანი კეთილი და სანთელივით წმინდა ეგონა და ამ შინაბერა ქალს მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთხელაც კი არ შეცვლია ეს აზრი. ამიტომ ბედნიერი და უშფოთველი სიბერე ჰქონდა. რა თქმა უნდა, დეიდა იტო უყვარდა, მაგრამ ეს ტკბილად მომღიმარე, პასიანსსა და კროსეორდებს გადაყოლილი ქალი ზოგჯერ ისეთი აუტანელი ხდებოდა, რომ ლამის ფანჯრიდან გადამხტარიყო, ოღონდ მისთვის არ ეცქირა. მერე კი თავის თავს უჯავრდებოდა. ასეთი ბოროტი რატომა ხარო და დანაშაული რომ გამოეყიდა, თავს ეკლებოდა დეიდას, უდარდელად რომ დინებდა და პასიანსს შლიდა. ყელში ხელებს წაიჭერდა ხოლმე:

— დანებე მაგ პასიანსს თავი... გეხვეწები!

— რა დაგემართა, ზინა? — ჰკითხავდა მშვიდად დეიდა იტო და თავის საქმეს აგრძელებდა.

დეიდა იტოსთვის ქვეყანაზე არც ერთი შემთხვევა კატასტროფით არ მთავრდებოდა. ყველანი ბედნიერად და სიამბუქბილობით ცხოვრობდნენ და მერე ღრმად მოხუცებულები კედებოდნენ. არც გაჭირვება, არც ავადმყოფობა, არც ჩხუბი არ ამღვრევდა მათ არსებობას. რბილი ვაგონით გაკრიალებული ცხოვრება თავის ლიანდაგზე მისრიალებდა. საღვთურებზე მგზავრები რძეს ან ყავილებს ყიდულობდნენ, ექიმებივით თეთრ ხალათებში გამოიწყობილი გამყი-

დვლები მგზავრებს ბუხებს უბეზობენ.

— აღარ შემიძლია!
მაგრამ თვითონაც ძილის წინ ზოგჯერ ასევე ფიქრობდა:

აი, მატარებელი მიქრის და ქვეყანა ამწვანებულია. ფერდობზე ნახირი ძოვს, მწყემსი ქვაზე ჩამომჯდარა და მატარებელს უყურებს.

— თქვენ საით მიბრძანდებით? — ეკითხება ზინას კბილის ექიმი (დეიდა იტოს ვაგონი სულ კბილის ექიმებითაა სავსე).

— არსად.

— მეც არსად. ოჰ, რა კარგია!
არსად და მაინც შორს, ქვეყნიერების დასასრულს. განა მართლა ბედნიერება არ არის მიდიოდე არსად, არც ბაზარში, არც სკოლაში, არც კინოში, უბრალოდ. მიდიოდე არსად?

დეიდა იტოს მხოლოდ ერთხელ შეეცვალა სახე, ერთხელ შეეპყმუნა შუბლი, დასევდიანდა, ისიც მხოლოდ წამით, თითქმის შეუმჩნევლად. ეს მაშინ მოხდა, როცა ზინას, დაქინებულ თხოვნის მერე, დედის ამბავი მოუყვა.

დეიდა იტო პასიანსს შლიდა და თან ლაპარაკობდა. ზინას მაგიდის კიდეზე ჩამოედო თავი და უსმენდა.

მერე დედა დაინახა საავადმყოფოს დერეფანში, რკინის ბადეაქრულ ფანჯარასთან. გრძელი ნაცრისფერი ხალათი და ქეჩის ფლოსტები ეცვა.

— კი მაგრამ, თმა რატომ გადაპარსეს? — იკითხა ზინამ ჩუმი, გაბზარული ხმით. დეიდა იტომ პასუხი დაუგვიანა, თითქოს იგრძნო, რომ ზინას გულის სიღრმეში არ უნდოდა მისი მოსმენა.

ოთახში ჰაერი დაიხუთა, ჩამოცხა.

„იწვიმებსო“ — უნდოდა ეთქვა ზინას, მაგრამ ამის ნაცვლად ისევ იკითხა:

— რატომ გადაპარსეს თმა? — და ნერწყვი წვალეებით ჩაყალპა.

— მე რა ვიცი...

დეიდა იტო ცოტახანს გაჩუმდა, უცებ გადაიკისკისა და თქვა:

— ესეც ჯვრის ვალეტი!

— ჰა? — ზინამ თავი ასწია.

აჭრელებული ბინდი იღვა ირგვლივ,

როდის როდის გამოყოფა ამ ბინდიდან დეიდა იტოს სახემ.

— ბოლო სამი წელი სულ იქ იყო... ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

ზინამ ისევ დადო თავი მაგიდაზე, თითქოს ასე უფრო ადვილი იყო დედაზე ფიქრი.

— მე... მე არ მკითხულობდა?

დიდხანია აწვალებდა ეს, დიდხანია უნდოდა ეკითხა დეიდა იტოსთვის, მაგრამ ვერ ბედავდა, ეშინოდა. ეს შიში გაურკვეველი იყო, უსახო, უსხეულო. სწორედ ამ შიშს გაევსო ახლა ოთახი, ჰაერი მთლიანად შეესუნთქა და ჰაერთან ერთად ყველაფერი გადაეყლაპა: მაგონა, სკამები, კარადა, წიგნების თაროც. მხოლოდ დეიდა იტოს სახე დაეტოვებინა, ნიღაბით გაქვევებული და მომდმარე... ამ ნიღაბს უნდა აეხსნა ახლა ის, რაც ზინასთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო.

— არა, — უპასუხა დეიდა იტომ.

სიტყვამ რკინის ეკლიან ბურთივით წახია უსასრულო გზა გულამდე. მერე ჯადარჩხული ეკლები გულის კედელს მიბჯინა და, როცა ზინამ ტკივილი იგრძნო, ისევ დაიკვილა:

— არა!

— რატომ? — ჩაეკითხა ზინა თავისივე გულს, მაგრამ იქ უარყოფის, არარაობის, სიბნელის აღმნიშვნელი სიტყვა მოკალათებულყო. ცოცხალ არსებასავით, რომელიც წამდაუწყებ სიხარულით, ზინას ასე ეჩვენებოდა, ერთსადაიმავეს იმეორებდა: არა! არა! არა! ზინამ აქამდე არ იცოდა, ამ რამდენიმე ბგერას ამოდენა სიცარიელის დატევა თუ შეეძლო. ამ სიცარიელეში თვითონაც სამუდამოდ დაიკარგებოდა, სამუდამოდ დააყრუებდა სიტყვის ლითონისებური წკრიალი, თუ არ გაიბრძოლებდა, თუმცა იმასაც გრძნობდა, რომ ეს გაბრძოლება დედის ხსოვნის ბრყვეული შეწყობება იქნებოდა, მეტი არაფერი. ღიმართლე დიდხანია აღარ არსებობდა და ეს პატარა, ყველაფრის უარმყოფელი სიტყვა ახლა ქვასავით იყო ჩასობილი მისი საფლავის თავთან. რა თქმა

უნდა, მისი ამოთხრა და გადაგდება შეუძლებოდა, მაგრამ მის ნაცვლად მხოლოდ პირლია ორმო დარჩებოდა; უპასურობა, რომელსაც ისევ ის ქვა ერჩია.

— ხომ დაგყავდით მასთან?

ესეც გაბრძოლება იყო, ოღონდ შეფარვით, შორიდან მოვლით, ალერსითა და დაყვავებით მიტყუება ღიმართლისა, კაცანათი, რძით სავსე ჯამი, შემწვარი ნიგვზის ლებანი, ხორცის ნაჭერი, მაგრამ მაინც გულუბრყვილოდ დაგებულნი მახე. თუ მახეს აგებ, მოთმინებაც უნდა გქონდეს, უფრო მეტიც — არ უნდა გეცოდებოდეს მსხვერპლი.

— არა, — უპასუხა დეიდა იტომ.

— არა, არა, არა, — გაიმეორა ზინამ.

წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, გამოალო.

ქუჩაში დაზგააკიდებული მღუსავი მიდიოდა, უკან პატარა ბიჭი მისდევდა, ფეხშიშველი. ბიჭს ნაყინი ეჭირა და ლოკავდა. მოპირდაპირე სახლის ეზოში ონკანი მოშვებული დაეტოვებინა ვილაცას, წყალი მოთქრიალებდა.

— ასე ამბობდა, დავისვენეო. იქ კარგად უვლიდნენ, — შემოესმა დეიდა იტოს ხმა.

ზინა ისევ მაგიდასთან ჩამოჯდა, დეიდა იტოს პასიანსში კარტს ადგილი შეუცვალა, ასე აჯობებსო და ძალიან მშვილად ეკითხა:

— მამა რას აკეთებდა?

— მამას უკვე სხვა ცოლი ჰყავდა, — დეიდა იტომ კარტი ისევ ძველ ადგილას დააბრუნა, ზინას ხელზე წაუთათუნა, მაცალეო და გაიმეორა, — ჰო, სხვა ცოლი ჰყავდა.

— მე სად ვიყავი მაშინ? — ზინამ ისევ აიღო კარტი, ცხვირზე მიიღო და მაგიდას დააქვერდა, თითქოს ამ კარტის დასადებად ყველაზე კარგ ადგილს არჩევდა.

— სად უნდა ყოფილიყავი? ჩემთან იყავი, — უთხრა დეიდა იტომ, — დამა-

თამაზ ბილაძე

ათუი

ცადე-მეთქი, რამდენჯერ უნდა გითხრა!

კარგახანს ჩუმად იყვნენ, მერე დეიდა იტომ თქვა:

— მამაშენი კარგი კაცი იყო.

— კარგი თუ იყო, დედა რატომ მიატოვა? — პირში ეცა ზინა.

— არ მოუტოვებია, ყოველ კვირა საავადმყოფოში მიდიოდა და საკმელი მიჰქონდა. თუმცა რა საკმელი უნდოდა საცოდავს, მაწონი ან ხაჭო, ეგ იყო და ეგ. მაგრამ მაგასაც რომ მოგაწვდიან, ესეც საქმეა.

— იცი, მე მახსოვს დედა, — თქვა ზინამ და მაშინვე უფრო ხმამაღლა და სწრაფად გაიმეორა, — მახსოვს დედა, მახსოვს! — თითქოს ეშინოდა, პირზე ხელს ამაფარებენო, — მახსოვს!

— გახსოვს კი არა, — გაიცინა დეიდა იტომ.

ეს კაცი ალბათ საავადმყოფოს დარაჯია. მაღალყელიანი კალოშები და გრძელბეწვიანი ტყაბუჭი აცვია. დაბალ სკამზე ზის, პურსა და ხახვს შეექცევა.

— გინდა? — ეკითხება.

თავს უქნევს.

ვიღაცა უწყრება:

— ააყროლებ იჭაურობას.

ტირის.

— აქ ტირილი არ შეიძლება!

ასფალტზე ჭადრის ხმელი ფოთლები ყრია.

— რამოდენა ფოთლია!

— გადააგდე ახლავე ჭუჭყიანია!

— დედა, დედა სად არის?

წყლის მილი გამსკდარა და წყალი შადრევანივით სცემს, გუბესთან ბედურები სხედან. ვიღაცა სახეზე ხელს უფათურებს, ხელზე თუთუნის მყრალი სუნი ასდის. ფანჯარასთან ქალები დგანან. ერთს კვერცხივით ყვითლად ჩამოლაქული კაბა აცვია. ხმამაღლა იცინიან. დერეფანში ურიკას მოაგორებენ, ზედ ჭუჭყიანი თეფშების მთაა.

— ამას აქ რა უნდა! — ყვირის ვიღაც კაცი. ბოხი, ჩახლენილი ხმით.

გამოდებული კარიდან ქალის სიმღერა

მოისმის. რადიატორზე სველი ჩერებთ აფენია. მის წინ ვიღაც ქალის ხმა მისწერს: სახე ახლოს მოაქვს:

— რამდენი წლისა ხარ?

„დედა, დედა სად არის?“

ქალს წინა კბილები აკლია, თიხის ცარიელ ადგილზე იფარებს და ეუბნება:

— წახე, წახე, ჩიტო გამოფრინდება!

— პატარა ექიმი მობრძანებულა, ანგელოზის ფრთებით, — ამბობს ქალი და მკერდში იხუტებს. ისეთი რბილი და დიდი მკერდი აქვს, თითქოს უბეში ბალიში უდევსო, ფანჯარაზე რკინის ბადეა აკრული, მოჩანს ხის გამხმარი ტოტი, რომელზედაც გაზეთის ნაფლეთი კიდეა.

ზინა სარკეში იხედება და იღიმება.

ფიქრობს:

„ნეტავი ისევ პატარა ვიყო და არაფერი მესმოდეს.“

ეს სახლი მისთვის უცხოა, ვერაფრით ვერ შეეჩვია, თუმცა შეიძლება არც კი დაჭირდეს შეჩვევა.

„ნუთუ მართლა ასეთი უდარდელი ვარ, — ფიქრობს ქალი, — ნუთუ მართლა მხოლოდ ჩემი ბრალია, რაც მოხდა.“

რადაც გამოუსწორებელი და საბედისწერო რომ მოხდა, ამას მთელი არსებით გრძნობს, ოღონდ ეს დიდხნის წინ იყო, მაგრამ როდის? უცებ ემპრიონის ბრმა სიმყუდროვე ეუფლება, ყრუ სიმშვიდე, გაუტკვევლობის ვარდისფერ ბურუსი და ეს განცდა ნელ-ნელა უკავშირდება დედა იტოს ოროთახიან, პაწაწინა ბინას, საიდანაც მოჩანს მოპირდაპირე სახლის აგურის კედელი და მენტი არაფერი. და თუმცა ის ბინაც მისთვის უცხოა და ამას მხოლოდ ახლა ხვდება, მაინც ის არის მისი ბუდე, თავშესაფარი, მართალია, აუტანელია დეიდა იტოს დატკბილული სკლეროზის გამო, მაგრამ მაინც უფრო მახლობელი, ვიდრე ეს სხვისი სახლი. „ჰო, სხვისი, სხვისი, სხვისი!“ რომლის კედლებიც იატაკიცა და ქვრივ გაყდენთილია სხვა ქალის, თეიმურაზის დედის, გაცრუებული იმედებით, როგორც წვიმაში დაყრილი მორები ნოტიოთი.



აქ ყველა ნივთი ხესავით არის დარ-
ჯული თავის ადგილას, ვერ შეეხები,
ვერ შეეცვლი, ვერ გადაიტან სხვაგან,
თუ არ მოკრი, არ ამოთხრი, ძირფესვი-
ანად არ ამოძირკვევ. ამისთვის კი მარ-
ტო შრომა არ არის საკმარისი, ან უნდა
გიყვარდეს ანდა გძულდეს, ისეთივე
დაუნდობლობით უნდა იკაფავდე სივრ-
ცეს შენს გარშემო, როგორც ცული,
ტრაქტორი ან ცეცხლი.

ამ სახლში სხვა ქალის მიერ ერთხელ
და სამუდამოდ დამყარებული წესრიგი
სუფევს. თუ გინდა, რომ გაძლო, უნდა
შეეჩვიო, მოითმინო. შეეჩვევა კიდევ,
მოითმენს კიდევ, ოღონდ სიმარტოვის
ატანა აღარ შეუძლია. ლომმა ძაღლი არ
დაგლიჯა, გალაში როცა შეუგდეს, სი-
მარტოვეს ისევ ძაღლის გვერდით ყოფ-
ნა არჩია.

კარადები, ჩემოდნები, ყუთები, უჯ-
რები, გატენილია სხვა ქალის ცხოვრე-
შით, საცვლებით, თეთრეულით, ტანსა-
საცმლით, რომლის ჯიბეებშიაც ნაფთა-
ლინის მარცვლები ყრია, გაქვავებული,
აქოთებული ცრემლის მსხვილი წვეთე-
ზივით. ეს სინანულის, წინაგრძობის
ცრემლია, ნაადრევად დაღვრილი, ჯერ
კიდევ მაშინ, როცა იატაკზე გაშლილ სა-
ბანს კერავდა, მურაბას ხარშავდა, ქი-
ლაში მწნილს დებდა, ანდა სარეცხით
ვატენილ ტაშტს დასცქეროდა, უკვე
სენისა თუ ეჭვის ჭიკამაჯდარი.

ზინას გული აუჩუყდა, საკვირველია,
ყველაზე ახლობელი მისთვის ახლა სწო-
რედ ის გარდაცვლილი ქალი იყო, რო-
მელიც არასოდეს ენახა.

— ნუთუ სულ ასე უნდა იყოს, ნუ-
თუ არაფერი მოხდება...

ზინა ჩაის ასხამს, დეიდა იტო მაგი-
დასთან ზის და იღიმება. ზინა ოცი წლი-
საა, კიდევ ცოტაც და უნივერსიტეტს
დამთავრებს. უყვარს თავის მომავალზე
ფიქრი, ხედავს კიდევ, როგორ დააბი-
ჯებს მერხებს შორის, კლასში, გრძე-
ლი, ყელდახურული კაბა აცვია, თმა კე-
ფაზე აქვს დაგრაგნილი. შიშით აკვირ-
დება მის არსებაში მომხდარ ცვლილე-
ბებს, ცდილობს არავინ შეამჩნიოს. გო-

ნია, ათასი ცნობისმოყვარე თვალყურს
ფარვით უმზერს, დღედაღამ გსწრუ-
ყვეტლივ ზომავს მის ყოველ ნაბიჯს.
ფიქრობს, საცოდავი ვარო და ეს
გრძნობა რომ მოიშოროს, თავის თავს
დასცინის და არა მარტო თავის თავს,
მეგობრებსაც, რომლებიც ჯერ კიდევ
ბავშვურ, გამოუჩეყავ გრძნობებს ისე
ეთამაშებიან, როგორც კალთაში განა-
ბულ კატის კნუტს, ხან ყურს აუწევენ,
ხან კუდში წაავლებენ ხელს და ჯერ
მხოლოდ გუმანით გრძნობენ, რომ ამ
დამყოლი კატის კნუტის რბილ თათებ-
ში ბასრი ბრჭყალებია შემალული და
ჯერ ისიც არ იციან, რომ იმიტომ
ეთამაშებიან და აწვალებენ, რათა ამ
ბრჭყალების სიმწარე განიცადონ.

— რა უნდა მოხდეს მაინც?

— სულერთია... რა გაცინებს, სასა-
ცილოა?

აქი მოხდა კიდევ, ისეთი რამ დაემარ-
თა, რასაც ვერაფრით ვერ წარმოიდგე-
ნდა. ზის ახლა თბილისიდან შორს,
სხვის სახლში გამოკეტილი და ელოდე-
ბა, როდის დაუბრუნდება ქმარი, რო-
მელსაც მისი ასრებობა ალბათ არც კი
ახსოვს.

«ერთი ბეწო სიამაყე არ მქონიაო»,
— ფიქრობს.

სიბრაზე ყელში მოაწვება ხოლმე და
ახრჩობს. თავისი ბრაღია ყველაფერი.
განა ბატების მწყემსი გოგოსავით
ბრიყვულად არ დანებდა თეიმურაზს,
გაცნობის პირველსავე დღეს, ამხანაგ-
თან გამართული წვეულების მერე, სა-
დაც ფანჯარაზე შემხტარი თეიმურაზი
(უი, გადავარდება!) გალაკტიონის ლექ-
სებს კითხულობდა.

— მე თქვენ დიდიხანია მომწონდი-
თო, — უთხრა თეიმურაზმა მაშინ.

— კი მაგრამ, რომ არ მიცნობდით?

— შორიდან, შორიდან მომწონდით!

იცოდა კიდევ ეს, ახალი ამბავი არ
იყო, ამხანაგებმა უთხრეს, ამ ბიჭს უყ-
ვარხარო.

შინ რომ დაბრუნდა, კარი დეიდა

თამაზ ბილაძე
აუზი



იტომ გაუღო და, რა თქმა უნდა, ვერ მიხვდა, ვერაფერი შეატყო. ზინას კი ეჩნია ეცემა, თმით ეთრია, ამიტომ მშვიდად, დაწვრილებით მოუყვა ყველაფერი:

— ჩემთან ამოდითო, მითხრა, ნახეთ, როგორ ცხოვრობს მარტოხელა მსახიობიო. ავიღეთ-მეთქი. სხვა გოგოები კი იბრანქებიან და არ ამოდინანო. რატომ-მეთქი. — იმიტომ რომ ქაჯები არიანო. მერე ბნელ ოთახში ვისხედით, ნათურა გადამწვარიყო. — ასე სჯობსო.

— ჰო-მეთქი.
— მერე, მერე? — ჩაეკითხა დეიდა იტო.

— რა მერე? მითხრა, თავს მოვიკლავო.

— რატომ?
— რა ვიცი, არ მიკითხავს. დარწმუნებული ვიყავი, ნამდვილად მოიკლავდა თავს.

— უყურე შენ!
— მერე მითხრა, ლამაზი ხელები გაქვსო.

— თვალებზე არაფერი უთქვამს? შენ თვალები გაქვს ლამაზი.

— ღმერთო ჩემო!
— მერე?

— მერე არაფერი.

— შენ ლამაზი თვალები გაქვს, — თქვა ღმილით დეიდა იტომ.

კარგად გათენებული არ იყო, რომ თეიმურაზმა მოაკითხა. კარი იმასაც დეიდა იტომ გაუღო.

— ვინ ხარო, — ჰკითხა.

— ზინა როგორ არისო, — დაიკნავლა თეიმურაზმა.

დეიდა იტომ გაიცინა:

— როგორ უნდა იყოს, კარგად არისო.

ზინას მათი ხმა რომ შემოესმა, წამოხტა და იმ ოთახში გამოვიდა, დეიდას კისერზე შემოეხვია.

თეიმურაზი იდგა და რატომღაც გაოცებული შეჰყურებდა, თითქოს არ ელოდა, რომ ცოცხალი დახვდებოდა. თავიდან ფეხებამდე გაწუწულს — იმ ღამეს დიდი წვიმა მოვიდა — თმა

შუბლზე მიწებებოდა. ხელში აკივნიდა ბი ეჭირა, რომელიღაც ბაღში შირდეს ვიანად მოგლეჯილი.

„საცოდავიო“ — გაიფიქრა ზინამ და მაშინვე ისიც იგრძნო, რომ თეიმურაზთან შედარებით გაცილებით უფროსი და ჰკვიანი იყო.

— შემოდი, თეიმურაზ, დაჯექი, — უთხრა ბიქს.

სრულიად თავისუფლად შეეძლო ელაპარაკა მასთან:

— როგორ გაწუწულხარ, შე საცოდავო.

დეიდა იტოს ხელი გაუშვა, მაგრამსთან მიდგმული სკამი გამოსწია და თეიმურაზს გაუმერა:

— დაჯექი! — თითქოს უბრძანა კიდევ.

თეიმურაზი სკამის კიდევ ჩამოჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო, ყვავილები ისევ ხელში ეჭირა და იღიმებოდა.

— ეგ ყვავილები აქ მომეცი, — უთხრა ზინამ.

— რა ქვია თუ იცი ამ ყვავილებს? — ჰკითხა ბიქსმა.

ზინამ ყვავილებს მიწიანი ფესვები შეაქრა და სურაში ჩადო.

— რა ვიცი, — თქვა ჩუმად.

— თეიმურაზი, — ბიქსმა სველ თმაზე ხელი გადაისვა.

— ზინა, ხალათი მაინც შემოიცვი, — დეიდა იტო ტახტზე მოკალათებულიყო და თეიმურაზს ღმილით, თვალმოუშორებლად შეჰყურებდა.

— უი! — ზინა ღამის პერანგის ამარა იყო, მაგრამ ხალათი მაინც არ შემოუცვამს, თეიმურაზთან მივიდა, მხარზე ხელი დაადო და ჰკითხა:

— ზომ არ გშია?

— შენც თუ შექვამ, კი, — უპასუხა მკვირცხლად ბიქსმა.

— ახლავე ჩაის დაგაღევინებ.

ჩაი ცხელი იყო და თეიმურაზმა ღამბაქზე დაისხა, ღამბაქი ორივე ხელით ეჭირა, ჩაის სულს უბერავდა და ისევ სვამდა.

— გინდა მოგახვრებიანო? — უთხრა ზინას.



— პური მიატანე, — გაიცინა ზინამ.
 თეიმურაზს ქუჭყიანი ხელები ჰქონდა, სახეც ტალახით მოთხუპნოდა. ზინამ წარმოიდგინა, როგორ გლეჯდა იგი ყვავილებს. შეეცოდა. რატომღაც ეგონა, რომ თეიმურაზი უმწეო იყო და მას უნდა მოეველო, ეპატრონა, თუმცა ბიჭი ოთხი წლით იყო მასზე უფროსი.
 ისეთი სიმშვიდე დაეუფლა, როგორიც აქამდე არასოდეს უგრძენია. სკამი გამოსწია და თვითონაც მაგიდასთან დაჯდა, ნიკაბი ხელებზე დააყრდნო და ბიჭს ქვემოდან ამოხედა:
 — ახლა რას აპირებ? — ჰკითხა ცოტახნის მერე დაყვავებით.
 ბიჭს ჩაი სასულეში გადაცდა და ხველა აუფარდა. ზინა მიხვდა, რომ მისი შეკითხვა არასწორად გაიგეს, მას კი იმ საუბრის გაგრძელება უნდოდა, თეიმურაზის ოთახში რომ დაიწყეს.
 გაეცინა:
 — ნათლიას შეხედე!
 ბიჭმა ზემოთ აიხედა, როგორც იქნა, ჩაუწყნარდა ხველა, ჯიბიდან ქუჭყიანი ცხვირსახოცი ამოიღო და ტუჩები მოიწმინდა:
 — ტელესტუდიაში მინდა დავიწყო მუშაობა.
 — დიქტორად?
 — ჰო, მამას უნდოდა ექიმი ვყოფილიყავი.
 — ექიმობა კარგია.
 — მე კი არ მინდა...
 — ცხვირი მოიწმინდე. მერე?
 — ახლა წავალ, — თქვა ბიჭმა.
 — წადი, წადი, წვიმამაც გადაიღო.
 — ჰო, — ბიჭი წამოდგა, — წავალ. ჩაისთვის კი დიდი მადლობა.
 კართან შეჩერდა, მოტრიალდა და თქვა:
 — ნახვამდის!
 კარი ვერაფრით ვერ გააღო.
 — დაიცა, მე გავაღებ, — დაუძახა ზინამ.
 დერეფანში ბნელოდა.
 — ზინა! — ბიჭმა ხელი დაუქირა.
 — რა გინდა?
 — ცოლად უნდა შეგირთო.

— ოპო?
 — ასეა. — ოთახიდან გამოვიდნენ თეიმურაზი და ზინა, თეიმურაზს სითამამე დაუბრუნდა.
 — რატომ?
 — მაგრამ დღევანდელ დღეს მაინც არასოდეს გაპატიებ.
 — შენ აფრენ, ხომ იცი!
 უცებ თეიმურაზმა სილა შემოჰკრა, ნელა, შეიძლება მოფერებაც კი უნდოდა, მაგრამ ვერ მოზომა.
 მერე როცა თეიმურაზი უკვე დიდხნის წასული იყო, როცა ლოჯინში იწვა და ჰერს შესცქეროდა, იგრძნო, რომ ბედნიერი იყო. ღიმილით იხსენებდა თეიმურაზის თითქმის ტირილით ნათქვამ სიტყვებს: იცოდე, ამას არასოდეს გაპატიებ.
 — თეიმურაზ, თეიმურაზ...
 — არც ამ ჩაის...
 — თემურ, თემიკო, თემო...
 — არც იმას, ცხვირი მოიწმინდეო, რომ მითხარი...
 — თეიმურაზ, თემო, თემიკო, მეც შენ უკვე დიდხანია მიყვარხარ, იმ დღიდან, როცა გოგობმა პირველად დამანახეს შენი თავი რუსთაველის პრესპექტზე, ხეს მიყუდებული გოგოს ელპარაკებოდი.
 — ლამაზი ბიჭია, არა? — მკითხეს.
 — უზრდელი ყოფილა, როგორ ელპარაკება გოგოს...
 და უკვე მიყვარდი, მეჩვენებოდა, რომ მთელი გზა სანამ შინამდე მივიდოდი, სულ მიყურებდი.
 თურმე როგორი ბავშვი ყოფილა, გავიფიქრე, როცა პირველად დამელაპარაკე. ხელი რომ მომკიდე, მეგონა დენმა დამარტყა-მეთქი. გოგოსთან ლაპარაკი აშკარად არ იცოდა, თუმცა რამდენიმე წუთის მერე მივხვდი, რომ შენ უფრო მეტი რამ იცოდი გოგოს მოსაწადირებლად, რაც მთავარია, თავხედი იყავი.
 — ღმერთო ჩემო, როგორი თავხედი, ღმერთო!

თამაზ ზილასძე
 აუზი

და როცა ვცეკვავდით, მეგონა კაბა ტანზე მეწვოდა და შენ ჩემს ყურთან რაღაცას ჩურჩულებდი, არ მესმოდა, რას ამბობდი, ოღონდ მინდოდა კი, რომ დიდხანს, დიდხანს გეჩურჩულა ასე და ეს ცეკვა არასოდეს დამთავრებულყო და მერე სუფრაზე სულ მე მიყურებდი და სხვებისგან მალულად ჩემს სადღეგრძელოს სვამდი. როგორი სულელია, მეცინებოდა გულში და რადგან მეცინებოდა, უკვე შენი ვიყავი. და მერე, ქუჩაში, როცა ხელი მომხვია და მაკოცე, გავბრაზდი, როგორ მიბედავთ-მეთქი და შენ ისეთი შემკრთალი და გაკვირვებული თვალებით შემომხედე, კინაღამ ხმაშლია გამეცინა. ეს იყო პირველი კოცნა, რომელსაც დიდხანია ველოდი და გულის სიღრმეში მეშინოდა კიდევ მისი. და მერე როცა შენს ოთახში სიბნელეში ტახტზე ვიწექით, ხელზე მაკოცე და მითხარი, როგორი ბავშვი ყოფილხარო. მეც ამის თქმა მინდოდა-მეთქი შენთვის და მერე ტახტზე ვისხედით და ვითომ ფეხებს ვერ ვუწვდენდით იატაკს და უცებ ტირილი ამივარდა, სწორედ იმიტომ რომ ბავშვი აღარ ვიყავი.

„არაფერია არაფერია არაფერია მთავარია მთავარია მთავარია დამშვიდდე დამშვიდდე დამშვიდდე შეეჩვევი შეეჩვევი...“

— დედა, — ესმის ქალს, — დედიკო!

ზინამ მოიხედა და კართან ატუზული ბიჭი დაინახა. ბიჭს თითი ჩაედო პირში და უყურებდა. ზინა ცოტახანს თითქოს იხსენებდა, ვინ უნდა ყოფილიყო ეს ბავშვი, მერე ალერსით ჰკითხა:

- რა იყო, გენაცვალე?
- იატაკზე რატომ ზიხარ?
- ზინა წამოდგა:
- ნემსს ვეძებ...

კინაღამ მივარდა, კინაღამ მოეხვია ვიწლს, კინაღამ შეჰკვეთინა: წავიდეთ, წავიდეთ, წავიდეთ აქედან, დათუნა, მეც ხომ ცოდო ვარ, შვილო, როცა გაიზრდები და ყველაფერს მიხვდები, უკვე

გვიან იქნება. წავიდეთ, აქედან, წავიდეთ!

ამის ნაცვლად უთხრა:

— პირიდან თითი გამოიღე!

და აი ამ ბიჭუნასთანაც, ერთადერთ ყველაზე უფრო ძვირფას არსებასთანაც, რომელსაც ვერ ამ ქვეყანაზე არაფერი გაეგებოდა, უნდა ეთამაშა, სხვანიარად უნდა მოეჩვენებინა თავი. ეს არ იყო მაინცდამაინც ძნელი, მაგრამ იყო კი საჭირო, ასე რომ მოქცეულიყო?

დათომ პირიდან თითი გამოიღო, ახლოს მივიდა და ჰკითხა:

- ქუჩაში გამიშვებ?
- ქუჩაში რა გინდა?
- ბეკო მელოდება, ლილიპუტების სანახავად უნდა წამიყვანოს.

— ვინ არის ეს ბეკო, ბოლოსდაბოლოს, რა შენი ტოლია ბეკო! — იყვირა, მაგრამ მაშინვე, როგორც კი შეატყო, ბავშვი შეერთაო, ჩაიჩოქა, ხელი მოხვია და წყნარად უთხრა, — რა შენი ამხანაგია, დედიკო, ბეკო? „მთავარია მთავარია მთავარია დამშვიდდე...“

— ბეკო ჩემი მეგობარია, — უთხრა დათომ, — მეც ბეკოსავით გრძელი თმა უნდა გავიზარდო, ბეკო კარგად ცურავს და საყვირზე უკრავს, მეც რომ გავიზრდები, საყვირზე დავუკრავ...

ქალი ამ დროს, არა თვითონ კი არა, მისი ორეული, მძიმე ჩემოდნით ხელში თოვლში მიაბიჯებს. რატომღაც ყოველთვის თოვლში გარბის ხოლმე. რა უდევს ასეთი ჩემოდანში, რატომ არის ასე მძიმე? ქვამარილი... წისქვილის ქვა... საფლავის ლოდი... წავიდეთ აქედან, დათუნა... სადგური შორსაა, როგორც ყველა სადგური, როცა მძიმე ტვირთს მიათრევ... მეც ხომ ცოდო ვარ, შვილო... და თოვლი აფენია მიწაზე უსაზღვროდ... და ახსენდება როგორ ალაგებს ჩემოდანს ღამით, სახლში შეპარული ქურდით, ფაცფაცით, დაფეთებული, როგორ ყრის შიგ ჩვრებს, ჩვრებს, ჩვრებს და იმაზე მაინც ფიქრობს, არაფერი დამავიწყდესო. სწორედ ამის გამო ეზოზლება თავი, რადგან სხვა ამაზე უფრო დიდ დანაშაულს იმ



დანაშაულთა შორის, რომლებიც, დარწმუნებულია, რომ ჩაიდინა, ვერ ხედავს... გვიან იქნება, როცა ყველაფერს მიხვდები... მერე სიბნელეში გარბის და თოვლი რკინიგზაზე დაყრილ ხვინქსავეთ ხრაშუნობს...

— ბეკო კარგია, — შემოესმა ბავშვის ხმა.

— ლაწირაკია შენი ბეკო!
— მე შენ არ მიყვარხარ, — უთხრა ბავშვმა.

— დათუნა? — ზინას რაღაცამ მწარედ უჩხვლიტა გულში, როგორც დიდხნის წინათ, როცა სკოლის ეზოში ბავშვებმა თოვლში ჩაფლეს და კინალამო მოკვდა.

— იმიტომ რომ ბრაზიანი ხარ. აი, ბაბუს ვეტყვი და გამიშვებს.

რომ შეიძლებოდეს, ერთი წუთით თვალი დახუჭოს, მერე გაახილოს და ყველაფერი ისევ ძველებურად იყოს, როგორც ათი წლის წინ... და დეიდა იტო ცოცხალი იყოს.

დეიდა იტოს ფეხები დაუსივდა, ლოგინიდან ველარ დგებოდა. ის ძველი ღიმილი კი მაინც შერჩა, შერჩა კი არა, ახლა ვაშლივით დამჟკნარ მთელ სახეს დაეპატრონა, ნაოჭებში გაჟონა, გაიწეწლა, თმის ძირებში შეცოცდა და გაქვევდა. ღიმილი გამონაყარივით მოუჩანდა ხელებზე, ფეხებსა და მხრებზე, თითქოს მთელი მისი სხეული ამ ღიმილით იყო გაპიპინებული, რომელიც ახლა, უმწეობის ეპოს, გარეთ გამოდიოდა, თითქოს ეს იყო აქამდე უცნობი, დაფარული სენი, ახლა რომ ემძლავრა და დეიდა იტოს კლავდა.

ავადმყოფი იწვა და მთელი დღე განუწყვეტლივ ღიღინებდა. მისი ალერსით სავსე თვალები ზინას მისჩერებოდა, თითქოს ელოდა, ზინა ამ ღიღინის აზრს ჩასწვდებო. ზინას კი ღიღინი ქაუზზე შლიდა, ფუტკრის ზუზუნისვით ესმოდა და ზოგჯერ მოთმინებადაკარგული, უყვიროდა:

— გაჩუმდი, რა გამღერებს!
დეიდა იტომ მხოლოდ ერთხელ შეწყვიტა ღიღინი,

ყვიტა ღიღინი, თვალი დახუჭა და ძლივძლივობით ამოიჩინა ფიფა:

— დედაშენივით ქვის გული გაქვს: ამ სიტყვამ სული აუფორიაქა ზინას. ბოლმა ყელში მოაწვა: უმადური, უმადური, უმადური, — იმეორებდა თავისთვის, — გადაყოლილი ვარ, ეს კი...
— რა უნდა დედაჩემთან, რა?

ნეტავი ერთი წუთით მაინც გაცოცხლებულიყო დედა, თუნდაც მართლა უგულო ყოფილიყო, თავს კალთაში ჩაუღებდა და იტირებდა, მეტი მისგან არაფერი უნდოდა. დედის მუხლები, ქვის მუხლები...

ქვის გული...
ნაცრისფერხალათიანი, თავგადაპარსული ქალი...

ქვის თვალები...
— ვინ არის ეს ბავშვი? — კითხულობს მაღალი, გამხდარი ქალი.

— ეს თქვენი შვილია, ქალბატონო! ქალი იღიმება:

— რა გქვია, პატარავ?

ქვის ღიმილი...
„არაფერია... არაფერია.. არაფერია“
კი მაგრამ, ბეკოს რა მოუხერხოს, ბეკოს?

ეს უკვე აშკარად ბედის დაცინვა! როცა იგრძნო, რომ ბიჭს უყვარდა, ჯერ სასაცილოდ არ ეყო, მერე კი საშინლად გაბრაზდა, როგორ მიბედავს, როგორ მიბედავს, ლაწირაკი. თუმცა რატომაც არა, აქ ყველამ შეიძლება რომ დამცინოს, აბუჩად ამიგდოს, მიწასთან გამასწოროს, მე ხომ თავმოყვარეობა არა მაქვს!

ყველაზე აუტანელი მაინც ბეკოს თვალები იყო: ორი პირდაღებული, უძირო ჭა!

— ნუ მიყურებთ ასე! — უნდოდა დაეყვირა ზოგჯერ ქუჩაში, რადგან გამუდმებით ბეკოს მზერას გრძნობდა.

ჯერ იფიქრა, იმის მშობლებთან მივალ და ვეტყვიო, მაგრამ შეეშინდა, კიდევ უფრო სასაცილო გავხდებო.

თამაზ ზილაძე
აუზი

ყველაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ფიქრში ბეკო მის ოთახში ხშირად შემოდის. წამით გაყუჩებული ნებისყოფა, როგორც დაფხრეწილი ჯავშანა, ლოგინთან, იატაკზე გდია. უმწეოა და უმწეობაშია სწორედ რაღაც ენით აუწერელი სიტყვობა, რომელსაც ვერაფერს უხერხებს, იმიტომ რომ დათმობა უძნელდება. ეს სიტყვობა კიდევ იმით არის გამძაფრებული, რომ დარწმუნებულია ბეკოს თავდავიწყებამდე ვუყვარვარო (აი, ხომ ხედავთ, თურმე შეიძლება ჩემი შეყვარება!) და ამიტომაცაა სწორედ, რომ ბეკოს აჩრდილი სულმუდამ თან სდევს და, სერიოზული საქმით გართულს, მოსვენებას არ აძლევს. ეს კი მის პატივმოყვარეობას ტკბილი ზორით კვებავს. ამავე დროს იტანჯება კიდევც. არა, არა, სისულელეა, — ამბობს და საწოლში თავზე საბანწახურული თითქოს ვიღაცას ემალება, უძალიანდება და მეორე დღით საკუთარი თავი ეზიზღება წამიერი სისუსტის გამო და ბუნებრივი ღტოლვა და ვნება, რომელსაც არასასურველი ბავშვივით ძუძუ არ აკამებს და შიმშილით მოკლეს, უკვალოდ ქრება. ახლა მას შეუძლია კარგახანს მშვიდად იყოს, არ გააცდინოს გაკვეთილები თავის ტკივილის გამო, გავიდეს ქალაქში, დაელაპარაკოს ნაცნობებს: როგორ ბრძანდებით? კარგად, ძალიან კარგად. მაგრამ ტყუილი, ბუმერანგით. უკანვე უბრუნდება და ცხვირპირს უსისხლიანებს, მარტო მან იცის ამ ტყუილის ფასი. მერე ისევ მოულოდნელად, შუალამისას რაღაც ისევ გააღვიძებს და, ღმერთო, გაოფლილი, გაწამებული, კვამლივით დაგრეხილი მისი სხეული თითქოს ცდილობს პაწაწინა ხვრელში ან ქუქურუტანაში გაქვრეს, გააღწიოს აქაურობას, ამ დახუთულ ოთახს, რათა ზღვასთან, ზღვასთან, იმ უსინდისოდ გაშლილ და თავისუფალ სივრცესთან, მის მხურვალე მუხლებს შორის მოქცეულმა, მის გავარვარებულ მკერდზე მიწეზებულმა, იზოვოს წუთიერი შვება.

— მე შენ არ მიყვარხარ, — ბავშვმა.
— დათუნა? — ზინას რალაცამ მწარედ უჩხვლიტა გულში, როგორც დიდხინით წინათ, მაშინ როცა სკოლის ეზოში ბავშვებმა თოვლში ჩაფლეს და კინაღამ მოკვდა.
— იმიტომ რომ ბრაზიანი ხარ. აი, ბაბუს ვეტყვი და გამიშვებს.
რომ შეიძლებოდა, ერთი წუთით თვალი დახუტოს, გაახილოს და ყველაფერი ისევ ძველებურად იყოს, როგორც ათი წლის წინ...
— მე ხომ დედიკო ვარ შენი, მეც უნდა დამიჯერო.
„წავიდეთ, დათუნა, აქედან!“
— ბაბუ ყოველთვის მიშვებს.
— მე არ გიშვებ, არ გიშვებ, არ გიშვებ! — იყვირა ქალმა, — დაჯექი მანდ და ჩმა აღარ გამავაგონო!
ზინა სამზარეულოში გავიდა, კუქუყიანი თევზები ბაკანში ჩააწყო. მაგიდიდან პური, ყველი და კარაქი აიღო და შეინახა. მაგიდას ტილო გადაუსვა. ვაზქურაზე ქვებით წყალი შედგა. სკამზე ჩამოჯდა, წინსაფრის ჯიბიდან სივარეტი ამოიღო და მოუკიდა...
დეიდა იტოს რომ ასაფლავებდნენ, თეიმურაზი საფლავს ძლივს მოაშორეს, მთერალი იყო და ხმამაღლა ტიროდა. ზინა ორსულად იყო, საფლავის კიდესთან იდგა და დამკვრელებს შესცქეროდა. ყველაზე მეტად ვიოლინოზე დამკვრელი იქცევდა მის ყურადღებას, რომელსაც უნიჭო აქტიორის გაწამებული სახე ჰქონდა. ცისფერი პლაშჩი ეცვა, ჯიბეები გამოზურთვოდა, რადგან ვაშლებით გაეტენა. სწორედ ამ კაცის შემხედვარე იფიქრებდით, სიკვდილი ნამდვილად საშინელება რომ იყო, თუმცა თვითონ თანაგრძნობის მეტს არაფერს იწვევდა და შეიძლება სწორედ ამიტომაც გინდოდა მივარდნოდი, ხელიდან ვიოლინო გამოგველიჯა, წაგეყვანა, სველი ტანსაცმელი გაგეხადა, ცხელი წყლით თავი დაგებანინებია, სუფთა, გახამებული საცვლები ჩაგეცმია და ასევე სუფთა, გახამებულ ლოგინში ჩა-

გეწვინა, რომ დაეძინა ერთი კვირით, ერთი თვით, ერთი წლით...

„უნდა გამეშვა დათუნა, ითამაშებდა, გაერთობოდა, ოთახის ძალღვივით სულ შინ ზის. ცოდნა“.

გახსენდა მათთან ამას წინათ სტუმრად მყოფი ცნობილი მწერლის სიტყვები:

— ცხოველებს შორის ყველაზე აუტანელი ოთახის ძაღლებია. ისინი განებივრებულ ბავშვებივით უზნეონი და თავხედები არიან. მათ, თავიანთი მდგომარეობისა და პირობების გამო, შეძენილი აქვთ ადამიანის ყველაზე უფრო ცუდი თვისებები: უსაქმურობა, სიზარმაცე, პატივმოყვარეობა, ვერაგობა და რაც მთავარია — თანამოძმეების სიძულვილი...

შეილს დაუძახა:

— დათუნა!

ბავშვმა ხმა არ გასცა.

— დათო!

ბავშვი სამზარეულოში შემოვიდა:

— რა გინდა?

— წადი, დათუნა, ოღონდ მალე დაბრუნდი, იცოდეს.

— აღარ მინდა წასვლა, — უთხრა ბავშვმა.

— რატომ?

— ბეკო უკვე წავიდა..

7

წყნარი და მშვიდი დღეა. ნიავეც კი არ იძვრის, მხოლოდ ქრიჰინა ფხაჰნის უზილავი მინის კედელს.

ალექსანდრე ვაშლის ხის ძირას ზის და სურას აკოწიწებს. ცოტადა დარჩა, ზვალ უკვე ყურსაც შეაბამს და სურაც ახალივით იქნება, ვითომ არც გატეხილიყოს.

მუშაობისგან დაღლილი ნუცა კიბის საფეხურზე ჩამომჯდარა და გაზეთს ათვალთვობს. „წავალ, ნათელა თორღუას ფეხებში ჩავუვარდები და ვთხოვ, იქნებ როგორმე ამოვადებინოს ჩემს ბეკოს ეს სულელური აზრი თავიდან. ნათელას ხათრი აქვს, ასეთი რძალი კი

მინდოდა, მაგრამ ოთხი შვილით როგორ მოვიყვანო სახლში“.

ბეკო ავტოსადგურის ტელეფონის ჯისურში დგას, ორკაპიკიანებით ჯიბე-გამოტენილი და ზინას ურეკავს. აგერ უკვე ნახევარი საათია, რაც რეკავს.

— გისმენთ! გისმენთ! — ყვირის გამწარებული ქალი. ყურმილს ვერ გადადებს, რადგან ნიკოც ხშირად რეკავს შინ, დათუნას ამბის გასაგებად.

დათუნას აივანზე სძინავს, ძლივს ძლივობით ჩაიძინა. ზინა მფრინავი თეფშების ამბავს უყვებოდა.

— შეიძლება მართლა ჩამოვიდნენ?

— კი, შეიძლება.

— მართლა ლურჯები არიან მარსის მცხოვრებლები?

— ვინ გითხრა?

— ბეკომ მითხრა.

ტელეფონი რეკავს.

— ო, ბეკო, ბეკო!

უკვე იქამდეა მისული, რომ სიამოვნებით მოკლავდა ამ ჩერჩეტს, ამ თავხედს, ამ უტყინოს.

— არ უნდა იცოდეს უფროს-უმცროსი? უზრდელი!

ბეკო კი ტელეფონის ჯისურში დგას, ოფლი წურწურით ჩამოსდის და ფიქრობს: „წავალ, ნათელას ვთხოვ, იქნებ მიმეგზავნოს ზინასთან, უთხრას რომ მიყვარს, მეტი არაფერი. ნათელა კარგი გოგოა, ნათელა თუ მივა, კარგად იქნება საქმე.“ ბეკოს მეტიც არაფერი უნდა, ოღონდ ზინამ იცოდეს, რომ უყვარს. ამაზე მეტს ფიქრშიც კი ვერ ბედავს, თუმცა განა ეს ცოტაა? ენით აუწერელ ნეტარებას ჰგვრის იმ წუთის წარმოდგენა, როცა ქალი მისი სიყვარულის ამბავს გაიგებს. გაუკვირდება კი გაუკვირდეს!

ბეკო ორკაპიკიანს ავტომატის ჭრილში აგდებს. ტელეფონის ოთხნიშნა ნომერი მისთვის როგორც ქალის სახელი ისე ხშიანობს: ზ-ი-ნ-ა! უსასრულო სივრცეა მოქცეული ამ სახელში და სივრცე სპეტაკი თოვლითაა დაფარული.

თამაზ ვილაძე

აუზი



ხედავს კიდეც, როგორ ბზინავს თოვლი ლურჯად. ერთი, პაწაწინა შავი ლაქაც კი არ ეტყობა. იღვას ასე და უყუროს ამ თოვლს, მეტს ხომ არც კი ნატრობს? მისი სიყვარული კი არავის ჭირდება, უპირველეს ყოვლისა, იმ ქალს, რომელიც... რომელიც... ბეკომ ნერწყვი ჩაყლაპა... რომელიც მონაა! ეს კი ახალია ბეკოსთვის, ასე არასოდეს უფიქრია.

— რატომ არის ზინა მონა?

შეიძლება იმიტომ რომ მიტოვებულია და ის კი არ იმჩნევს, თუმცა მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობს. მთელ ქალაქს პირზე ხელს ხომ ვერ დააფარებს? ნეტავ შეიძლებოდა, ნეტავ შეიძლებოდა ყველას გაჩუმება. ასე ამბობენ, რას უზის, რატომ არ მიდის აქედანო. იმდენს იზამენ, მართლაც აღგება და ერთ მშვენიერ დღეს წავა.

არა, ოღონდ ნუ წავა, ოღონდ ნუ წავა...

— გისმენთ! — ამბობს ქალი, — გისმენთ!

ვითომ მანქანის საჭესთან ვზივარ (ცხადში მანქანის კი არა, ველოსიპედის ტარება არ ვიცი) მანქანა სწორ, თვალისმომკრელად განათებულ გზაზე მიქრის, ირგვლივ კი უცუნეთი გამეფებულია. თუმცა გზის მეტს ვერაფერს ვხედავ, დარწმუნებული ვარ, უცხო ქვეყანაში ვიმყოფები, უფრო მეტიც—უცხო პლანეტაზე, რადგან ჩვენთან, მიწაზე, ასეთი ბნელი ღამე არ იცის, არც ასეთი დაძაბული სიჩუმეა ღამით. მგონია, ამ უცხო პლანეტაზე ერთხელ, ოდესღაც უკვე მიცხოვრია, მაგრამ აღარაფერი კი აღარ მახსოვს, კარგად ვცხოვრობდი თუ ცუდად. ყველაფერი დამვიწყებია, გარდა შიშისა, იმ დავიწყებულ ცხოვრებიდან რომ გამომყოლია. მინდა ვიყვირო, მიშველეთ—მეთქი, რადგან მჯერა, უსათუოდ დავიდუბები, მაგრამ ვერ ვყვირი, ყვირილიც დამვიწყებია, ოღონდ განუწყვეტლივ ვიმეორებ, ჩურჩულით: გზა... გზა... გზა...

მანქანა კი მიქრის, სპიდომეტრს არც კი ვუყურებ, რადგან მთელი ტა-

ნით ვგრძნობ, ათჯერ უფრო მეტი სისწრაფით მიქრის, ვიდრე შეუძლია. არაფერს არ ვფიქრობ, ჩემი გონების შემკრთალ, მიუჩნებულ კუნჭულებში მხოლოდ ერთი სიტყვის ნამსხვრევები ანათებს პაწაწინა წითელ ვარსკვლავებით: გზა... გზა... გზა...

გზა კი არ თავდება, არც მაქვს იმედი, რომ როდისმე გათავდება.

უცებ გზაზე კაცის ლანდს ვხედავ. პირდაპირ ჩემს შესახვედრად მოემართება. „ნუთუ მანქანას ვერ ამჩნევს?“

საყვირის ხელი დავაკვირე:

„იქნებ ბრმაა?“

მანც მოდის.

„ყრუა, ალბათ“.

კიდეც კარგი, მანქანა თავისით ჩერდება, მაშინვე იმ კაცსაც ვცნობ: ეს ხომ მე ვარ!

— იქიდან მოდიხარ?—ჩუმად ვეკითხები ჩემს ორეულს.

— ხო, იქიდან მოვდივარ.

— რა არის იქ?

— ზღვაა.

— მერე?

— რა მერე?

— მეტი არაფერი?

— ჰო, ბეკო დგას იქ...

სიტყვის დამთავრებას აღარ ვაცლი, მანქანიდან გადმოვდივარ, ყელში ხელებს ვუჭერ ჩემს ორეულს: არ მინდა! არ მინდა! არ მინდა!—ვეყვირი, ვგრძნობ, რაღაც საშინელი უნდა რომ მითხრას.

გამწარებულები ვიბრძვით.

მელვიძება.

კარგახანს გაოგნებული ვწევარ. ვდგები. წყალს ვსვამ.

„არ უნდა დაიძინოს კაცმა დღისით“.

სიზმარი მაშინვე მავიწყდება, ოღონდ გულში რაღაც ქვასავით მძიმე ჩარჩენილა, ეს არის და ეს...

ლილი და ირაკლი ზღვის პირას ბეტონის ჯებირის ჩრდილში შეყუყულან. ნაპირზე არავინაა, იმიტომ რომ ცხელა. ირაკლის ლილის მუხლებზე უღევს თავი, ლილი ხმადაბლა მღერის:

ნანაია, ნანა — სქუა,



ნანაშ ჰირიმა,
 არკანიშა იშამჯანუ
 ვარდიშ პირი მა,
 გემნუვონწყი შქართუნი დო
 აშვოჯინი მა,
 ბჟა დო თუთას ქოგუარფო
 იში ჰირიმა...

— ეგ რა არის? — კითხულობს ირაკ-
 ლი, მოთენთილია, ბევრი იცურა.

— ნათულამ მასწავლა. იცი რა კარგი
 გოგოა, ჩემი ტოლია და ოთხი შვილი
 ყავს.

— ოთხი შვილი? — ირაკლი წამოი-
 წია, იქვე დაგდებული შარვლის ჯიბი-
 დან ორი ცალი სიგარეტი ამოიღო, ერ-
 თი ლილის გაუწოდა.

— არ მინდა, — უთხრა ლილიმ.

— როდის მოასწრო? — ირაკლიმ
 კვამლს ამოაყოლა, — აი, მესმის!

— იშვილა. იცი, რა კარგი გოგოა.

— გააპირეთ საქმე მაგ ნათელათი!

— გულიკოს ვერ ვიტან, — თქვა ლი-
 ლიმ.

— შენც გულიკო ხარ.

— არაფერიც!

— შენც, მეც, ლადოც ყველანი გუ-
 ლიკოები ვართ.

— ვთქვათ და შვილი გვეყოლა, —
 ლილის ხმა აუცახცახდა, — ვთქვათ-
 მეთქი.

— კარგი, ვთქვათ.

— ვთქვათ და ლილიპუტი გვეყოლა.

— ძალიანაც კარგი, შევახვევდით
 აფიშაში და მივიყვანდით ცირკში.

— ორივენი?

— რა ორივენი?

— ორივენი მივიყვანდით?

— აბა რა, შეიძლება ჩვენც ცირკში
 დავეტოვებინეთ, ლილიპუტის მშობ-
 ლები. იცი რა კარგია ცირკში, ჯერ ერ-
 თი, გრილა, მეორეც, ჯამბაზობაში
 ფულს გაძლევენ. ანდა წავიყვანდით
 „იმედის წყაროში“, ჩამოვსხდებოდით
 ჰიშკართან...

— ორივენი?

— ჩამოვიღოდა ვინმე მადლიანი იმ-
 პოტენტი, ანდა ბერწი ქალბატონი, წაი-

ყვანდა ჩვენს ლილიპუტს, აკმევდა, ჩა-
 აკმევდა, უცხო ენას ასწავლიდა, მუსიკაში
 კახე ატარებდა, მანქანას უყიდდა...

— ჩვენ?

— ჩვენ კიდევ გვეყოლებოდა ლილი-
 პუტი, ოთხი ლილიპუტი...

— ნეტავ რას აკეთებს ახლა დედა-
 ჩემი?

— დღეს არ დაგირეკავს?

— ნუ დამცინი.

— დედაშენი შენს ახალ მამიკოს მუხ-
 ლებზე უზის და ლოტოს ეთამაშება.

— დეგენერატი ხარ!

— რა ვქნა, ასეა.

— დედაშენი რაღას აკეთებს?

— დედაჩემი?

ირაკლი უცებ წამოხტა, გაიქცა და
 წყალში გადახტა.

მერე ისინი ზურგზე გაწოლილები,
 ხელებგაშლილები, ერთმანეთზე თავმი-
 დებულები ტივტივებდნენ წყალზე.

— რა კარგი ქალია ზინა, არა? —
 თქვა ლილიმ.

— ტობეა.

— შენც მოგწონს?

— ძალიან.

— ყველას ზინა მოწონს, იმიტომ რომ
 განათხოვარია.

— ალბათ...

— მთელი ქალაქი ზინაშია შეყვარე-
 ბული, სპინოზაც კი....

— სპინოზა ძველია.

სპინოზა ორლულიანი თოფით ხელ-
 ში ეზოში დააბიჯებს და თავისთვის
 ბუტბუტებს. ეტყობა, მწერლის მიერ
 ხუმრობით ნათქვამმა სიტყვამ მის გულ-
 ში ეჭვის ქია გააჩინა, ააწრიალა, მოსვე-
 ნება დაუკარგა. თავისი შიში ერთ ორ
 ნაცნობს უკვე გაანდო კიდევ. ნაცნო-
 ბებმა ჯერ გაიცინეს: სპინოზა, რას ამ-
 ბობ, რამ გადაგრიო, მერე კი სახე შეი-

თამაზ ბილაძე
 აუზი



ცვალეს, შუბლი შეიკრეს, ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს და სპინოზას უთხრეს:

— რასაც მწერალი გეტყვის, დაუჯერეო.

— კარგია, რა, მე და ჩემმა ღმერთმა, — ბუტბუტებს სპინოზა.

შეჩერდება, ცას გაუშტერებს თვალს და იტყვის:

— ისე შორს კია ნამდვილად...

8

საზაფხულო კინოთეატრში ისეთივე სკამები იდგა, როგორც ბაღში: გრძელი, მწვანედ შეღებილი. ხალხი ნაკლებად იყო, მაგრამ ვერ იტყოდით, რომ დარბაზი ცარიელიაო. წინა რიგში, ბეკოს გვერდით, ამბერკი ფოტოგრაფი იჯდა. ბეკოს და ამბერკის უქნიდან რამდენჯერმე დაუძახეს, თავები მოიჭერითო, მაგრამ ჯერ ფილმის დაწყებამდე ადრე იყო და რას ერჩოდნენ, არ ვიცო.

ამ საღამოს დამკვრელები, რასაკვირველია, რესტორნის დირექტორ დუხუს მეთაურობით, ბატონ ნიკოსთან იყვნენ დაპატიებულნი. დათოს ექვსი წელი შეუსრულდა და ნიკო დიდ წვეულებას იხდიდა. ბეკოს ჯერ არ გადაეწყვიტა, წასულიყო თუ არა, გული კი მიუწევდა, მაგრამ ფეხები უკან რჩებოდა.

ბოლო რიგში მუსიკალური ტექნიკუმის გამგის ოჯახი გამოფენილიყო. სამედიცინო ინსტიტუტში გამოცდების ჩასაბარებლად გამზადებული სამი ქალიშვილი მშობლებს შუაში ჩაესვათ. ქალიშვილებს ისეთი სახე ჰქონდათ, თითქოს დედ-მამის ხათრით წამოსულიყვნენ კინოში. თავი უკვე ექიმებივით ეჭირათ.

მათ წინ მეთევზეთა ბრიგადის ბიჭები ჩამწყრივებულებიყვნენ, ყველას გაქათმებული თეთრი პერანგი ეცვა, გაჭიმულები ისხდნენ, თითქოს კეფაზე ხიშტები მიუღვიათო.

უცებ რაიადმასკომის განათლების განყოფილების გამგე შემოვიდა, გამხდარი, აწოწილი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ამჯერად ბრიოლინი მეტი მოსვ-

ლოდა. ის რომ დაინახეს, ხალხში ჩუქ-ჩუქი ატყდა.

— ლექცია იქნება უთუოდ, ლექციაო!

ერთმა ორმა კაცმა გაპარვა სცადა, მაგრამ არ გაუშვეს.

კინოში სენსის დაწყების წინ ზოგჯერ ლექციას ატარებდნენ ხოლმე. თბილისიდან ჩამოსული ლექტორის პატრონობა სწორედ იმ მაღალ ახალგაზრდას ჰქონდა დავალებული. ლექტორს ხალხს წარუდგენდა, მერე სკამის კიდეზე ჩამოჯდებოდა და უცდიდა, როდის დამთავრდებოდა ლექცია, რომ სტუმარი შინ წაეყვანა და ვახშმით გამასპინძლებოდა. დღეს არაფერი უჭირდა, აქედან პირდაპირ ნიკოს მიაყენებდა სტუმარს, რომელიც რა თქმა უნდა, იფიქრებდა, რომ მისი გულისთვის იყო გამართული ასეთი წვეულება.

განათლების განყოფილების გამგე ეკრანის წინ გაჩერდა. ჯიბიდან შავი სათვალე ამოიღო, ცხვირსახოცით შუშები გაუწმინდა და ისევ ჯიბეში ჩაიღო, ჩაახველა და მოულოდნელად ძალიან წვრილი ხმით გამოაცხადა: ესა და ეს ამხანაგი, ამა და ამ საზოგადოების წევრი და დამსახურებული ლექტორი გესაუბრებათ თანამედროვე ფიზიკის მდგომარეობაზეო.

ლიმილით მიიხედა გვერდზე, ალბათ ეგონა, ლექტორი აქვე დგასო, მაგრამ ვერ დაინახა:

— სად დაიკარგა ის კაცი?

რამდენიმე მაყურებელი, რომელმაც ეს ამბავი წინასწარ იცოდნენ და ამიტომ იყვნენ მოსულები აქ, წამოხტნენ და კარისკენ გაქანდნენ, კარში ლექტორს შეეჩხენენ, გზა დაუთმეს და უკან დიდი მოწიწებით გამოჰყვნენ. მაღალმა ახალგაზრდამ იმათ ხელი აუქნია, ხოლო ლექტორს გაუღიმა და უთხრა:

— მობრძანდით, ბატონო, ხალხი მოუთმენლად გელითო.

— გმადლობთ, გენაცვალე, — უპასუხა ლექტორმა კარგად ნასადილევი კაცის სასიამოვნოდ ამღვრეული ხმით და მხარზე ხელი მოუტაცუნა, რაც მა-

ყურებლებმა მათი მეგობრობის დამამტკიცებელ საბუთად მიიღეს.

ახალგაზრდა წინა რიგში სკამის კიდეზე ჩამოჯდა.

— კინოს ელოდებოდით და მე კი შეგრჩით ხელში, — იხუმრა ლექტორმა და ხალხს გადახედა.

— როგორ გეკადრებათ, ბატონოო, — დაიძახეს.

მუსიკალური ტექნიკუმის გამგე ბატონი კირილე წამოდგა და ჭილის ქუდი მოუხადა. ლექტორმა ვერ შეამჩნია, რადგან ამ დროს სკამზე მძიმე პორტფელს დებდა. პორტფელი გახსნა, იქიდან, ეტყობა, რალაცის ამოღება უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა, წელში გასწორდა, ყელსახვევი გაისწორა და დაიძმქა:

— ამხანაგებო!

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ლექტორმა კი სრულიად მოულოდნელად ბავშვივით გულიანად გადაიკისკისა.

— გაგიტრუვდათ იმედი ხომ?

— არა, ბატონო, არა და მოგვეკალი ახლა! — იყვირა ამბერკიმ.

— ჩუ, ჩუო, — შეუწყურნენ აქეთ-იქიდან.

ლექტორი დინჯად ლაპარაკობდა, თუმცა სახე სულ უდიმოდა. მისთვის რომ ყური დაგეგდოთ, თანამედროვე ფიზიკის ურთულესი პრობლემები, რის გამოც მეცნიერება თავს იმტვრევდა, მეტად უბრალო და მარტივი რამ გამოდიოდა. ალბათ იმიტომ, რომ ცდილობდა ძალიან გასაგებად ელაპარაკა.

რომ დაამთავრა, ცხვირსახოცით შუბლი შეიმშრალა და თქვა:

— შეკითხვები ხომ არა გაქვთ?

განათლების განყოფილების გამგე წამოდგა და ხალხს გადახედა.

ხალხმაც იფიქრა, თუ შეეკითხებით რამეს, ისე გამოვა, ლექტორს მაინც და მაინც კარგად და გასაგებად ვერ აუხსნია თანამედროვე ფიზიკის მდგომარეო-

ბა. ეს კი თბილისიდან ჩამოსული სტუმრისთვის სასიამოვნო არ უნდა იყოს.

ლექტორმა ისევ გაიცინა, ეტყობა, რალაცას თავისას ფიქრობდა.

ამ დროს ამბერკი ფოტოგრაფმა ასწია ხელი:

— შეიძლება, ბატონო?

— ბრძანეთ, ბრძანეთ! — წააქეზა ლექტორმა.

— პლატონური სიყვარული თუ არსებობს? — იკითხა ამბერკიმ.

— ეგ დღევანდელი ლექციის თემას არ შეეხება, — ლექტორის ნაცვლად უპასუხა განათლების განყოფილების გამგემ.

— რატომ, რატომ? ამაზედაც შემიძლია ვუპასუხო! — თქვა ლექტორმა და პიჯაკის მარჯვენა ჯიბეზე ხელი დაირტყა, ეტყობა, იქ პაპიროსის კოლოფი ეგულეობდა, მაგრამ ჯიბე ცარიელი აღმოჩნდა. ლექტორს სახეზე გაკვირვება აღებეჭდა, ცოტახანს ასე გაკვირვებული იცქირებოდა უაზროდ, მერე უცებ ცერი და საჩვენებელი თითი პაერში გაატკაცუნა — გაახსენდა, პაპიროსი სადაც დარჩა—და გაიღიმა.

— პლატონური სიყვარულის საკითხი მეტად სერიოზულია, — თქვა მან, — აი თქვენ, — ამბერკისკენ ხელი გაიშვირა.

— ამბერკი, ბატონო, — ამბერკი წავიდა, ლექტორს ხელი ჩამოართვა და ისევ თავის ადგილას დაბრუნდა.

— ბატონო ამბერკი! — ლექტორმა სასაწრაფოდ დაუშვა ხელი, ისევ არ ჩამომართვასო.

ამბერკის ესიამოვნა, ლექტორმა ბატონოო, რომ უთხრა და ჩაიღიმა.

— ბატონო ამბერკი თქვენ ცოლი თუ გყავთ?

— იმე? — გაიკვირვა ამბერკიმ, — გყავს აბა არა?

— ჰოდა საქმეც მაგაშია...

თამაზ ზილაძე
აუზი



— რაშია, ბატონო, საქმე?

— დაბრძანდით, დაბრძანდით, საწყე-
ნად კი არ მითქვამს...

ლექტორს, ეტყობა, დაავიწყდა, რისი
თქმაც უნდოდა, ცოტახანს გაჩუმდა,
მერე რიხიანად გააგრძელა:

— პლატონური სიყვარული ბევრს
არა სწამს!

— მე მწამს! — დაიძახა მუსიკალური
ტექნიკუმის გამგის უფროსმა ქალი-
შვილმა და გაწითლდა.

„ინსტიტუტის გარეთ ხომ დარჩა, ახ-
ლა გაუთხოვარიც დარჩება, პლატონუ-
რი სიყვარული მინდოდა ახლა მე!“ —
გაიფიქრა მამამისმა, გადაიხარა, ცოლს
უჩურობდა.

— რას ფშუტუნებს შენი ქალიშვილი,
თუ იცი?

— ნუ გეშინია, — უპასუხა ცოლმა,
— პლატონური სიყვარული არ არსე-
ბობს, მე მკითხე მაგი.

ისე მშობლებს აშკარად უხაროდათ,
მათი ქალიშვილი კამათში რომ ჩაება,
ბოლოსდაბოლოს, ტყუილად ხომ არ
აბარებდა ამდენი წლის განმავლობაში
გამოცდებს სამედიცინო ინსტიტუტში.
სხვებსაც ანიშნეს ხმა ამოიღეთო, გაშ-
ტერებულები რომ ისხდნენ და „შპალ-
გალკების“ წერით გათხუანული და გა-
წამებული ხელები მუხლებზე დაესვე-
ნებინათ.

— კი მაგრამ, პლატონური სიყვარუ-
ლი გამრავლების საკითხზე უარყოფი-
თად რომ მოქმედებს? — მორიდებუ-
ლად იკითხა აქაური სკოლის ბიოლო-
გიის მასწავლებელმა, ჩია, სახენაყავი-
ლარმა კაცმა, რომელიც მუსიკალური
ტექნიკუმის გამგის ქალიშვილებს აღ-
ტაცებით სავსე მზერას ტყორცნიდა
ქურდულად. ამ კაცის უბედურება ის
იყო, რომ სამივე ერთნაირად მოწონდა
და ვერაფრით ვერ შეეჩერებინა თავისი
არჩევანი რომელიმე მათგანზე, — აღა-
მიანმა მარტო თავის თავზე არ უნდა
იფიქროს!

დიდი კამათი ატყდა. ყველას და-

ვიწყდა თანამედროვე ფიზიკის საკით-
ხებზე ჩატარებული ლექცია, რომელიც
რომელიც ლექციის მერე უნდა გაეშვათ
და აღარ გაუშვეს. ლექტორიც, ეტყობა,
თავად მეტად დაინტერესებული იყო ამ
საკითხით. განათლების განყოფილების
გამგე სულ საათზე იხედებოდა, ნიკოს-
თან, ალბათ უკვე ყველაფერი მზად
იყო. „ხაჭაპური გაცივდება თორემ მე
რაო“, — ფიქრობდა გამგე.

— კი მაგრამ, ჩემი ცოლი რა შუაში
იყო? — კითხულობდა გაკვირებული
ამბერკი.

— ოჯახში მთავარი შვილია, ამიტომაც
ოჯახი სწორედ, — შეაწიათ სიტყვა ტე-
ქნიკუმის გამგის ცოლმაც და ქმარს,
სხვებისთვის შეუმჩნეველად, ტუჩთან
მიტანილი პაპიროსი გააგდებინა. მის
ქმარს ამ ცხარე კამათში დავიწყებო-
და, ცოლს რომ პაპიროსს უშალავდა.

— ჰა? — იკითხა მან, თითქოს უცებ
გააღვიძესო და თვალები დააჭყიტა. ლექ-
ტორმა მხოლოდ ახლა შეამჩნია ის და
ხელი დაუქნია, მაგრამ იმწამსვე დაწყე-
ზული სიტყვა გააგრძელა, — მართალია,
უშვილობის გამო ბევრი ოჯახი ინგ-
რევა...

— შვილებისთვის არ ვცხოვრობთ,
ბატონო? — თქვა ამბერკიმ. რადგან ეს
კამათი მისი ატეხილი იყო, ცდილობდა
მონაწილეობაც მიეღო, — რაღაცა ხომ
უნდა დაგრჩეს ამქვეყნად!

— სხვათაშორის, სასამართლოში
პირველი საბუთი ეგ არის, — თქვა ავ-
ტობუსის შოფერმა, — თუ ეტყვი, შვი-
ლი არა გვყავსო, მაშინვე გაგყრიან.

განათლების განყოფილების გამგე წა-
მოდგა და თქვა:

— სსსუუუუ!

— მოითმინეთ, ამხანაგებო, — თქვა
ლექტორმაც, — თუ არ დავწყნარდით,
არაფერი გამოვა.

მაგრამ ყველაზე მეტს თვითონ ყვი-
როდა, ყველას ეკამათებოდა და განურ-
ჩევლად — მის მხარეზე იყო თუ არა,

ხელეზს შლიდა, ცხვირსახოცი თუბლ-
სა და კისერს მალიმალ იწმენდა, იბრ-
ძოდა, ნამდვილად ეს უკვე ბრძოლა იყო,
გაფთრებული, თავგადადებული ბრძო-
ლა. ექსტაზში შესულმა უცებ ბეკო
დაინახა და უყვირა:

— მოდი აქ, ახალგაზრდა!

ბეკომ რომ მისვლა დააყოვნა, მივარ-
და, ძალით წამოიყვანა და გვერდზე
დაიყენა.

— შენი გვარი, ახალგაზრდა?

— სისორდია, ბატონო.

— აბა, შენ გვიტხარი, სისორდია,
გვიტხარი, გწამს თუ არა პლატონური
სიყვარული!—და ატყდა ერთი ხარხარი,
ხორხოცი, სტვენა, რადგან ყველამ
იცოდა ბეკოს ამბავი. ბეკომ ხელი გა-
მოვლიჯა ლექტორს და გამოიქცა...

ზინა ცოტახანს დამკვრელების მაგი-
დასთან ჩამოჯდა:

— დავიღალე...

გაიღიმა და შუბლზე ჩამოშლილი თმა
გაისწორა.

ბეკომ ჭიქა მიაწოდა:

— მიირთვი, ბორჯომის წყალია.

— გამდლობთ, — ქალმა წყალი მოს-
ვა, ჭიქა მაგიდაზე დადგა და ბეკოს შე-
ხედა.

— გამდლობთ, — გაიმეორა.

ბეკოს თვალს არ აშორებდა, თითქოს
ვერ ხსენებდა საიდან იცნობდა.

ბეკომ თვალი გაუსწორა, ცოტახანს
უყურებს ერთმანეთს.

მერმე ქალმა შეიღს ჰკითხა:

— დათუნა, არ გეძინება?

— არა, — უპასუხა ბავშვმა, ბეკოს
მუხლებზე ხელები დააწყო და თხოვა:

— კიდევ მომიყევი რამე.

— როგორ შეგეჩვიათ, — უთხრა
ქალმა ბეკოს, — მთელი საღამო არ
მოგშორებიან.

— კარგი ბიჭია, — თქვა ბეკომ და
ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა.

ქალი უკვე სუფრისკენ იხედებოდა,

ხელი მაგიდაზე ედო და საჩვენებელი
თითით აკაკუნებდა. გრძელი, გამხდარი
ხელის მტევანი ჰქონდა. დაბერილი ძარ-
ღეები ლურჯად აჩნდა. სამი ბეჭედი ეკე-
თა, ერთი ბრილიანტის თვლიანი, ორი
კი სადა.

ბეკო ქალის სიახლოვემ კი არ გაახა-
რა, როგორც წარმოდგენილი ჰქონდა,
პირიქით, გაღიზიანა, გააბრაზა.

— ალბათ მოიწყინეთ, — თქვა ზინამ
ისე, რომ აქეთვე არ მოუხედავს.

— ჩვენ აქ ვმუშაობთ, — უპასუხა
ბეკომ, — დაგვიძახეს, რომ გაგართოთ,
ამისთვის ფულს გვიხდიან.

ქალმა ბეკოს შეხედა, ალბათ მისმა
კილომ შეაკრთო და გამოაფხიზლა.

— უკაცრავად, — თქვა ჩუმად.

რატომღაც ის ვიოლინოს დამკვრელი
წარმოდგა თვალწინ, დეიდა იტოს
საფლავთან რომ იდგა, გაყინული, ვაშ-
ლებით ჯიბეებგამოტენილი.

ქალს უფერული თვალები ჰქონდა,
შეიძლება დაღლილი რომ იყო, ამიტომ
ჩანდა ასე. ტუჩის კუთხეებთან ორი
ღრმა ნაოჭი გასჩერებოდა, მის გრძელ-
სა და გამხდარ სახეს უსიამოვნო იერს
რომ აძლევდა.

— თქვენ რა გქვიათ?—ჰკითხა ქალ-
მა.

ბეკომ იგრძნო, მისი სხეულის შიგ-
ნით რაღაცამ ქვევით ჩაიწია და სიცა-
რიელე გააჩინა. ასეთი რამ ლიფტში
დამართნია მხოლოდ, ახალ სანატორი-
უმში რომ დგას.

„თამაშობს!“ — გაიფიქრა ბეკომ და
სწორედ მაშინ, როცა პასუხის გაცემა
დააპირა, ქალმა ისევე მიიბრუნა თავი,
თითქოს დაავიწყდა, რაც ჰკითხა.

— თქვენ, თქვენ რაღა გქვიათ? —
ბეკოს კინაღამ ხმა ჩაუწყდა.

— ბატონო?

— თქვენ რა გქვიათ-მეთქი,—კი არ
უთხრა, დაიყვილა ბეკომ.

თამაშობს
აუზი

— ზინა, — გაუღიმა ქალმა.

— მე ბეკო მქვია.

— ვიცი, — უბასუხა ქალმა.

„მაშინ რატომღა მეკითხებით, ზრდილობის გულისთვის, არა? დიდი მადლობა. არ მჭირდება არც თქვენი ზრდილობა, არც მოწყალება, თქვენთვის შეინახეთ. მეყოფა, გმადლობთ, გმადლობთ, რომ დამელაპარაკეთ, სახელი მკითხეთ, თუმცა იცოდით, მაინც მკითხეთ. ეს მეტისმეტია, ეს უკვე მეფური ზრდილობაა. გმადლობთ, რომ ჩვენს მაგიდასთან ჩამოჯექით, დიდი მადლობა, რომ თქვენი ხელი ჩვენს მაგიდაზე დასვენეთ, თქვენი ბრილიანტიანი ხელი, გაყნაპულ ღედაბერს რომ ჰგავს. აიღეთ, არავის არ ჰჩირდება, აიღეთ თქვენი ხელი...“

ბეკომ, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ აღამიანები ხშირად უნებურად ცდებიან, უნებურად გაყენებენ ტკივილს, ისე რომ არც კი ფიქრობენ ამაზე, არავითარი ბოროტი განზრახვა არ ამოძრავებთ, ამიტომ, რადგან ერთმანეთის გვერდით ვცხოვრობთ, თვალს ვხუჭავთ და ასე ვიტანთ ერთმანეთს.

„მაგრამ დაეუშვათ და თვალი არ დავხუჭე, — ფიქრობდა ბეკო, — ვთქვათ, არ მინდა რომ თვალი დავხუჭო, მაშინ?“

ბრაზი ყელში მოაწვა, მაგიდაზე დაგდებულ სიგარეტის კოლოფს მიწვდა, სიგარეტი ამოიღო, როცა ასანთს ანთებდა, ხელი უკანკალებდა. ნიკოტინმა გააბრუა, ცოტათი დამამეიდა.

— დიახ, ბეკო მქვია, — გაიმეორა.

ქალმა გაკვირვებით შეხედა, მერე მზერა თავის ხელზე გადაიტანა, მაგიდაზე რომ ედო, თითქოს ახლა შეამჩნიო, თითქოს დაავიწყდო, როგორც ნივთი, რომელიც მის სხეულს არ ეკუთვნოდა. მაგიდიდან ხელი აიღო, რაღაცის თქმა დააპირა, ტუჩები აუთრთოლდა, ბეკომ დაინახა, როგორ გაუწითლდა

ლოყები. მერე გაიღიმა, ამ ღიმილმა ბეკო გააცოფა, ასე იღიმებიან უფროსები ბავშვების უმნიშვნელო სიცილეზე.

— ქალბატონო ზინა! — დაიყვირა ამ დროს თამადამ, — თქვენი საღლეგრძელოა!

ზინა წამოდგა:

— რატომ წუხდებოდით, — შეილს დაუძახა, — მოდი, დედა, აქ! — გვერდით დაიყენა, ხელი შემოხვია.

ეს იყო ყველაზე უფრო რთული საღლეგრძელო ამ ოჯახში. ბევრ თამადას წაუმტვრევია ფეხი ამ დროს, ბევრჯერ გავარდნილა აქვითინებული ზინა ოთახიდან, სახტად დაუტოვებია ნირწამხდარი და ხელეგაშლილი თამადა.

— აბა, ტუშია საჭირო! — თქვა ბეკომ.

— ჩო, ჩო! — საყვედურით მოხედეს მუსიკოსებს მთავარი სუფრიდან.

ზინა იღვა და იღიმებოდა. იცოდა თუ რა ძნელი იყო ამ ოჯახში მისი ღლეგრძელობა, მაგრამ სულ ცოტა თხუთმეტი წუთი მაინც უნდა მოეთმინა ყველას და სხვებზე მეტად კი თვითონ.

თამადა ლაპარაკობდა ხმამაღლა და სწრაფად. თითქოს გესმოდა მისი ნათქვამი, მაგრამ თუ ჩაუფიქრებოდი, ვერავითარ აზრს ვერ გამოიტანდი. ისე მოახერხა, ერთხელაც არ უხსენებია თეიმურაზის სახელი. იქნებ ახსენა კიდევ, მაგრამ არავის გაუგია. როცა სიტყვა დაამთავრა და ვეება ყანწი მოიყუდა, მუსიკოსებმა ტუში დასცხეს.

სუფრის წევრები ზინას შემოეხვიენენ.

— იცოცხლეთ, ქალბატონო ზინა, სასახელო მასწავლებელი ბრძანდებით, კარგად იყავით, ჩვენი პატარების საკეთილდღეოდ...

ზინა იღიმებოდა:

— გმადლობთ, ბატონო, გმადლობთ...

მერე თამადამ ხელით ანიშნა დამკვრელებს, გაჩუმდითო და „მრავალკამიერი“ წამოიწყო, მთელი სუფრა აჰყვა.



მამამთილიც მივიდა ზინასთან:

— გაგიმარჯოს, შვილო, — უთხრა და შუბლზე აკოცა.

ყანწი გამოსცალა, ფრჩხილზე დაიკაკუნა:

— ასე მტერი დაგეცალოს!

— ვინ მყავს მტერი? — თქვა ზინამ ღიმილით.

— ბავშვს არ ეძინება? — იკითხა ნიკომ.

— კი, კი, — დაფაცურდა ზინა, გაუბარდა, აქედან წასვლის საბაბი რომ იშოვია, — როგორ არ ეძინება.

— არ მინდა, არ დავიძინებ, — თქვა ბიჭმა და დედას კალთაში ჩააფრინდა.

— წადი, ბაბუ, დაიძინე, — ნიკომ ლოყაზე ხელი მოუთათუნა, — დაიძინე, ჭირიმე, უკვე დიდი კაცი ხარ, ექვსი წლის.

— თუ დიდი ვარ, რატომ უნდა დავიძინო? — შეაკვივრდა თვალეზში ბავშვი, — თქვენ რატომ არ იძინებთ?

— კობიო ბაბუამისია, — თქვა აფთიაქარმა.

ზინამ ბავშვი მაინც წაიყვანა.

— ყოფილიყო ცოტახანს, — დაადევნა ნიკომ, მაგრამ მაშინვე სასწრაფოდ დაუმატა, — არა, წაიყვანე, წაიყვანე!

მერე ნამდვილი ქეიფი გაჩაღდა.

თამადა ღვინოს აძალუბდათ:

— აჰ, პა, პა, პა, პა, ჭიქაში ჩატოვება არ ვნახო, შემნახველი სალარო კი არ არის მაგი, არ დადო, ბიჭო, ეგ ყანწი, არ მომქრა თავი ამ პატიოსან საზოგადოებაში, ასე კაცს სმა უხდებოდეს და არ სვამდეს, გამოცალე და მითხარი პირველი, არ იცივლო ოღონდ, რა იყო, ბიჭო, ღვინომ ხომ არ დაგცადა, შენ მოუკვდი შენს ცოლ-შვილს, კარგი მარჩენალი ხარი შენა ხარ...

და იყო ერთმანეთის კოცნა, ხვევნა, ყრიაშული.

— არ შემიძლია, ბატონო, ამდენი სმა! — იძახდა ტექნიკუმის გამგე, ბატონი კირილე, — გამისკდა ჭაჭები!

— რა ვიცი, გული აქვს ცუდადოდა რამ გადარია ჩვენი თამადა!

— ეგ, ბატონო, ვალიდოლის მასრიდან სვამს არაყს!

— დალიე, კირილე, გაფიცებ პირველ შეყვარებულს, ფოთში რომ მიგატოვია საკვოიაჟე ჩამომგდარი, დალიე, ბიჭო და ცოტა ფერზე მოხვალ, შინ არ გასმევენ ღვინოს? — არ ცხრებოდა თამადა.

— დარიშხანი ჩაუყარეთ ღვინოში, დარიშხანი! — იძახდა სკოლის დირექტორი, რომელიც წამდაუწუმ თავს მაგიდის კიდეს ურტყამდა, ჩამოარტყამდა და იტყოდა, — დარიშხანი! — თითქოს ითვლიდა, რამდენჯერ ჩამოვარტყიო.

ყველასგან განსხვავებით მარტო თბილისელი ლექტორი იძახდა:

გაშრა ყელიო და ეს იყო სწორედ, თამადას ჭკუაზე რომ შლიდა.

თამადამ ისევ წარმოსთქვა მგზნებარე სიტყვა, ახლა ნიკო აღდგომელა, მასთან ერთად რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტროც, ისევე გამოსცალა ყანწი და სკოლის დირექტორს ესროლა, ისეთი გამეტებით, ლექტორს რომ გზაში არ დაეჭირა, არავინ იცის, რა მოხდებოდა.

— შენ, ჩემო ძმაო, — დაიწყო დირექტორმა, წამოდგომა დააპირა, მაგრამ ვერ აღგა, ერთ ხელში ყანწი ეჭირა, რომელშიაც თბილისელ ლექტორს გრაფინა მოეპირქვავებინა, მეორე ხელით მაგიდას ეყრდნობოდა ისეთი ძალით, თითქოს ცალი ხელით ყირის გაჭიმვას აპირებოდა, — შენ, ჩემო ძმაო, — გაიმეორა მან და სუფრაზე რატომღაც სიჩუმე ჩამოვარდა, — უნივერსიტეტში მარტო სმა გასწავლეს?

თამადას მკერდზე უნივერსიტეტის დამთავრების ნიშანი ეკეთა.

— ბატონო? ბატონო? ბატონო? —

თამაზა ზილავა
აუზი

თამადამ ყურზე ხელი მიიღო, — რა ბრძანეთ, ვერ გავიგონე!

— გაუმარჯოს! — იყვირეს სუფრაზე. ნიკო სკოლის დირექტორთან მივიდა, მხარზე ხელი დაადო:

— პორფირე?

— დარიშხანი! — იყვირა პორფირემ.

— დავგზოცა ამ შეჩვენებულმა, — წამოხტა აფთიაქარი.

— პატივცემულო პორფირე, — დაუძახა თამადამ სკოლის დირექტორს, — თუ ღვინო არ მოგწონთ, გვითხარით და შევიცვლით, ბატონო, ნიკოს ეგ გაუჭირდება? მადლიერი პაციენტები რაც მაგას ღვინოს უგზავნიან, ერთ პატარა ელსადგურს კი აამუშავებდა აქამდე.

— ღვინოს გამოცვლა მინდა ახლა მე? — დირექტორმა საწყყლად გადაატრიალა თვალები.

— აბა, მიირთვით, პატივცემულო, ყანწს ნუ გავაჩერებთ, ტრამვაი კი არ არის მაგი!

— დარიშხანი! — თქვა ჩუმად დირექტორმა. თამადის ლოგიკამ ეტყობა მოტეხა და ყანწს დაეწაფა.

თბილისელი სტუმრის სადღეგრძელო განსაკუთრებული პატივისცემით შეიხსნა, თუმცა თამადამ ძირითადად აინტენინზე ილაპარაკა.

მოულოდნელად, როცა ყველა თამადას უსმენდა გასუსული, ბეკომ საყვირს ჩაბერა. ყველამ მისკენ გამოიხედა. ბეკოს თავისი საქციელის შერცხვა, საყვირი გულში ჩაიხუტა და თავი ჩაღუნა.

— ესეც შენი ახალგაზრდობა! — ჩაილაპარაკეს სუფრაზე.

— წახნა, ჭირიმე, ხალხი.

— მაგ ხნის რომ ვიყავი, — თქვა თამადამ, — მაგ ხნის რომ ვიყავი, ხომ გახსოვს, კირილე, უკვე ცისტერნას მეძახდნენ.

— კი, კი, — დაუმოწმა კირილემაც.

თბილისელი ლექტორი ბეკოსთან მივიდა, ყურებში ხელები ჩაავლო და ტურჩებში აკოცა:

— სად გამეჩეცი, ბიჭო, ჰა?

დუხუმ ქეჩო მოუჩეჩა ბეკოსკენ — რა დაგემართა, შე გლახს!

მერე თავზე ბოთლი დაიდგა და ცეკვა დაიწყო. ყველამ მოინდომა ცეკვა, რიხინ-რიხინი გაუყენეს სკამებს. მაგიდიდან ჭიქა გადმოვარდა და გატყდა. ჭურჭელი აწვრიალდა, მთელი ოთახი ზანზარებდა.

ლექტორმა ხელი გადახვია ბეკოს და მიეფერა:

— ჩემი ბიჭი, ჩემი ნიჭიერი ბიჭი!

თბილისელი ლექტორი სოფლიდან ქორწილში ჩამოსული ნათესავივით დათვრა.

უცებ ბეკომ ქალის ხმა გაიგონა:

— ბეკო!

თითქოს ბოთლი მიანარცხა ვილაცამ კედელზეო.

თავი ძლივს ასწია და იქითკენ გაიხედა, საიდანაც ეძახდნენ, ვერაფერი დაინახა, თვალზე ლობრგადაკრულივით.

„ცოტახანს იჯდა ასე გაშტერებული.“

— ბეკო!

ბეკო წამოდგა. ქალი მის გვერდით მდგარა, მას კი ეგონა, შორიდან მეძახისო.

— დათო არ იძინებს, ბეკო მოვიდესო!

ქალს ნაჩქარევად წაესვა პუდრი და მეტი მოსვლოდა. ბეკომ თვალი აარიდა.

— მერე? — ჰკითხა დათომ, როცა ბეკო საწოლზე ჩამოჯდა.

— რა მერე?

ბიჭმა ბეკოს ხელი ორივე ხელში მოიქცია. ბეკოს გული აუჩუყდა.

— კარგი, დაიძინე, დათუნა, — უთხრა დედამ, რომელიც გამოღებულ კარებში იდგა გულხელდაკრფილი.

„აქეთ არ იხედება, — გაიფიქრა ბეკომ, — ესე იგი მე მისთვის ვარსებობ.“

ქალი კი ფიქრობდა:

„ვუთხრა თუ არა, რომ აღარ გაბედოს და აღარ დარეკოს. არა, არა, სჯობს ისე დავიჭიროო თავი, ვითომ ის ტელეფონის ზარი საერთოდ არც კი



არსებობს. ლაწირაკი, უზრდელი, თავ-
ხედი...“

— ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს სპი-
ნოზას კოსმოსიდან მოაკითხავენ და
წაიყვანენ.

— ნუ უყვებით ბავშვს ასეთ სისუ-
ლელეს, — თქვა ქალმა, — მართალი
ეგონება.

— ჩემი ამხანაგებიც ასე ამბობენ, —
უთხრა დათომ დედას, — იმიტომ რომ
მართალია,

— თქვენ სპინოზას იცნობთ? —
ჰკითხა ბეკომ ქალს, — თვითონ ამ-
ბობს ამას.

— გიკრძალავთ! — იყვირა უცებ
ქალმა, უნდოდა ეთქვა, გიკრძალავთ
ჩემთან ლაპარაკსო, მაგრამ დროზე შეი-
კავა თავი, ალბათ დათუნას გადიდებ-
ულმა თვალეზმა გამოათხიზლა, წყნა-
რად დაუმატა, — არ არის საჭირო, მე-
რე სულ ამას ბოდავს.

ბეკო კი მიხვდა, რატომაც უყვირა
ქალმა: მან კარგად იცოდა, ვინც ურე-
კავდა!

●
ბეკო კიბეზე შეჩერდა ვარსკვლავე-
ბით მოჭედილი და აპრიალებული ცა
ბრეზენტევიტ დამძიმებულიყო. ნიავე
არ იძვროდა. მერე ჭრიჭინას ხმა გაი-
გონა და ამ ხმამ ისე გაახარა, როგორც
ამხანაგის სტვენამ, ზღვაზე საცურაოდ
რომ მოვიხმობს. თავი გამოცარიელე-
ბული ჰქონდა; ღვინოს გაებრუებინა,
მაგრამ არ დაეთრო. თვითონ ასე ფიქ-
რობდა, მთვრალი არა ვარო. ოღონდ
სული ეხუთებოდა, ხარბად ყლაპავდა
ჰაერს. როგორც იქნა, მოითქვა სული.
ორი თითი პირში ჩაიდო და დაუსტვი-
ნა, ჭრიჭინას გაეპასუხა. კიბე ჩაირბინა
და ეზოში კოინდარში გადაკოტრილდა.
ცოტახანს იწვა, თავქვეშ ხელეზამო-
ღებული, ცას უყურებდა, მერე წამოდ-
გა და ჭიშკრისკენ გაემართა.

— ბეკო! — დაუძახა ვიღაცამ სიბნე-
ლიდან.

იქითკენ გაემართა, საიდანაც დაუძა-
ხეს.

დუხუ ლობესთან მიმდგარიყო.

— მოდი აქ, ბიჭო, — სიბნელეში

დუხუს კბილებმა ფანარივით გაანათა.

ლილები შეიკრა, ბეკოს მხარზე ხელი
გადახვია და ცრემლჩამდგარი, ათრთო-
ლებული ხმით უთხრა:

— რა ლამეა, ბიჭო, ჰა!

— დიახ, ბატონო დუხუ, — ბეკო
გაიწია, განთავისუფლება სცადა, მაგ-
რამ დუხუმ არ გაუშვა.

— მოიცა, — უთხრა სიცილით, —
მოიცა, მართლა განაცხადე პლატონური
სიყვარული არ არსებობსო?

ბეკომ რომ სხვა ვერაფერი მოახერხა,
ილიაში უკბინა დუხუს.

— აუჰ! — შეჰყვირა დუხუმ.

ბეკო დაუსლტა, მაგრამ დუხუს, გვე-
ლის ნესტარივით, სწრაფი ხელი მაინც
მისწვდა:

— აიტ, შე მამაძაღლო!

ბეკომ ორივე ხელი პირზე აიფარა,
თითებს შორის სისხლი მოსდიოდა
თქრიალით.

— რა ქენი, ბიჭო, ეს? — დუხუ ნაკ-
ბენზე ხელს ისვამდა, — აბა, მაჩვენე.

ბეკოს ხელები ძალით ჩამოუღო, ნი-
კაში თითით აუწია:

— ტუჩი გაგიხეთქია, ხომ იცი, — შე-
წუხდა, — რას გავს ეს! — ჯიბიდან
ცხვირსახოცი ამოიღო, — ა, მიიდე, —
დაუყვავა, — ბეკუნა, ჭირიმე, შეილი-
ვით მიყვარხარ, ბიჭო, ასე როგორ გა-
მიმეტე, არ გრცხვენია, რომ მომეკალი,
ხომ ჩამსვამდნენ ციხეში ოცი წლით,
რა გითხარი ისეთი, რაეა კრაზანებივით
იკბინებით ეს ახალგაზრდები, რამ გა-
გამწარათ, ბიჭო.

ცხვირსახოცი გამოართვა, იქვე ონკა-
ნიდან წყალი მოუშვა, ცხვირსახოცი
დაასველა, მაგრად გაწურა და ისევ ბე-
კოს გაუწოდა:

— გქონდეს, არ მოიშორო, ხვალ არც
კი გეხსომება,

ბეკოს პირი სისხლით ჰქონდა საცხე.
გადმოაფურთხა.

თაბაჯი ზილამა
აუზი

— ე, მასე, — უთხრა დუხუმ. —
 კარგი ახლა, ბეკუნა, მამატიე, მეტიკინა
 და უცებ ჰქუა დაგკარგე, — ეუბნებო-
 და გულწრფელად შეწუხებული დუხუმ,
 — ხელი მაქვს ეს ოხერი ასეთი, მე კი
 არ მეკითხება არაფერს, თვარა შენ გა-
 გარტყამდი მე?

ბეკო ჭიშკრისაკენ გაემართა, პირზე
 ორივე ხელით ცხვირსახოცი ჰქონდა
 მიღებული. დუხუმ რაღაცას ეუბნებო-
 და, მაგრამ არ ესმოდა, ყურები უბუზუ-
 ოდა. ბრძანებით გამოეხეტა ქუჩაში, მა-
 შინვე ირაკლისა და ლადოს შეეჩხხა.

— მოყოლა საჭირო არ არის, — უთხ-
 რა ირაკლიმ, — ჩვენი თვალთ ვნახეთ,
 როგორ გაქოთაქა დუხუმ. ვერც მოგეშ-
 ველეთ, რა აზრი ჰქონდა?

ბეკოს სიმწრის ცრემლი ჩამოსდიოდა.

— „რადგან ტირი, ესე იგი ადამიანი
 ხარ!“ — ირაკლიმ ხელეები გაშალა, —
 ადამიანი დაიბადა! — იყვირა, — ადა-
 მიანი! ვარსკვლავების ჰრქაქის შუქზე,
 ბუნების აბსტრაქციულ თავლაში, კვი-
 ცივით ლღი და უდარდელი, და როია-
 ლივით მძიმე მისი ტენი უკვე თავისით
 უქრავს, გესმით!

— გაიტლივე ხო შენებურად, — შე-
 უწყრა ლადო, — ვერ ხედავ სისხლშია
 მოთხუანული!

ბეკოს თუმცა ტუჩები ტკიოდა, მა-
 ინც ძალიან კარგ გუნებაზე იყო, თით-
 ჰოს სულში მუწუქი გაუსკდა და მთლი-
 ანად გამოერწყო. ცრემლმაც შეგება მის-
 ცა, რადგან ეს ტირილის ცრემლი არ
 იყო, წყლადქცეული სისულელე (სწო-
 რედ ასე ფიქრობდა) მოედინებოდა მი-
 სი არსებიდან.

— აქ... საი... დან... გაჩნდით..., —
 იკითხა ძლივსძლივობით.

— ლილისთან ვიყავით, — უპასუხა
 ლადომ.

— ბეკო სასწრაფოდ უნდა გავბანოთ,
 — თქვა ირაკლიმ, — წესი ასეთია, მერე
 კი ეს კარზე მოგდებული, ცრემლის სიფ-
 რიფანა ქსოვილში გახვეული ბავშვი
 „იმედის წყაროსკენ“ უნდა გავაქანოთ!
 ისინი უკვე ზღვისკენ გარბოდნენ.

— გავბანოთ, გავბანოთ! —
 ლადო.

მწერლის სახლს რომ გაუსწორდ-
 ნენ, ირაკლიმ მეგობრები შეაჩერა:

— აი, აქ აჯობებს, აუზში.

ლადომ მკერდში მუჭი ჩაირტყა:

— მაგ აუზში თუ არ ვიბანავე, ჯაე-
 რისგან მოკვდები!

ჭიშკარი ჩაეკტილი იყო. ლადო და
 ირაკლი ღობეზე გადაძვრნენ და ბეკოს
 ჭიშკარი გაუღეს:

— მობრძანდით, პატარავ!

ბეკომ ეზოში ფეხი შედგა თუ არა,
 ბიჭებმა ოქროს ტახტზე დააბრძანეს და
 აუშთან მიიყვანეს.

— აუზო, აუზო, უმაქნისო და ბებერო
 აუზო, — დაიწყო ირაკლიმ, — მიიღე
 ახალშობილი ბეკინა სისორდია, ჩაიკარი
 შენს გრილ უბეში, შეუღლიტინე წყალ-
 მცენარის ფოჩებით ვარდისფერ იღლი-
 ებში, გააცინე და პირმცინარე დაგვიბ-
 რუნე ჩვენ. ერთი—ორი და... სამი!

ბეკო ტანსაცმლიანად აუზში გადაუ-
 შვეს და თვითონაც გადაჰყვნენ. და
 უცებ აუზში, თითქოს დელფინები ჩაე-
 კვიდნენო, ატყდა ერთი ბათქა-ბუთ-
 ქი, ტყაპუნი, ბლარაქუნი. ბიჭები გამ-
 ყინავი ხმით კიოდნენ, ერთმანეთს
 მხრებზე ასხდებოდნენ, ფეხებში ხელს
 ავლებდნენ, ძირავდნენ, ერთმანეთზე
 გადაბმულები, ბორბალივით ტრიალებ-
 დნენ.

წყალი თითქოს დუღდა, ნაპირზე
 გადმოდიოდა, აუზიდან გაქცევას ლა-
 მობდა, მაგრამ ბიჭებს კალათში ჩაე-
 ლოთ მისთვის ხელი და არ უშეებდნენ.
 ძალღებვივით ლაჭებში უძვრებოდნენ,
 ფეხებზე კბენდნენ, მუცელზე ხელებს
 უტყაპუნებდნენ და მართლაც ისე ეგო-
 ნათ, თითქოს ვიღაცას ეთამაშებოდნენ
 თუ ებრძოდნენ, რომელიც მათსავით
 აუზში იყო და ახლა, შიმისგან დაფე-
 თებულ და დაბრმავებულ ნადირივით
 ბეტონის კედლებს აწყდებოდა.

ბეკო ტკივილს აღარ გრძნობდა და
 საერთოდ არაფერს არ გრძნობდა, გარ-
 და აღტაცებისა, რომელიც, მისი სხეუ-

ლის ყველა უჯრედიდან გამოჟონილი, წყალში იხსნებოდა და უკვე აღარ იყო საზღვარი ბეკოსა და ამ წყალს შორის და აღარც მასსა და ამხანაგებს შორის აღარ არსებობდა საზღვარი და ყველანი: ბეკოც, ირაკლიც, ლადოც და ეს წყალიც ერთ მთლიან, აღტაცებულ მასად ქცეულიყო, რომელიც, ქვის კედლებში მოქცეული, უცეცხლოდ დულდა და საცაა, ერთი წამიც და გადალახვდა ოთხკუთხედ ჯებირს და თავისივე წილში წარმოშობილი უსასრულობით მოეფინებოდა ეზოს, ქუჩას, ქალაქს, მინდვრებს, ტყეს, გაიჭრებოდა სადგურის ბაქანზე, ვაჟსებდა მატარებელს და აღტაცებით გავსებული და გაბიზინებული ვაგონები გადაებმებოდნენ სხვა ვაგონებს სხვა სადგურებში და გზადაგზა ყველა ჩაბნელებულ ფანჯარაში შეადგებდნენ აღტაცების ლურჯი ცეცხლით მობრიალე ჩირაღდნებს და ამ პატარ-პატარა, აღტაცების ცეცხლში გახვეული კუნძულებით მოიფინებოდა მთელი დედამიწა.

ფანჯარასთან დაჩოქილი, სახეზე ხელბაფარებული, გულში ერთსადაიმავეს ვიმეორებ: ნეტა, ასე დამთავრდებოდეს ყველაფერი, ნეტა ასე დამთავრდებოდეს ყველაფერი, ნეტა ყველაფერი ასე დამთავრდებოდეს... ნეტავი შემეძლოს, ნეტავი მართლა შემეძლოს, მივვარდე იმ აუზთან, ბაღე გადავაფარო, დავიჭირო ბავშვები, დღეფინების ლეკვებივით, რომლებსაც ახლა არაფერი ესმით, ანდა პირიქით, ყველაფერი ესმით, რადგან თამაშობენ, უბეში ჩავისვია, გაწუწულები და აწკმუტუნებულები, ტანზე ხელები შემოვიხვიო, ხელებით გადავრახო ყველა ხიფათის კარი, ხვრელი, ჭუჭქრუტანა.

— ბავშვებო! ბავშვებო!

ჩემი ხმა ოთახის კედლებს ვერ შორდება, აქვე ბრუნავს, ტრიალებს, წვალობს, მერე ისევე ჩემთან ბრუნდება, ჩემშივე იწრიტება, რომ ცოტახნის მერე ისევე ამოვარდეს იქიდან, პატარა

ნუგეშით ძალამიცემული, რომ როგორმე დააღწიოს თავი ამოქოლიდან, როს, გაიჭრას გარეთ, გადაეშვას აუზში, ბადესავით გაიშალოს და გადაეფინოს სამ მოთამაშე ბავშვს, მაგრამ ეს ნუგეში წამიერია მხოლოდ. ხმა ისევ იწრიტება, ისევ ქრება, ახლა ჩემს გულში ტრიალებს, ბურღივით.

„ქვეყანას სძინავს, — ვფიქრობ მე, — ღრმად და მშვიდად სძინავს, ბალიშზე თავგადაგდებულს, პირდაღებულს, თითქოს დაფხვნილ წამალს იყრიდეს ენაზე, სამი ბავშვი კი აუზში ბანაობს“.

„არა, — ვუწყრები ჩემს თავს, — ეს უკვე იყო, ახლა აუზი ცარიელია. — თუმცა მაშინვე შიში მიპყრობს, — მართლაც, აი ავდგები, გამოვალე კარს, გავალ ქუჩაში, მივალ აუზთან, ის აუზი ისევ იქ დამხედება, ბავშვები კი აღარ იქნებიან“.

მერე მაინც ჩემსას ვამბობ:

„ვიშოვი მაგარ კაპრონის ბადეს, ვეშამპაც რომ ვერ გავლიჯოს, ისეთს, წავალ, არა, კი არ წავალ, გავიქცევი, აუზში მობანავე ბავშვებს იმ ბაღეში გავახვევ, მერე სათითაოდ ამოვიყვან, როგორც ბრმა, გალუმპულ ლეკვებს, უბეში ჩავისვამ, გავიქცევი სადგურში, ჩავვდები პირველსავე მატარებელში, მატარებლიდან — თვითმფრინავში, წავალ შორს, თუნდაც ჩრდილოეთ პოლუსზე, ან უდაბნოში და ვიქნები იქ, სანამ ეს ორი დღე არ გაივლის“.

ჩემი ხმა ისევ ხრიალით ამოდის ყელიდან, ისევ რომ იტრიალოს ოთახში, ისევ რომ შეასკდეს კედლებს და მერე ისევ უკან რომ დამიბრუნდეს, მხოლოდ ჩემს მახსოვრობას შერჩეს, გაიცრიცოს, დაიფლითოს, როგორც ბერწი ქალის მიერ საკულტო ხის ტოტზე შებმული ჭინკი.

ახლა ის დროა, როცა ყველას და ყველაფერს სძინავს. ყველა ხეს, ყველა ქვას, ყველა წყალს, გარდა იმ პაწა-

თამაზა ბილაძე
აუზი



წინა წყლისა, რომელსაც ამ წუთას, სკოლის ეზოში გამოქერილ მამბზღარა გოგოსავით, ბიჭები აწვალებენ. სძინავს ბატონ ალექსანდრეს, ქალბატონ ნუცას, ბატონი ნიკოს სტუმრებს, ზინა, დათუნას ხომ ძინავს და ძინავს. სძინავთ მუსიკალური ტექნიკუმის გამგის ქალიშვილებს, მარადიულ აბიტურირენტებს, სძინავთ მთელი ღღის შრომით დაღლილ თევზის ქარხნის მუშებს, სძინავს ნათელა თორდუას განიერ ტახტზე, ოთხი შვილის გვერდით. სძინავს ლილის, რომელსაც ბალიშის ქვეშ ბავშვის ფაჩუჩები ამოუწყვიტა, ეს მისი საიდუმლოა, არავის უმხელს. სძინავს მალაზის წინ ქვაზე ჩამომჯდარ დარაჯს, შირმის უკან, თეთრ ტახტზე მიწოლილ პოლიკლინიკის მორიგე ექიმს, სასწრაფო დახმარების მანქანის შოფერს, სახანძრო რაზმის გუშაგს, სატელეფონო სადგურის ოქროსთმიან გოგოებს, ჭრელი ხილაბანდით თავწაკრულ ბონდო ლეჟავას, ცნობილ მწერალს, ბენზინის ჩამომსხმელს. „ვიშოვიდი მაგარ, კაპრონის ბადეს...“ უამრავი ჭრიჭინა ფხაუნის უხილავი მინის კედლებს, რომელთა შორის, როგორც სადგურის მოსაცდელ დარბაზში, მიყრილა ძილქუშნაცემი ხალხი. „წავალ, არა კი არ წავალ, გავიქცევი, აუზში მობანავე ბავშვებს იმ ბადეს გადავაფარებ...“ შორიდან მატარებლის კივილი ისმის. ვილაცას ღვიძავს! ბავშვის აღტაცებით საესე ვაგონები ფოსფორწასმულივით ბრწყინავენ ბნელში. ყველა გზისპირა ფანჯარა ირეკლავს აღტაცების შუქს. „ბადიდან სათითაოდ ამოვიყვან, როგორც ბრმა, სველ ლეკვებს...“

უცებ ელექტრონის შუქმა გაანათა იქაურობა. აუზის თავზე დიდი ნათურა ყოფილა ჩამოკიდებული.

— რომელი ხარ მანდ! — დაიძახა აივანზე გამომდგარმა სპინოზამ, ხელში ორლულიანი თოფი ეჭირა, — რომელი ხარ-მეთქი მანდ!

ბიჭები ცოტახანს გაინაბნენ, მერე ირაკლი გაეპასუხა:

— ჩვენა ვართ!

— ვინ თქვენ, რას აკეთებთ მანდ?

— არქიმედის კანონს ვამოწმებთ, — ჩაიფრუტუნა ლადომ.

— რა მოხდა, რა ამბავია, — გამოვიდა აივანზე ცნობილი მწერალი, — რა გაყვირებს, ბონდო?

— აუზში ხულიგნები ბანაობენ!

— ბანაობენ?

— დი-ას! — უპასუხა სპინოზამ და ბიჭებს გადმოსძახა, — არ გაინძრეთ, თორემ ყველას დაგზოცავთ!

— აუზში აბა სხვა რა უნდა გააკეთონ? — იკითხა მწერალმა, მოაჯირს ორივე ხელით დაეყრდნო და ეზოში გადმოიხედა, — უჰ, რა მშვენიერი ღამეა, — ჩაილაპარაკა თავისთვის.

— თქვენ წაბრძანდით, დაიძინეთ, რაზე წუხდებით, — უთხრა სპინოზამ მწერალს, — ამით მე გავუსწორდები.

— თქვენთან სალაპარაკოდ მოვედით, ოსტატო! — დაუძახა ირაკლიმ მწერალს.

— გაჩუმდი! — სპინოზამ თოფი მოუღერა.

— რამ გაგაჩუმათ, ოსტატო, როცა ახალგაზრდობას ძაღლებითა და თოფებით ხედებინ! — იყვირა ირაკლიმ.

— სად ხედავ ძაღლებს! — დაუღრიონა სპინოზამ.

— შეიტანე, ბონდო, ეგ თოფი სახლში, — უთხრა მშვიდად მწერალმა.

— ამოდით აუზიდან! — უყვირა ბიჭებს სპინოზამ, თითქოს მწერლის ნათქვამი არც კი გაუგონიაო.

— გვეშინია, — თქვა ირაკლიმ, — მწერლობის მოყვარული ჭაბუკები არ დაგვზოცოთ.

— აბა იყავით მანდ, — გაიცინა მწერალმა.

— შეგვინარჩუნეთ სიცოცხლე! — შესძახა ლადომ.

მწერალმა ისევ გაიცინა.

— აი, რა გვინდოდა გვეკითხა, — ირაკლიმ აუზის კედეს ორივე ხელი ჩამოაყრდნო, — დავიწყეთ იმით, რომ თქვენ ყველაფერს ფლობთ, რაც კი ადამიანს შეუქმნია...

— მაინც რას? — იკითხა მწერალმა.
— თუნდაც სტრადივარიუსის ვიოლინოს.
— ეგ არა მაქვს.
— კანტისა და სპინოზას აზრებს, ეშმაკის რქას...
— ხულიგნები არიან-მეთქი, ხომ ვთქვი!
— აცადე, ბონდო.
ირაკლის კი გადმოსძახა:
— განაგრძეთ! — თანაც გაიფიქრა: „აქი აივანზე უნდა დავიძინო“.
— ნაპოლეონის ჭოგრიტს, ნელსონის თვალს, მედიჩების გეზლს, კენტავერის ფლოქეს, თემიდას სასწორს, კარუზოს ხმას, ღრეიფუსის საქმეს, მორზეს ანბანს, ბერთოლეს მარილს, დეზდემონას ცხვირსახოცს, ჰამურაბის კანონებს, პრომეთეს ღვიძლს, კავარდოსის არიას, სასანიდების დინასტიას, ალაღინის ლამპარს, სიამის ტყუპებს, კოხის ჩხირს, ბიჭფორდის ზონარს...
— გეყოფა, — უჩურობდა ლადომ.
— ალიოხინის პარტიას, იუდას თოკს, არიადნეს ძაფს, ეიფელის კოშკს, ედი-სონის ნათურას, ნიუტონის ბინომს, ნობელის პრემიას...
— არც ეგა მაქვს, — თქვა მწერალმა სიცილით.
— უკაცრავად... აქილეუსის ქუსლს, ბაბილონის გოდოლს, ბიძია თომას ქოხს, სირაქლემას კვერცხს, ოქროს ვირს...
— რა გქვიათ თქვენ, ახალგაზრდავ?
— იკითხა მწერალმა.
ირაკლი კი განაგრძობდა:
— სიზიფეს ლოდს, დემოსთენეს კენჭებს, ტროას ცხენს, ცელსიუსის თერმომეტრს, გალიფეს შარვალს, მაქინოს ხაზს, მარატის აბაჯანას, ბურატინოს თავგადასავალს, იკაროსის ფრთებს, მგლის მუხლს, კუს ნაბიჯს, შტრაუსის ვალს, ბართლომეს ღამეს, ნიანგის ცრემლს, მენდელეევის ტაბულას, მამა ანრამის ბატჯანს, ტატიანას წერილს, ავთანდილის ანდერძს, სპარტაკის მახვილს, დიოგენის ფანარს...
— მართალი ხართ, — თქვა მწერალ-

მა, — ყველაფერი ეს მაქვს. ამობრძნადით, აქ ვილაპარაკოთ.
— არა, მიპასუხეთ, რად გინდათ სიმდიდრე?
— ეს ისეთი სიმდიდრეა, ყველას შეუუძლია რომ ჰქონდეს. რა თქმა უნდა თუკი მოინდომებს.
— პირადად მე ავირჩევდი მხოლოდ არიადნეს ძაფს, ნიანგის ცრემლს და ალაღინის ლამპარს.
— რატომ მაინცდამაინც მაგ სამს?
— განა ყველა ასე არ იქცევა?
— ეგ ადვილია.
— აბა, რა არის ძნელი?
— სპარტაკის მახვილი, იკაროსის ფრთები, დიოგენის ფანარი.
მწერალი აუზის კიდეზე ხელებდაყრდნობილ ბიჭებს დასცქეროდა და ფიქრობდა:
„რაფაელის ანგელოზებივით არიანო...“
— მერე? — ჰკითხა ირაკლიმ.
— ამოდით, გაცივდებით! — დაუძახა მწერალმა.
— არ გაცივდებიან, ტანისამოსი აცვიოთ, — ჩაიბურტყუნა სპინოზამ.
— როგორ, ჩაცმულები ბანაობენ? — გაუჟკირდა მწერალს.
— ხომ ვითხარით, ხულიგნები არიან-მეთქი!
— გვიპასუხეთ, ოსტატო, გვიპასუხეთ! — არ ეშვებოდა ირაკლი.
— რა მერე? — მწერალმა ხელები გაშალა, — რა უნდა გვიპასუხოთ!
როცა მწერალი და სპინოზა მარტო დარჩნენ, მწერალმა თქვა:
— როგორ გაზრდილან ბავშვები!
— მილიციაში უნდა დაგვერეკა, — სპინოზამ თოფი გადახსნა და ლულოდან ვაზნები ამოიღო.
— ეჰ, ჩემო ბონდო, — ჩაიკვნესა მწერალმა.
ცოტახნის მერე ჰკითხა:
— არაყი ხომ არ გვაქვს სახლში?

თამაზ ბილაძე
აუზი

— არაყი? — გაუყვირდა სპინოზას,
— არა. კი მაგრამ, არაყი რად გინდათ?
— კარგი, კარგი...

დიდხანს იჯდა მწერალი აივანზე და სიბნელეში ჩაქარგული ზღვისკენ იცქირებოდა. რაღაც აწუხებდა, რაღაც უჩვეულო თუ უცნობმა განცდამ გაუქაწრა გული. ეს უფრო სევდა იყო, ვიდრე წუხილი, რომელიც განაკაწრში კვამლივით მოიპარებოდა და გულს ავსებდა. არა, ბავშვების სტუმრობის გამო არ დასევდიანებულა, პირიქით, გაერთო და გახალისდა კიდევ. კმაყოფილიც კი იყო თავისი თავის, მეველესავით რომ არ დაიფრინა ღობეზე გადმომძვრალი ბავშვები. ოღონდ ეს კი იყო: ბავშვებმა საკუთარი სიმარტოვე გაახსენეს, რომელსაც აგერ უკვე რამდენი წელია, თავსაც კი უმაღავდა. „აი, ვზივარ აქ, როგორც ბუ ფულდუროში და...“

მწერალი თავისივე ფიქრმა შეაკრთო.

„და... ვერაფერს ვხედავ...“

არა, როგორ ვერ ხედავდა. მისი გაძუდმებული მუშაობით აღზნებული გონება ქაღალდის ფურცლებს უამრავი აღამიანით ავსებდა. როგორც თოჯინების სახელოსნოს თაროზე, მის რომანებში ერთმანეთს გვერდით იდგნენ მეფეები, კარისკაცები, მსახურები, მეომრები, მსტოვრები, მკითხავეები, ჯამბაზები, მუცლითმეზღაპრები, მონაზვნები, ბერები, მღვდლები, ეპისკოპოსები... მის წიგნებში, როგორც გეოლოგიური ძვრებისგან ადგილშეცვლილი ზღვები, სახელმწიფოები ისე ეხეთქებოდნენ ერთმანეთს. სასახლეების ჩაბნელებულ ტალანებში ელავდა დაგესლილი დანა, საწამლავის შუშა. ისმოდა შხამით დალურჯებულ, მომაკვდავ მეფეთა ხროტინი, ულაცების ჭიხვინი, მეჯინიბეთა გინება და ვნებამორეულ სეფექალთუკრუსუნნი.

არა, ყველაფერს ხედავდა, ხედავდა ისე, რომ მაღლიერ მკითხველთა წერილები აღარ იცოდა სად შეენახა. ეს იყო, რომ თავის თავს ვერ ხედავდა, თავი დავიწყნოდა, თუ დაკარგვოდა

ლოდსატყორცნებში, ჭურვების კალთებში, სასახლის ზანდუკებში, შეჯავშნულ ბოს ქერით სავსე ბაგაში, შეჯავშნული ცხენების ფლოქვების მტვერში, დროშების ფრიალში, კონებით გაქმდილი ხომალდების მუცლებში, სადარაჯო კოშკების ცეცხლის კვამლში, ძელზე გასმული ერეტოკოსის გაბარჯგულ წვერში.

უცებ საოცარი რამ მოეჩვენა:

დიდი სატახტო დარბაზის მოზაიკით დაფარულ იატაკზე თავივით გამოცუნცულა პაწაწინა ტიტველი ბიჭი. ბავშვმა დარბაზის კუთხეები მოირბინა და მერე ტახტის ფეხთან ჩაცუცქდა. იქ აბლაბუდებში შემალული ბოთლი დაინახა, საწამლავით სავსე ბოთლი, რომელიც ისევე აუცილებელი იყო ამ ტახტის მფლობელისთვის, როგორც კუჭით ავადმყოფისთვის — მინერალური წყალი. ბავშვს წყუროდა და ბოთლს წაეტანა.

— არა! — იყვირა მწერალმა, — არა!

სახეზე ხელი ჩამოისვა.

ბავშვს ბოთლი ხელიდან გაუვარდა. იატაკზე დაენარცხა და გატყდა. სისხლივით სქელი, ალისფერი სითხე შიშინით გასრიალდა იატაკზე. ბავშვს შეეშინდა, მოიბუზა. მას ბოთლში რძე ეგონა. ყოველ დილით მერძევე კართან უტოვებდათ ხოლმე რძით სავსე ბოთლს. დედას ყვავილებით მოჩითული გრძელი ღამის პერანგი ეცვა, ფეხშიშველი მიდიოდა კართან, ალებდა, რძე შემოჰქონდა, ქვაბში ასხამდა და ბოთლი ისევე გარეთ ვაჰქონდა. ფანჯრიდან ნაცრისფერი დილა იქყიტებოდა. ბიჭს ესმოდა მამის ღიღინი. მამა კედელზე მიმაგრებულ პატარა სარკეში სამართებლით პირს იბარსავდა. მამის სახე აღარ ახსოვს, მისი ღიღინი კი სამუდამოდ ჩარჩა ყურში.

დარბაზი უცებ განათდა, გაჩახახადა. შემოვიდა მეფე-დედოფალი, თავისი ამალით, წითელი მოსასხამების ფრიალ-ფრიალით. ჩაჰბერეს ბუკებს, გუნდმა ქანდარიდან ჰიმნი დააგუგუნა და ვილაცის მოსასხამს ბირკასავით აკ-



რული ბიჭი ამ ორომტრიალში ჩაიკარგა.

მერე დაჩვრეტილი ციდან ვარდისფერი შუქი ჩამოიღვარა და ქვეყანა ჰურქელივით აავსო. ყველაფერმა სიმტკიცე დაკარგა, ხეები წყალმცენარეობით დუნედ ირწოდნენ. უცნაურია სიჩუმე ჩამოწვა, შეუვალი, გაუბზარავი. მოულოდნელად ამ სიჩუმეში ვიღაც დაელაპარაკა. მისი ხმა ჯერ ყრუდ, შორიდან ჩაესმა, თითქოს ეძინა და აღვიძებდნენ, მერე იმ ხმას ფოლადის ქღერა გაერია, დანასავით დაუსერა მკერდი და შიგ გულში დაიქუხა: ადექი, წამოყვივიო. ისიც ადგა და მორჩილად გაჰყვა. ვერაფერს ხედავდა, იცოდა, იმითმ ვერ ხედავდა, რომ არაფერი იყო მის ირგვლივ, იყო მხოლოდ ბურუსი და ამ ბურუსში დაუსრულებლად უნდა ევლო და ვიღაც, რომელიც, ეტყობა, უკან-უკან იხევდა და რომელსაც ამ ბურუსში ვერ ხედავდა, თავისკენ მოუხმობდა, უბრძანებდა, აქეთ წამოდიო. ისიც დიდხანს მიჰყვებოდა ამ ხმას და მერე დადლილი, მაგრამ ბედნიერი ლერწამში გაიშოტა. ეს იყო მისი კუთხე, სადაც შეეძლო სული მოეთქვა, ამფიბიასავით ჩაეყლაპა ჰაერი, რომ მეორე დღეს მტვერსა და სიცხეში არ დამხრჩვალყო. აქ მას ხელს არავინ შეუშლიდა.

მაგრამ ნურას უკაცრავად, მის ირგვლივ შემოჯარული ლერწამი შრიალით გადაიშალა და პატარა მდელივით, სადაც ის იწვა, თავგადანოტრილი, თეთრპერანგა, ფეხშიშველი ანგელოზები გამოვიდნენ. ომის დროინდელ რახიტიან ბავშვებს გვანდნენ და ნემსიყლაპიას ფრთებივით გამჰვირვალე ყურები ჰქონდათ.

მწერალს შემოეხვივნენ და მღუმა-რედ შეაცქერდნენ.

მწერალი წამოკვდა:

— საიდან გაჩნდით აქ?

— ბავშვებმა ხმა არ გასცეს.

— როგორი პატარები ხართ, — თქვა მწერალმა და ცრემლის გორგალი მოაწვა ყელში, ისე შეებრაღა ბავშვები.

„ნუთუ ჩემი ლაპარაკი არ ესმით?“
მერე გაახსენდა, დიდები ბავშვებს ჰკარავდნენ და ზღაპრებით რომ ელაპარაკებოდა და თვითონაც გადაწყვიტა, რამე მოეყოლა მათთვის. ამ ბოლო დროს წერილს წერილზე უგზავნიდნენ რედაქციები, ტელესტუდია, რადიო, იქნებ ბავშვებისთვის რამე ახალი დაგვიწეროთო, ის კი ყოველთვის უარს უთვლიდა.

— ბავშვებო, — დაიწყო მან, — მაღალი, გაუვალი ტყეების ქვეყანაში, იქ, სადაც მზე არასოდეს ჩადის და ამიტომ გამუდმებით დღეა, ერთი წყალუხვი მდინარის პირას ცხოვრობდა ბეჭემოთი მურთაზი.

სხვა ბეჭემოთები თუ ჯოგებად ცხოვრობდნენ, მურთაზი მარტოდმარტო დაბაჯბაჯებდა რიყეზე, მარტოდმარტო ჰყუმპალაობდა წყალში. ალბათ იკითხავთ, რატომ ცხოვრობდა ბეჭემოთი მურთაზი მარტო?

მწერალი შეჩერდა, მაგრამ ბავშვებს ხმა არ ამოუღიათ, ისევ ისე მღუმარედ, თვალმოუშორებლად შესცქეროდნენ.

— ახლავე გიბასუხებთ, — გააგრძელა მწერალმა, თან გაიფიქრა: „რამოდენა თავხედობაა საჭირო იმისთვის რამე რომ შექმნა“. მურთაზის მშობლებმა, სიზარმაცის გამო, სიფრთხილედ დაივიწყეს და ერთ მშვენიერ დღეს, როცა მზე ასევე მაგრად აჭერდა, ნიანგებმა ისე ჩაითრიეს მდინარის ფსკერზე, მათ თვალციკი არ გაუხელიათ, ისე მაგრად ეძინათ. მდინარის ფსკერზე კი ნიანგები მურთაზის მშობლებს თუ რა დღეს დააყრიდნენ, ეს თქვენ ჩემზე კარგად მოგეხსენებათ. ისე კი ეს მეტად იშვიათი შემთხვევა იყო, რადგან ჩვეულებრივად ნიანგს ბეჭემოთისა ეშინია. თუ ზოოპარკის აუზში ბეჭემოთი ერთხელ მაინც გინახავთ, დამერწმუნებით, რომ ნიანგი არც ისე სულელი ყოფილა.

თამაზ ზილაძე
აუზი



იზრდებოდა ბეჭემოთი მურთაზი სი-
მარტოვეში, დიდი ცისფერი მდინარის
პირას. ნელა-ნელა იმოღენა გახდა, გა-
ბერილ აეროსტატს დაემსგავსა. აეროს-
ტატივით სულ ერთიანად პრიალებდა,
თავიც იმოღენა გაუხდა, ტარება უჭირ-
და და ნიკაპს მიწაზე, მიახონიალებდა,
ნიკაპის მაგივრად გუთანი რომ ჰქონოდა,
ჩვენი ბეჭემოთი მურთაზი ერთი კარგა
მოზრდილი ტრაქტორის მაგივრობას კი
გასწევდა და რიყეზე ბაგბაჯი სასარგებ-
ლო შრომად ჩაეთვლებოდა. ისედაც
მოკლე და დაგრეხილი ფეხები ტანის
სიმძიმის გამო კიდევ უფრო დაეგრძობა
და დაუმოკლდა. სხვა ბეჭემოთებისგან
იმიტაც განსხვავდებოდა, განსაკუთრე-
ბით რომ უყვარდა ბავშვები. მისი ერ-
თადერთი სადარდელიც ის იყო, იმდე-
ნად დიდი და უშნო ვარ, ბავშვებთან
რომ სათამაშოდ მივიდე, შიშით გუ-
ლებს დაგუხეთქავო. ამიტომაც არ შო-
რდებოდა მდინარეს და მოწყენილი
ჩასცქეროდა საკუთარ გამოსახულებას,
თუმცა მაშინაც ბავშვებზე ფიქრობდა.

თუ არ ბანაობდა, ან თუ ხასხასა ბა-
ლახს არ ძოვდა, მდინარის პირას იდგა
და სხვებს რომ არ გაეგონათ, ალერსით
რალაც სიტყვებს ჩურჩულებდა ბეჭე-
მოთების ენაზე.

ცოტა მოშორებით, იქ, სადაც რიყე-
ზე გრძელი, ნაცრისფერი ქვეები ეყარა,
ნიანგების ოჯახს უყვარდა მზეზე ძი-
ლი. შეიძლება ეს ადგილი იმიტომაც
ამოირჩიეს, რომ თვითონაც გრძელსა
და ნაცრისფერ ქვეებს გვანდნენ. თუ
თქვენ ზოობარკში ნიანგიც გინახავთ,
გაგახსენდებათ, რომ ნიანგს უძრავად
წოლა უყვარს. ბევრი ნადირი თუ
ფრინველი მოუტყუებია ასე ნიანგს.
ნიანგები ცბიერები არიან და ამიტომ
ყველა უფროთხის მათ. აბა დამისახე-
ლეთ თუნდაც ერთი ვინმე, ნიანგი რომ
უყვარდეს.

ნიანგი რის ნიანგია, რამე თუ გამო-
ვპარება. მათ მშვენივრად იცოდნენ,
რა ფიქრს გაეშტერებინა მურთაზი და
გულში მისი ბედიც უკვე გადაეწყვი-
ტათ: თუ ბეჭემოთია, ბეჭემოთებზე

იფიქროს, ბავშვებს თავი გაანებოს,
თორემ მაგასაც შეეხარამუნებთ
ვის თავს დააბრალოსო.

მწერალმა თვალი დახუჭა და ისე გა-
ნაგრძო თხრობა, აღარ შეეძლო ბავშ-
ვების გაქვავებული მზერის ატანა.

— აბა, დამისახელეთ თუნდაც ერთი
ვინმე, ნიანგი რომ უყვარდეს. ასეთ
ადამიანს ვერ მოძებნით; ზოგი თუ მე-
ტიჩრობით იტყვის, ნიანგი მე მიყვარ-
სო, მერე მას მთელი დამე ნიანგის
ხერხივით დაკბილული, დაღებული ხა-
ხა ესიზმრება. ეს კი ყველაზე ცუდი
სიზმარია ყველა სიზმარს შორის და მე-
ტიჩარა და ტრაბახა ბავშვს დღეს თუ
არა ხვალ უსათუოდ დაესიზმრება, ეს
ცუდი თვისებები თუ არ მოიშორა.

იწვა ნიანგების ოჯახი მზეზე და
თვლემდა, ვითომც აქ არაფერიო, ვი-
თომც ბეჭემოთი მურთაზის მშობლები
ჩვენ არ შეგვიქამიაო და ვითომც ახლა
თვითონ მურთაზს არ ვუთვალთვალებთ
ნახევრად მოკუტუელი, მწვანე თვალე-
ბითო.

საკმარისი იყო ერთი პატარა შეც-
დომა, ერთი არასწორი ნაბიჯი, რომ
ჩვენი საყვარელი ბეჭემოთი მურთაზი
მათი კერძი გამხდარიყო.

მურთაზი კი ნაპირთან იდგა, წინა
ფეხები წყალში ჩაეყო და თავის გამო-
სახულებას ჩასცქეროდა.

მურთაზებო, მურთაზებო, — ჩურ-
ჩულებდა იგი სინაზისგან ათრთოლე-
ბული ხმით, რადგან მხეცებსაც, ალა-
მიანების მსგავსად, მეგობრები უყვართ
და მარტო ცხოვრება ჭირივით ეზარე-
ბათ.

ნიანგები კი სამნი იყვნენ... აპი, იპა
და პია. მათი სახელები ქვეყანამ იცო-
და, რადგან თეთრი მაღალი წეროები,
რომელთაც ფრთის ქვეშ თავამოდებუ-
ლებს ეძინათ, ძილშიაც გამუდმებით
იმეორებდნენ:

აპი, იპა, პია! აპი, იპა, პიაო!
მწერალს პირი გაუშრა, გაჩუმდა.
ბავშვები ისევ ისე მღუმარედ შესცქე-
როდნენ. უცებ თავისი თავი შეეზიზღა,

სწორედ ისე, როგორც ერთხელ თბილისიდან მსახიობების ბრიგადასთან ერთად ფრონტზე ჩასულმა რომანის ნაწყვეტი რომ წაუკითხა ბატალიონს, ის ბატალიონი კი მერე მთლიანად დაილუპა.

ამ, ქანდაკებებივით გარინდებულ, ბავშვებსაც ვეღარ იტანდა.

„ნუთუ ვერ ხვდებიან, ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ ჩემს ამბავს ვუყვები!“ გაბრაზდა.

მერე გული აუჩუყდა, თვალზე ცრემლი მოადგა, თავისი თავი რომ წარმოიდგინა ბეჭემოთ მურთაზივით მარტოდმარტო. ეს ბავშვები ასე იდგებოდნენ ცოტახანს და წავიდოდნენ, ის კი...

„ებერდებიო“, — გაიფიქრა და თხრობა განაგრძო:

— ამ სახელებს მწვანე, დიდი ბაყაყები მდინარის პირას ისლში რომ ცხოვრობდნენ, ერთმანეთს ვადასძახებდნენ ხოლმე:

— აბი, იპა, პია!

ბებერი, ცალთვალა ქორი, რომელიც მდინარეს გამუდმებით თავს დასტრიალებდა და რომელიც მეზობლებს არ ერჩოდა, რადგან რაინდი იყო, წყალზე ჩამოსულ, ჩერჩეტ ანტილოპებს გამყინავი ხმით აფრთხობდნენ ხოლმე:

— აბი, იპა, პია!

ასე ცხოვრობდა ბეჭემოთი მურთაზი და სხვა მის ცხოვრებაში არაფერი მომხდარა საინტერესო, თორემ იმასაც

მოგიყვებოდითო, — დაამთავრა რალმა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

მერე ერთმა ბავშვმა ხელი ისე გამოიშვირა, თითქოს ხელისგულზე რაღაც აწერია და იმას აჩვენებსო:

— დიოგენის ცრემლი! — თქვა მან.

— არა, — გაუსწორა მწერალმა, — დიოგენის კი არა, ნიანგის ცრემლი!

— დიოგენის ცრემლი! — გაიმეორა ბავშვმა, გატრიალდა და წავიდა.

სხვებიც გაედევნენ.

დიდხანს ისმოდა, როგორ მიაშრიალებდნენ ლერწამს...

„ამ ზღაპარს რადიოს გაუფუგავანი“, — ფიქრობდა მწერალი, წარმოიდგინა კიდევ, როგორ კითხულობდა რესპუბლიკის სახალხო არტისტი გიორგი გეგუკორი ზღაპრის ტექსტს:

— ბავშვებო, მაღალი, გაუვალი ტყეების ქვეყანაში, იქ სადაც მზე არასოდეს ჩადის და ამიტომ გამუდმებით დღეა, ერთი წყალუხვი მდინარის პირას ცხოვრობდა ბეჭემოთი მურთაზი...

„ოღონდ ფინალი არ უვარგა. რაღაც უნდა მოვიგონო, მაგრამ, რა?“

თენდებოდა. ზღვის მხარეს ბინდი გაბაცდა. ნიავმაც დაუბერა იქიდან, თითქოს სუნთქვაშეკრულმა ზღვამ, როგორც იქნა, ამოისუნთქაო. მწერალი აივანზე იჯდა და ფიქრობდა. ცოტახანს მერე შესცივდა. პლედის გამოტანა დააპირა, მაგრამ წამოდგომა დაეწარა...



ლექსები წიგნიდან „1972“.



სწვისიც ყოფილა, თუ ყოფილა ჩემს თვალზე ცრემლი,
ვეოფილვარ სწვისი სიბრაღულით მრავალჯერ ჩუმიდ...
ყოვლადძლიერო, გახარება თუ ვინდა ჩემი, —
უნარი სწვისი გახარების მიზოდე უმაღ.

და კიდევ, თუ არ შემომწყვრები, მისმინე ერთიც:
სიხარბე ახლავს, სამწუნაროდ, სიხარულს რადვან, —
თუ შემიდლია, დამაყენე იმდენად მაღლა, —
არ შეეხარბოს სიხარული არავის ჩემი.



მიმქრალ სიქველეს ღვინო აღვიძებს;
ვალს, ისიც ზოგჯერ, გვახსენებს ისლა...
სისხლზე გოდებენ სწვები დაღვრილზე,
მე დასაღვრელი მედარღვის სისხლი.

გულს ეძგერება სადმე ლახვრისებრ
ხავსმოდებული ხანდახან ციხე...
სისხლზე გოდებენ სწვები დაღვრილზე,
მე დასაღვრელი მედარღვის სისხლი.

დიღვის წვიმა

...განვიდა ფარნავაზ და ნადირობდა მარტო, და ღვენა უყო
ირემთა ველსა დიღომისასა. მაშინ დაასხა წვიმა მძაფრი. ხო-
ლო ფარნავაზ შევიდა ქუაბსა, რათამცა მუნ შიგა დაიშრალია
წვიმისა მისგან. და იხილა მუნ-შინა განძი მიუწლომელი...

ლემონტი მროველი

ფარნავაზ ოდეს პატრუცავს წერდა, —
ვარსკვლავთა ჰკრეფდა როდესაც ციდან, —
სად იყო მაშინ ჯერ ამა ქვეყნად
მამაჲ, ძეჲ და სულიწმინდა!

ირემს გამოუღდა ფარნავაზ, —
ჯაგები აფხრეწენ ტალავარს.

იელვა, მეორედ იელვა,
 ლეშტერმა დაუშვა ძლიერმა.

დიღომში, გოდლეღის უბანთან, —
 ღვართქაფმა უფრორე უმატა.

აღარ გადილო რაკილა წვიმამ, —
 მეფემ სასწრაფოდ მიმართა მღვიმეს.

შევიდა შიგ და —
 მყის დარჩა სახტად,
 მუნ უთვალავი საუნჯე დახვდა.

ოქროს,
 საფირონს,
 ზურმუხტს,
 მარგალიტს —
 იღებს,
 დებს,
 იღებს
 ხელის კანკალით...

წვიმა რომ არა დიდმისა, —
 ვანძს ვერ ნახავდა იგი და

ვანძი რომ არა დიდმისა, —
 ვერაფრით ქართლს ვერ იხსნიდა.

ანი და ბანი, ვანი და ცანი,
 ონი, უნი და ძილი, —
 აღორძინება ქართლისა — მძლავრი —
 იწყება დიდმის წვიმით.

.

ოცდასამი საუკუნის წვიმა
 ვერ დაწონის
 ვერც ცხადში,
 ვერც ძილად, —
 ოცდასამი საუკუნის წინათ
 მოსულ დიდმის წვიმას.



კაცმა არ იცის, იცის ჭადარმა,
 ხემ და პოეტმა იციან მარტო:
 ქალი ქუჩაზე როცა გადარბის, —
 რატომ იცინის უმისამართოდ.

კაცმა არ იცის, იცის ღრუბელმა,
 ცამ და პოეტმა იციან მართლ:
 ქალი წვიმაში რომ ილუმპება, —
 რატომ იცინის უმისამართოდ.



ამას არ უნდა დასტური სხვისი! —
 კარგა ხანია ვიცი:
 მიწყევ მცირენი ვიყავით რიცხვით,
 მტერი გვჭარბობდა მიწყევ.

ყველგან: ყანაში, ზვარში, წისქვილში, —
 ხელი გვეკიდა თოფზე...
 იესო ქრისტეც, გარდა რისხვისა,
 გვწყალობდა კიდევ ზოგჯერ.

სხვენზე აგდია, — ჟანგის ულუფა, —
 პაპის ნაქონი თოფი...
 გულზე მასივებს დაკარგულობა
 ორთა ურთიერთნდობის.

ამერ-იმერი

ამერ-იმერი —
 სიმხდალეში უსაზღვროდ ძუნწი.
 ამერ-იმერი —
 ზღვიდან ზღვამდე გაშლილი უწინ.
 ამერ-იმერი —
 არასოდეს მორჩილი ბედის.
 ამერ-იმერი —
 სიცოცხლეზე სიცოცხლით მეტი.

ამერ-იმერი —
 უძველესი ქვეყანა ღვინის.
 ამერ-იმერი —
 დედამიწის ღამაში შვილი, —
 წყალწითელათი,
 ყვირილათი,
 ჭოროხით,
 ივრით:
 — ნუ გათათრდები! —
 თავისობას ჰქუხდა და ჰყვირის.

ამერ-იმერი —
 სიმხდალეში უსაზღვროდ ძუნწი.
 ამერ-იმერი —
 ზღვიდან ზღვამდე გაშლილი უწინ.

მე ისევ მოვალ

სულ რამდენიმე,
ორი, თუ სამი,
იმედად ჩემდა,
არსებობს სახლი,
სადაც მე ძალმიძს,
ყოველ დროს ძალმიძს
მოულოდნელად დავრეკო ზარი.

ერთ-ერთი მათგან
სახლია შენი,
რომელიც მელის,
ყოველ დროს მელის.

და, ერთხელ, როცა,
და, ერთხელ, როცა
ეგ სახლი შესწევვეტს ჩემდამი ლოდინს,—
მე ისევ მოვალ,
კვლავ შენთან მოვალ, —
მხარზე ჩემივე საფლავის ლოდით.

რტო — საკუთარი ნაყოფის წერა

უკანასკნელად გაიჭრიალა
და სამუდამოდ გაკმინდა ენა
და გაჭკნა ფოთოლ-ნაყოფიანა
რტო — საკუთარი ნაყოფის წერა.

რტოს ერთი წამით დახედა ჩიგმა
და სევდიანი მოსწყვიტა მხერა, —
მერე ბუხარში გათავდა წითლად
რტო — საკუთარი ნაყოფის წერა.

თუ სიკვდილია

გადავლახავდი დრო-ჟამის მიჯნას,
ვიქათქათებდი, ვით ალავერდი, —
მიზანს და სიკვდილს მიზნისას მიზნად, —
დედა რომ არა ორთავეს ერთი.

ვერ მივალწიე,
ვერ ვეღირსე უკეთუ მიზანს,
ვერ გავისწორე უკეთუ ხოში, —
რა ბედენაა დიდუბის და მთაწმინდის მიწა!..
თუ სიკვდილია! —
აი, წოლა მესმის შამქორში.

ხაველად მიჩანს ენგურის ზათქი,
 იერიქონის ღიმილს მგერის ბუკი...
 ტყუილა ვაცდენ მიწაზე ადგილს, —
 ველარ ვიტყუებ თავს რადგან უკვე.

როსმე ფრიალი ქვეყანა ქართლი, —
 დღეს ერცახეა, ვით ტყემლის კურკა...
 ტყუილა ვაცდენ მიწაზე ადგილს, —
 ველარ ვიტყუებ თავს რადგან უკვე.

ყველაფრის კარგად შევიტყვე ყადრი,
 გადაეჩვიე დახვეას უკან...
 ტყუილა ვაცდენ მიწაზე ადგილს, —
 ველარ ვიტყუებ თავს რადგან უკვე.

ვიპოვით?!

ჯურჯა ნაღირაძეს

ძმითა ხარ მთვრალი! —
 ძმობა ჩემგან გინდა რაშილა!
 უნდა გაგიტყდე: —
 წარ ნაღდი კაცი!
 კაცი კი არა, —
 ალიკვალი გარიჟრაჟი ხარ! —
 კაცი კაცობას უკეთუ გაცლის.

შენ საქართველოს ეძებ მიწაში,
 მე ვცდილობ ცაში ვიპოვო იგი
 (ერთხელ, ვეწვიეთ როცა ბიძაშენს,
 ეს, თუ არ ვცდები, პირველად იქ ვთქვი).

ვიპოვით?!
 — კიო! —
 ვისმენ ზოგჯერ გულისას ძანხის.
 თიმთიმებს ფიქრი,
 როგორც სუნთქვით დიაცის რიდე.
 ვიპოვით! —
 რადგან,
 როგორც დევი —
 ქართველი ხალხი, —
 თავს
 იმდენს
 ისევ

მყის
იბამდა, —
რამდენსაც
სჭრიდენ.

იქნება მტერი,
ღმერთო ჩემო,
პოი, რა ცოდვა
(მტერი კი, აბა, ვის არა ჰყავს,
შენც კარგად იცი):
შენ ფარნაუაზის რომ იპოვო
საფლავის ლოდი,
მე, ვთქვათ, თვით შოთას ხელით ქმნილი
პოემა მისი.

ვიპოვით?!
— კიო! —
ახლაც ვისმენ გულისას ძახილს.
თიმთიმებს ფიქრი,
როგორც სუნთქვით დიაცის რიდე.
ვიპოვით! —
რადგან
დღევანდლამდე
ქართველი ხალხი, —
თავს
იმდენს
ისევე
მყის
იბამდა, —
რამდენსაც
სჭრიდენ.

სიტყვა თქმული ფილადელფოს კიკნაძის მიერ
ძმათა თვისთა თანა შუამთაში

ამას,
იმას რომ:
თვალი მტერზე უნდა გვეჭიროს,
ჩვენ კი,
მტრისა წილ,
ღრეობაზე გვიჭირავს თვალი:
ვინ,
ვინ შეგვინდობს,
ანდა რატომ უნდა შეგვინდოს, —
ერთი მითხარი!

ამას,
იმას რომ:
ხელში ხმალი უნდა გვეჭიროს,
ჩვენ კი,
ხმლისა წილ,
ჯიხვისანი გვიჭირავს რქანი:
ვინ,
ვინ შეგვინდობს,
ანდა რატომ უნდა შეგვინდოს, —
ერთი მითხარი!

იბასიანოს,
ღროა,
ღროა,
ქართულმა სუფრამ! —
მოდის მერმისი —
ცოცხით ხელში —
მკაცრი და სუფთა.

ძელი ულპოლველი

რუსთველს ბადალი ვერსად ვუპოვე;
პოემა მისი ძელს ჰგავს ულპოლველს!

კიდობანი რომ იყო ნოესი, —
ამ ხისა იყო, — უსათნოესი!

იმ კიდობანმა ვით იხსნა ვეველა, —
ვინც კი და რაც კი მკვდარია მიწის,
პოემა ესე, სამშობლოს ჩემსას,
თუ წარღვნა იქნა, ისევე იხსნის!

ლხინი ალაზნის ჰალაში

დღეს საქართველო ილტვის ზეცისკენ, —
მცირელა შეგვრჩა რადგანაც მიწა...
შეხედე ჰადარს, —
არის ეს ის ხე,
რომლის ჩეროში ერეკლე იჯდა.

შუაზე აპობს მდინარე სიცხეს,
თავგანწირული ირგვლივ არი სმა...
მოწყენილია თელავის ციხე, —
ვერ იასპინძა რადგან კრწანისმა.

გახურდა ლხინი:
შეეწნა ხმა ხმას,

ხმა გაიმეტა ცის ლურჯმა თაღმაც —
და, როცა ეშხში შევიდნენ უკვე:
შამაპაპურმა სიმღერამ მსუყემ —
იალაზანა,
იალაზანა, —
ორმაგი მისცა ალაზანს ძალა
და გადმოლახა ნაპირნი წყალმა.

ქვითინებს მუხა, — ალაზანს გაღმა,
ილიას თვალწინ რომელიც გახმა...
კახურით გულის ხშირდება ძვერა,
პირზე ღიმილი ახმება გელათს,
თვალეზი ცრემლით ევსება ხანშატს:
ვერ იდავითა პატარა კახმა!
ვერ იდავითა პატარა კახმა!

●

როგორ ფიქრობენ არ ვიცი სხვანი,
ჩემი ღრმა რწმენით კი ასე განლავთ:
რომ არა ქვეყნად იმედი სვალის, —
უმალ სულ-ხორცის მონდება გაყრა.

როგორ ფიქრობენ არ ვიცი სხვანი,
ჩემი ღრმა რწმენით კი ასე განლავთ:
იმედი ქრება როგორც კი სვალის, —
სულ-ხორცის ხდება მაშინვე გაყრაც.

●

სიტყვაზე ვამბობ,
თავს კი არ ვადრი,
ჩემი „სიკეთის“ არ იყოს, თურმე,
რა ცოტამ შენი იცოდა ვადრი,
რა ბევრის თვალში იყავ შენ ხურმა.

სიტყვაზე ვამბობ,
თავს კი არ ვადრი,
ჩემი „სიკეთის“ არ იყოს, შენაც,
კი გჭკვრებდა, მაგრამ ვერ გრძნობდა ქართლი, —
რა ეშნი ახლდა შენს აღმოჩენას.

სიტყვაზე ვამბობ,
თავს კი არ ვადრი,
ჯანდაბას, ბედმა მეც შენებრ მიმტროს:
შენი როდესაც გაიგეს ვადრი,
მიწა იყავი შენ უკვე იმ ღროს.

დიდსა, თუ მცირეს, თავს როცა ვადრი, —
ვარ სამშობლოში, თუ ცხრა მთას იქით:
ვარამად ჩემდა, — ვრწმუნდები რაშიც, —
თქმას ჩემგან მისას,
სჯობს სხვამ თქვას იგი!
იტყვის?!
კი! —
როსმე უთუოდ იტყვის!

სისხლად მიმოდის ღღეს ჩემში იგი

ყველაზე უწინ ვინც გასწლა ეაზი,
ქვა სხვაზე უწინ ვინც დასვა ქვაზე,
ვინც სხვაზე უწინ გასჭვდა რკინა,
ვინც სხვაზე უწინ იხმარა ინა,
ქრისტეს შობამდე ვინც შექმნა წიგნი, —
სისხლად მიმოდის
ღღეს
ჩემში
იგი.

მოიპოვება რა! — ქვეყანაზე!
მოიპოვება რა! — თუ გინდ ცაში!
რომ ჩემთან იგი არ იყოს ბავშვი
და სისხლის ჩემის რომ იყოს ფასი?!



დავდივარ, როგორც დადიოდა ჩემამდე ბევრი,
ჩემს თავზეც ბრუნავს ხან დოლაბი, ხან კიდეც კვერი-

ვხედავ: რეგენი ლაპარაკობს ამაყად, მძიმედ,
და, მე შენ ვეტყვი, უბატონოდ ხმას გასცემს ვინმე.

ქალი თუ კაცი ეჯიბრება იმაში ურთერთს:
ფიქრის და სიტყვის დაშორებას ვინ შესძლებს უკეთ-

გზადაგზა მხვდება კმაყოფილი სიფათი რეგენის,
ფოთლებს უწვდიან ლამაზმანებს ამაოდ ლელვნი.

ღროღადრო მესმის უხერხული ხალხური ლექსი: —
ვკამოთო კარგად, არაფერი შეგვგრჩება მეტი.

ვაი, ჩვენს პატრონს, ჩვენი ყოფის თავი და ბოლო, —
ჭამა და საჭმლის მონელება თუ არის მხოლოდ.

დაედივარ, როგორც დადიოდა ჩემამდე ბევრი,
ჩემს თავზეც ბრუნავს ხან დოლაბი, ხან კიდევ კევრი.

თქვა ოპიზარმა

ტანახოვანმა, — დღეს მიწაში მწოლმა გულადმა,
თქვა ოპიზარმა, ხოტივარმა, თუ ხახულარმა:

დაჯდები ქოხში, სასახლეში, თუ ხის გრილოში:
ღვინო შენ უნდა დალიო და არა ღვინომ — შენ¹

ქენი, ძისძენი შეფე გუბაზის, —
მერე რამდენი, მერე რამდენი! —
დახოცილები ქართულ სუფრაზე, —
დიღომში¹ წვანან სამარაბდენი.

შნიშნი, ბადიშნი ლაზი ფარტაზის, —
გალეშილები, არა ფხიზელნი,
ხშირ შემთხვევაში მსხდარნი პანტაზე, —
ვაკეში² წვანან საასპინძენი.

კმარა.
გვიანდა იქნება მერე! —
გვიანლოვდება, ვხედავ, წერტილი...
და საქართველოს უკვდავი მტერი —
სიცილით კვდება ჯალალედინი.

3 0 0

ვით, ვით არ უნდა ირწმუნო ჭორი!
ვით უნდა მიხვდე:
ვინ არი სწორი! —
ერთმანეთს როცა,
ვით ყურსა ყური,
ჭვავს ფიცი მართლის და ფიცი მტყუენის.

1. 2. — იგულისხმება დიდმისა და ვაკის სასაფლაოები.

ზარ საესავი ჩემთვის ტაძარი,
ზარ გარჭობილი გულში ისარი,..
სიტყვა სიტყვაში თუ ვერ ჩავწანი,
ვით ჩუქურთმანი მცხეთის ჯვრისანი,
სამაგიეროდ, — ჩემში რაც არი, —
სხვისი არაა ერთი მისხალი.

მორჩა.

გათავდა.

მე განზე ვრჩები.

ვინიცობაა, მწედ მექმნა ღმერთი,
და, თუ ოდესმე ქონება ჩემი, —
მნიშვნელოვანი რამ გახდა შენთვის! —
ნომ კარგი!

და, თუ არ მოხდა ასე,

და მოხდა ისე, —

ვით ბევრის თავზე;

წუთისოფელი როცა მიყვლებს, —
თიხად ქე მაინც გამომიყენე!



ახმეტ ჩერქეზი

ქინკული გაზაფხული იცის ჩვენში. გავყურებდი თეთრად გადაპენტილ ტყემლისა და ალუჩის ხეებს და, ასე მეგონა, ყვავილები კი არა, თოვლის ფანტელები დაყროდა ტოტებს და სციოდათ, საშინლად სციოდათ თოვლისფერ ყვავილებს. მათი შემყურე, მეც ვიბუზებოდი უნებურად — სისინა, სუსხიანი ნიავი მთელ ტანში მივლიდა და მაყრყოლებდა. ცაზე რუხი, მძიმე ღრუბლები იწეწებოდნენ.

და აი, ერთბაშად მოვარდა გაზაფხული, მოვარდა თქიშინა წვიმითა და გამაყრუებელი ჭექა-ქუხილით და მყისვე გადარცხა ზამთრის ნაკვალევი გაუუბულ ხეთა კვირტებზე.

მიწიდან სწრაფად ამოხეთქა თოთო ბალახმა.

მოხასხასე ცის გუმბათი ჩამოდვრას ლამობდა და მაშინ ლურჯი ფერი ერთიანად წალეკავდა ირგვლივ ყველაფერს.

ქვის მაგიდაზე გადაშლილ წიგნებსა და რვეულებზე თავი ჩამოვდე და გავიტრუნე.

არაფერზე არ ვფიქრობ, სრულიად არაფერზე. წყალსა და მეწყერს წაუღია ახლა ლოგართმეები და ტრიგონომეტრიის ამოცანები. რა დროს გაკვეთილებია...

სიჩუმეა. ხანდახან თუ მოაღწევს ჩემს ყურამდე კარის ჭრიალი — ეს დედაჩემი საქმიანობს სამზადში. ხანაც ქათმე-

ბის უეცარი ქოთქოთ-კრიახი და მამლის ომახიანი შემოძახილი არღვევს დუმილს. ხან კიდევ მერცხლები ჟივ-ჟივით გადასერავენ ცას.

ანაზღად საღდაც ახლოს შაშვი აქაჩქახდა — ეს ჩვენი ეზოს შაშვია. მამაჩემი ასე ეძახის, რადგან ყოველ გაზაფხულზე იგი ჩვენი ფიჭვის ხის ტოტზე შემოჯდება და გალობას იწყებს ხოლმე.

მერე შაშვი გაჩუმდა და სრული სიჩუმე ჩამოვარდა ისევ.

ჯერ თითქოს შორიდან, ძალიან შორიდან, ბუნდად ჩამესმა ის ხმა, მერე თანდათან გაძლიერდა, გაძლიერდა და ჩემს ცნობიერებაში შემოაღწია გარკვევით...

წამოვდექი და მთვარეულივით მივყევი ამ ხმას. ჩვენი და ახმეტ ჩერქეზის ეზო-კარის საზიარო ღობემდე მივედი და შევჩერდი.

ღობის იქით თხილნარია. ახლადშეფოთილი, ტანაშოლიტლი ნორჩი ხეების ქვეშ მოლი ლივლივებს. თხილნარის მიღმა კი ახმეტის რუსულ ყაიდაზე თეთრად შეფეთილი პატარა ოდასახლი მოჩანს.

ლაფაროში, ხის გრძელ მერხზე, ჩერებდა თუ საბანში გახვეული, თავზე ფაფახამოფხატული ახმეტი ზის და მზეს შეჰყეპის.

აგერ, ორი თუ სამი წელია ახმეტი ეზოს გარეთ გამოსული არავის უნახავს. ლოგინად ჩაეარდნილ ბერიკაცს მდგმუ-

რი, რუსის ფაშფაშა, ზორბა დედაკაცი უვლის.

ახმეტ ჩერქეზი ოცდაათიან წლებში გამოჩენილა ჩვენს პატარა ქალაქში და მას შემდეგ ფეხმოუცვლელად ცხოვრობს აქ. მისი ნამდვილი გვარი მამელოვა (მე ეს გვიან გავიგე), მაგრამ გვარით არავინ ასხენებს — ყველანი ახმეტ ჩერქეზს ეძახიან. უფროსებისგან გამოგონია, ახმეტს თავის ქვეყანაში, ჩერქეზეთში, კაცი შემოკვდომია, მიუტოვებია ცოლ-შვილი და შურისმაძიებლებს გამოქცევიათ. ვინ იცის, სად და რამდენი იხეტიალა, სანამ ჩვენს ქალაქში ჰპოვებდა თავსეაფარს.

ჩვენს მეზობლად ერთი ცარიელი მიწის ნაკვეთი შემოუყავებია, შიგ ჩაუდგამს ოღა-სახლი, რუსულ ყაიდაზე შეფეთქილ-შელესილი და ცხოვრობდა თავისთვის მარტო, ჩუმად. ადრე ცოლიც ჰყოლია, ერთი ქვრივი შეუერთავს. ქალს თან ბავშვი მოჰყოლია. მერე ცოლი მოკვდომია და ახმეტის ანბარა დარჩენილა გერი. ვასია (ასე ეძახდნენ ახმეტის გერს), საოცრად წყნარი, კეთილი და მშვიდი ბიჭი ყოფილა — ყველას ძალიან ჰყვარებია. ამბობენ, ახმეტსაც განსაკუთრებით უყვარდაო. ომი რომ დაიწყო, ვასია ჯარში წასულა და კურსკთან დაღუპულა. ახმეტს ძალიან განუცდია გერის სიკვდილი. ისედაც გულჩათხრობილი და სიტყვაძუნწი, სულ მთლად ჰაკეტილა საკუთარ თავში.

ჩემს ხსოვნაში ახმეტ ჩერქეზი შემოვიდა დაჩაჩანაკებულ, წელში მოხრილ ბერიკაცად. რაც თავი მახსოვს, ჩვენი აბანოს ცეცხლფარეშად მუშაობდა. სხვათაშორის, ჩვენს პატარა ქალაქში ახმეტი ერთადერთი წარმომადგენელი გახლდათ ამ პროფესიისა. ასე რომ ხშირად მასზე იყო დამოკიდებული ჩვენი აბანოს ბედ-იღბალი. ახმეტი კი, გარდა იმისა, რომ უკვე ბერიკაცი იყო, ბრუსიანი და ნახევრად ყრუც გახლდათ. ამის წყალობით იყო თუ კიდევ სხვა რამ მიზეზით, აბანოში ხშირად ირღვეოდა მუშაობის განრიგი. იცოცხლეთ, მაშინ ახმეტს სხვა სიკეთესთან

ერთად, ნახევრად გასაპნული კლიენტების ლოცვა-კურთხევაც არ აკლდა.

ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ ახმეტს თითქმის არ ესმოდა, როგორ ამკობდნენ მას გაცეცხლებული, აბანოს უწესიერო მუშაობის გამო აბეზარს მოსული მოქალაქენი.

ახმეტი იდგა და დაჰყეტილი თვალებით მშვიდად შესჩერებოდა საღუმელეში შემოვარდნილ, გააფთრებულ ადამიანებს. როცა ლანძღვა-გინება ზენიტს მიაღწევდა. მარჯვენა ხელს ასწევდა, ყურზე მიიფარებდა და ერთადერთ ბეგარს გამოსცემდა:

— ა?!

ამას გვრავინ ზძობოდა. დამდურულივით გამორბოდნენ გარეთ.

— ა, და ზახრუმა შენ და იმას, ვინც შენ აქ გაჩერებს, — და სასოწარკვეთილნი ჩაიქნევენ ხოლმე ხელს.

მაგრამ ახმეტმა გაბრაზებაც იცოდა და მერე როგორი გაბრაზება. უცებ ათუხთუხდებოდა. თავისი დამტვრეული რუსულით და ჩიქორთული მეგრულით ჯაჯლანს რომ მოჰყვებოდა, აღარ გაათავებდა. ეს კი საოცარ ეფექტს ახდენდა. გარშემო მყოფთ, როგორი გააღმასებულნიც არ უნდა ყოფილიყვნენ, სიცილი წასკდებოდათ. ხანდახან საგანგებოდ გამოჰყავდათ ხოლმე ახმეტი წონასწორობიდან, რომ გული სიცილით მოეჯერებინათ.

განსაკუთრებით ჩვენგან, ბავშვებისგან ჰქონდა სიციცხლე გამწარებული ახმეტს.

გზად მიმავალს უსათუოდ ავედევენებოდათ. ერთი წინიდან შემოუვლიდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დასჰყევლებდა:

— ახმეტ, ა, ა!

მეორე გვერდზე ამოუდგებოდა და გამყინავი ხმით შეუძახებდა:

— ა, ა, ახმეტ!

მესამე ბოხი ხმით დაიბუხუნებდა:

— ახმეტ, ახმეტ, ააა!

საწყალი ციბრუტივით ტრიალებდა, ხან ერთისკენ მიბრუნდებოდა, ხან მეორისკენ, ხან მესამისკენ. მაგრამ ახლა

უკვე მთელი გუნდი ეხვია გარს და ყველანი ყურისწამლებად ვლრიალბდით:

— ა, ა, ა, ხამეტ, ცანცირ, ა, აა!

ცანცირი არ მახსოვს პირველად ვინ ან რატომ შეარქვა. არც ის ვიცოდით, რას ნიშნავდა იგი და მაინც ყველანი ცანცირს გავყვიროდით.

როცა ილაჯი გაუწყდებოდა, დაიკუნებოდა და მიწაზე ხელის ფათურს მოჰყვებოდა, აქაოდა, ქვას ვეძებ და მიფრთხილდითო, და მართლაც, თუკი რამეს მოიხელთებდ, არ გვზოგავდა, ოღონდ ეს იყო — მიზანში ვერასოდეს ახვედრებდა.

ბოლოს, როცა ძალიან გავუჭირეთ საქმე, დიდი ჯოხის ტარება დაიწყო. იქნებ ამით მაინც შეშინდნენ და მომეშვანო. მაგრამ საქმეში ხართ! ამან კიდევ უფრო გაგვაქეზა, ბოლოს ისეთი ოინი ვუყავით, რომ...

თუმცა სანამ ამა მოვყვებოდე, ჯერ ერთი ამბავი უნდა გავისხენო,

წიდან აღვნიშნე, ახმეტი თავისთვის, მართო ცხოვრობდა-მეთქი. ეს მთლად სწორი არ არის. ახმეტი ხშირად იცვლიდა მდგომარეობს. ქერთმიან ჯილაგს ეტანებოდა უფრო, მაგრამ დიდხანს არავის აჩერებდა თავისთან, უწყისო საქციელის გამო (ასე განმარტავდა თურმე თვითონ მათი გაძევების მიზეზს). საერთოდ კი ერთობ სიტყვაძვირი, კუმტი კაცი იყო. არ უყვარდა მეზობლებში სიარული. არც მეზობლები უტალახიანებდნენ მაინცდამაინც კარს.

ჩვენ, ბავშვებმა, მახსოვს მხოლოდ ერთხელ შევდგით ფეხი მის ეზოში და ეს მოხდა მაშინ, როცა ახმეტის „ოღასახლს“ ცეცხლი გაუჩნდა. პირველად მამაჩემს შეემჩნია ცეცხლის ალი. თავისი მჭექარე ხმით წამსვე შეყარა მეზობლები. თვითონ პირველი შეიჭრა ცეცხლმოკიდებულ სახლში. ვალეშილ ახმეტს თურმე გულიანად ეძინა. რომ ვერ გამოაფხიზლა, დაავლო ხელი და გარეთ გამოათრია გუდღურასავით.

ჩვენ, ბავშვები ხალისით შეეცქეროდით ხანძარს, გვართობდა და გვსიამოვ-

ნებდა ის ფუსფუსი და ალიაქოთი, როცა ირგვლივ იდგა. მამაჩემის სიმარტყველობით მოხერხდა ახმეტის ბარგი-ბარხანის გადარჩენა. თუმცა სახლს კი ვერა უშველეს რა.

ახლაც თვალწინ მიდგას უმწეოდ მოფარფატე ახმეტი, ხან ერთ ჯგუფთან რომ მიფრატუნობდა ცარიელი ვედროთი, ხან მეორესთან. და რაღაცას ლულულულებდა. ყველას ფეხებში ებლანდებოდა, სანამ მამაჩემმა არ უყვირა, გაგვეცალე, ხელს ნუ გვოლიო.

სახანძრო მანქანა მაშინ მოვიდა, როცა სახლის ჭერი და კედლები უკვე ჩამოიქცა. და დამის სიბნელეში ახალი ძალით აბრდღვიალდა ცეცხლის ენები. ბავშვებმა კიეინა მოვრთეთ და ხტუნვა დავიწყეთ, მაგრამ მამაჩემმა ისე დაგვიცაცხანა, რომ მაშინვე ხმა ჩავიწყვიტეთ.

ხალხმა მეხანძრეებს სიცილი დააყარა.

„კაი დროს მოვიდნენ, კაი ამით მოუვათ!“ „ამათი იმედი ჩემს მტერს ჰქონდეს“ „გვეშველა, აწი რალა გვიჭირს. მეგოიას ბიჭი ჩააქრობს ხანძარს, წინ რა დაუდგება?“ მეგოიას ბიჭი კი, ერთი ჩია, გამხდარი კაცი იყო: ისე დინჯად იძლეოდა განკარგულებას, თითქოს არ ესმოდა ეს გამკილავი სიტყვები. თუმცა აშკარად ჩანდა, ახლა ვერანაირი განკარგულება საქმეს ველარ უშველიდა, იგი მაინც საოცარი გულმოდგინეობით ახდენდა თავისი პროფესიის კანონების დემონსტრაციას გაღიზიანებული ხალხის წინაშე.

საცოდავად მოკუნტული ახმეტი გარეთ გამოყრილი თავისი ბარგი-ბარხანის ახლოს მიწაზე ჩამჯდარიყო. მამაჩემი მივიდა და ლაპარაკი დაუწყო. ახმეტი ქვევიდან შესცქეროდა მამაჩემს, თავს აკანტურებდა და ხელის გულს ხან ერთ თვალზე ამოისვამდა, ხან მეორეზე.

მამაჩემის თაოსნობით მეზობლებმა ფული შეუგროვეს ახმეტს. მამა შემ-

ცილა არაფალია

ახმეტ ჩირმეზი



დეგ ღიმილით ყვებოდა, მაგ საცოდავს ფული რომ მიეუტანე, თვალებს არ უჯერებდა — „ზაჩემ ეტო, ო, ალაპ, ბოჟე მოი, ჯაბა, ნე ნადო... სპასიბო. ნე ნადო... მადლობა ვორექი, მუშენ შეწუხით, პატონი, ვოი, ჩქიმი ღურა“...

მამა თან აჯერებდა ახმეტს, თან ვატყობდი, საშინლად ებრალებოდა:

— თავის კუთხიდან გადმოკარგული კაცია ეგ უბედური, ცოდვია... — თქვა ბოლოს. — ძნელია უცხო ხალხში ცხოვრება...

— ვინ ეხვეწებოდა მერე, ეცხოვრა თავის ქვეყანაში, — შეესიტყვა ჩემი უმცროსი და.

— თავის ქვეყანაში არ ეცხოვრებოდა ალბათ, თორემ სამშობლოს ადვილად ვერ შეეღებოდა ადამიანი. მერე ეგ ჩერქეზია, კავკასიელი...

— ნეტაი ეგ რა ჩერქეზია! ფუი, რას ჰგავს! — დაიჟყანა ჩემი და — (მისი წარმოდგენით, ჩერქეზი ალბათ ლამაზი, მოხდენილი კაცი უნდა ყოფილიყო უეჭველად. ახმეტი კი სიმახინჯის განსახიერება გახლდათ და როგორც ყველა ბავშვში, სიმახინჯე მასშიც სიძულვილს და ზიზღს იწვევდა). გატყრინული ვიჯექი და გულმოდგინედ შევცაქროდი ღუმელზე შემდგარ ქვებს.

— ყოველთვის კი არ იყო ასეთი ჩაჩანაკი. ახლა დაბერდა და მოტყდა...

— ეგ რომ კაი კაცი იყოს თავის ქვეყნიდან არ გამოიქცეოდა, — ანაზადად ხმა ამოიღო დედამ, რომელაც აქამდე თავისთვის საქმიანობდა ღუმელთან მიმდგარი, — ვერ ხედავთ, არავის იკარებს, სულ თავისთვისაა. პირველად იმ ხანძრის დროს შევედი მის ეზო-ყურეში. ის ფულიც ტყუილად უბრალოდ შეაგროვეთ, წყალში გადაყრილივითა... ბოროტი, ავი კაცია. ბავშვებს რომ ქვებს დაუშენს, აბა ის კეთილი სული იქნება?!

— ქვას კი არა, რატომ უარესს არ შვრება! ეს გაფუჭებული ბავშვები რომ აწვალებენ მაგ საცოდავს და საშველს არ აძლევენ, იმას რატომ ვერ ხედავ?

ყური უნდა აახლიჩო ამ მამამძღოლებს! სიბრალული ამათ არ იციან და ვატივისცემა უფროსებისა! ის როგორ იყო, თოფის წამალი რომ მომპარე, ვაჟბატონო, და კინაღამ ღუმელი ააფეთქეთ? — ანაზადად მომიბრუნდა მამაჩემი.

— მე, მე...

თავზარი დამეცა. ენა დამება. მამამ ნეტავ საიდან გაიგო ეს ამბავი!

— მე, მე... იპეტელე ახლა თხასავით! — გამომაჯავრა მამაჩემმა, — შენ გეგონა, ვერ გავიგებდი? შე უღლეურო, რა უნდა გამომაპაროთ შენ და შენმა წვინტილიანმა ამხანაგებმა! რამე მოსვლოდა მაგ საცოდავს, სად მიდიოდიოთ მერე? სა მიწაში მიძვრებოდიოთ?

— ჩვენ... ჩვენ ვიხუმრეთ... არ გეგონა... — თვალებს ვერ ვუსწორებდი მამაჩემს.

— ხმა ჩაიწყვიტე! კიდევ თავს იმართლებს! ზუმრობაა, ბერიკაცს კინაღამ გული გაუხეთქეთ, თქვე მამამძღოლებო!

— რა აფეთქებოთ, რა ღუმელიო, რას ამბობ კაცო? — შემფოთებით მოგჯერებოდა ორივეს გაოგნებული დედაჩემი.

„ახლა ამის შეცხადება მაკლდა!“ გამიელვა გულშედონებულს. მაგრამ მამას ყურადღება არ მიუქცევია დედაჩემის სიტყვებისათვის. იგი მე მიყურებდა თვალმოუშორებლივ და მეც ისე ვგრძნობდი თავს, როგორც თევზი ტაფაში.

— აქამდე ხმას თუ არ ვიღებდი, გიყურებდი, აბა, სანამ გეყოფოდა თავხედობა და სანამ დამალავდი დანაშაულს. აბა, ბიჭი იქნები და გაეკარები აწი ჩემს თოფს და საპირისწამლეს. უკანასკნელი იქნება შენთვის ჩემთან სანადიროდ წამოსვლა და, საერთოდ, პირველი და უკანასკნელი იყოს შენთვის ამგვარი ოინაზობა. გაბრძანდი ახლა აქედან და თვალით არ დამენახო!

უსიტყვოდ გამოვიძურწე სამაზადიდან. გული მეწვოდა.

მამამ ცემა-ტყემა არ იცის საერთოდ. არ მახსოვს, ოდესმე ხელი დაეკარები-



ნოს ჩემთვის, არც ტყუილ-უბრალოდ გამლანძღავს. მაგრამ თუ მოთმინებიდან გამოვიდა, ისეთი სახე უხდება, თვალებს ისე დააბრიალებს, მტრისას! გული გაგისკდება კაცს შიშისაგან. მაგრამ ამჯერად მარტო ეს შიში არ მამყოფინა. ამაზე უარეს სასჯელს კი ძეხორციელი ვერ მოიგონებდა ჩემთვის. როგორ მომქონდა თავი, როგორ მემამყებოდა, რომ მამას ხანდახან სანადიროდ დავყავდი! ეს უდიდესი ნდობისა და ჩემი გულადობის აღიარების უტყუარი ნიშანი გახლდათ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა. ასე მჯეროდა. ახლა კი...

ყველაფერი წყალში ჩამეყარა. მერჩია, ერთი მაგრად მოვებთქე. სულ კი იმ დაწყევლილი ღუმელის ბრალი იყო ყველაფერი.

...ის-ის იყო რეკორდული სისწრაფით ჩამოვათავე დაღმართი, როცა ჩემთან ქარხალივით გაწითლებულმა და აქლოშინებულმა ომიკომ მოიბრინა და მითხრა, კოკი და ალიკო გიბარებენ, სასწრაფოდ ჩვენთან მოვიდესო. ოფლში ვიყავი გახვითქული და სულს ძლივს ვითქვამდი: სად არიან-მეთქი, მოგონილი დაუდევრობით ვკითხე ომიკოს და თან გულის სიღრმეში მესიამოვნა, რომ ასეთი დიდი და ცნობილი ბიჭები მიბარებდნენ. მანჩას მსხლის ძირში არიან თავმოყრილიო, მომიგო ომიკომ. მე გეზად გადავხედე ამ ამბით არანაკლებ გაოცებულ და დაინტერესებულ ლიფსიტებს (ასე გვეძახოდნენ პატარებს დიდი ბიჭები), ვითომ უხალისოდ ჩავაბარე „სამოკატკა“ თვალბედაცეებულ თემურს, და ომიკოს მანჩას მსხლისკენ გავყევი.

მანჩა ჩემი დიდი პაპა იყო — მამაჩემის ბაბუა. და ეს ბებერი, უზარმაზარი მსხალი სწორედ მის სახელს ატარებდა, რადგან მისი დარგული ყოფილიყო.

მსხალი მანჩას ეზო-ყურის გარეთ, შემოუკავებელ, ცარიელ მიწის ნაკვეთზე იდგა და მის ძირში ხშირად ვიკრიბებოდით ხოლმე ჩვენი უბნის გოგობი-

ტები, თან გემრიელ მსხალს შევამატებდით, თან ათასგვარ თამაშობებს თავდით.

გზაში გულის ძვერა მემატებოდა: ნეტავი რისთვის მიბარებენ — კოკი ჩემი ნათესავია და ვთქვათ, რაიმესთვის დავჭირდი, მაგრამ ალიკო? გულმა ვერ მომიტმინა და ომიკოს გამოკითხვა დაუწყე. მაგრამ ომიკომ წელანდელ ნათქვამს ვერაფერი დაუმატა. სამაგიეროდ, მენიშნა, რომ დანარჩენ ბიჭებში ახსენა მუშნი. მუშნი ჩვენი უბნის ერთ-ერთი ყველაზე თავზეხელაღებული და აბეზარი ბიჭი იყო. იშვიათად გაერეოდა უბნელი ბიჭების თამაშობებში, რადგან ქალაქის უფრო მოზრდილ ყმაწვილებთან ჰქონდა ურთიერთობა და თავი ამის გამოისობით დიდი რიხითა და გამომწვევად ეჭირალიფსიტებს ხომ ზედაც არ გვიყურებდა, და თუ შეგვემჩნევდა, მხოლოდ იმისათვის, რომ ხელი შემოეკრა ან ენით გავეკენწლეთ. ამის გამო და კიდევ ბევრი რალაცეების გამო პატარებს გვეჭავრებოდა და თან გვეშინოდა კიდევ მისი.

მსხლის ძირში თავი მოეყარა შვიდიოდე მოზრდილ მეცხრე, მეათე კლასელ ბიჭს. თუმცა მზე გადახრილი იყო, მაგრამ მაინც საკმაოდ ცხელოდა და მსხლის ჩრდილს შეფარებული ბიჭები მარტო ტრუსების ამარა წამოკოტირალებულიყვნენ მიწაზე.

ჩემს დანახვაზე კოკიმ — ჩემმა ნათესავმა — წამოიძახა:

— აგერ, ბაცაც მოვიდაო, და წამოგადა. გული უფრო ძალუმად ამიძგერდა. რატომღაც მუხლებიც კი ამიკანკალდა. თვალბედაში წამით ნისლი ჩამიდგა. უფრო მუშნის სახის გამომეტყველებამ ამირია თავგზა.

— აბა, ომიკო, მოუსვი აქედან! ცოცხლად! — ღიმილით უთხრა კოკიმ ჩემს უკან, მოშორებით მდგარ ომიკოს და ისიც ხმის ამოუღებლად გატრილდა.

ცინლა არღაშლია
ახმატ ჩირაქი



— მოდი აქ, ბაცა, შენ ერთი საქმე უნდა დაგავალოთ. შენი კანდიდატურა მე წამოვაცენე და იმედია, სირცხვილს არ მაჭმევ. მაგრამ თუ თავის იმედი არ გაქვს, სჯობია აქედანვე უარი თქვა.

ჯერ კიდევ დაბნეული ვიყავი, უფრო სწორად, მუშნის წვრილი, შავი თვალეზის გამკვალავ, ბასრ მზერას ვყავდი მონუსხული. იგი თურქის ფაშასავით იჭდა ფეხებგადაჯვარედინებული და მზერას არ მაცილებდა. ამიტომ წესიერად არც გამიგონია, რა მითხრა კოკიმ, უბრალოდ, გუმანით ვხვდებოდი, რაღაც დავალებას რომ მაძლევდნენ.

— ამას სახეზე ეტყობა, დიდი მშვიდა-რა ვილაცაა.

თითქოს გულზე ბასრი დანა დამინვეს. მუშნის ამ სიტყვებმა და უფრო კი მისმა კილომ, სულის სიღრმემდე შეურაცხმყო. თურმე რა შესძლებია ერთ მწარე, გესლიან სიტყვას. აი, ახლაც, ამდენი წლის შემდეგ გულს მტკივნეულად მიწურავს მისი მოვონება.

ვიგრძენი, რომ შევიმართე, სახე დამესხიბა.

— მე... სულაც არა ვარ მშვიდარა, — ვთქვი აქანკალეზული ხმით.

— მუშნი! — დაუძახა მას ვილაცამ, მგონი კოკიმ თუ ალიკომ. მაგრამ მუშნის ყურადღება არ მიუქცევია ამ ხმისათვის, იგი ისევ მე მიყურებდა დამცინავად მოწყურული თვალეზით. პერე ტუჩები დაბრიცა:

— რას მელაპარაკები, ბიჭო? — სიტყვების გაწელებით ვანგებ გაიკვირვა მუშნიმ და თან „ბიჭო“ ისეთი კილოთი წარმოთქვა, სახეზე ცეცხლი მომეკიდა.

— მე... სანადიროდ დავეყვარ მამაჩემს, — უნებურად აღმომხდა და თვალზე ცრემლი მომაწვა.

— ოხო, ხოხო! — მუშნი უცებ უკან გადავარდა და ფეხები ასხმარტალა, იქნევდა ჰაერში ფეხებს და თან სიცილით იფხრიწებოდა.

ახლაც ყურებში მიდგას ის სიცილი, ჩემს სიცოცხლეში ეს პირველად ასე უსაშველოდ დამცირებულად, ასე დაწიხლულად რომ ვიგრძენი თავი, მერე, ცხოვრების გრძელ გზაზე ბევრჯერ მოგიწამლავს გულს ასეთი სიცილი, ბევრჯერ ახითხითდება შენს ყურის ძირში მავნე სული, მაგრამ ბავშვის სათუთი გულისათვის პირველი სიმწარე მაინც სხვა ყოფილა. იგი გამორჩეულად მტკივნეულია და თანაც თავისი წარმოუდგენელი უსამართლობით, თავზარდამცემი.

„რა უნდა, რას მერჩის, რა დამიშავებია?“ — ამ კითხვასაც მერე ბევრჯერ დასვამ, მაგრამ პირველი უსამართლობის სიმწვავეს სხვა ვერაფერი შეედრება, რადგან იგი სიძულვილის, მტრობის პირველ ბოროტ მარცვალს თესავს შენს გულში.

მან უცებ შეწყვიტა სიცილი და პირვანდელ პოზას დაუბრუნდა — კვლავ ფეხმორთხმით დაჯდა და თვალები მომასო. მისი მწითური, გაბერილი ლოყები, გაბუშტული ცხვირი ამ წუთას მძულდა საშინელი სიძულვილით.

— ბიჭო, ჯიხვებზე სანადიროდ დაკვავხარ მამაშენს თუ ტახებზე? — ისევ ისე მომჩერებოდა სახეზე და დამცინავი ღიმილისგან ტუჩები ეგრისებოდა.

„რას მერჩის?“ გული ერთხელ კიდევ შემეკუმშა (მერე, როცა გავიზარდე, მიხვდვი, პირადად მე არაფერს მერჩოდა. თავისაზე სუსტი არსების დამცირება და შეურაცყოფა მისი თვისება იყო, მისი შინაგანი არსის გამოვლენა გახლდათ მხოლოდ.)

„ელში გავიმართე, თვალი თვალში გავუყარე გამომწვევად, ამაყად. ვიგრძენი, რომ ახლა სიკვდილის წინაშეც არ დავიხვედი უკან.“

— შენ კურდღელზე სანადიროდაც არ გამოდგები... მაგალითად! — მივახალე და ხელები უნებურად მომემუჭა.

— რაო? რას მიბედავს ეს ვირიშვილი? — წამოვარდა უცებ სახეანთებუ-

ლი, რისხვით თვალეზაპრიალებული მუშნი.

— ვირიშვილიც ხარ და უფრო მეტიც! — ვიცოდი, ლუქმად არ ვეყოფოდი, მაგრამ ამაზე სულ არ ვფიქრობდი ახლა. მე უკვე გადავებიჯე იმ მიჯნას, რასაც შიშის მიჯნა ჰქვია. პატარა ბიჭის კი არა, არამხუტუს გული მედო ახლა მკერდში და არამხუტუსავით უძლეველი ვიყავი!

მთელი ეს სცენა ისე სწრაფად, ისე ერთბაშად გათამაშდა, რომ დანარჩენი ბიჭები შეურხვევლად, უხმოდ შემოგვტყუროდნენ. მაგრამ როცა მუშნი გინებით ჩემსკენ წამოვიდა, ყაყანით წამოიშალნენ.

— მართლა, როგორ უბედავს ეს ლაწირაკი ამდენს! მოსაკლავია! — მომესმა ვიღაცის წამოძახილი. (იგი იმის ხმა იყო, ვინც ყოველთვის ძლიერის მხარეზეა და ვინც ჭეშმარიტებას და სამართლიანობას წამსვე გათელავს ფეხებით, ოღონდ ძლიერს აამოს). მუშნის კოკი და ალიკო გადაეღობნენ. მუშნი პირველ დამრტყმელ და მოჩხუბარ ბიჭად ითვლებოდა, ალიკოს გალახული კი მე არავინ მინახავს, იგი მშვიდი და წყნარი ბიჭი იყო. თუმცა როგორც შემდეგ გავიგე, ჩხუბში პირველი არასოდეს გაერეოდა, მაგრამ თუკი გაერეოდა, მერე მოწინააღმდეგეს ძვირად უჯდებოდა მისი ვაბრაზება.

ახლაც არ ვიცი როგორ მოხდა, რაწაირად (ალბათ მუშნი არ მოელოდა ალიკოს გამოსარჩლებას და საერთოდაც ისინი არასოდეს შეჯახებიან თურმე ერთმანეთს, რადგან, შესაძლოა, როგორც თანაუბნელნი, ქვეშეცნეულად გაუბროდნენ კიდეც ამ შეჯახებას), — მაგრამ ალიკოს მკლავებში მოქცეული მუშნი უცნაურად დადრკა, მოიჩხვართა. პირველად ახლა ვნახე ალიკოს რისხვით ანთებული თვალები. როცა ხელები შეუშვა, მუშნი ძლიერად იკლავებოდა და მკლავებზე ხან ერთ ხელს ისვამდა, ხან მეორეს.

— წადი ახლა, დაგვტოვე! — უბრაოდანა ვანზე გამდგარმა ალიკომ მუშნი ადგილზე უცნაურად მოქანავე მუშნის და თვალით ანიშნა მიმართულება. ჩემდა გასაოცრად, მუშნი მორჩილად წალასლასდა ალიკოს მიერ ნაჩვენები მხრისკენ.

— ამ ბავშვს თავი გაანებე საერთოდ, არ გაბედო ხელის დაკარება, თორემ! — მიაძახა მიმავალს და მერე ჩვენკენ მოტრიალდა.

გამტრებული ვიდექი. მაშინ პირველად, ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ვიგრძენი, რა მხდალი და გულღედალია მასზე ძლიერის წინაშე განუკითხავი, ბოროტი კაცი.

ალიკომ ანაზღად კისერზე ხელი გადამხვია. რიდიტ და კრძალვით ავხედე: მას სახე უკვე დამშვიდებული ჰქონდა, ილიმებოდა, თუმცა თვალეზაში კიდევ ჩარჩენოდა წინანდელი რისხვის ნაკვალევი; ისევ ის წყნარი, მშვიდი, საყვარელი ბიჭი იდგა ჩემს წინ.

— ეს მართლა მაგარი ბიჭი ყოფილა, კოკი! შენ თურმე ტყუილად არ გიქია, ძმაო, — მიუბრუნდა იგი ჯერ კიდევ გადაფითრებულ კოკის და ალერსიანად დამეგაჯურა. მერე ხელი შემიშვა და დანარჩენებს მიმართა:

— აბა, დავსხდეთ, ბიჭებო, და ავუხსნათ ბაცას საქმის ვითარება.

ბიჭებმა კვლავ მიწაზე მოიკალათეს. თუმცა ჩანდა, რომ წუთის წინ განცდილი ფორიაქი მთლად გავლილი არ ჰქონდათ.

— ყველაფერი ჯამლეთის ბრალია. მუშნი არ უნდა გაგვერია ამ საქმეში! — თქვა უეცრად იმ ხმამ, წელან მოსაკლავად რომ გამიმეტა.

— ვინ მოიწვია, თვითონ აგვეკიდა! — გაცხარდა ერთბაშად ჯამლეთი და წამოყელყელავდა.

— გეყოფათ ახლა, მოვრჩეთ! — მოსჭრა ალიკომ და ჩემდა გასაოცრად, კვლავ ყველანი დაემორჩილნენ მის

სილა არღაშელია
ახალბ ჩარქვი

სიტყვას. აი თურმე ვინ ყოფილა ეს წყნარი ბიჭი! ჩვენ კიდევ, პატარებს, რატომღაც ყველას მუშნი მიგვაჩნდა ბიჭების ყოჩად (ანუ ატამანად, როგორც კინოს გავლენით ვეძახდით ხოლმე მაშინ მეთაურებს).

— იცი რა უნდა გითხრათ, ბაცა?... — მომიბრუნდა ალიკო და თავისი მშვენიერი, თეთრი კბილები გამოაჩინა, — ახმეტ ცანციას ჭკუა უნდა ვასწავლოთ. ნამეტანი თავი აიგდო, როგორც მოეპრიანება, ისე ანთებს აბანოს. ხან მთელი კვირაობით დაიკარგება, მოიმიზეზებს ავად ვარო. ამ დროს კი არც ავად არის და არც არაფერი. ხუხავს არაყს თავის მდგმურ ქალებთან ერთად და გდია მერე საწოლში გამობრუყებული. ამის წინეებზე გასაპნული ხალხი დატოვა უწყლოდ. მე და კოკიც ვიყავით აბანოში, იძულებული ვავხდით საპნიანი ტანი პირსახოცით შეგვემშრალეზინა. აბუჩად იგდებს მთელ ქალაქს. ის ბრუციანი მელა! ჰოდა, მე და კოკიმ გადავწყვიტეთ, სამაგიერო გადავუხადოთ და ერთი მაგრად დავაშინოთ. კოკის იდეების უთვალავი მარაგი უწყვია თავში, — ალიკომ გაიცინა და მეგობრულად წაუტყაპუნა კოკის კეფაზე ხელი.

— იმიტომაც აქვს თავი ასე გასიებული! — წამოიძახა მიწაზე ნებიერად წამოკოტრიალებულმა ჯამლეთმა. ყველას გაეცინა. კოკი უწყინარი ღიმილით იღიმებოდა და ბალახის ღეროს წიწკნიდა კბილებით.

— ჰოდა, კოკის ასეთი იდეა გაუჩნდა... მოკლედ, ბაცა, საჭიროა ღუმელში შევაგდოთ რამდენიმე კოლოფი თოფისწამალი. ამისათვის აბანოს სარკმელში უნდა გადაძვრე ახმეტის გამოჩენამდე ერთი საათით ადრე მაინც. შემდეგ, ახმეტი რომ მოვა, უჩუმრად უნდა გამოიპარო იქიდან. შენ ადვილად გადაძვრები იმ ვიწრო სარკმელში, პატარა ხარ და გამოპარვასაც ადვილად შეძლებ. ამას დავუმატოთ შენი გულადობა...

— და საქმე მოკვარახტინებულა... ალიკოს კვლავ ჯამლეთი შეეშვეტა.
— სარკმელში მე და კოკი შეგსვამთ, — განაგრძო ალიკომ.

კოკი ისევ ისე ჩუმად იჯდა, ბალახის წიწკნას განაგრძობდა და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მასზე კი არა, ვიღაც გადამთიელზე იყო ლაპარაკი.

— მაშ ასე, ბაცა, სარკმელში ჩვენ შეგსვამთ. რასაკვირველია, სიფრთხილვა საჭირო, რომ არავინ დაგვინახოს. ჰო, თოფის წამალი, ბიჭებო, ვისაც რამდენი შეუძლია...

— მეც შემიძლია ერთი კოლოფის მოტანა, — წამოვიძახე გათამამებულმა.

— მთლად უკეთესი! მაშამენს თოფის წამლის მეტი რა ექნება! — მითხრა ალიკომ და გამიღიმა, — ოღონდ არ უნდა შეგამჩნიოს.

— ვერაფერს შეამჩნევს, ბევრი აქვს.

— ძალიან კარგი! მაშინ აღარ გადავდოთ: ხვალ კვირაა, დღეს ბოლი ამოდის ჩვენი აბანოს მილიდან, ესე იგი, იმუშავებს დღეს და ალბათ ხვალაც, თუკი კიდევ არ ააფრინა ახმეტ ცანციარმა ოფოფები, მაშ ასე: ხვალისათვის ვიკრიბებით ქვიშონას ნაპირზე, თორი-ას ეზოს უკან. ერთხელ კიდევ მოვი-თათბიროთ და...

— რომელ საათზე? — იკითხა ვილაკამ.

— ჰო, რომელზე სჯობს?... — დაფიქრდა წამით ალიკო. მერე ისე, თითქოს ფიქრშიაო, განაგრძო, — ჩვეულებრიტ სამზე-ოთხზე მოდის ხოლმე ახმეტი. ესე იგი ორი საათისთვის მოვიყაროთ თავი.

— მე ჩემით გადავძვრები სარკმელში, დამხმარე არ მინდა, — გამოვიდე ისევ თავი.

— როგორ აძვრები? სარკმელი მაღალზეა.

— წყლის მილი დაგავიწყდათ. წყლის მილიდან ავძვრები ჯერ სახურავზე, იქედან კი სარკმელში...

— ჰო, ეს შეიძლება, ხომ იცი შენ!

ჩვენი აბანოს შენობა მართალია, კაპიტალური იყო, მაგრამ შედარებით



ქერდაბალი გახლდათ. აბანოში, გვერდით მდებარე მიწაყრილიდან, მსხვილი მილი შედიოდა. მიწაყრილიდან ბავშვები ხშირად ამ მილზე ვავდიოდით და წონასწორობის დაცვაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთს. ასე რომ, სახურავზე მოხვედრა სულ ადვილი საქმე იყო ჩემთვის. ცოტა გამიჭირდებოდა სარკმელში ჩაცოცება, მაგრამ მთავარი იყო, რაკი დღისით-მზისით გვიწევდა „ოპერაციის“ ჩატარება, სიფრთხილე დაგვეცვა და არავის დავენახეთ.

...საღუმელში რომ ჩავხტი, პირველად სინნელემ შემაკრთო, მაგრამ მალე მიეჩვია თვალი. კუთხეში მიყრილ ქვანახშირის გროვასა და უზარმაზარ ღუმელს შუა დარჩენილ არეში თავისუფლად შემეძლო შეუშინეველი დავარჩენილიყავი. ხუთი კოლოფი თოფის წამალი რაც შეიძლება ღრმად შევაგდე ღუმელში; მერე ლოდინილა მრჩებოდა.

ნელა მიიზღაზნებოდა დრო. ასე მგონა, უსაშველოდ გაიწვლა ყამი. კუთხეში მოკუნტული ჯდომა მომბეზრდა. თან ახლა ისიც მედარდებოდა, მამას შეეძლო მოესაკლისა თოფის წამლის კოლოფი. რაც უფრო ვადიოდა დრო, მღელვარება მიძლიერდებოდა, მოვახერხებ კი შეუშინეველად გასხლტომას? ახმეტს ხშირად ეხმარებოდა ხოლმე ერთი მოსული, ქერათმიანი, ულამაზო რუსის დედაკაცი. ორივეს, შესაძლებელია, შეუშინეველი ვერ გავქცეოდი;

ბოლოს, როგორც იქნა, გაისმა გასაღების ჩხაკუნი. უნებურად გული ამიფანცქალდა. უფრო მოვიკუნტე, თუმცა ქვანახშირის გროვას ისე ვიყავი ამოფარებული, ბრუტინი ახმეტი კი არა, ალბათ აღმასთვალემა ჯადოქარიც ვერ შემამჩნევდა.

ახმეტი ბუზღუნ-ბუზღუნით შემოფრატუნდა. თავზე ზამთარ-ზაფხულ თავისი განუყრელი ყურებიანი, ნაცრისფერი ბეწვის ქუდი ესურა, დრო-ყამისაგან გაქუცული და გამოხუნებული. რუსულ ჩექმებში დატანებული ფართო

შარვალი და ალაგ-ალაგ დაკერებული, ჭუჭყისაგან გაშავებული ჯუბა რომელსაც ასევე ზამთარ-ზაფხულ არ იშორებდა. ერთიანად დაღარული სახე ნახშირისგან გამურული ჰქონდა.

შემოსვლისთანავე ვედროს წამოედო და რაღაც გაურკვეველად ჩაიბუზღუნა. მერე ღუმელთან მივიდა, კარი გამოაღო და შიგ შეიხედა. წამით გული გამეყინა, მერე უცებ მივხვდი, რომ ახლა ყველაზე კარგი დრო იყო უკანიდან მომეპარა თუჯის ღუმელისათვის, რომელიც შუათახში დევივით იყო წამოყუდებული, და კარში გავმსხლტარიყავი.

ის-ის იყო ღუმელის გვერდით დახორავებული, გამომწვარი ნახშირის გროვასთან გადავინაცვლე, რომ ახმეტი კარისკენ შემობრუნდა და რაც ძალი დაღონე ჰქონდა, დაიყვირა:

— მარფა, მარფა...

კარის ღირეზე ქალის სილუეტი გამოიკვეთა.

— Я здесь, Мамедович!

— ჩორტ ტებია ვოზში... პოჩემუ ნე უბრალ ეტო უგოლ?

— Не успела, Мамедович.

— ნე უსპელა, ნე უსპელა... ია ტებე პოკაჟუ, ბეზდელნიცა!...

ახმეტი თითს უქნევედა ქალს და თავისი დამტვრეული რუსულით ეჯაჯღანებოდა.

ქალმა ღუმელისკენ გაიწია, მე ვისარგებლე მომენტიით და ღია კარში გავიჰერი. ერთმანეთთან ჩხუბში გართულ მარფას და ახმეტს არაფერი შეუშინევიათ.

...მერე აბანოს გვერდით გაშლილ მინდორზე ბიჭებმა ბურთის თამაში წამოიწყეს. თამაში „შეთქმულებმა“ გააჩაღეს — თუმცა ჯერ საკმაოდ ცხელოდა, და სადამომდეც კაი ძალი დრო რჩებოდა. ბურთის ბათქუნისა და ყიყინის ხმაზე ახლო-მასლო მცხოვრებ ბავშვებსაც გულმა ვერ მოუთმინა და...

მალე ნამდვილი ბრძოლა გაიმართა.

ცინლა არაფელია
ახმეტ ჩირაქიძე

სიმწრის ოფლში ვცურავდი, გული ამოვარდნას მქონდა.

— რა იყო შვილო, რა სიზმარი ნახე, შემოგველე? — შუბლზე დედის თბილი ხელის შეხება ვიგრძენი.

— რა იყო ქალო, რა მოუვიდა? — მამაჩემი კითხულობდა მეორე ოთახიდან.

— არაფერია, გაგივლის შვილო, დაწყნარდი გენაცვალე, — მეფერებოდა დედა და მეც მალამოსავით მედებოდა გულზე მისი სიტყვები. თანდათან შევბას ვგრძნობდი.

— დაწევი რა ცოტა ხანს ჩემთან! — შევევედრე ჩუმად და ახლა სრულებით აღარ მახსოვდა, ან რამდენიმე ხნის წინ დიდ ბიჭობაზე რომ ვდებდი თავს.

* * *

...ღობზე ფრთხილად გადავძვერი და შობარული ნაბიჯით გავემართე უცნაური ხმის შესახვედრად.

ლაფაროში, საბანში გახვეულ, შუბლზე ქედჩამოფხატულ ახმეტს ჩავარდნილი, უკბილო პირი დაედო... და ყმუოდა თუ ტიროდა, მღეროდა თუ იცინოდა, ველარ გარკვევდა კაცი.

მოშორებით შევდექი, და მის ჩირივით გამხმარ, დალეულ სახეს შევაკჭერდი. ნუთუ ამ ჩია ბერიკაცის პირიდან ამოდიოდა ასეთი მძლავრი, მყივანა ხმა?

ახმეტი ერთბაშად გაჩუმდა. და ირველივ კვლავ მდუმარებამ დაისადგურა. მხოლოდ შაშვი აჭახჭახდა ისევ ისე. გამოვერკვიე. უკან გამობრუნება დავაპირე და ანახდად საბანში გახვეულ მუშია შეინძრა და თითით მანიშნა, მოდიო.

ნუთუ დამინახა, შემამჩნია? რატომღაც გულაფანცქალებული მიეუახლოვდი.

„ამ უძლურ, საწყალ ბერიკაცს ვაწვალელებდით ასე შეუბრალებლად?“ — გამკრა გულზე. მისი სახისკენ დავიხარე:

— რამე ხომ არ გნებავთ, ძია ახმეტ? — ვკითხე უანგარიშოდ და მისი ცალი, შავი თვალის აზრიანმა გამოხედვამ.

მან პირი ააცმაცუნა, რაღაც ღიმილის მსგავსი გამოესახა თითქოს სახეზე, მერე უანგისფერი, მოკაუჭებული, ბებრული თითი წინ გაიშვირა და ჩიჩიფჩიფა:

— მთები... ხედავ მთებს...

მზერა გავაყოლე მისი თითის მიმართულებას. შორს, მუქლურჯად ლივილივებდა დაუსრულებელი ჯაჭვი მთებისა. მსუბუქ და გამჟვირვალე სილურჯეს აელიციციებიანა მთებზე დამხობილი ცის გუმბათიც. ენითუთქმელი სიმშვენიერე ისახებოდა თვალსაწიერზე.

— ახლა იქაც გაზაფხულია... — კვლავ მომესმა მუმის ჩიფჩიფი და რაღაც მოსაზრებამ თავში დამკრა, ურიალით დამიარა ტანში. ღმერთო დიდებულო, როგორ ვერ მივხვდი აქამდე?

იქეთ, იმ მთებს გადაღმა ხომ ახმეტის სამშობლოა, მისი მშობლიური ჩერქეზეთი!

— იქაც ახლა გაზაფხულია... — კვლავ აჩიფჩიფდა ახმეტი.

გული შემიქანდა. მოხუცის თვალიდან ახლა კურცხალი მოცოცავდა. მოცოცავდა კურცხალი და სახის ღრმა ნაოკებში იშლებოდა. პირი კი ისევ ისე ლამობდა გაღიმებას!

შესკჭეროდა მთებს საოცრად საზრიანი, მეტყველი ცალი თვალით და უხმოდ ტიროდა.

— ჩემი მთები...

ტუჩების მოძრაობით უფრო მივხვდი მოხუცის ნაჩურჩულევს.

ფეხაკრეფით გავეცალე.

ღობესთან მოსულიც არ ვიყავი, რომ კვლავ მომესმა ის უცნაური, გულის შემძვრელი ყვილი.

მღეროდა თუ ტიროდა ახმეტ ჩერქეზი? —

ველარ გარკვევდი.



სიმწირის ოფელში ვცურავდი, გული ამოვარდნას მქონდა.

— რა იყო შვილო, რა სიზმარი ნახე, შემოგვევლე? — შუბლზე დედის თბილი ხელის შეხება ვიგრძენი.

— რა იყო ქალო, რა მოუვიდა? — გამაჩემი კითხულობდა მეორე ოთახიდან.

— არაფერია, გაგივლის შვილო, დაწყნარდი გენაცვალე, — მეფერებოდა დედა და მეც მალამოსავით მედებოდა გულზე მისი სიტყვები. თანდათან შევბას ვგრძნობდი.

— დაწევი რა ცოტა ხანს ჩემთან! — შევევედრე ჩუმად და ახლა სრულებით აღარ მახსოვდა, ან რამდენიმე ხნის წინ დიდ ბიჭობაზე რომ ვდებდი თავს.

* * *

...ლობზე ფრთხილად გადავძვერი და მოპარული ნაბიჯით გავემართე უცნაური ხმის შესახვედრად.

ლაფაროში, საბანში გახვეულ, შუბლზე ქუდიამოფხატულ ახმეტს ჩავარდნილი, უკბილო პირი დაელო... და ყმუოდა თუ ტიროდა, მღეროდა თუ, იცინოდა, ველარ გაარკვევდა კაცი.

მოშორებით შევედქეი, და მის ჩირივით გამხმარ, დალეულ სახეს შევაცქერდი. ნუთუ ამ ჩია ბერიკაცის პირიდან ამოდირდა ასეთი მძლავრი, მყივანა ხმა?

ახმეტი ერთბაშად გაჩუმდა. და ირგვლივ კვლავ მდუმარებამ დაისადგურა. მხოლოდ შაშვი აჭახჭახდა ისევ ისე. გამოვერკვეი. უკან გამობრუნება დავაპირე და ანაზღად საბანში გახვეულ რუმია შეინძრა და თითით მანიშნა, როდით.

ნუთუ დამინახა, შემამჩნია? რატომღაც გულაფანცქალებული მივუახლოვდი.

„ამ უძლურ, საწყალ ბერიკაცს ვაწვალელებდით ასე შეუბრალებლად?“ — გამკრა გულზე. მისი სახისკენ დავიხზარე:

— რამე ხომ არ გენბავთ, ძია მეტ? — ვკითხე უანგარიშოდ დაცოცა მისი ცალი, შავი თვალის აზრთან-მა გამოხედვამ.

მან პირი ააცმაცუნა, რალაც ღიმილის მსგავსი გამოესახა თითქოს სახეზე, მერე ჟანგისფერი, მოკაუჭებული, ბებრული თითი წინ გაიშვირა და ჩაიჩიფჩიფა:

— მთები... ხედავ მთებს...

მზერა გავაყოლე მისი თითის მიმართულებას. შორს, მუქლურჯად ლივლივებდა დაუსრულებელი ჭაჭვი მთებისა. მსუბუქ და გამკვირვალე სილურჯეს აელიციციებინა მთებზე დამხობილი ცის გუმბათიც. ენითუთქმელი სიმშვენიერე ისახებოდა თვალსაწიერზე.

— ახლა იქაც გაზაფხულია... — კვლავ მომესმა მუმიის ჩიფჩიფი და რალაც მოსაზრებამ თავში დამკრა, ყრივით დამიარა ტანში. ღმერთო დიდებულო, როგორ ვერ მივხვდი აქამდე?

იქეთ, იმ მთებს გადაღმა ხომ ახმეტის სამშობლოა, მისი მშობლიური ჩერქეზეთი!

— იქაც ახლა გაზაფხულია... — კვლავ აჩიფჩიფდა ახმეტი.

გული შემიქანდა. მოხუცის თვალისა და ახლა კურცხალი მოცოცავდა. მოცოცავდა კურცხალი და სახის ღრმა ნაოჭებში იშლებოდა. პირი კი ისევ ისე ლამობდა გაღიმებას!

შესცქეროდა მთებს საოცრად საზრიანი, მეტყველი ცალი თვალით და უხმოდ ტიროდა.

— ჩემი მთები...

ტუჩების მოძრაობით უფრო მივხვდი მოხუცის ნაჩურჩულევს.

ფეხაკრეფით გავეცალე.

ლობესთან მოსულიც არ ვიყავი, რომ კვლავ მომესმა ის უცნაური, გულის შემძვრელი ყვილი.

მღეროდა თუ ტიროდა ახმეტ ჩერქეზი? —

ველარ გაარკვევდი.



ციკლიდან „ამაღლები“

საუკუნიდან — საუკუნეში

ახალგაზრდობა ბობოქრობდა
ერის ნუგეზად;
თანაც პასუხის
მტრებისათვის
მკაცრად გამცემი —
რამდენი იყო
მეცხრამეტე საუკუნეში
პატიოსანი,
პატრიოტი
ბერიკაცები!..

დრო — დროს ებრძოდა...
სხვა ცეცხლი და
სხვა ქარი გაჩნდა, —
ახალი ყოფა მეუფეობს —
ძველის დამცემი;
მეცხრამეტედან
გადმოსული

აქა-იქ დარჩა
პატიოსანი,
პატრიოტი
ბერიკაცები!..

ახალგაზრდებო!
გულის ცეცხლი
ანახლეთ მუდამ!..
თქვენნი ჭაღარაც,
მწამს, იქნება
პატივსაცემი!..
დროს
მეოცედან
მომდევნოშიც
გადაჰყვეს უნდა
პატიოსანი,
პატრიოტი
ბერიკაცები!..

ნ უ გ ე უ ი

სულის ცეცხლზე მეწვის სორცი,
გზას ამ ცეცხლით ვინათებ;
რომ მოგვედები, — თუ გავცოცხლდი —
კვლავ ამ ტანჯვას ვინატრებ!

სული, — სორცს რომ გაცივდება, —
ვცოცხლობ ერთი ნუგეზით:
არასოდეს გაცივდება
საქართველოს უბეში!

„თვალსა სხეულიანსა არ ძალუძს
ხილვა შენი და გულსა
ხორციელსა არ ძალუძს
გაძნობა შენი...“

„პართლის ცხოვრება“

ღრუბელთა ჯგროში,
ტოტების ხლართში,
წყლის სიღრმეში თუ კედლების
ჩრდილში, —
მომელანდება მწუხარე სახე
და წამიერი შემბაძრობს შიში!..

ვერნახვის შიში.
არყოფნის შიში.
წამყოფის გრძნობა —
მყიფე და მჭახე...
სულ მელანდება, —
ცხადშიც და ძილშიც,
სულ ვხედავ, — ოღონდ...
მარტოდენ სახეს!..

შუშის ნამტვრევში
ლანდივით ჩნდება, —
ჰგავს,
კიდევ არ გავს,
ხან არ გავს,
ხან ჰგავს!..

ერთ-ერთის წასვლით კავშირი წყდება!
ორნივე რომ წავალთ — სულ ვჭრებით,
ალბათ!...

ქალაქის თავზე მოქუფრულ ცაში
(რკინა რომ ფსაჭნის მყიფედ და მჭახედ),
მიწაში,
ქვაში,
სიზმარში,
ცხადში, —
სულ ვხედავ — ოღონდ...
მარტოდენ სახეს!..

ჩნდება და ჰჭრება,
ჰჭრება და ჩნდება,
მიმზერს და ვუმზერ,
ხან არ გავს,
ხან — ჰგავს...

წმიდა ჩვენება
ნისლივით ჰჭრება
და... კვენჯის ქარი
მწუხარე ჰანგად!..

ჩემს სამღერალს
ვინ იმღერებს,
ჩემს სატირალს
ვინ იტირებს,
ჩემს მაგივრად
ვინ იღელვებს,
ჩემს საყვირალს
ვინ იყვირებს!..

მალე სანთლებს ჩააჭრობენ, —
გულში ცეცხლი მინავლდება;
ჩქარა, თორემ...
ჩქარა, თორემ...
ჩქარა, თორემ — გვიანდება!

მონატრეულ ბიჭებზე თქმული

სულს უპაერო გიხუთავთ ღამე. —
 ხმაში (ო, ღმერთო!) გემჩნევთ ბზარი...
 — „საქართველოზე გვითხარით რამე!“ —
 ემუდარებით ჩამოსულ მგზავრებს!..

ეპ, გულზე ცეცხლი შემომგვიდა —
 ყრუდ ამოგუბდა თქვენი ხმა ზემოთ...
 ადრე წასულნო ამა ქვეყნიდან
 და ჩემთვის მაინც ცოცხალი ძმებო!..

არსთა განმრიგე ვის და რას ჰკითხავს,
 მაგრამ... ყოფნა რომ შევსთხოვო დიდხანს,
 ვთქვათ და — მისმინოს მაღალმა ღმერთმა
 და მათუსალის მიბოძოს ბედი, —
 მომენტარება
 შეხვედრა
 თქვენთან
 და... რა მიშველის... სიკვდილის მეტი!

ვაშლისხე თოვლში

გაყინულ
 თოვლზე
 ეცემა
 სხივი
 და
 სანთელივით
 დნება...

ამ ვაშლისხეზე
 გუშინ საღამოს
 თეთრი
 თიკანი
 ება.

გ ა მ თ ა რ ი

შემოიარე, მეგობარო, საღამოს ჩემთან...

ამოიძახე!..

დაგახვედრებ გუზგუზა ბუხარს.

შემოიარე...

მარტო ვარ და...

ექვსისთვის მოდი!..

სიტყვა — სიტყვაა.

გელოდები...

ჩემი ძმა თუ ხარ!..

ვილაპარაკოთ...

თითო ჭიქაც...

ჰა, თითო ბოთლი!..

თორე, ხვალ იქნებ...

დალახვროს ღმერთმა!..

შემოიარე, მეგობარო, საღამოს ჩემთან!..

ლექსით გასხენებული ლექსი

ამოვიანთდა
მწვანე ქედზე
ვარსკვლავი ცისკრის,
ნისლი ეხვევა
ხევში ჩადგმულ
ჩიფჩიფა წისქვილს...
ნისი გრუტუნი
ახლაც ამო
ნანიანად მესმის!..
და... გამახსენდა
ერთი ჩემი
პატარა ლექსი,
ლექსი —
რომლისაც არსებობა.
ვიცოდი ვჭვად,
ლექსი,
რომელიც
დღემდე არსად
არ დამიბეჭდავს:



თავშალმობვეულ დედაბერს
კალოში ჩარჩა ტალახში, —
ვერც წინ მიდის და ვერც უკან,
დგას და ჩიფჩიფებს სიმწრით;
საად? საად და „ვერაზე“...
რა უნდა, კაცო, ქალაქში —
ნისლებმობვეულ,
ბეზრუკა,
წელშიმოკაკვეულ წისქვილს!..

აი, ეს არის ის ძველი ლექსი!..
წისქვილი ახლაც ბრუნავს...
იმ დედაბერს კი...
ხვალინდელ დღეზე
აღარ ჭირდება ზრუნვა!



თათას სარკვეპარტოლ

სიყრმის მეგობარი — თათა ქალი, —
 ხშირად უტკბილესად მაგონდები,
 ბავშვობის კვალი რომ მთლად გამქრალა,
 სადღაც უნებურად დავღონდები.

ჩუმად მეორდება ყველაფერი,
 თითქოსდა უკან დამაბრუნეს,
 დღეები, აბრილს შენაფერი,
 ახლა ჩემს თვალწინ განაბულან.

გახსოვს? რა ფიქრები, რა ოცნება
 და დიდად გახდომის სურვილები,
 ჭრელი შინდვრები და გაოცება
 თბილი გაზაფხულის სურნელებით.

ახლაც ისეთივე დღეებია,
 მარტიც ძველებურად იმოსება,
 ისევე თავზე გვევლებიან
 ყვითლად დაპენტილი მიმოზებები.



ასე ლამაზს და ასე საკვირველს
 შენ გიმღეროდნენ შენი მგოსნები;
 რას ვიფიქრებდი — არაგვის მხილველს,
 ზედაზნის მხილველს გამაოცებდი.


შამთრის ზღაპარი გიწოდა ერთმა,
 შენზე დარდით რომ იყო დამწვარი,
 მე კი ვუმღერებ შენს ყვითელ ფერთა, —
 რომ შემოდგომის შენ ხარ ზღაპარი.

შენ, გოეთეს და შილერის მიწავ,
 და ფოთოლცვენავ, ოქტომბრის ქარში,
 ჩემი სამშობლოს ცის ნათელს ვფიცავ, —
 ლოცვად ანთე ჩემს გულისთქმაში.

მსიბლავ და თანაც გულს მოებურა
 მწუხრი, ვითარცა შენს კალთებს ნისლი;
 და მელანდება მე უნებურად
 პერანგზე შავად მიმხმარი სისსლი.
 იქ, ოსვენციმი!..

აქ — ბუჭენვალდი!..
 სჯობს მღუმარება. სევდა დიღია.
 შენ ისე გშვენის ტიტა და ვარდი
 და ზეცა შენი ისე მშვიღია, —

რომ ასე ლამაზს, ასე საკვირველს
 კვლავ გიმღერებენ შენი მგოსნები;
 ... რას ვიფიქრებდი ზედაზნის მხილველს,
 არაგვის მხილველს გამაოცებდი.





ჩემი ფიქრები ვერ დაგივიწყებს,
 ვით არსაკიძეს სვეტიცხოველი,
 ქართლის ველებზე მობერილ სიოს
 მუსლმოდრეკილი თრთოლვით მოველი...
 შენი თვალებით ანთებულ ლამპარს,
 თვალისჩინივით ნიადაგ თუკი
 გამიფრთხილდები, არასდროს ალბათ
 არ მომაკლდება, ძვირფასო, შუქი...

მთასა კლდიანსა

ვარდ-ყვავილებში გირჩევდი,
 ყელმოღერებულ იასა...
 ალერსით გზრდიდი სიყვარულს,
 არ გაკარებდი ნიავსა...
 და გარიდებდი ყოველგვარ
 ამა ქვეყნიურ ზიანსა,
 რა სიყვარული უარყავ,
 ცრემლი სდის მთასა კლდიანსა...



მომიტყვებდე, სითამამეს მომიტყვებდე,
მომიტყვებდე, შენს ჩრდილში რომ ჩავიდგი ქოხი,
განახლებული გრიგალების აფრებს მივინდე,
რადგან მეგონე ჩემი მეოხი.
რადგან მეგონე ჩემი მეოხი,
უსურვაზივით ჩაგეხვიე და არცა ვნანობ,
მომიტყვებდე, თუ შენს ჩრდილში ჩავიდგი ქოხი.
შემინდე, ვაჟო, ოქროტყვანო.

უხმო ღატორება

შენი სული, მამავ,
ქვეყნად ვერ ეტყება,
მალღდება და უერთდება ნისლს,
ისე ვეფერები ამ დაშაქრულ მტევანს,
თითქოს შენი თვალით მიყურებდეს ის.
ვეფერები წვიმას, ვეფერები ნიავს,
ვეფერები მიწას, გზას რომ გილოცავს,
ჩიტებს შენი სული მარცვალ-მარცვალ მიაქვთ
და ჟივილით ედებიან ცას.
სხვა ამინდი დგება, დიდი რთვლობის წელი,
ვუმზერ ზეცის წიაღს, ვის მოელის, ვის?
ამინდს ბირი უჩანს, მზე იცინის მწველი,
ეზიარა შენს ხორცსა და სისხლს.
ვეფერები მზეს და ვეფერები მიწას,
სულის ქარიშხალი გზა-კვალს მილოცავს.
ჩიტებს შენი სული მარცვალ-მარცვალ მიაქვთ
და ჟივილით ედებიან ცას.



რობერტ ბერნსი

ბერნსთან შეხვედრა

(მთარგმნელი სებასტეანო)

როგორც დიდი ხნის უნახავი გულითადი მეგობარი, ისე შემომხვდა გზად რობერტ ბერნსი. არ ვიცი, ეს მწიფე პურის ყანაში იყო და ირგვლივ თავთუხების შრიალი ისმოდა, თუ მდინარე ეირის პირას, სადაც თეთრად აყვავებული კუნელი და ახლადშედგებული არყის ხე ნისლივით ერთვოდნენ გაზაფხულის სიმწვანეს და სიყვარულის მარადისობას.

ბევრი ვიარე მის კვალდაკვალ შოტლანდიის მთასა და ბარში, — აფტონის, დუნის, ნოთის ნაპირზე, ტყით დაბურულ ღრმა ხეობებში და ცხვარშეფენილ იალაღებზე.

უცებ გარდევულ ხეობიდან დაჩნდა სოფელი ალოუეი. თიხით შეღებილი, ისლით დახურულ პატარა ქოხთან 200 წლის თვალსაწიერზე ჩანდა ოჯახი უილიამ ბერნსის, — შოტლანდიელი წვრილი ფერმერის. და იქ დარბოდა პატარა ბიჭი, — ანცი და მკვირცხლი, რომელსაც მაშინ საალერსოდ ეძახდნენ რობინს.

ვიარეთ კიდევ და ხეებს შორის, ლოხლისა თუ მოსგილის ველზე, სახნისზე წახრილ ახალგაზრდას მოგკარი თვალი. კვალი გაჰყავდა მწირ მიწაში გამოცდილი ფერმერის ხელით. რობი მოსგილი, — ასე შეარქვეს მეგობრებმა ამ ახალგაზრდას, რომელმაც მამის მემკვიდრეობად მიიღო მხოლოდ ულატაკეს ფერმერის ბედი და კაცის გული, როგორც საწყაო, პირამდე სავსე კეთილშობილი შემართებით და უხინჯო პატიოსნებით.

რობი მოსგილი, — ყანას რომ ხნავდა, თესავდა, მკიდა, თხზავდა ლექსებს. გამოიარა 200 წელი და კიდევ მეტი... ის მოდიოდა თავაწეული, ფართო ნაბიჯით, როგორც გაივლის ცისქვეშეთში ადამიანი, რომელმაც მხრიდან ჩამოიხსნა ამოების დუხჭირი ტვირთი და თავი იგრძნო დიდი სამყაროს განუყოფელ და მყარ ნაწილად.

მოდიოდა რობერტ ბერნსი მთელი თავისი პოეზიის მოზღვავეებით, მოდიოდა მხიარული და ჯანგაუტეხელი, ჭირშიც მოდიმარი, ბედთან მოჭიშპე, სიცოცხლის სილამაზით მოხიბლული; მოდიოდა, როგორც ლეგენდარული ულენ-შბიგელი, რომელიც დამარხეს და მიწა ამოანგრია: — ვერ დამარხავთო ხალხის სულს... და მე კი სული ვარ ჩემი ხალხისა!

ბუნების კანონი

— 1 —

ზოგი ბრძოლების ცეცხლში დადაფნეს
და თავი მოსწონს ნაიარევით,
ზოგი უმღერის ომის დაფდაფებს, —
ლექსში გმირული ჰანგის გარევით.

მე კი, კაცის მკვლელ თოფსა და მახვილს
ვუგზავნი წყევლას და შეჩვენებას,
მას გაუმარჯოს და იმის სახელს,
კაცის სიცოცხლე ვისაც ენებოს!

— 2 —

დედა-ბუნებამ მოწყალედ ბრძანა: —
„ქვეყნად იმრავლე, ადამიანო,
შენთვის შევქმენი მე ეს ქვეყანა,
ეს ცა და მიწა შენთვის მზიანობს;

მკერდს ჩაგიღვარე ცეცხლი თხიერი
და შენი გული ვნებით ავაგე,
ადამიანო, იყავ ძლიერი
და მოიხმარე ეს სილამაზე!“

— 3 —

მე, ამ მდაბით სიმღერის მთქმელი,
შოტლანდიელი მწირი ბარდი ვარ,
ლექსით მოვქარგე კოილას ველი,
სხვაფერივ კოილას რითი ვარგივარ.

მეც ჩამიღვარა დედა-ბუნებამ
გულში ცეცხლიან ვნების ნაკადი
და სილამაზის მაღალ ცთუნებას
ურჩი უარი ველარ ვაკადრე.

— 4 —

როგორც მორწმუნე, დავეძებ ჩემ ხატს
რომ მღელვარებით შემოვებვიო,
დავუმორჩილდე მის გულის ფეთქვას
და გულმხურვალე ვნებით ვემთხვიო.

ლამაზ ყვავილებს განგება ფარავს,
აფერებს მინდვრის დედოფალობას,
მე სამდურავი იმათთან არ მაქვს, —
მე ჭარბად მერგო მათი წყალობა.

კოილას თავზე ვარსკვლავთკრებულნი
გადაანათებს ზეცის კაბადონს
და ცა იქნება გულანთებული,
რომ კვლავ ახალი ბერნსი დაბადოს.

რომ მისმა ლექსმა ცეცხლოვან გზებით
გადააჭარბოს პოეტ წინაპრებს,
იქ გაიაროს დიდების გზებით,
სადაც კოილას გული ინატრებს.

მოწყალე გვექმენ, მშვიდობის ძალავ,
და სამშვიდობო გვამღერე ლექსი,
დალოცე ჩვენი ძველი კოილა,
უმრავლე კაცის მოდგმა და თესლი!

დაე უცვლელი ფერით ჰყვოდეს
ძველი ერების ფუძე და ფესვი,
მათ სადიდებლად უწყვეტ თაობებს
კიდევ უმღერდეს მრავალი ბერნსი!

მდინარე ბრუარის თსოვნა და ჩივილი

(ეთოულის კათილუოზილ ჰერცოგს)

მილორდ, ამბობენ, არ აკლებთ თვალ-ყურს
სხვათა ჩივილს და წყენას,
ეს მათამამებს თქვენს ერთგულ მსახურს,
რომ ამოვიდგა ენა.
ვერ გადავურჩი ზაფხულს თაკარას,
სიცხე ჩამიდგა ტანში,
მზემ დამილია წყალი ანკარა
და სანახევროდ დავმრი;

ჩემს დიდ ჩქერებში კალმასს უყვარდა
ლალი ნავარდი უწინ,
ახლა მოდის და ხალისს ვუკარგავ,
ვარ მასპინძელი ძუნწი, —
უნდა გასცუროს მდინარე აღმა,
ნაკადს გულდაგულ მიჰყვეს,
მაგრამ ღალატობს ქარაფი ტალღა
და ენარცხება რიყეს.

გუშინ ხეობას ვიკლებდი კვნესით,
 ვერ ვიკავებდი ქვეთინს, —
 მოვიდა ჩემთან პოეტი ბერნსი,
 დამშრალი დავხვდი თითქმის.
 მაინც მომიძღვნა ლექსი ფრთიანი,
 ბრუარის ქებად ითქმის,
 ეჰ, რომ ენახა ჩემი გრიალი,
 ჩემი ტალღა და ზვირთი!..

— 4 —

თავს ვეგვლებოდი კლდეებს ფრიალოს,
 ქაფმორეული ვსტოდი
 და ხეობაში სახეტილოდ
 ექო მომღვედა კბოდის;
 ჩემი ფშანები და წყაროები
 ბუნების მადლით ჩქეფდნენ
 მგზავრიც ხალისით და სასოებით
 მოისწრაფოდა ჩემკენ.

— 5 —

ნუ გააწბილებთ ჩემს თხოვნას ახლა,
 მილორდ, ნუ მეტყვიეთ უარს,
 და ნუ გაატანთ ამ სევდას ნაღვლად
 ურთგულ მდინარე ბრუარს.
 დარგეთ ხეები საჩრდილობელი
 წყალთან ორსავე კიდეს,
 მერე უსმინეთ სამადლობელი
 ჩემთან მოფრენილ ჩიტებს.

— 6 —

პირველ სიმღერას ტოროლა იტყვის, —
 შეიფრთხილებს ცაში,
 მერე აპყვება ათასი ჩიტი, —
 ჭვინტა, კიოტა, შაშვი;
 ტყეში დადგება სტვენა, გნასი
 და სიხარული ჭარბი,
 მაღალ ხეებზე ბარტყებს შეასვეს
 ჩიტბატონა და ტარბი.

— 7 —

ტყე ნადირზედაც დაიწყებს ზრუნვას,
 გაზრდის ხეების კორომს,
 აქ გაიჩენენ ბუდეს და ბუნაგს,
 აქვე გათხრიან სოროს;

ტყე შეიხიზნებს წვიმაში მგზავრებს,
მოფარება ირგვლივ,
აქ ჩამოჯდება ხის ქვეშ მეცხვარე,
დაწნავს ყვავილის გვირგვინს.

— 8 —

შეყვარებულებს აქეთ ექნებათ
სხვისგან მალულად თვალი,
არყის ჩრდილებში ბევრჯერ შეხედება
ლანდი ვაჟის და ქალის,
გადაეჭდობა მათი ხელები,
როგორც ხეები ტყეში,
სულს განაბავენ მაჩიტელები
მათი ალერსის ეშხით.

— 9 —

როდესაც ნამი ორთქლდება მზისკენ
მთაზე ნისლეები ბოლავს,
იქნებ მოვიდეს პოეტი ისევ,
მოჰყვეს ნიავის ქროლვას;
ან იქნებ მოჰყვეს მთვარიან ღამეს,
ნაპირს მოადგეს ახლოს,
ნახოს ტალღები როგორ ღელავენ,
მათი გუგუნი ნახოს.

— 10 —

დაე, კენწეროს ქარი ურხვედეს
ცაში ასვეტილ ნაძვებს,
მერტყას იფნები, მერტყას მუხები,
წყალში ჩრდილები ჩაწვეს;
ბურქებს მოედოს ვკალ-ბარდები,
ჩიტებს საფარი ჰქონდეს,
კლდეზე გადმოდგნენ თეთრი არყები,
ალამაზებდნენ კბოდეს!

— 11 —

დაე, იზარდონ უკვდავ ნერგებად,
ცისქვეშ გამრავლდნენ მზისით,
ვინც შოტლანდიას შვილად ერგება,
ვინც ერთგულია მისი!
დე, ეთოულის მიწას ემატოს
ძალა წყალის და ბავშვის,
სამშობლოს ვალი ვისაც ემართოს,
ნურვინ დარჩება ვალში!

პასუხად მინის სკოტს

— 1 —

ქალბატონო, კარგად მახსოვს ჩემი თავი,
როცა კიდევ უწვერული ყრმა ვიყავი
და პირველად მალეწინეს კალო,
როცა სახნისს ვეკიდე და ოფლსა ვღვრიდი,
როცა გულში სიამაყე მქონდა დიდი,
რომ ცხოვრების ანა-ბანას ვსწავლობ.

მერე კიდევ დიდ ყანაში პურის მკისას
მეც თანაბარ მუშაკაცად მიცნეს,
ძნის შემკვრელად დამიყენეს გვერდში ციცა
და მთელი დღე კვალს მივდედით ისე;
ხან იგავით, ხან არაკით,
ხან ლაპარაკ-ლაპარაკით,
მოჭორილი ამბით,
ყოველ კიდით პურსა ვმკიდით
და ბულულებს ვდგამდით.

— 2 —

ფიცით ვიტყვი, — იმ დღეიდან აქამომდე
ერთი დიდი და უცვლელი ნატვრა მომდევს,
ნატვრაა თუ ჩემი გულის ფეთქვა: —
ის მინდოდა, — ყველა ფიქრი, ყველა გარჯა
შოტლანდიის სამსახურში დამეხარჯა,
სხვა თუ არა, ლექსი მაინც მეთქვა.
მე ეკლიან თავცეცხლასაც შეეხაროდი,
არ ვახლებდი ნამგალსა და დანას,
რომ სამშობლოს საყვარელი სიმბოლოთი
ვამაყა ჩემი ქერის ყანას.
არც რამ მსურდა, არც რამ მშურდა
სხვა ერის და სხვათა ყოფის,
შოტლანდიის შვილი რომ ვარ
სიამაყედ ესეც მყოფნის.

— 3 —

გულში მედგა სიმღერების რია-რია,
სიმღერა ხომ სიჭაბუკის ზიარია,
მაგრამ რითმა მღალატობდა ლექსში,
ვიდრე გვერდით არ მომიდგა ნაზი ციცა,
სიხარული არ მომბერა მაღალ ცისა,
არ ამანთო მწყობრი სიტყვის ეშხით.
იმ თვალების ელვარებას ახლაც ვხედავ,
ახლაც ვხედავ იმის ჯადო ღიმილს,

სიყვარულის სიმღერა რომ დამაბედა,
რომ შემიძრა გულის ყველა სიმი.
კვალში მდევდა, ცეცხლში მხვევდა,
თვალს მიყრიდა თვალში,
რიდი მქონდა, შიში მქონდა
იმ თვალების მაშინ.

— 4 —

დღეგრძელობა სიყვარულის ჯადოქარებს!
ზამთარში რომ ცეკვის რიტმი მიგვაქანებს
და ჩვენს მკლავებს მოუნდობა ქალი,
სიხარული ჩაგვეღვრება გულში ლხენად
და გულს უნდა საგულედან წამოფრენა,
გული ბორგავს ნეტარებით მთვრალი.
ვაი იმ კაცს, ვინც სიყვარულს უწყებს გმობას
და გული აქვს ყინულივით მზრალი,
დედის თვალშიც დაუკარგავს იმას ნდობა,
დედის ზიზღით დასდგომია თვალი.
ვინც არ იწვის, ვინც არ იცის
სიყვარული რა გვარია,
როგორ ამხელს კაცის სახელს,
კაცთა შორის ვინ გარია!

— 5 —

ქალბატონო, თქვენ ცხოვრება სხვაგვარ გწყალობთ,
თქვენ არ იცნობთ გლეხის ბედელს. ბოსელს, კალოს,
თქვენ სხვაგვარად გათამამებთ ბედი,
მაგრამ გიყვართ შოტლანდური ლირის ჟღერა,
და გეტყობათ, ჩემი სოფლურ მუზის გჯერათ,
სხვა რა მეთქმის, მეც მადლობის მეტი.
ბარათისთვის დიდად გმადლობთ; ამის გარდა,
თქვენი პლედი მომივიდა ძლიერ კარგად, —
მხრებს მიფარავს და ქვევითაც მყოფნის;
თავს ვიწონებ, ქალბატონო, ჭრელი პლედით,
არ მგონია, საამაყო ჰქონდეს მეტი,
ვინც ატარებს კარყუმსა და პორფირს.
დღეგრძელობა, ჯანმრთელობა
თან დაგდევდეთ მარად
ნუმც მოსულა მწუხარება
თქვენი სახლის კარად.

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ერისთავმა.





პაპა გიგაშვილი

ნადირობა ჩონ-ტაშში

(პროზა)

27 ივლისი. სამშაბათი.

დილაადრიანად გივი, მამბეტი და ჭიახში ცხენების ქარავნით დიძინენ „დიკისაკენ“, მაგრამ შუადღის შემდეგ დაბრუნდნენ — ცხენები ვერ გასულან ნაპრალებში. სხვა ბილიკია მოსანახი. საღამოს მე და მამბეტმა გავიარეთ. უნაგირიდანვე შევნიშნე ერთი ჯოჯი იმ ადგილებში, სადაც პირველად ვესროლე ტყეებს. იმავე ღარით მივებარეთ. მაეჭვებდა ნიავი, რომელიც შიგაღამივკვეთოდან მოკლედ წამოუბერავდა ხოლმე. მამბეტმაც გამანერვიულა: სიარული უჭირდა, სულ არა ფრთხილობდა, თანაც შავი ტანსაცმელი ეცვა. ერთი სიტყვით, როცა ავედით, იქ ჯოჯი აღარ დაგვხვდებოდა.

უკან დაშვებისას შორეულ კლდეებში მართხელა ბებერი ვაცი დავინახეთ ბინოკლში. უცნაურად გამჭვრეტელი იდგა, რქები საომრად შეემართა და არ ინძრეოდა. დავერტყინე რა ამბავია-მეთქი. მის ირგვლივ მიდამო მოვათვალეერეთ და ასე ორმოცდაათ მეტრში დავინახეთ ზორბა, ამავე ვაცის ტოლა მგელი. ის ნელა ადიოდა ზევით. ხანდახან ვაცს მოხვდავდა. მერე დაჯდა და ზემოდან დააჩერდა. პირი ღია ჰქონდა, ენა გადმოვადებული. ვაცს პოზა არ შეუცვლია. ცოტა ხანში მგელი ადგა და უკვე უკან აღარც მოუხედავს, ისე ძუნძულთ წავიდა კეხისკენ. ნაშალები ცერად გადასჭრა და კეხის ყინულიან კლდეებში დაიკარგა. ესე იგი 4700 მ-ის სიმაღლეზე გადაახა სარიჯახის ქელი და ტიუზის ხეობაში გადავიდა. (როგორც შემდეგში ამოვიკითხე სანადირო ლიტერატურაში, ამ რაიონებში გავრცელებული ყოფილა უფრო მსხვილი ტიპების მგლის სახეობა).

დასასრული. დასაწყისი იხ. „ციხკარი“ № 1

28 ივლისი. ოთხშაბათი.

ამ დღით მამბეტმა ერთი ჯოჯი აღმოაჩინა იმ მთებში, სადაც მე და ჯოჯიამ ვინადირეთ. ტიუზის უღელტეხილის ძირში კი რაღაც ჭვრეტი დავინახე, რომელიც ტყეებისას არა ჰგავდა: თეთრი ფერისა იყვნენ, გაცილებით დიდები და რქებიც სხვანაირად ედგათ თავზე. სულ რვა თუ ცხრა ცალი იყო. ამხელა მანძილზე მეტი არაფრის გარჩევა არ მოხერხდა. მამბეტს ვაჩვენე და მაშინვე თქვა: არხარები! იყო. ეტყობა სარიჯახიდან არიან გადმომფრთხალინი — დაამტა.

არხარზე ნადირობას დიდი ხანია ვოცნებობდი, მაგრამ საარხარე ადგილებში გადასასვლელად ცხენებით ორი დღის მგზავრობა იყო საჭირო. ამის საშუალება მე არა მქონდა.

გადაწყვიტე, ამ გუნდს გავცილებოდი. მამბეტი მარწმუნებდა, ეგვნი დამფრთხალები არიან, ადგილზე არ გაჩერდებიან და ვერ მიუდგები. მიჩვენდა, ტყეებზე სანადიროდ წაყოლოდი.

მაგრამ ტყეებზე ყველანაირ ნადირობას ახლა არხარების შედარებით ახლოდან დანახვაც მერჩინა. სულ რომ არ მესროლა, ოღონდ ცოტა ახლოდან დამეთვალეირებინა ისინი და უკვე კმაყოფილი დავრჩებოდი. სხვა დროს ასეთი შემთხვევა აღარ მექნებოდა.

მე და კოსტამ ცხენები შევკავშეთ და ტიუზის უღელტეხილისაკენ გავემგზავრეთ (კოსტა მხოლოდ ცხენით გასეირნების ეშხით წამოვიდა, ვერაფრით თოფი ვერ წამოვადებინე). შუადღისათვის უკვე უღელტეხილის ძირში ვიყავით. აქ ცხენები დავტოვე და წითელ კლდეებში ავედი. დიდხანს ვათვალეირე ეს ჩემთვის უცნობი ადგილები. რამდენჯერმე გამოვიცვალე სამზირი, მაგრამ არხარები აღარ დამინახავს.

ჩამოვბრუნდი და ცხენდაცხენ განვაგარძეთ

მოგზაურობა ქედის გასწვრივ. გზადაგზა ხშირად გვეხვებოდნენ კაცების გუნდები. დიდხანს გარბოდნენ ცხენის წინ, სრულიად შიშველა ადგილებზე და არ ფრინდებოდნენ, სანამ ცხენი ზედ არ წაადგებოდა ხოლმე.

29 ივლისი. ხუთშაბათი.

სალამოს მარტო ვადავედი მიი-ბულაყის ხე-ში. იმავე საოფრის აქეთა კუთხეში ისევ ის ცხენების ჯოგი დევინახე. ამჯერად ახალგაზრდა ვაჟებთან შერეული. ჯოგი უკვე ნაბალახევი იყო და მინდვრის გადმოღმა ხევეში ჩადიოდა, ალბათ წყლის დასაღევად. როგორც მახსოვდა, ის ხევი მშრალი იყო. მაგრამ შეიძლება მის სიღრმეში რამე წყაროც გამოდიოდა. ვიჭექე, სანამ მთელი ჯოგი ხევეში არ ჩაიკრიფა. წასვლა რომ დავაპირე, ქვემოლან ქარმა დაუბერა. მაშინვე ქვებში ჩავწექი და ვუცადე, სანამ ქარი არ ჩაღდა. ხევეში ჩავსრიალდი, წყალზე გადავედი და შევეყვიე ვაღმა ნაპირის ფლატეს. მე-რე მინდვრის სისწორეზე ავიყვიე და ფრთხილად წყვედი მშრალი ხევისაკენ. ქვევიდან ისევ წამოუბერა. ისევ ჩავწექი. უკვე შედარებით ახლოს ვიყავი და ეტყობა ქარმა ხევეში ჩაიტანა სუნე. დავინახე, როგორ ამოცვივდა დამფრთხალი ჯოგი ხევის ვაღმა ნაპირზე. ქარი ისევ ჩაღდა. ტყეები ბილიკზე ამწყვრივებული იდგნენ, ყველას ჩემკენ მოებრუნებინა თავი. ცდილობდნენ დაზუსტებას, საიდან ელოდათ ხიფათი. მე ვერ მხედავდნენ, სუნიც აღარ მისდიოდათ და გაურკვეველ მდგომარეობაში იყვნენ. იმედი მქონდა, რომ თუ ქარი აღარ დაუბერავდა, ტყეები დამშვიდდებოდნენ და შეიძლება მიპარვა მომეწყო.

მაგრამ ისევ წამოუსისინა ქვემოლან ნიაგმა და მთელი ჯოგი, თითქოს სახრე შემოსცხეს გვერდშემო, ისევ შედრკა და ქენებით გაქანდა კლდეებისაკენ. უკან გამობრუნებისას კიდევ დიდხანს ვხედავდი ბინოკლში კლდეზე გადმოდგარ სილუეტებს ჩამქრალი ცის ფონზე. ქვემოთ ჩამოსვლის შემდეგ იმ ხევეში გავუხვიე, სადაც წელან ჯოგი იყო. მართლაც ცოტა ზემოთ, ნაშალიდან ნაკადული გადმოდიოდა, რამდენიმე ლოდზე ჩქერს აკეთებდა და ისევ ღორღინ იკარგებოდა.

ქედზე გადმოვედი, უკვე ჩამოხნულა. მხოლოდ მყინვარის სათავეში მოჩანდა ჭიაფურად გაჩაბებული მწვერვალები. პირდაპირ კი, ნანსერის ბიკის მხარზე, ახალი მთვარე იჭდა და ყინულის გუმბათი თითბრისფრად აელაპლაქებინა.

ბანაკში ოთხი უტნობი კაცი დამხვდა. სიბნელეში სახეები არა ჩანდა. ორი მათგანი რომანოვის ჯგუფიდან ჩამობრუნებული ალბინისტი იყო, ორი კი კიეველ ალბინისტი-ინსტრუქტორთა ჯგუფის წევრი. ეს ჯგუფი ამ სალამოს ჩამოსულიყო ტიუზის უღელტეხილიდან და

ზემოთ, ჩონ-ტაშის ძველ ნაბანაკთან დამბნავებულიყო.

2 აგვისტო. ორშაბათი.

30-ში დილით გივი, კოსტა, მამბეტი და ჯი-ახში ცხენებიანად დაიძრნენ „დიკისაკენ“. მე გივის გამოვთხოვე ვერტმფრენის ამოსვლამდე აქ დარჩენის ნებართვა. ცოტა გაუჭირდა მარტოკას დატოვება, მაგრამ დამეთანხმა.

ბანაკში მე და კარატი დავრჩით და ორი რუსი რომანოვის ჯგუფიდან: საშა და ალიკი. ალიკს ფლუსი აქვს და საშინელ დღეშია. საშა კისლევი, — ორმოცი წლის ექიმი-ფსიქიატრი, მონადირეა. ამიტომ მე, ის და კარატი მთელი დღე ვზივართ და ნადირობის ამბებს ვუამბობთ ერთმანეთს.

საშამ ამიწერა არხანგელსკის რაიონში, თეთრ ზღვაზე ნადირობა. მისიში, ვაზაფხულის ვადაფრენაზე მიდიან ხოლმე მოსკოვიდან. დამპატოეა, მომავალ მისის ჩამოდით.

ღამით დაბრუნდნენ ვაქამბეტი მამბეტი და ჯიახში. შუაგზამდე ძლივს მიულწვევიან. შემდეგ ცხენების გაყვანა შეუძლებელი გამხდარა. კოსტა და გივი ფეხით წასულან. ასე ჩაიშალა ცხენის ქარავნის რეგულარულად გამოყენების იმედი. ახლა ვერტმფრენის გამოჩენამდე ექსპედიციასთან კავშირი აღარ მოქმედობდა.

დილით გავაცილე მამბეტი, კარატი და ჯი-ახში. გავაცილე საშა და ალიკიც. მათ ბედი ეწიათ: სარი-ჯაზამდე ყირგიზებთან ერთად ცხენებით იმგზავრებენ. ალიკმა უხმარი ბატარეები დამიტოვა, საშამ — საპონი. ესენი, იმ მომენტში, ჩემთვის ძვირფასი საჩუქარი იყო.

სალამოს ზემოთ დაბანაკებულმა კიეველებმა მომაკითხეს. დიდხანს ვისაუბრეთ. ორი დღე დარჩებოდა აქ. შემდეგ მყინვარზე წავლენ. მათი ამოცანა — მარშრუტების დადგენა მაღალმთიანი ტერიზმისათვის. მთხოვეს, ხვალ გავიყოლო ტყეებზე სანადიროდ. მაგრამ დილას, როცა ისინი მოვიდნენ, ტყეებზე წასვლა უკვე გვიანი იყო.

შემდეგ აქ ჯგუფის ხელმძღვანელი, იურა კოზუბი წამომყვა აქვე გორაკებში კურდღლებზე სანადიროდ. იურამ ერთი კურდღელი მოინადირა, მე — ერთი კურდღელი და ორი კაკაბი და წავედი მათ ბანაკში. დიდი ზეიმით დაგვხვდნენ, ფოტოები გადაგვიღეს. ნანადირეებზე დამპატიეს.

მეორე დღესაც ვინადირეთ მე და იურამ კურდღლებზე და ექვსი კურდღელი მოვიტანეთ, რადგან გუშინდელი ნანადირევი არ გვეყო. ერთ-ერთი მათგანი, ვიტალი ბიკოვი, მშვენიერი მხარეული გამოდგა. ჩინებულად მოხრაკა კურდღლები და თან გადასარევი წვენიც

ვაშა გიგაშვილი
ნადირობა ჩონ-ტაშში

შეუმზადა. რა იხმარა და რა უყო, არ ვიცი, მაგრამ ასე გემრიელად მომზადებული კურდ-
ლელი არასოდეს მიჭამია. იურა ნადირობით
აღტაცებული იყო და იძახდა, კიევში არავინ
დამიჭერებს, რომ ორ დღეში სამი კურდღელი
მოვკალიო. ძალიან მზიარული და ყოჩაღი ბი-
ჭები იყვნენ.

ამ დღით ისინი ებზარგნენ და დავრჩი სულ
მარტოკა ჩონტაშში.

5 აგვისტო. ხუთშაბათი.

მარტოდ ყოფნა უღიმამო დღეებით დაიწყო.
ქარია და წვიმს. ბანაკი მივალაგე და ვზივარ
კარავში. ვკითხულობ თოფების ცნობარს, რად-
გან სხვა აღარაფერი მაქვს წასაკითხი.

ნაშუადღევს წვიმა წყდება. გამოვიდვარ.
ძლივს ვაჩაღებ ცეცხლს და ყავას ვიხარშავ.

მდინარე რამდენიმე დღეა იმატებს. ალბათ
მერტახებმა გაუშვა. ყველა ნაკადი გაერთიან-
ებულია და რიყის მთელ სივანეზე ყავისფე-
რი ღვართქაფი მოღრიალებს. ბანაკის ქვემოთ,
მოსახვევში, მდინარის შუაგულს საზარლადაა
აქოჩრილი. რვა-ათი მეტრის სიმაღლე ტალღებს
მოაქანებს, ზემოდან მდინარის ეს ნაწილი უზარ-
მაზარ დრაკონს ჰგავს.

გორაკებში ფოტო-აპარატი დავებტია-
ლობ, ვცდილობ, ახლოს მივეპარო ზაზუნებს
და გადავიღო. არაფერი გამოძის. ვუთვალ-
თვალუბ კაბის გუნდებს, სხვადასხვა ფრინ-
ველებს.

სალამოს, ბანაკში დაბრუნებისას. შავარი ქა-
რი ამოვარდა. მყინვარის მხრიდან მოერეკება
რალც შავ ბურუსს. უცნაური და უსიამო სა-
ნახავია. მახსენდება, რომ ეს მოვლენა აღწე-
რილია ბალაოვის ჯგუფის „პობედაზე“ ასვლის
ანგარიშში. თურმე, ასეთი ბურუსი ჩნდება,
როცა ძლიერ ქარებს „პობედის“ ქედის გა-
დაღმა მდებარე თაყლა-მაკანის უდაბნოდან
ატაკებული მტერის მასები გადმოაქვს.

ვიკეტები კარავში. გარეთ ქარის ზემოილა და
აღიდებული წყლის ღრიალი. ახლა სინათლე
მაქვს ალიკის ბატარეების წყალობით და ისევ
თოფების ცნობარს ჩავგვიკიტებ გვიანობამდე.

ორი დღის შემდეგ გამოიდარა და სწრაფად
გაშრა ყველაფერი.

სალამოს ისევ ტყეებზე სანადიროდ მივდი-
ვარ. ზორცი მე თვითონ მჭირდება.

ზუსტად ექვს საათზე მიჩვეულ სამზირში
ვიკეტი. ჩემს გვერდით დაეშვა მტრედების დი-
დი გუნდი. გოგმანითა და კენკვით ზედ მო-
მადგნენ, აუღლევებლად შემომიარეს და გა-
ნავრძეს თავისი საქმე.

ორმოცი წუთის ზევრვის შემდეგ, ისევ იმ
კეხზე, სადაც ტყეების დოლი ვნახე, ექვსი ვა-
ცი გამოჩნდა. ნაშალების ძირში ჩამოვიდნენ.
იქვე, მათგან მარცხნივ, თხების არე გამოვიდა

თიკნებით (თიკნები ამ დროისათვის შესაძლებ-
ვად წამოიზარდნენ). კლდეებიდან ნაკადები
ისეთივე ფინტებით, მხოლოდ ნაკლები ენთუზი-
აზმით, ჩამოეშვა ოთხი ვაცი და მამულური ბრე-
ჭით, ჩქიურ შეერივნენ თხების ჯოგს. თხე-
ბის ჯოგი შეირბა და კეკლუცად მიაწყო
გვერდზე. ზემოდან კიდევ სამი ვაცი ჩამოე-
და, შეუერთდნენ დამხედურებს და დაიწყებ-
ძოვა. თხების გუნდი ხევის ნაკეცს მიედარა.
ვაცები მარჯვენე ჩაპყვნენ ბალახიან ფერდს
ძოვა-ძოვით. სწრაფად დაეშვი ხეობაში და
დავიწყე მიზარვა.

გაღმოდმა მინდვრის თავში ისევ გამოჩნდნენ
თხები. წელან დანახული გუნდი იყო, აქედ
გაღმოსულან საბალახოდ (აქ ნადირობის მინ-
ძილზე ჯერჯერობით ერთხელაც არ მინახავს,
რომ თხებსა და ვაცებს ერთ მინდორზე ერთ-
ვით, თუნდაც ცალ-ცალკე).

სათითაოდ დავათვალიერე თხები. ამჯერად
ახლაგაზრდა ვაცები არ ერიათ. მხოლოდ თხები
იყვნენ და საკმაოდ ხნიერებიც, წვრილი, წავრ-
ძელებული რქები ჰქონდათ.

ისევ იმდღევანდელი „ილეთით“ გავეპარე
თხებს, ხევის კიდემდე ავედი და გადავიხედე.

რატომღაც სრულიად დარწმუნებული ვიყა-
ვი, რომ დღეს კი უქვეყლად გავაგორებდი ერთ
ასკილიან ვაცს წყალზე ჩამოსული ჯოგდან.
ექვცი არ მეპარებოდა, რომ ჯოგი აქ იქნება
სასმელად და უბრალოდ შეუძლებლად მიმა-
ჩნდა აცდენა.

ალბათ სწორედ ამიტომ, როცა ცარიელი ხე-
ვი დაეინახე, უცებ ავფორიპდი, ისევ დამე-
წყო ნერვიული ციებ-ცხელება და სანამ რამეს
მოვიფიქრებდი, ჩემს პირდაპირ დაკიდებულ
ნაშაზე სწრაფი ხრილით გამოქანდა სამი
დღი ვაცი. აღვიღე გაქვავადი. ქვეშეცნეუ-
ლად მთლად შევიკუმშე და დაეპატარავდი.
„ქვა ვარ!.. ქვა ვარ!“ ვიმორებდი შელოც-
ვასავით. ვაცებმა ღორღი ჩამოათავეს და გვერ-
დით მინდორზე გადაქვენდნენ.

ამან უცებ დამიწმინდა გონება: ესე იგი, ჯო-
გი ველზე ბალახობს და ჩემგან ხევის გაღმს
ნაპირის კიდე ჰფარავს. ეტყობა, ამჯერად მარ-
ჯენე გაპყვნენ მინდორს და წყლის დასალევე-
დაც შემდეგ ხევეში ჩავლენ.

საჭირო იყო გაღმა გასვლა და ხევის ნაპი-
რის კლდეების საფრად გამოყენება. ცოტა ხან-
ში ისინი ამ ნაპირს დაშორდებიან, შემდეგ კი
ტიტველ ფერდაზე აღარავითარი საფარი აღა-
რია. ხევეში საჩქაროდ ჩავეშვი და გაღმა კლდე-
ებში ავედი. აქ ცოტა სუნთქვა დავიწყნარე და
ფრთხილად ავეცოცი, მივალწვი კლის თასს
და გადავიხედე. წინ მინდვრის ცარიელი მო-
ნაკვეთი იყო. გაშბილებულმა მოვათვალიერე
გარემო. — არაფერი.

ისევ კლის საფარს ქვეშ ჩავეწვი და ნაპი-
რა კლდეებს ხევის გასწვრივ ავეყვი. ამგვარად
ნაშალების ძირში გავედი და მინდორს ზემო-



დან მოვექციე. ისევ კლდეებში გადაინაცვლე და გავიხედე. ისევ ცარიელი მინდორი. ისევ ვერვითობა: სად გაქრა მთელი ჯაგო? ის ბოლო სამი ვაიცი არ შეიძლება ასე თვალის მოუქრავად მიმალულიყო. ფერდის საერთო რელიეფით ვგრძნობ, ამ კლდეებს იქით, საღვაც ნაკეცი უნდა ჩამოდიოდეს. თუ არიან, იქ უნდა იყვნენ. გამჩატებული, ზღაპრებით მივხობავ კლდეებში. კენჭიც არ უნდა დამიტურდეს, რადგან ყოველი ნაშვერის იქით შეიძლება ისინი იდგნენ. ყოველწამს ველი, რომ გამოჩნდებიან. ფრთხილად, ზედ ატმისნილი ვუვი კლდის ერთ ფხას — არ არიან. მეორესაც, მესამესაც შემოვუარე და ჩემს ქვემოდან ფხაკუნით გავარდა რაღაცა. სისხლი გამეყინა. თვალი წაავსწარი ქვევლი მიმალულ გრძელ ყვითელ კუდს. მელა. პირველი შეგვდი აქ მელს.

„არა, აქ აღარაფერი აღარ არის. წასულეები არიან“... — ვბუტბუტებ ხმაშლით. ამაში თითქმის დარწმუნებული ვარ, რადგან მელის ფაფურზე არაფერ დაფრთხა, არავითარი მოძრაობა არ გამოიჩინა.

მოლოდინისა, დაძაბულობისა და გაწვილებისაგან ნერვები მეტრამეტად დაჰიმული მაქვს. კლდის ბოლო ნაშვერი გავიარე, ავტყერი. წამოვიწიე... და იმწამსვე თავზარდაცემული ჩავიქუნტე, სიმწრისგან თვალბოც კი მოვხუტე. „ღამინახეს!“ — გავარვარებული ნემსივით გამოიარა ფიქრმა.

...კლდის უკან, ზედ ცხვირწინ, სულ ათიოდე მეტრზე, დავინახე სამი, მძიმე საომარი ფარით გამობურცული, ფართო ბეჭი და ძირს დახრილი თავები უზარმაზარი რქებით. უკანვე ჩაქუტვისას, წამის მეასედში მოვკარი თვალი, როგორ აიწია და ჩემსკენ შემობრუნდა სამივე რქიანი თვით.

„ოღონდ თოფის მობრუნება მოვასწრო!“ — თოფი შემოვაბრუნე და უცებ წამოვდექი.

...ეტყობა ეს ჩემი ჩაკუზვა-ადგომა ისე სწრაფად მოხდა, რომ ვაცები ისევ ისე იდგნენ, ჩემსკენ თავშემობრუნებულნი, დიდი, მოყვი-თალო-ჭროდა, გაოცებული თვალებით შე-მომქექროდნენ.

...თვალის დახამხამებაში ჰაერი მათრახის ენასავით გაჰკვეთა მკვეთრმა, მოკლე, საგანგაშო დასტყვამ და თოფიც გავარდა.

ვაცები ელვის სისწრაფით გაუჩინარდნენ კლდის უკან. სირბილით ავევარი ჩამონგრეულ ქარაფზე. მქონდა მძიმე შეგრძნება ჩემი მოძრაობის უმწეობის და სიზანტისა ამ გადაწყვეტე წამში. აქ საჭირო იყო ქარის სისწრაფე, მაგრამ რას იზამ, აღმინანები ბევრით ჩამოვრჩებიო ვიხებვსაც და მით უმეტეს ნიავს!

როცა კლდის თავზე მოვექციე და მათი გაქცევის არე გადამეშალა, ისინი უკვე ვიწრო ხევის ბოლოში ჭიუხებს შეეკიდნენ.

მანძილი ექვსას მეტრამდე იქნებოდა. სამიზენე გადავაყენე და დავცხე. ტყეები წვილით

მიდიოდნენ კლდის ვიწრო დერეფანში. ჩანდა როგორ აყენებდნენ ბუქს გაქცეული ტყეებისა ახლომახლო, მაგრამ არც ერთი ტყვიანის არ მოხვედრია. ორმა კეხი გადაიარა და მიიმალა. მესამე ლოდებზე ანახსლელი ტყეებისაგან აბნეული, კეხის დაჩხილ კლდეებში აქეთ-იქით აწყდებოდა. საოცარი სანახავი იყო, რანაირი ველური სისწრაფით გადიოდა ჭიუხის სალ კლდეში. უმაღესი, ორი-სამი შეხებით მიფრინავდა ფრიალო ტინზე, ზანჯალივით გაღვილი ქიმიდა — ქიმზე. ტყეებით გვერდით ლოდებიდან მეტრის მოკლე ბუქს აყენებდნენ და მერე მოდიოდა მათი ასხლეტის დაგვიანებული წუილი. კეხზე შემასწრო. ცის ფონზე გაიელვა მისი რქების სილუეტმა და გაქრა.

აქ კი ნამდვილი ისტერიკა დამემართა. ვეკროდი და ვაგინებდი საკუთარ თავს. თავში ხელს ვირტყამდი და ხელელებს კენით ვავრბოდი ზემოთკენ. ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაილვებდნენ გიჟური აზრები: „უნდა დავეწიო!.. საღ წამილენი!.. იმ კეხში გადავალ და წაეასწრებ!.. მაინც მოენახე!“

ვინს მხოლოდ მაშინ მოვეგე, როცა კიკაბოზეში გავეჩხირე და ხელეებს შეშველება დამტყდა. ინსტინქტურმა შიშმა შემოპყრო და ვეგრძენი, რომ საჭირო იყო მოვრეოდი თავს, თორემ საცაა უბედურება მოხდებოდა.

„დაწყნარდი, შე ნავაგო!.. შენი...“ — ხმაშლით, მთელი ბოლით შევეგინე საკუთარ თავს. რამდენიმე წუთი ვიგინებოდი. ვიდექი და ვათვალავებდი გარემოს. დამდებოდა. ვგრძნობდი, რომ სანთილად ვარ დაძაბული და ვონება აღარ მუშაობს. ვერაფერზე ვერ ვფიქრობდი. სიგარეტს მოუქვიდე და ცოტა დამეწმინდა გონება. ახლა უკვე ბოლმა მხსრბოდა.

„ჩაეთრიე ქვევით, შე დამპალო!“ — ვილანძლებოდი ისევ ხმაშლით.

ხეობაში ჩამოვედი. უკვე ჩამქრალი, ბნელად ჩაწითლებული ცა უღარების ორმოცთაღიანმა გუნდმა გადმოსერა. „უუ-ტუ-ლუ-ტუ-ლუ-ტუ-ლუ-ლუ!“ — გაავსო მთელი ხეობა სევდიანი ზარის რეკვასავით ხმებმა. უნაგირში სრულ სიბნელეში ვადმოვედი. მთლად ვანადგურებული და იმედდაკარგული მოვალასებოდი. უცნაურად მომტეხა ამ მარცხმა. ატყდა ქარი. ქარი ღმულოდა და უსტენდა და რაღაც უცნაური ხმები მეჩვენებოდა. ზოგჯერ შიგ ყურში ზამესმოდა ზოლმე კივილი: „უუუუუ!“ — რამდენჯერმე ვიფიქრე, რომ შეიძლება რომელიმე პატარა ბუ ჰკვიოს. მაგრამ ხმები სულ სხვადასხვანაირი იყო და ვიცოდი, რომ მეჩვენებოდა.

კარავში შევედი. დავეგდე. აღარაფერი არც შენელო და არც სურვილი მქონდა. მთელი ღამე ეგმინავდი და ებორავდი. ათასი საათ-

ხაშა ნიგაზშილი
ნადირობა ჩონ-ტაშში

ლობა შელანდებოდა. ვერაფრით ვერ დავაძინე. დავხუტავდი თვალს და მაშინვე ვხედავდი სამი ვაცის გაკვირვებულ სახეს, ჩემგან ათ მეტრზე. და ამის ყოველ დანახვაზე ძალღვივით ვცმუოდი. სახარელი ღამე გავათენე.

7 აგვისტო. შაბათი.

შემდეგი დღე ბანაკში გავატარე. ძალიან ცხელია. მოშლილი ვიყავი. შუადღისას კარგახანს წავუძინე უძილო ღამისაგან გამოთაყენებულმა. მზე რომ გადაიხარა, ჩონტაშისაკენ მიმდორზე გავიარე და ღრმა, სუფთა გუბებებს წავაწყდი. წყალი აბაზანასვით გამოთხარიყო. მოვიტანე საბინი და პირსახოცი. გავიხადე და დიდხანს ვნებებოვბდი თბილ წყალში. ინილიჩემა იყო და ისევ ტოტებად დანაწილდა, მაგრამ ჭერ მაინც ძალიან შავი მოდის. ამ დღეს არაფერი მიჭამია და არც მომიშენია.

ბინოკლში ვათვალიერებდი მდინარის გაღმა ქედს, ნანსენის მწვერვალის კალთებსა და სახვადე ლავარდანებს. ის მხარე ჩვენთვის მიუწვდომელია: ინილიჩეს ფონი არა აქვს. მხოლოდ ბინოკლში ვსინჯავდით ხოლმე უსაქმობისას. ეს ჩრდილო ფერდია და აქამდე კიდევ აღწევენ ტიანშანური შავი ნაქვების ცალკეული ჭკუფები. ზემოთ, დაკიდებულ ფრიალო ფერდებზე, ხანდახან ვხედავდით ტყეც ჯოგებს. ეს ფერდებიც ქუჩით არის დაფარული და ახლა პირველად მომხვდა თვალში, რომ ქუჩმა გაყვითლება დაიწყო. აკრელებულიყო. ჩრდილიან ადგილებში ისევ ხასხასა მწვანე იყო, სხვაგან თამბაქოსფერი დასდებოდა, ზოგან კი ღია-ნარინჯისფერი. ხანმოკლე ზაფხული უკვე გაღვივდაც ვადახრილიყო.

„საინტერესოა ახლა ტყეები რომელს უფრო ეტანებიან: შემორჩენილ მწვანეს თუ შეყვითლებულებს?“ — ვფიქრობდი.

აქამდე მოკლული ყველა ტყის კუჭ-ნაწლავი მხოლოდამხოლოდ ქუჩით იყო დატენილი.

ეს დილაც ცხელი დადგა. დღის განმავლობაში ოთხჯერ ჩამოვიდა ზევი ნანსენის ლავარდანებიდან.

გავარდება მეხი და პიკის ქვეშა ხევი დაიტენება თეთრი ბოლქვებით. ბოლქვები უხმოდ, ფანტასტურად იბერებიან და იზრდებიან. ისეთი შეგრძნება გიჩნდება, რომ საცაა გადმოვლენ ინილიჩეზე, აქაურობასაც გაავსებენ და სწორედ ამ დროს იწყებენ დაჩუტვას. წვებიან, იშლებიან და ქრებიან. ჰაერი იწმინდება და ჩნდება სუფთა, ახალი სითეთრით გადათეთრებული მყინვარის ენა. შავი კლდეებიც ვერცხლის-

ფრადაა შეთრთვილული. ნახევარი საათის შემდეგ კლდეები ისევ ისეთივე შავია, მაგრამ გარდაიქმნა — ისეთივე ჭუჭყიანი, ყვითელი და ჭანგისანი ლაქებით აკრელებული.

ერთი-ორი საათი მიზანში ვისროდი ყარაბინიდან მოკლე მანძილებზე.

გუშინწინდელი აცდენის მიზეზი ჩემთვის ნათელი იყო: მაშინვე დავინახე, რომ ტყვიამ ვაცებს თავზე ვადაუარა. ისინი ისე ახლოს იდგნენ, მე კი იმდენად განერვიულებული ვიყავი, რომ არც მომთქიქრებია მიზნის საჭირო კორექტირება უჩვეულოდ მოკლე მანძილზე. ახლა სწორედ ამის შემოწმება მინდოდა.

აქ, გასაგები რომ იყოს, ცოტას მაინც ვილაპარაკებ მაღალ მიწებში სროლის თავისებურებაზე:

დიდ სიმაღლეზე ატმოსფერული წნევა შესაძრწვევად დაბლდება ზღვის დონესთან შედარებით (მაგალითად, 2000 მ-ზე სინდიის სვეტი 592 მმ-ია, 760-მმ-ის მაგვირად). ჰაერი გათხელებულია და მზის წინააღმდეგობა ტყვიისადმი — შემცირებული. ამის გამო ტყვიის ფრენის მრული გაცილებით გაშლილია და ტყვიაც გაცილებით შორს მიფრინავს. ამიტომ იგი მიზანს ზემოთ ხვდება ყოველთვის. ამ განსხვავების დაახლოებით გამოთვლა ზეპირადაც შეიძლება. ასე, მაგალითად, შანსანის ტყვიის საწყისი სიჩქარეა 865 მ/წმ. 2000 მ-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, 300 მ-ის მანძილზე სროლისას, ტყვია მიზანს ზემოთ ხვდება დაახლოებით ოცდაათი სანტიმეტრით. მანძილისა და სიმაღლის ზრდასთან ერთად ეს განსხვავება შესაძრწვისად მატულობს. ხოლო ტყვიის საწყისი სიჩქარის გაზრდისას კი — კლებულობს.

უნდა აღინიშნოს, რომ სანადირო ყარაბინებისათვის უფრო მაღალ საწყის სიჩქარიანი ვაზნები მზადდება, ვიდრე სამხედროებისათვის. მაგალითად, ევროპულ არჩვეუ სანადირო ვაზნებს 1000 მ/წმ. და 1200 მ/წმ. საწყისი სიჩქარეებით (ყალიბები 6,5×57 და 6,5×68) ამერიკულ „ვიინჩესტერსა“ და „რემინგტონს“ — 1000 მ/წმ. და 975 მ/წმ. ჩვენებური სარეწავ-სანადირო ყარაბინის „ბარისს“ ვაზნას — 950 მ/წმ. საწყ. სიჩქ.).

ამის მიხედვით ყოველი ვაზნისათვის, ყოველ მანძილზე და ყოველ სიმაღლეზე შეიძლება ვარაუდით გამოთვლა მოსალოდნელი განსხვავებისა. მაგრამ ამ თეორიებს, რა თქმა უნდა, სჭობია ადგილზევე თოფის სროლა სხვადასხვა მანძილებზე და შესწორების ზუსტად დადგენა. ამის მიხედვით შეგიძლია სამიწუნს შესაბამისად დადაბლება, თუ არა და უნდა ყოველ-



თვის დაუმინო დადგენილი განსხვავებით ქვე-
ვით!

მე ჩონ-ტაშში ჩამოსვლისთანავე ჩავატარე ეს
მისროლა და გამოირკვა, რომ 300 მ-ზე —
ორმოცდაათი სანტიმეტრით ქვემოთ მომიწვეს
სროლა. 100 მ-ზე — ჩვიდმეტრ-ოცი სანტიმეტ-
რით და ასე შემდეგ. (სიმაღლე — 3400 მ.),
მაგრამ მოკლე მანძილებზე ეს ამბავი არ შე-
მიმოწმებია.

ვესროდი ორმოცდაათ მეტრზე, მერე ოც-
დახუთზე, მერე თხუთმეტზე. ოცდახუთ მეტრ-
ზე განსხვავება თითქმის ნულამდე დაიდა.

მერე ვცადე თხუთმეტზე ახლო მანძილზე
პირდაპირ მუცლის დონიდან სროლა „ამერი-
კული“ („კოვოტური“) წესით: თოფის სამიზ-
ნეში კი არ იხედები, არამედ უყურებ პირ-
დაპირ მიზანს და ლულას თვალდათვალ მიმარ-
თავ მისკენ. ეს გაცილებით სწრაფი სროლა და
ასეთ მოკლე მანძილზე უკეთესი შედეგი მომ-
ცა, ვიდრე კორექტირებით დამიზნებამ.

ამგვარად გავიდა ეს დღე და საღამოსათვის
ნელ-ნელა შევუდექი მზადებას. შევაკეთე ჩე-
მი მოფუჭული „ვიბრაამები“ (პოლონური საშ-
ოთ ფეხსაცმელი. ძალიან სუსტი გამოდგა.
პრეველსკიდან წამოსვლისას ჩავიცვი პირვე-
ლად). გვერდებში მავთულის ნაღველები ვაეუ-
ყარე და დავამატე. მერე „შტორმოვიკს“ ახალ
შარვალს ძირიდან რეზინები შევაჭერი, მოვირ-
გე (წინა გასვლაზე ფეხის თავისუფლად აწე-
ვას მოშლიდა კლდეზე მოძრაობისას). ვიცეამ
მსუბუქად: შიშველა ტანზე — თბილი სვიტერი
და „შტორმოვკა“. ძუნწად ვარჩევ წასაღებს:
ვაზნებსაც კი ვთვლი. ვტოვებ საათსაც. ბო-
ლო დროს ისე ვიძლები და ვიფტები ხოლმე
ყოველ ნადირობაზე, რომ სულ იმის ცდაში
ვარ, რაც შეიძლება მსუბუქად წაიღო. მაგრამ
თოფს ათი ვაზნით, დანასა და ბინოკლს ველა-
რაფერს მოაკლებ დასატოვებლად.

საღამოს ამინდი უტრევს. წამოჩინელა. ცივი
ქარია. მაინც მივდივარ და საჭირო დროს უკვე
ჩემს სამზირში ვზვიარ. არაფერი ჩანს. ვიც-
დი. ვეწვივით თამბაქოს. ცივა, ზემოდან საკმაოდ
ძლიერი ქარი უბერავს.

1 ამის გარდა მთაში სროლისას თითქმის
უმეტესად გიწვეს რაიმე კუთხით სროლა —
ან ქვევიდან ზევით, ან ზემოდან ქვევით. ორი-
ვე ამ შემთხვევაში ტყვიის ბალისტიკურ მრულ-
ზე დამატებით მოქმედებს დედამიწის მიზილუ-
ლებს ძალა და ამ განსხვავების გათვალისწი-
ნებაც აუცილებელია. მაგრამ ამის დაწვრილე-
ბით ახსნა ახლა შორს წაგვიყვანს.

ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს შესწორება აუცი-
ლებლად ემატება ხოლმე პაერის შემცივრებულ
წინაღმდეგობით გამოწვეულ შესწორებას.

იმ გვერდის ზეგს ვაღაღმა, სადაც მო-
ვინადრე, კეხის თავზე სამი დიდი ვაცი (სა-
ლანდე. განვაგრძობ დაკვირვებას. ერთი კლდე-
ში რჩება, ორი ჩამოდის. ნაშლუბის ძირში
კიდევ სამს ვხედავ. შემდეგ კიდევ სამს. მერე
ბევრს. იგივე ჯოგია. ბალახობენ გვერდის ხე-
ვის გადაღმა ვეღზე.

სწრაფად შევყევი ხეობას ზემოთკენ და იმ
კლდის ქვეშ გავჩერდი, რომელზედაც მე და
ჯოკამ შეიღწლიანი ვაცი ჩამოვუსუთ. აქედან
მოჩანს მთელი მინდორი და ზედ ფართოდ
გაფანტული ჯოგია. მანძილია 500 მეტრი. სრო-
ლა შეიძლება, მაგრამ ჯოგბია კიდევ მიუხან-
ლოვდე. მივცოცავ იმ ღარში, რომელშიაც ვა-
ცი ჩამოგვქონდა. გადავდივარ ვიწრო ხეში
და მივძვრები ვაღმა ღრანტეზე. აქ მოფარე-
ბულში ვარ. ღრანტეს კედის რომ მივალწვე,
იმის გადაღმა გამოჩნდება ჯოგია. უკვე ვაღა-
ვედი ღრანტეს კედეზე, მაგრამ წინ ისევე კლდე-
ებია მინდვრამდე. მგონი ამასწინანდელი კუუ-
ღამალობანა იწყება ისევე. ადგილზე ეჩერები.
ვადევარ. ვიწვნარებ სუნთქვას. ვიჭაჩავ და ვის-
წარებ ჩაჩაჩულ შარვალს. ბინოკლს მოხერხე-
ბულად ვწვე ჭარგისაკენ, რათა მკლავებს მოძ-
რაობაში არ შეუშალოს. ორივე ხელით ვი-
მარჯვებ ყარაბინს და თავისუფალი, გამართული
ნაბიჯით გამოვდივარ კლდეებიდან...

გამოვდივარ და რაღაცნაირად ბრწყინვალედ
ვდევარ შიგ დიდი ჯოგის შუაგულში.

ეს წამის მეთაღეს გრძელდებოდა, მაგრამ
ცხადად შემჩრა შეგრძენება: თავს ვგრძნობდი
უხეშ მუტრეტყად, რომელიც დაუბარიცხვლად
შეხებტა რესპექტაბელური საზოგადოებით საე-
სე საბანკეტო დარბაზში. ვგრძნობდი ამ საზო-
გადოების ეჭვიან, გაკვირვებულ, ზიზღარევე,
აღშფოთებულ მზერას. მახსოვს მათი განლა-
გებაც: პირდაპირ ჩემს წინ, ასე თხუთმეტ მეტ-
რზე, იდგა ხუთი ამაყი, მოწითფული ასაკის
წარმოსადგეი ვაცი. ჩემგან მარცხნივ და ზე-
მით სამ ახალგაზრდასთან ერთად იდგა უზარ-
მაზარწვერებიანი, საშინელი შესახვადეი, ბერ-
ხენი ბერე ვაცი. მარჯვნივ და წინ, ყველგან,
რქების ტყე მოჩანდა. მხოლოდ მათი გარჩევა
ველარ მოვასწარი. ვერ მოვასწარი ბერხენისა-
კენ თავის მიბრუნებაც კი. ის მხოლოდ თვა-
ლის კედით დავინახე. შემდეგ თვალის დახამ-
ხამებაში გარშემო გრივალი დატრიალდა. მახ-
სოვს ერთობლივი ზრიალი და ბრაგუნა, თით-
ქოს მიწა ჩაინგრა, ბუქის კორიანტელი და
შეხებტებული ტანების ბაგაბუგი. გარკვევით
კი ვხედავდი მხოლოდ ერთ მშვენიერ ვაცს
ჩემს წინ მდგომი ჭვუფიდან, რომელსაც პარ-
დაპირ ბეჭებში დავახლე ტყვია. ჩემი თვა-
ლით დავინახე, როგორ გამოვლოჯა მისი მყერ-

ვახა ზიზაშვილი
ნადირობა ჩონ-ტაშში



და რაღაც წითელმა, იმწამსვე დაემხო და ახლა რქებდახრილი ცდლობდა წამოდგომას. მე გადატენილი ყარაბინით, სასროლ პოზიციაში, მწვინდალ ვუცდიდი. აღარ მინდოდა ტყუილად მესროლა მეორე. ვაცი ვაიქცა. უცებ ვადა-კოტრიალა, ჭოხებივით ვაქიმა ფეხები პაერში და მერე ადგილზევე ჩაიკრთა.

ეს ვაციც, ხეობის ბოლოში ნააოვნეით, შერთმეტი წლისა იქნებოდა. რქებზე ამასაც ჩვილმეტი კორძი ჰქონდა, მაგრამ ვაცილებით ტანდა და მსხვილი იყო. რქები ჰქონდა პირდაპირი და გრძელი ხმლებივით უკან თანაბრად გადადრეკილი.

ერთხანს ვიჭევი, ვეწოდი და მხოლოდ ვუ-ყურებდი. არაფერზე ვფიქრობდი. მერე ერთი ამოვიოხრე და შევეუღდეი საქმეს. ძალიან მძიმე იყო. ვნანობდი, რომ არა მაქვს თოკი, ვნანობდი, რომ არა მაქვს აპარატი. წვალეობით ჩავათრიე მინდვრის კიდემდე და გადავაგდე კლდეზე. გული მეთანადრებოდა, მაგრამ რას ვიზამდი?... გინდაც თოკი მქონოდა, მარტოკა ვერ შეეძლებდი მის კლდეზე ჩაშვებას.

მე ისევ ზევის მხრიდან ჩამოვედი. გამოვ-ფეშხვე ამოვეკრე. თავი მოვაკერი. ქვეები დავაწყვი და წამოვედი. მაგრამ ბნელოდა. ძალიან ნელა მოვდიოდი. თავ-რქა მძიმე იყო. თან თითქოს აღარც მეჩქარებოდა. სულერთი იყო, როდის მივიდოდი. თითქოს არც მიხაროდა. იმდენ ხანს ველოდი და ვფიქრობდი ამ წუთზე, რომ მთელი სიხარული წინდაწინ დაიხარჯა.

17 აგვისტო. სამშაბათი.

მეორე დღეს სამ გზად ჩამოვზიდე ხორკა, დავაზინავე. ჩემთვის ყირგიზულად მოვხარშე ვედროში და გავაცე. რამდენიმე საათს ვმგდე დაღლილობისაგან მთლად გამოფიტული, არაფრის თავი არა მქონდა. საღამოს ისევ ავანთ-თე ცეცხლი და ცხარე ბულიონი მოვიხარშე. ბულიონმა გამომატოცხლა. ბედნიერად ეგრძნობდი თავს. არასოდეს ვიფიქრებდი, რომ ბულიონს, როგორც გინდა იყოს, ბედნიერების მონიჭება შეეძლო.

არ ვიცი, რაში მომაფიქრდა, რომ მთელი ვედრო ხორცი მოვიმზადე. ალბათ იმიტომ, რომ მქონდა რაღაც შეუცნობი სურვილი, ყოველგვარი გასაკეთებელი მომეშორებინა თავიდან და მერე საბოლოოდ დავედებულყავი ლოვინზე. კიდევ კარგი, რომ ასე გავაკეთე, რადგან შემდეგი დღიდან დიწყო წვიმა და ქარბუქი და მთელი ხუთი დღით ჩავეიკეტე კარავში.

დღეები საშინელი სიმძიმით მიდიოდნენ. ისეთი წვიმა იყო, რომ გარეთ მხოლოდ რამდენიმე წუთით ვახერხებდი გამოსვლას. პირველ ორ დღეს დილაობით ადრიაანად ვიღვიძებდი, ვიცავამდი ტანსაცმელს, ვცდილობდი დამეწყო რაიმე საქმიანობა. გამოვძერებოდი გარეთ ლაბადა წამოფარებულს, დავებრიალობდი

წვიმის ქვეშ. რამდენიმე წუთში ვიღუშებებოდა და ისევ კარავში ვიმალებოდი.

ციოდა. კარავი სწრაფად იტენებოდა თამბაქოს კვამლით და წამდუწუშე მიხდებოდა შეკრულ-შეკვანძული სარკმელისა და შემოსასვლელის გახსნა. ისევ თოფების ცნობარს ჩავეირკიტებანი.

ერთხანს იმით გავერთე, რომ შევადგინე ზუსტი გრაფიკი, რომელ დღეს, რა ადგილას, რამდენი და რანაირი ტყეები ვიჭავ.

გამოვიდა ასეთი დასკვნა: მაი-ბულაკის ხეგსა და მის წყალგამყოფ ქედზე ტრიალებს ძირითადად ერთი დიდი ჭოკი, რომელიც ორადეა გაყოფილი. ერთ ჭკუფში დადიან დედა თხები თიყნებით და ახალგაზრდობა: სამ-ოთხ წლამდე ასაკის თხებიც და ვაცებიც. მეორეში კი — მხოლოდ ვაცები, ოთხ წელზე უფროსებით დაწყებული და ბებრეებით გათავებული. ამით გარდა კიდევ შემჩნეული მყავდა რამდენიმე მარტოხელა ბერხენი ვაცი, რომლებიც კლდეებიდან თითქმის არასოდეს ჩამოდიოდნენ. საერთო რაოდენობა ამ ჭოკისა თიყნებიანად ორასამდე იქნებოდა. ჭკუფები მუდამ ერთნაირი არ არის. დროდადრო ნაწილებიან და ისევ ერთდებიან, რაიმე თვალსაჩინო მიზეზის გარეშე. ახალგაზრდა, სამწლიანი ვაცების ჭკუფი ზოგჯერ გამოეყოფა ხოლმე თხებს და ცალკე დადის. მეორე ასეთივე ჭოკი, ისიც ორად გაყოფილი, მოძრაობდა ინილიჩევის ყინვარის ენის თავზე, უსახელო ხუთათასიანი მწვერვლის კალთებზე. ამ ორი ჭოკის ტერიტორიების საზღვარია მაი-ბულაკის სათავეს მყინვარი და შემკარავი შავი ქედი.

შემოდგომიდან ვაცები და თხები ერთიანდებიან და ზამთრის განმავლობაში უზარმაზარ ფარებად დადიან. ვაზაფხულზე კი მათ თხები ისევ გამოეყოფიან ხოლმე ვაცებს, მათ გამოკყვებიან მათი შარშანდელი თიყნები და საერთოდ ახალგაზრდობა სამ წლამდე ასაკისა. ვაციების ზაფხული, ახალი თიყნები დაიზრდებიან და შემოდგომიდან მთელი საზოგადოება ისევ ერთად იყრის თავს.

ამგვარად, ჩემს გარშემო, შედარებით მცირე ტერიტორიაზე (დაახლოებით 1200-1500 ჰა; საზღვრები: აღმოსავლეთით — უსახელო ხუთათასიანი მწვერვალი; სამხრეთით — მდინარი ინილიჩევი, დასავლეთიდან ტაუზის უღელტეხილიდან ჩამომავალი ბილიკი, და ჩრდილოეთიდან — სარი-ჯაზის ქედი) ცხოვრობდა და ახლოებით ოთხასამდე ტყე.

მომებურდა თოფების ცნობარში კირკიტი. მომებურდა მშრალად მოხარული ტყეის ხორცის დღევა. კონსერვები ოთხილა დამარჩა. ერთი გავხსენი, ცოტა შევჭამე. გემო მეუცხოვდა და გადავაგდე. მოწამლის შიშით ბლომად ნიორი დევაყოლე. პური დიდი ხანა აღარ მაქვს. ისევ მშრალ ხორცს ვღებავ ხახვთან და ნიორთან ერთად. ძლივს ვერევი რამდენიმე ლუკ-

მას, არ მინდა. ვცამ იმიტომ, რომ ვიცი, უნდა ვცამო და ესეც ერთ-ერთ საქმედა მაქვს გა- დაქცეული.

ძალიან ვარ გამხდარი. განსაკუთრებით ამ დღეებში გავხდი. ვაკვირებულე ვისინჯავ ფი- ცარივით ვათხელბულ გვერდებს. ილიამდე ვიმკლავებ ერთად ჩამოცმულ სამ სვიტერს და გოცებულე ვათვალიერებ დღეულ-დაწვრი- ლებულ მკლავს. უჩვეულო გრძნობაა უცნაუ- რი სიმსუბუქისა და სისუსტის.

დაწვერე დღიური. დაწვერე წერილები. მე- რე ერთი დღე ვერთობოდი ერთი-ორი ნაცნობი ძველი ფირფიტის ვახსენებით. რაც ძალი და ციხე მქონდა გავმუღროდი ბელაფონტეს, პაულ ანკას სიმღერებს, არმსტრონგის ძველ, ნიუორ- ლენსულ მელოდებებს. პირით ვაყეთებდი სუ- გირისა და საქაფონის იმიტაციას. ვღრიალებ- დი და ვაგვიოდი დარტყმულივით. მერე ზედ რამდენიმე რუსული „ბლატნიკი“ სიმღერაც მი- ვეყოლე ვიტარის აკომპანემენტით.

წარმოვიდგინე ჭოკია. მსაყვედურობს: „ფუი, შენს ცაცობას! ბიჭო, ერთი ქართული სიმღერა ვეღარ გავახსენდა?!..“

„რა ვქნა, ჭოკია! რომელი მომღერალი მე ვარ?.. ქეიფში ჩემს სიცოცხლეში არ მიმღე- რია. სიმწრისაგან რალაცას ვვლავივარ და რაც გამახსენდა ეგ არი!..“

მერე ახალი თამაში მოვიგინე: რიგრიგობით წარმოვიდგინე აქ, ამ სიტუაციაში, რამდენიმე ნაცნობი ქალი. დაწყვილებით წარმოვიდგინე, რას იზავდნენ, როგორ მოიქცეოდნენ, რაებს ილაპარაკებდნენ. სულელივით ვზიხითვები.

მერე შევეუღდექი წარმოსახვას, როგორ მოვიქ- ცეოდი მე თვითონ, მართლაც აქ რომ ყოფი- ლიყენენ ის ქალები. „ალბათ გაცილებით მე- ტი ყოყლოჩინობის თავი გქვინდოდა!..“ — წა- ვეუბნე საყუთარ თავს.

ერთი სიტყვით, დროს ვატარებდი, როგორც ჩაკეტილი გიფი. მეხუთე დღეს ვიგრძენი, რომ მართლა გავგუფდები, თუ ხვალ არ გამოიდა- რა. და მართლაც მეორე დღეს წყნარი დილა გათვინდა.

ნავადმყოფარივით გამოვლასლასდი მზეზე. ვარშემო მთები ნახევრამდე ჩამოთოვლილი იყო. ნანსენის ლავარდანები და ყინვარები ახალი სუთთა თოვლით წასუღრულიყო. კარგა- ხანს წვალების შემდეგ დავანთე ცეცხლი. მოვ- ხარშე ბულიონი. მეორე ქებათი — ყავა. ცხე- ლი სითხე მპარებდა, სხეული საშრობივით იწოვს მას. ბულიონის შემდეგ დიდხანს ვსვამ ყავას. შექარი კარგახანია გამოთავდა. მის მა- გიკრობას, აგერ ათი დღე იქნება, ვაშლის ჟ- მი მიწვევს. ჭემის სამკილოიან ქილას ვახსნის- თანავე მიაგნეს ჭიანჭველებმა. ისინი მაშინვე გამოფეგრთხე, მაგრამ ბევრი მათგანი შიგ აიზილა და დაიღუპა. პირველად ძალიან მაწუ- ხებდა ეს ამბავი და ვცდილობდი მათ გამოორ- ჩევას, მაგრამ ვს უიმედო საქმე გამოდგა.

მერე დამავიწყდა და არც ჭემის სიღრმეში დაღუბულ ჭიანჭველებს ვახსენებიათ რაიმე თავე.

ინილჩეკის ხეობაში დილიდანვე შავი ნაკა- დები მორბოდნენ. შუადღისათვის უკვე ჩაირ- ბინეს და ყველა ტოტი გაქრა. დარჩა მხოლოდ ძირითადი კალაოტი მდინარისა. აღმოჩნდა, რომ ამიერიდან გაცილებით შორს სომიწვეს წყალზე სიარული. მაგრამ რამდენიმე ცხელი დღე საქმარისი იქნება, რომ ისეც დაიწყოს ყინვარმა დნობა და ნაკადები ისევ გაჩნდებიან. შუადღისათვის თოვლი ფერღობებზე დადნა და მხოლოდ თხემებზე დარჩა. კარვიდან ყვე- ლაფერი გამოვიხიდე ვასაშრობად. მთელი დღე ვენებოვრობდი მზეზე. სამი ზორბა რუსი შემო- მყავრა. გაბრწყინებული სახეებით მომაშურეს და მეკითხებინა:

«Здравуйте, это вы?!»
მე ვერაფერი ვავიგე.

«Нам сказали, что здесь сидит один тип и козлов стреляет».

გამოირკვა, კიველებს ჭგუფის ნაწილს, რო- მელიც უკან დაბრუნდა, შეგვედრიან აღმა-ათა- ში, ესენიც მალაშომიანი ტურისტები არიან, მოსკოვლები. მერცხაბერის ტბაზე ვასვლას აპირებენ. დავთქვით, რომ ნადირობიდან დაბ- რუნებისას ვესტუმრები. ძველ კოშკი დაბა- ნივებულან.

მაი-ბულაკში დიდხანს მომიწია ზვერვა. რამ- დენჯერმე გამოიცვალე საშხირი. უკვე ბინდი დგებოდა, როცა ჩვიდმეტი ვაცი დავინახე სულ ბოლო საბალახოებზე. მაინც დავაპირე მიპარ- ვა, მაგრამ შუაგზაზე შემომამაძა.

გამოებრუნდი, უკვე გვიან იყო, როცა კოშ- თან ჩამოვედი. სინათლე ჭიატებდა. და მაინც შევიკარე. საძილედ მოწყობილიყვენ. მხოლოდ ისევ ის სამი ახალგაზრდა იყო ფეხზე. თურმე მე მიცდიდნენ. აღარ ვაგჩერდი. მაინც გამიშას- პინდლდნენ კომპოტით. ამაზე უარი ვეღარა ვთქვი. შეუპირიდი ხვალ შემოვლას.

შემდეგ დილით ტერასებში გადავედი სა- ფანტის თოვით. ორი კაკაბი და ორი კურდღე- ლი ვინადირე და ვაგვემართე ქობისაყენ. გუშინ, საძილედ ტომრებში ჩამქვრალი ჭგუფის ჩურ- ჩულ კურკურში ორი ქალის ხმა ვავარჩიე და ახლა წინასწარ ვტკბებოდი იმის წარმოდგენით, თუ როგორ მივალ ნანადირევით ხელდამშვენე- ბული, დავედლო ცეცხლიან მყურდროდ, დავ- ლეც ცხელ, ტკბილ ჩაის, ვავაბოლებ თამბაქოს, მოკვეები „ქკუსის შესარყევ“ ამბებს და ყვე- ლას ყურადღების ცენტრში ვიქნები. ვარშემო კი იფუსფუსებენ ლამაზი გოგოები, დაამზადე- ბენ სადილს და თან ცნობისმოყვარეობით და- მიწყებენ თვალთვალს. მე კი მათკენ არ ვა- ვიხებვარ.

ვაშა ვიგაშვილი
ნადირობა ჩონ-ტაშოში

დაახლოებით ისე მოხდა, როგორც წარმოვიდგინე. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ორივე ქალი ისეთი ჯავლაგი, საცოდავი და მოღრეცილი აღმოჩნდა, მზისა და ცივი ქარისაგან დაშარულ-დამფუჭებულნი, საცხებლით წათხუნული ცხვირებით, რომ ხელად ხასიათი გამიფუჭდა; ლაპარაკის ხალისიც დამეკარგა. ძლიერ დამითანხმეს სადილად დარჩენაზე.

ეს ჯგუფი მეორე დღეს უკანვე წავიდა. სარა-აინის ქედის გადმოლახვით უკვე ისე იკუნენ დასუსტებულ-გაწვავებულნი, რომ ვეღარ გაბედეს ყინვარზე წასვლა.

ამათ შემდეგ ორ დღეში კიდევ ორი ჯგუფი გადმოვიდა ტუზის უღელტეხილიდან, ლენინგრადელებსა და ისევ მოსკოელებსა.

არც ერთი ეს ჯგუფი არ იყო ნამდვილად კვალიფიციური მაღალმთიანი ტურისტებისაგან შემდგარი. არა ჰყავდათ ალპინისტი ინსტრუქტორები და არც მაინდამაინც გასაკიცხები არიან, რომ ვერც ერთმა ვერ გაბედა მარბრუტის ბოლომდე მიყვანა. ყველანი ჩონ-ტაშიდან უკანვე გაბრუნდნენ.

ასე სტუმარ-მასპინძლობაში გავიდა სამი დღე და ისევ მარტო დავრჩი.

18 აგვისტო. ოთხშაბათი.

ცხელი დღეების შემდეგ ისევ გავისო ინილჩეკის ტოტების დაცლილი კალაპოტები. მაგრამ უცნაური რამ ხდებოდა: წყალი ხან გაჩნდებოდა, ხან ისევ ქრებოდა. ზოგჯერ ნაკადი რომელიმე დიდ ქვასთან შეჩერდებოდა, თითქოს ვეღარ ბედავს წინ წამოსვლასო. მერე ნელ-ნელა, ფეხბარფით მიიპარებოდა უკანვერამდენიმე საათში ისევ მოიკრებდა ძალას, გამოჟანდებოდა გაბედულად და მთაყარ კალაპოტამდე ჩააღწევდა. მერე ისევ დაიწყებდა დახევას.

დღეს გვიან გამეღვიძა. ღრუბლიანი ამინდი იდგა, ჩამოქუფრული. ჩვეულებისამებრ ვათავალიერ ბინოკლში მთები და მაი-ბულაკის ქედზე ჯოგი დაეინახე... ჩემი ვარაუდით თხები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან ვაცები იშვიათად გადმოდიან ამ ქედზე ჯოგად. ხორცი ტურისტების მასპინძლობაში გამითავდა და ახალი ნანადირევი არ მაწყენდა. რადგან ჯოგი ახლოს იყო, აპარატიც წავიღე.

გადაწყვეტილი მქონდა უნაგირში გადასვლა, იქიდან თხეზე შებრუნება და ჯოგისთვის ზემოდან წამოდგომა. მაგრამ, სანამ ტერასებზე ავიდოდი, შევამჩნიე, რომ ტერეტი ძოვა-ძოვით თხების ვასწვრივ, ზემოთკენ მიიწვევა. გამოცვალე გეგმა და გვერდის ხეცს ავყევი. ეს გზა პირდაპირ თხემის კლდეებში ამიყვანდა, იქ, საითაც ჯოგი მოძრაობდა.

ღრუბელი ძირს ჩამოწვა და დროდადრო მალავდა ტერებს. აქ, კავკასიონისაგან განსხვავებით, ნისლი არ იცის. ჰაერის განსაკუთრებული სიმშრალის გამო ტენი არ გროვდება და

ღილა-საღამოს ხეობები არ იბოლებიან ჩვეუბურად. აქ თენდება მშრალად, უცვარსებოდ მოაკმაშებულად. მზის ამოსვლიდან სწრაფად ათის შემდეგ უკვე თაკარა სიცხეა და შუადღისათვის ჰორიზონტები ბუღითაა დაბინდული.

ამჯერადაც ნისლი კი არ იწვა ქედზე, არამედ მიმედ შეკრული საავდრო ღრუბელი.

ნახევარი აღმართი ავლილი მქონდა, როცა ღრუბელი უკან გადაიწია და მის ბნელ ფონზე ტერეების ფიგურები უჩვეულოდ მკაფიოდ გამოჩნდა. ისეთი გრძნობა გამოიწვია, თითქოს ვე თვითონაც ასე გარკვევით ვჩანვარ და ხევის ნაპირა კლდეებს ჩავეფარე. ასე განავარძე ასვლა, ჯოგისაგან აღარ გამიხედავს. ზემოთ ხევი თანდათან დაეკიდა. დამიძიმდა მოძრაობა. განსაკუთრებით დამაღლეო იყო დაკიდებული ნაშალები. ისევ კლდეზე სიარული სჭოზდა. ბოლოს გამოვედი შავი და ყავისფერი ღორღით მოფენილ მოვდანზე. ღრუბელში ვიყავი გახვეული და მხოლოდ ალღოთი მივხვდი, რომ თხეზე ვარ. გავყევი მარცხნივ. უზარბონი მომარჯვებული მქონდა, ფრთხილად, ყრმაურად მივაბიჭებდი. ყოველწუთას შეიძლებოდა წაეწყდომოდი ჯოგს. ბინდში დაეინახე, რაღაც პატარა არსებები. ნელა დაგოგავდნენ თბილზე. მერე უხმოდ აიშალნენ, დამფრთხალნი, მოგუდული „ფიიფიინი... ფიიფიინი...“ — ძახილით გადნენ ბურუსში. კოჭების გუნდი იყო. ღრუბელი ბუმბულის დიდი ბალიშოვით აწვა ქვეყანას და ყოველგვარ ხმასა და ბგერას ახშობდა.

მივეყვებოდი თხემს და ვგრძნობდი, თანდათან როგორ მემბებოდა ყველა ნერვი. იწყებოდა ჩვეულებრივი, ნადირობის წინ ციებ-ცხელება. თანდათან ძლიერდებოდა ექვი და შემეფოთებაც: ალბათ გაიპარნენ!..

წინ გამოჩნდა თხემის ცალ-ცალკე მდგომი კლდეების რიგი. ნაცნობი ადგილი იყო. უცერად, თითქოს ფეხებთან ბომბი გამისვდა; ქოთოთითა და ზრიალით წამოვარდა მსხვილი, ჩაგოდრებული უღარი და ყურისგამხვრეტი სტეენითა და განგაშით გადაიხეწა სიბნელეში. მას კიდევ ექესი-შვიდი მამალი მიჰყვა. გულგახეთქილმა გადავიინაცველ სწრაფად თხემის მარჯვენა ფერდელ, იმ ვარაუდით, რომ გამოქცეულ ტერებს საფარში შევხვედროდი. ამ განგაშზე ისინი რომ ვაიჭეოვდნენ და თანაც სწორედ თხემს ამოკვეებოდნენ ზემოთკენ, (ყველა სახის გარეული მთის ვაცი ყოველთვის გარბის ზევით: არასოდეს არ კარავენ სიმაღლეს, თუ საგანგებოდ არ აიძულეს) ექვი არ მეპარებოდა. მაგრამ როგორც კი ჩაეხრიალდა ქეოშაზე, ერთობლივმა ზრიალმა გამაყრუა: ჩემს გარშემო თეთრ-ლურჯი კორიანტელი დატრიალდა და უღარების მეორე, უზარმაზარი გუნდი სწრაფად დაინთქა ღრუბელში. ლანდლა-ვინგებით ამოვედი ისევ თხეზე და აქედანაც ისევ აფრ-ზაურით აიშალა მესამე გუნდი. ერთხანს კიდევ



ისმოდგა მოგუდულად მათი გაბმული გადახა-
ხილებით: „უ-უ-ტ-უ-ლ-უ-ტ-უ-ლ-უ-ტ-უ-ლ-უ-ლ-უ...“
და ისევ დუმით დაიტანა ყველაფერი.

ახლა კი მთლად დაერწმუნდი, რომ თუ კი აქ
სახლტუკებს ჭოგი იყო. ახლა ისინი უკვე მეც-
ხრე მთასა და მეცხრე ხეებს გადადიოდნენ ქე-
ნებით. ინერციით მივებრიალებდი თხემდათხემ
დაქანებისაკენ და ჩემვან მარცხნივ ცრიატი შუ-
ქისა და მრუმე ღრუბელის საზღვარზე, თვალი
წააწყდა რაღაც ნაშეკრების ტყეს და მოულოდ-
ნელად მივხვდი, რომ ეს ტყეზია.

წინაღმართი ნერვიულობა უკვე გადავლილი
მქონდა და დამშვიდებით დავათვალიერე რქე-
ბი. ათი თხისა და შვიდი ახალგაზრდა ვაცის
დავითვალე. მაგრამ მე ხომ მხოლოდ რქის
წვერებს ვხედავდი, დანარჩენს ფერადი სიმრგ-
ვალე ჰგავდავდა. იქ შეიძლება სამი ამდენი
ყოფილიყო. არც ის ვიცი — დგანან თუ
წვანან. სწრაფად გადავედი თხემის მეორე მხა-
რეს, პირდაპირ ჩავიბრინე და ისევ გადმოვედი
ზედ ჭოგის თავზე. ეს კი მეტიცმეტე მომივიდა.
ეიწუქი მძმივლებულ ღორღზე, ერთადერთი,
ფეხმართის ბურთისხელა ქვის უკან და დავ-
ჩერებოდი ჩემს ქვემოთ, რვა-ათ მეტრზე ჩა-
წოლილ ჭოგს. ჭოგი მჭიდროდ იწვა ხავსმოდე-
მულ ნაშალზე და ძინა. შიგადაშიგ რომელიმე
მათგანი ასწევდა ხოლმე თავს, უკან გადაიგ-
ვებდა და ცხენივით ამთქნარებდა. მხოლოდ
სამი თიანე იდგა ფეხზე, თვალგაშტე-
რებული და გაშეშებული. სულ ათი თიანე
დავითვალე. დიდები ოცდაშვიდი იყო. აქედან
თერამეტი თხა. თიანეები უკვე შინაური თხის
ზომამზე წამოზრდილებყვნენ. მაგრამ მათმა სიმ-
ცირემ გამოკვირვა: ამ ერთი თვის წინ ნახულ
ჭოგებში თითქმის ყველა თხას ახლდა თიანე.
ნეტა რა მოხდა? დანარჩენები დაილუნუნენ?
რისგან... შეიძლება სწორედ ეს არის ირბისის
მოქმედების ნიშანი, თუმცა სხვა მისი არსე-
ბობის არავითარი კვალი არ შემხვედრია ჭერ-
კერობით.

მხოლოდ ერთ ბებერ თხას არ ეძინა. კისე-
რი მალა ეჭირა და განუწყვეტლივ აქეთ-იქით
იხელებოდა. ყურებსაც ხან ერთ მხარეს დადი-
რებდა, ხან — მეორეს. თან იცხნებოდა.
წაგრძელებული, წვრილი, მოკრებილი რქები
ჰქონდა და თხელი წვერი. ერთხანს მეც შეუ-
რა შიგ თვალებში, ნამდვილი თხისებური, ცეტი
მზერით. მისი მზერის ქვეშ მთლად მოვიწურე
და დავიძაბე თოფზე, მაგრამ სრულიად გულ-
გრილად გადაიტანა მზერა ცარიელა ღორღიან
მონაკვეთზე და ცოხნაც არ შეუჩერებია.

საერთოდ ძალიან გამჭირაბი ტყეები (ასევე
ბერის სხვა ნაღირიც) ვასაოცარ ბეცობას იჩე-
ნენ, თუ მონადირეს შემინდობავი ფერი აცვია
და არ მოძრაობს. მოძრავე ადამიანს კი ისინი
დიდ მანძილებზე ხედავენ და თუ ერთხელ შე-
ამჩნიეს, მერე უკვე აღარ მოაშორებენ მზერას.

ჩანდა, ტყეებს ბეწვი უკვე დასდგომდა.
კისრიდან კულამდე ხერხემალზე მკაფიოდ
დათ ვაგულბული მოშავო-წაბლისფერი ზოლი.
ეს ფერი ჩამოსდევდათ მხრიდან მუხლამდე
ვიწრო ზოლად. მუხლის ქვევით მთელი წვი-
ვი კიდევ უფრო მუქი მოშალო-წაბლისფერი
იყო. ბეჭებსა და ბარკლებზე რძიანი ყავის სუფ-
თა ფერი დასდებოდათ და ეს ფერი ფერდის
შუაგულში ბოლისფერ, ჰალარა ლქაშაი გადა-
დიოდა.

ვიწევი და ვუფურებდი. სროლას არა ვჩქა-
რობდი. მინდოდა, რაღაც განსხვავებული გა-
მეკეთებინა. სროლით სხვა დროსაც ესერი, ნა-
ხევარი კოლომეტრიდანაც, მაგრამ ასე გვერდზე
ხშირად ვერ წამოუწევი ჭოგს. უცებ გაბან-
სენდა, რომ აპარატი თანა მაქვს. ვახარებულმა
ამოვარჩიე „მტორმოკის“ უბიდან. იქვე ვა-
რუდით დავაყენე სიმკვეთრის სიღრმე შეიდა
და თხუთმეტ მეტრს შორის. ნელა ამოვაციე
თვალთან საშხირი, კადრი დავიჭიერე და ჩავაჩ-
ხაკუნე.

იმ წამსვე ხრიალითა და ხათუნით ჭოგი
დაიკარგა. ფერდა ჩავიბრინე და დავინახე: გვერ-
დის კეხში გადადიოდნენ, თხემისაკენ. დავიწყე
სამიზნეზე დაქურა ხან ერთის, ხან მეორის.
ვერდი ვარჩევდი, რომელია ვაცი, რომელია
თხა, ანდა თიანე. ამან შემაყოყმანა და ამა-
სობაში შეეფარნენ კლდეებს. ცოტა ხნის შემ-
დეგ ბინოკლში ძლივს ვავარჩიე შორს, თხემის
კლდეებში გადაშავალი ჭოგი. იქ შეჩერდნენ,
შეიკრიბნენ და ჩემს მხარეს დაიწყეს ყურება.

თავხელური აზრი დამებადა: მეორედ მი-
პარვოდი. საერთოდ უიმედო და უაზრო საქმეა
ერთხელ შემფრთხალ ჭოგთან მიპარვის ცდა.
მაგრამ ქედის კეხიდან ასე ადვილად უკანვე
დაშვების ხსიათზე არ ვიყავი.

თხემის გადაღმა მხარეს ავეყვი ზემოთყენ,
ასე სრულიად მშვილად გაკიდოდი ჭოგის გასწ-
ვრივ და შემდეგ ისევ მათ მხარეზე გადმოვი-
ლოდი.

კოლომეტრამდე მანძილი ავიარე. ქედი მკვეთ-
რად მაღლდებოდა. აქ ისევ ედო თეთრი, ახალი
თოვლი. გადმოვედი ისევ მარჯვნივ, ქვემოთკენ
გადავიხაცვლე და ბინოკლში დავუწყე ზვერვა
იმ შავ კლდეებს, სადაც ბოლოს ვხედავდი ტე-
კებს. არაფერი ჩანდა. თხემი ამ ადგილას განი-
ერი იყო და ქვედა კლდეები მხოლოდ ნაწი-
ლობრივ ჩანდა. რამდენჯერმე ფრთხილად გა-
მოვიცვალე ადგილი და ყოველი გადაადგილე-
ბისას ბეჭითად ვათვალიერებდი ახლად გამო-
ჩენილ მონაკვეთებს.

გვერდის კეხის ხაზზე, ცის ფონზე, დავინახე
რაღაც უცნაურად მოღრმეილი, კაუჭის მავეა-
რი სილუეტები. კარგაანს დაშკირდა ბინოკლში

ვაჟა ზივარძლი
ნაღირობა ჩონ-ტაშში

დაკვირვება, სანამ მივხედობოდი, რომ ეს აბალ-გაზრდა ვაიცა. ჩემკენ ზურგიით იდგა. კეხის ხაზი ნახევრამდე ფარავდა.

ჯერ მუცელზე ხოხვით ვებარებოდი. ვიყენებდი თხემის ყოველ ჩაღრმავებას და ვცდობოდი ისეთნაირად გაკრულს მეხობა, რომ მხედველობაში მხოლოდ მისი რქების წვერები მქონოდა და თავად არ დაკვენახებ.

ასე სრიალით გავიარე ორასი მეტრი. თოვლი გათავდა. ყავისფერ ღორღზე გადავედი. აქ ისე ვასწორდა ადგილი, რომ რანაირად არ ვეწებებოდი ღორღს, მივინც რქები თანდათან სულ მაღლა ამოვლიდნენ და ბოლოს ყურები და კეფაც გამოჩნდა. შევჩერდი. ვარჩევდი, როგორ სჯობია: უკან გავბრუნდე და ზემოდან, ხევის გუმბათიდან გადავოქუარო?.. შორია და აზრიც არა აქვს — ვუმბათიც სწორია და მოშიშვლებული. უტეხ მთხვადი ერთ რამეს: რაც არის, არის. ამ შემთხვევაში გინდა გიფორთხია და გინდა გაშართული გვილია. თუ ბედია, სასაროზე ისე მივალ, რომ არ მოიხედავს. მთავარია, ვიმოძრაო აბსოლუტურად უხმანურად და ნიაგმა არ წამოუბეროს ჩემი მხრიდან. წამოვდექი. ყარაბინი ორივე ხელში მოვიმარჯვე და ფრთხილად და სწრაფად წავედი პირდაპირ ვაცისაკენ. რაც შეიძლება სწრაფად მივდიოდი. აქ მთავარი იყო ღრო. იმ წამამდე, როცა ვაცს მოხედვა მოეპარა, ამ წამამდე მე უნდა მომესწრო ნაღდ სასაროზე მიახლოება.

უცნაური სანახავი იყო: ჩემს წინ, ასე შევიდას მეტრზე, ზურგშექცეით იდგა ვაცი. მე კი მკლავებდაკაიწებული, ყარაბინმომარჯვებული, გაჩქარებული მივაბიჯებდი მისკენ.

ძნელა წარმოსადგენი სცენაა ჯიხვზე ნადირობასთან გაცნობილი ყოველი კაცისათვის. ასე მივდიდი სანამ მეტრზე. უკვე შემეძლო სროლა. მაგრამ ვაცი არ ბრუნდებოდა და მე განვაჯრძობდი მიახლოებას. უკვე ვგარბობდი მანძილზე. ვთავებდობდი და ამ დროს, პირველად ამ მანძილზე ფეხქვეშ ქეიშა დამიჩხრიალდა. მაშინვე გავიშხლართე. ბელზე ადგილი ოდნავ ჩაღრმავებული აღმოჩნდა. ისევ ვხედავდი რქის წვერებს პორიზონტზე. ისინი სწრაფად შემობრუნდნენ ჩემსკენ. ძირს, ლავაშით გაკრული მიღჩერებოდი რქის წვერებს და უკვე ვლანძლივით თავს: რა გინდოდა, რას დაეგდე ძირს? უკვე ორას მეტრზე ვარ. მოიხედავდა და ვესროდი. ახლა წამოხტომასა და გასროლას უკვე ვეღარ მოვასწრებდი..

რქებმა ნელ-ნელა დაიწყეს მიბრუნება და გვერდულად გაჩერდნენ. „სამა-ოთხი წლის ვაკია...“ უანგარიშოდ აღნიშნა გონებამ. ნელა, ძალიან ზანტად დაიწყეს მიბრუნება რქებმა... მიბრუნდნენ. კიდევ მიბრუნდნენ და ჩემსკენ ზურგიით გაჩერდნენ. „ახლა წამოვხტები!“ — გავიფიქრე. მაგრამ რქები ისევ შემობრუნდნენ. ისევ მომერია მდელვარება. ეტყობა, ვაცი დავეკვირვებოდა და ფხიზლად. „ავდგე, თუ არა?..“

უტეხ რქებმა დაიწყეს ამოწევა. „რას შერბა?..“ — ვფიქრობ გაკვირვებულად. მოვისხარებოდი, რომ ვაცი ჩემსკენ გადმოიღოს, პორიზონტზე ამოვიდა ჯერ ვაცის ყურები, მერე მთელი თავი გაცივებული, კროლა თვალბოთ: თვალბოთ პირდაპირ მე მომაჩერდნენ. თვალის დახამხამებაში წამოგვარდი და უკვე ადგილიდან მოწყვეტილ ტყვეს ვესროლე. თვალდათვალ დავინახე, როგორ გაუარა ტყვიამ ბარკლიდან მუცელში, მაგრამ არც კი წაფორხილებულა, ისე გადაიბრინა თხემი და გუმბათს გადაღმა ჩაეფარა.

ვაცი აშკარად დაჭრილი იყო და ახლა ისე და დამრჩენოდა, ბოლომდე დავდევნებოდი.

ღრუბელი გადაიარეკა. ცა სულ მოკრიალდა და გამჭვირვალე ლაქვარდის ფერი დაედო. პირს უჩვეულო, აქვარელისებური გამჭვირვალე და სინაზე მისცემოდა. უკვე მიჩვეული ვიყავი აქეთური ცის გუამის საღებავით სქელ და ღრმა ლილისა და იის მუქ სფერებს; პირველად ვხედავდი აქ ასეთ ლაქვარდოვან და გამჭვირვალე ცის თაღს. თოვლი თვალისმოძურვლად ბრტყილებდა მზზე. გუმბათის უმაღლესი წერტილიდან შორს, უსაზღვრო სიღრმეში, ჩონტაშის წყაროსთან, თვლი მოვკარი ვერცხლისფერ წერტალს. ეს ნიშნავდა, რომ ვილაყევი ყინვარიდან ჩამობრუნებულან და კარავი დაუდგამთ. ვარაუდით, კიეველი ბიჭები უნდა ყოფილიყვნენ.

გადავდი იმ ადგილში, სადაც ვაცი გადაეფარა. აქ სისხლი ვნახე თოვლზე. კვალი დამრეცად გადადიოდა თხემზე. ბროწეულის მარცვლებივით გაიბრტყვილა მზზე წითელი მთაულების დამფრთხილმა გუნდმა. შორს, ხეობის სათავესაკენ დავინახე ქენებით მიმავალი ჯოგე წელანდელი ჯოგი იყო. ესე იგი, ისინიც აქვე იწვნენ ნაკეცებში და სროლის შემდეგ გააქცნენ, რომ არ გამოჩენილან. ჩემი ვაცის მათთანა თუ არა?.. მაშინ კაი შორს მომიწეს დევნა. ჯოგი იმ ადგილებში გავიდა, სადაც მოკლული დიდი ვაცი ვიპოვე. ცერად შემობრუნდა ნაშალებზე, ლურჯად დაჩრდილულ თოვლზე გადაიბრინა და ვულდავულ მიაშურა წითელ კლდეებს.

პოო, ძნელი საქმე მელის, თუ დაჭრილი ვაცი მათთანა. დაღონებული გავყევი კვალს. კვალი ერთის ნატარი და სისხლიანი იყო. მიმართულებით ჯოგის მხარეს მიდიოდა. „აღბათ, სადმე წინ ჯოგის კვალს შეუერთდება!..“ მაგრამ კვალმა მკვეთრად დაიწია ქვემოთკენ. უკვე ფერდამში ჩამოვედ და კვალი კარგა მანძილზე გამოჩნდა. ბინოკლით მივყევი მას, ვეძებ ჯოგის ნატართან შეერთების ადგილს და ამ დროს ნაშალებში საგუშავოსავით ამოშვერილი შავი კლდის ქვეშ ვხედავ ვაცს. თავდახრალი დგას.

„კიდევ კარგი! ეს შორს წამსვლელი აღარ არის...“ — ვუთხარი ჩემს თავს და სწრაფად



დავეშვი მისკენ. ვაცი შერტა და მოყანალებული ჩორთით გაიქცა ფერღზე. მაგრამ არა ზემოთკენ, საითაც ჯოგი წვიდა, არამედ საწინააღმდეგო მიმართულებით! ხეობის მიმართულებებს გასწვრივ. ღორღში დავმუხრუჭდი, მონერტებულად მოვიგდე სამიზნეზე და დავარტყი. ყიარამალა გადასული ვაცი კოტრიალით წავიდა ქვევითკენ.

„მზადა!“ — ვიძახი და ხრიალ-ხრიალით ვეშვები ღორღზე.

სწრაფად დავკარგე დიდი სიმაღლე. ვაცის წაქცევის ადგილზე ისევ დავმუხრუჭდი და მივიხედ-მოვიხედე. ვაცის ნაკოტრიალები, სისხლით მოსვრილი კვალი პირდაპირ ქვევით მიდიოდა. განვავტძე დაშვება. კვალი ხეობის ძირამდე ჩაჰყვა ფერღას და მდინარის პირას შეწყდა. ვაცი არსად ჩანდა. კარგახანს ვიტრიალე ადგილზე. გაველი მდინარეში და გაღმაც ვძებნე კვალი. ისევ დავბრუნდი, უკანვე გადმოვედი და ჩავყევი მდინარეს. ბოლოს ზედ ნაპირზე ვიპოვე სისხლი. ეტყობა, ორას მეტრამდე წყალში ნაპირ-ნაპირ გაიარა, შემდეგ ისევ ნაშლზე ამოვიდა და ახლა მკაფიო ნატარს ეადგები. კვალს განუწყვეტლედ მისდევდა სისხლი და მეძებარივით ძუნძულით გავყევი. ვჩქარობდი და ყოველ წუთს ველოდი ვაცის გამოჩენას. სისხლიანი კვალი კი პირდაპირ და განუწყვეტლედ მისდევდა მდინარის ნაპირა ლოდებსა და ღორღებს.

ასე გავიბრინე ორი კილომეტრი და მიბუღაკის დინების იმ ნაწილში გავედი, სადაც ადრე არც ერთხელ არ ეყოფილვარ. აქ თანდათან შევიწროვდა კალაპოტი, მდინარე კლდის ვიწრო, ღრმა დერეფანში მიდიოდა. დამკვებდა ის ამბავი, რომ ღინება თანდათან დაქანებული ზღებოდა და მოსალოდნელი იყო, ჩემი ღვენა რომელიმე ჩანჩქერს შეეწყვიტა.

მაღალი კლდეების ძირში თითქმის ბნელოდა, ციოდა და წყლის გამაყრუებელი შხვილი იდგა. აქ უკვე მუხლამდე წყალში მივდიოდი, კალაპოტი ძალიან დაქანდა, დინების ძალა სულ მატულობდა. უზარმაზარ სიღბ ლოდებზე ბობლილით ნელ-ნელა ჩავდიოდი ქვევით.

ერთი რამე უკვე ცხადი იყო ჩემთვის: ვაცი კალაპოტს ჩამოჰყვა. თუ გაუძღვს დასუსტებულმა მუხლებმა დინების ძალას, ის სადმე ქვევით იქნება, მაგრამ თუ წყალმა წააქცია, მაშინ დაატრიალებდა, ჩაიხვევდა და სადმე ლოდებს შორის ისე შეტენიდა, რომ ეშმაკიც ვეღარ იპოვის.

ჩავაღწიე ძალიან საშიშ ადგილამდე. წყალი ღრიალით მიდიოდა ქვევით. რისკის წინაშე დავდექი: ადგილს არ ვიცნობდი. შეიძლება ქვევით მაღალი ჩანჩქერი ყოფილიყო და ერთი წაფორბილება საკმარისი იქნებოდა, რომ წყალს მოვეტაცნე და შივ გადაეჩეჩებე. მაგრამ უკან დაბრუნება აღარ შემიძლო და მთლად დაძაბული, უაღრესი სიფრთხილით, მეტრს

მეტრზე ჩავდიოდი სულ ქვევით და მუცელს კლდის მოსახვევში, ქვევით ცხნივ, მზით განათებული რიყის მონაკვეთი დავინახე და მივხვდი, რომ მდინარე გაშლილ კალაპოტში ვადიოდა. გახარებულმა და გამსულბუქებულმა რამდენიმე წუთში ჩავათავე ბობლი მანძილი და მთლად გალამბული გამოვიდი მზით გამთბარ, გასწორებულ რიყეზე.

მივიხედ-მოვიხედე. ფართო, მრგვალ ქვაბულში ვიყავი. მდინარე აქ სვლას ანელებდა. სიბობო იდგა და სიწყნარე. გარშემო დაყუდებულ იყვნენ ქვიშისფერი, გვერდებდაბურცული, ვლუვი კლდეები. რიყის კიდეზე, ხმელ ეკლიან ბალახში, დავინახე რამდენიმე დამბალი თავისქალა, გრძელი, დახეთქილი რქებით. ნელა ვავყევი ქვევითკენ და თანდათან გამოჩნდა მთელი ქვაბულის მოყვანილობა: მოყვითალო, გლუვი კლდეები ორივე მხრიდან ერთდებოდნენ და იკვრებოდნენ ზედ მდინარის კალაპოტზე. მათ ძირში დახორავებულ ლოდებში იწურებოდა და იკარგებოდა მიბუღაკის მთელი წყალი. გარშემო კი რიყეზე, ლოდებში, გამშარი ეკლიანი ბალახით დაფარულ თიხნარზე, შლამში ჩარჩენილი, ქვებში მარხერილი, ყველგან ყვარა დამტვრეული, ღროისაგან დახეთქილი და დაშლილი ტუქების რქები და თავის ქალები. ზოგ ქალას ზედ შეტრენოდა დამბალი და დამსკდარი რქის ნახეთქები, ზოგს ვასცლოდა და რქის შიდა ძვლის ამარა დარჩენილიყო. ეს იყო „ტუქების ტომარა“, „ტუქების სასაფლაო“ — რისკელდის მიერ ამასწინათ აღწერილი.

მიმივ სანახავი იყო ეს ბარბაროსული ნამუსრევი.

ამ ძნელმისადგომ, ძლიერ ცხოველზე ნადირობა რთული, სარისკო, ღირსების საქმე და მოითხოვს თვისებებს, რომელთა გამოუმუშავებას წლები სჭირდება. ოდნავ თავმოყვარე კაცისათვის ყოველად უნამუსო, სპორტული ტერმინოლოგია — „აკრძალული ილეთი“-ს ზმარება ამ საქმეში საზიზღარია და ღირსების შემლახველი.

აქ კი ყველაფერს ფასი ჰქონდა დაკარგული. ის, რაც ყველა მთის მონადირისათვის წლობით წვალების, წვრთნისა და დაოსტ. ტეხას იშვიათად და ძვირფას შედეგს წარმოადგენს, აქ ჰუჰყიანი სასაკლადო იყო გადაცეული.

სამაგელ ხასიათზე დავდექი. უცებ ყველაფერმა აზრი დაკარგა, გაუფერულდა და დამახინჯდა.

ასე გუნება მომხამული წავადექი ბალახში წაქცეულ ჩემ ვაცს. იგი უკვე გაეშრო მზეს. როცა გადმოვატრიალე, ქვეშ დარჩა დიდი სველი ლაქა. აქამდე თავის ფეხით გამოსულა. მდინარე ბალახებზე ვერ გარიყავდა.

მამა გიგაშვილი
ნადირობა ჩონ-ტაშში



იმ წუწში აღარც გამხარბია მისი პოვნა. მთლად გამოთიშული ვიჯექი და სიგარეტს სივარტზე ვეჭაჩებოდი.

...კაცმა რომ თქვას, ბოლოსდაბოლოს რა იყო ასეთი ნერვებისაშლელი? ეს ამბავი რისკედლისაგან უკვე ვიცოდი, ეს ამბავი დიდხინის მომხდარი იყო. გარდა ამისა, ეს საერთოდ სხვა კატეგორიის ამბავი იყო: აღამიანების ჯგუფს სასიკოცხლოდ სჭირდებოდათ საყვები. ნახეს ნადირით მდიდარი ადგილი, ნახეს საშუალება მისი ადვილად და დიდი რაოდენობით მოპოვებისა. აქ ნადირობასა და სპორტზე არავის უფიქრია, ამისათვის არავის ცხებოდა. გააკეთეს თავიანთი ჭეშუკიანი საქმე, მოიმარაგეს ხორცი და წავიდნენ. რას იზამ? ასე იქცეოდნენ აღამიანები უსსოვარი დროიდან, როცა ნადირი უმარაგი იყო და ხალხი ცოტა. აქაც განსაკუთრებული პირობების შერწყმამ დროებით შექმნა ასეთი, გარდასული საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მდგომარეობა და განმეორდა ძველი ამბავი.

...მაგრამ მწყევსების ჯარის სავანგებოდ გადმოსვლა „უფასო ხორცის“ საშოვნელად, რათა თითო-ორი ზედმეტი ცხვარი შეინარჩუნონ ფარაში და ამის გამო ხარბად ელტვა მახეში მომწყვედელი ნადირისა, უკვე ღორბაა...

...მაგრამ ესეც უკვე რამდენიმე წელია აღიკვეთა მესახლერების პოსტების წყალობით. ამჟამად ტყეს ჯოგები კარგ მდგომარეობაშია და მრავალრიცხოვანია. ამასი პირადად დავრწმუნდები აქ ყოფნის მანძილზე. ამ უკაცრიელ რაიონში იშვიათად, შემთხვევით თუ ვინმე ინადირებს. ამან არ შეიძლება ზიანი მიაყენოს ტყეებს. პირიქით, აქ გამართლებულია რისკედლის „თეორია“... გარდა ამისა, არც ისე ხშირად გამოინახება მთებში მთი-ბულაკის ტომარის მავარი მახე...

ისე, რომ მაინცდამაინც გულისგასახეთქი არაფერი იყო, მაგრამ ამან სხვა ამბები გამახსენა და ბევრი შავი ფიქრი ამიშალა...

...თვალწინ გაიარა ასობით შეიარაღებული ბრიყვის სახემ: ზოგი გამრწყინებული სახით იცილებს მარუფებზე სოფლისპირა ბაღებში ჩახოცილ შამებებს. ზოგი გაკვირებული ათვლიერებს „ზუსტი სროლით“ ჩამოგდებულ გუგულს ან კოდალას და წარმოადგენა არა აქვს, რა მოკლა: ხოხობი თუ კაკადუ?.. ზოგი ისტერიული, გაბოროტებული ეჩინთ დასდევს მისი სოფლის არემარეში სასწაულით გადარჩენილ ერთადერთ კურდღელს, რომელსაც უკვე რამდენჯერმე აქვს საფატი ყურები დაცხრილული...

თვალწინ გაიარა ნაპირებგადავებული, გამაზუთებული ტბების, თვითმფრინავებიდან მოწამლული ველების, გაჩეხილი, საქონლისა და ავტომანქანებისაგან გადაჭედილი ჭალების სურათებმა...

არ შეიძლება ასეთ მდგომარეობაში თავ-

მოყვარე კაცს კთხვა არ დაებადოს: დასწრაობს დირობაში ის, რისი გულისთვისაც ნადირობდა, რაც უხაროდა ამ საქმეში?.. აქაც კაცთვადამოკიდებული... თუ კაცს სიამოვნებასა და კმაყოფილებას მინიჭებს დამბლადამყოფი მოჭიდავის ძირს დახეთქება, ანდა ფეხმორტეხი მორბენალთან მოგვებული დისტანცია, ასეთ კაცს არაფერი შეუშლის უბაძუქნოს აქა-იქ თავშეფარებულ, მუდმივი დენისაგან ნახევრად შეშლილ კურდღლებს, ხობებსა და გნოლებს...

...მაგრამ მხოლოდ ბრაკონიერობის აღკვეთა არ შეეღოს საქმეს. ბრაკონიერი არ სპობს ნადირ-ფრინველის საცხოვრებელ ადგილებს. ის არა ხნავს და არ ტეხავს ყამირებს, არ წამლავს თვითმფრინავიდან უხარმზარ ტერიტორიებს, არ სწევს და ჰბუჯავს ლელსა და შამბნარს, არ აშრობს ჭაობებს და არ ამზუთებს ტბებსა და მდინარებს. ის არ უტეხს საკონელს ხობების, გნოლების, მწყერების, დალლების და სხვათა საბუდარ მინდვრებს გადასაყვად, არ ჩეხავს ჭალებში ახოებს კიტრის, დასათესად და არ გაჰყავს ახლო ავტოგზებში კიტრის გამოსახიად. ამას ყველაფერს აკეთებს გეგმაზომიერად და მიზანდასახულად მოელო მოსახლეობა, მთელი აღამიანური მეურნეობა. ბუნებას შეუბრალებელი ომი აქვს გამოცხადებული და ისიც ნელ-ნელა სიმობს თავის პოზიციებს, ებლაუტება უკანასკნელ კუნძულებს, მაგრამ ამ კუნძულების ბედიც განწირულია და მალე მათაც მოეღებათ ბოლო...

...ბრაკონიერი კი ტურასავით მიჰყვება უყან: მეურნეობის წინდაუხედავ წამლევად წინსვლას. და რაც მას გადაურჩება, თოფითა სპობს...

...რა ეშველება ამ ამბავს?.. ამაზე მთელ-მსოფლიოში საშინელი განგაშია ატეხილი. დიდი ბეზაა მიმდინარეობს, მრავალი ვონიერი აღამიანი სწავლობს ამ საკითხს და ეტებს გზებს, მაგრამ საუბედუროდ, პრაქტიკულ საჭიროებას გაცილებით სწრაფი ტემპები აქვს და ჯერჯერობით არა სჩანს საშუალება ამ ტემპების ზრდის ოდნავ მაინც შეჩერებისა...

...ჯერჯერობით მხოლოდ ძნელადმისადგომი მაღალმთიანი რაიონები გადაურჩა ამ საკვირველ რბევასა და გაჩანაგებას. აქ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა აღამიანმა ტექნიკით შექრა. კიდევ კარგი, ჯერჯერობით არ არსებობს ისეთი ტრანსპორტი, რომლითაც შესძლებდნენ ბრაკონიერები ჩიხებისა და აჩრებების დევნასა და ხოცვას პროექტორების შუქზე. კიდევ კარგი, არ არსებობს ჯერჯერობით მეურნეობის ისეთი დარგი, რომელიც კლდეებსა და მყინვარებს იყენებდნენ. განა ამისი კასოფარი მგალითი არ არის ის, რომ დღევანდელ საქართველოში გაცილებით მეტი ცხოვრობს იშვიათად და ზღაპრულად აღიარებული ჯიხვი, ვიდრე უბრალო, პროზაულად მინდვრის ფრინველი — გნოლი?.. განა ეს ფაქტი მჭევრმეტყველად არ ასუჩალებს ბარბს ბუნების არჩაბულ გაჩანაგებას?



...მაღალმთიან ადგილებში ნადირობა ისევ ძალიან მკაცრი, რთული, მაღალკვალიფიციური სპორტი. იგი მონადირისაგან მოითხოვს მრავალ ძვირფას თვისებასა და უნარს: საუკეთესო ფიზიკურ მომზადებას, დიდ გამძლეობას, ძირითად ალბინისტურ ჩვევებს, მაგარ ნერვებსა და მოთმინებას, გონიერი რისკის უნარს, სწრაფ რეაქციასა და ორიენტაციას, თვითონ ნადირის ცხოვრების კარგ ცოდნას, გამოცდილებას და დაოსტატებას შორ მანძილზე, მოძრავე მინაწიში ტყეებით სროლაში. მაგრამ ეს არის სპორტი, რომელსაც არც მსაჯი ჰყავს და არც მასუბრებელი და ბევრი რამ აქ მხოლოდ მონადირის პირად კეთილშობილებზეა დამოკიდებული...

ამასობაში შუადღე გადახრილიყო. ლომისფერი კლდეების რკალზე დამოხილი ცის გუმბათი მუქად ჩალურჯდა, ჩრდილები დაგრძელდნენ და მზიანი არე დაპატარავდა.

ქებათლიდან ასახვლელს დავეწყე ძებნა. ბინოკლით მივაგენი კლდეში ჩამოძვავალ ძველ ბილიკს, რომელიც დროთა განმავლობაში ჩამორღვეულიყო და მისი ბოლო ფსკერიდან ოც-ოცდაათი მეტრის სიმაღლეზე დარჩენილიყო. იქამდე აცოცება არ იყო რთული საქმე, მაგრამ ნანადირევის ატანა არ მოხერხდებოდა. ვაცი გამოვფეხვებე. ამოვეკრე და იქვე დავტოვე. ბილიკზე ავცოცდი. რამდენიმე წუთში მიგდებულ კოშკის ზედა გორბებში გადავედი და მალე ბანაკშიაც ჩავედი. აქ შევეფეთე იურა კოშკებსა და მის ჯგუფს. ტარანებივით გამოიმზარანი, ყინვარის მზისაგან დამწვარ-დაშაშრულეები, წვერმოშვებულები, უკვე საბოლოოდ აპარგებულყვენ. დრო უკვე ამოწურული ჰქონდა და ჩქარობდნენ. დაღამებამდე უნდა გადავყოლო უღელტეხილი.

საკმაოდ რთული მარშრუტი შევისრულებინათ: ყინვარ „კომსოლოსკიდან“ გვერდის ქედის ყინულოვანი კედლის დაძლევით გადასულან ყინვარ „პროლეტარსკიზე“. დაძლეული უნაგირის სიმაღლე — 5100 მ. ისინი გუშინ გვიან ჩამოსულან ჩონ-ტაშში. დღეს დილით მოუკითხავთ ჩემთვის. ცოტაოდენი ორცობილა და ერთი შეკერა ყავა დამიტოვეს. კარგი იქნებოდა ტუქეს ხორცივთ გამასპინძლება მოსწრებულყოფ, მაგრამ რას იზამ... ნაჩქარევად გაცვეალეთ მისამართები და დავემშვიდობეთ ერთმანეთს.

ავიღე თოკი და უქანვე დაებრუნდი. დაღამებამდე ნანადირევი ჩამოვზიდე და დავაბინავე.

22 აგვისტო. კვირა.

19 აგვისტოს კაშკაშა დილა გათენდა. პირველად, ამ ბოლო ორი კვირის მანძილზე, ღრუბლის ნატამალი აღარ ჩანდა არც მიდადირისაკენ, არც ინილჩეის ყინვარის სათავეში. დღეს

შეიძლებოდა უკვე ვერტმფრენი მოსულიყო და მთელი დილა ფაცა-ფუცოვ გაეატარეს. მაგრამ ჩიე ზემოთ წასახიდი ტვირთი, ყველაფერი მოვაზაღდე იმისათვის, რომ ვერტმფრენის გამოჩენისთანავე ამეშალა ბანაკი.

ცდა ამაო გამოდგა. დილის განმავლობაში სამი უკანასკნელი სიგარეტი მოვეწიე და ახლა ახალი საქმე გამიჩნდა: ჩვენი ბანაკის არემარეზე სიგარეტის ნაწილები შევაგროვე, გავასუფთავე, გამოფეხვენი და ერთი პატარა ქილა თითქმის გავავსე თამბაქოთი.



21-ში ისევ არეული ამინდი იდგა. ხან მზე ანათებდა, ხან ზორხოშელა აყრიდა. ნანსენიდან ისევ დაიწყეს ზვავებმა ჩამოსვლა. ამ დღეებში ისევ მოარბილა მზემ ყინულის ლავგარდანები.

შემდეგ დილას ხუთიათასიანი უსახელო მწვერვალის კალთებზე ვიხეტიალე. მთლიანად გავიარე მწვერვალს ქვედა ქედი. შორეულ კლდიან კეზზე დავინახე ძალიან დიდი ჯოგირქიანი ვაკებისა. დიდხანს ვუთვალთვალე ბინოკლში, როგორ სვენებ-სვენებით აღიოდნენ გრძელ მწკრივად, კეხის გაყოლებით. თურქული იატაკანებივით მოდრეკილი რქები მკაფიოდ მოჩანდნენ დილისფერი ცის ფონზე.

უკან დაბრუნებისას ყარაბინით მოვკალი ერთი მაშალი ულარი, რომელიც შორიდანვე შევნიშნე ქვეშ.

სალამოს ულარი ყირგიზულად შევწვი თიხაში და ნახევარი შეეკამე. ძალიან მშრალი გამოვიდა, რადგან ცხინის ნატამალი არა მქონდა, რომ შიგ ჩაშეღო.

სალამოს ცრიდა, წინადღეს მოკლული, ყირგიზულად შემწვარი ულარის ნახევრით ვისადილე. მოწყენილი ვიჯექი კარავში და საწერ ქალაღდში შეხვეულ თამბაქოს ვეწეოდი, როცა ზახუნების საგანგაშო სტვენა მომესმა. გამოვედი ტერასების დასათვალიერებლად და ორი ცხენისანი ყირგიზი დავინახე.

ჩამოვიდნენ. მოწინავე, ხმელი, ძვლიანი კაცი ჩამოხტა და მომესალმა, ბორისად გამეცნო და მითხრა, მეჯოგეები ვართ, ტიუზის გადაღმა გვეყავს ცხენის ჯოგებში (რისკელდის ნათქვამი გამახსენდა: ამ რაიონში ჩვენს გარდა, მხოლოდ ერთი კომი დგას ტიუზის გადაღმა, მეჯოგეებისა)... ტურისტებმა გვითხრეს, რომ ჩონ-ტაშში ერთი «товарищ грузин»-ია ტუქებზე ნადირობსო. ჩვენთან ახლოს სანადირო ადგილი არ არის და აქ წამოვედით, რადგან ხორცი ძალიან გვეკირდება. შენ აქ ადგილები გოვლიდა და იქნებ გვანადიროო.

ყველაფერ ამას საშინელი დამპკრეული რუ-

**მამა გიგაშვილი
ნადირობა ჩონ-ტაშში**



სულით მეუბნებოდა და კარგახანს გაგრძელებდა ახსნა-განმარტება. მთელი ამ ხნის განმავლობაში მეორე პირმრგვალი, მოკლე, მსუქანი ყირგიზი, რომელიც თავის დაბამულ, სქელ ტან-საცმელში ზუსტად აქაურ ზაზუნას ჰგავდა, დაუხამხამებლად მომჩერებოდა ცხენიდან წვრილი, ბრჭყვილა თვალებით.

მივიპატიე. ბორისმა ყირგიზულად რაღაცა უთხრა მეორეს. ის ცხენიდან ჩამოვიდა. „ეს აიბია, რუსული არ იცისო“, — გამაცნო ბორისმა. სწრაფად მოხადეს ცხენებს ყირგიზული ბრტყელბრტყიანი უნაგირები, დაბორცეს და ეაღუშეს. უნაგირიდან ახსნეს კუმისით სავსე ზნის ხუნდა და კარავისკენ გამოემართნენ. მხოლოდ ახლა მოახსენეს ზურგზე გარდი-გარდმო გადახირული „გეყოები“ და კარავში შემოძვრნენ.

გავმუხამინდლი მოხარული ბორცითა და უკრაინელების დატოვებული ორცხობილათი. კარგახანს ვკამდით ზორცს და ვსვამდით კუმისს. ზორცის უამა რომ დაამთავრეს, მერე ერთხანს ორცხობილებს ღრღინდნენ და გაუნწყვეტლივ სვამდნენ კუმისს. მე სამი ფინჯნის მეტი აღარ ჩამეტია და უარი ვთქვი. ყველაფერი მიჩვევა უნდა.

საუბარი მაინცდამაინც ვერ აეწყო. ბორისი ძლივს ამტკრედა რუსულს და ნახევარი არ ესმოდა. აიბი კი, სულ ცოტა ხნის წინ გადმოსახლებულიყო ჩინეთიდან და საერთოდ არ ესმოდა არც ერთი სიტყვა. მას მთელი საღამო კრინტი არ დაუძრავს.

ისინი საძილედ მეორე კარავში მოვაწყვე. ცოტახანი ვყურე დღიური, მერე დავიძინე.

დღილით ყველაფერი წაღმა-უაღმა გამოვიდა. დაიწყო იმით, რომ საათი გაჩერებულიყო და მხოლოდ ექვს საათზე გავედით ბანაკიდან. მეორე შეცდომა ის დაეუშვი, რომ ბორისის ბინაკის იმედით, ჩემი დავტოვე, იმდენად მეზარებოდა ყველაფერი ზედმეტის ტარება.

ყირგიზები ცხენებით წამოვიდნენ. მე პირდაპირ შევუდექი აღმართს. მათ ადრევე დავანახვე უნაგირი და აეუხსენი, სად უნდა გამოსულიყვნენ და სად დაეტოვებინათ ცხენები. თავები დამიქნიეს და წავიდნენ. მაგრამ ნახევარი აღმართი უკვე ათავებული მქონდა, როცა ისინი ბილი, ტიუზის უღელტეხილისაკენ მიმავალ გზაზე დავინახე. ისე შორს იყვნენ, რომ ყვირილითაც ველარაფერს გააგონებდი. ყვირილი კი აღარ შეიძლებოდა, რადგან რამდენიმე წუთის წინ, ზედ თხემისძირა ბალახიან ტერაზზე ისევ ის, თხემისა და ახალგაზრდა ვაცების ნარევი ჯოგი შევიწინე. მაშინვე ნაკეცში ჩავეფარე, მაგრამ უბინოკლოდ ველარ ვადევნე თვალი მათს გადაადგილებას და ახლა ბრმად ავდიოდი პირდაპირ ზევით.

თხემს რომ მივეახლოვდი, გუმბათის მხარეზე, შავ კლდეებში, რამდენიმე თხა გამოჩნდა.

წიდან დანახული ჯოგი ასე სწრაფად გვეწვდებოდა, ესენი რომლებიღა იყვნენ, რომლებიან ახნულ მდგომარეობაში ვიყავი. ნამლებზე რომ გავედი, ჩემი ყირგიზები დავინახე, ტიუზის ქვედა მინდორზე გასულიყვნენ, ცხენები გავმვით და თვითონ ერთ კობტა ბორცვზე წამომხდარიყვნენ. ერთად ნადირობაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. ისინი ალთას იყვნენ, მე — ბალთას. ჩაეიქნე ხელი და გადავიდით თხემზე. ერთმა ულარმა სტვენის გარეშე გადამიჭროლა თავზე. თოვუმობარჩვებული დავდიოდი ფრთხილად, თან წესიერად არ ვიციოდი, საითაა საჭირო წასვლა. აქ თხემი ბურთივითაა ამობურცული და ამიტომ ძალიან მოკლე მანძილზე ჩანს ვარშემო ადგილი. დაახლოებით, თავი წარმოიდგინეთ თბილისის სპორტის სასახლის გუმბათზე მოსიარულე. ყოველ ნაბიჯზე შეიძლებოდა ოციოდე მეტრში წავეწყდომოდი ტყეებს და საჭირო იქნებოდა სწრაფი სროლა, რადგან ჯოგი იმწამსვე მოასწრებდა ჩაფარებას. ეს გაურთვეელი მდგომარეობა მანერვიულდება და მთლად დამახული გადავდიოდი ამ გუმბათზე ხან ერთ, ხან მეორე, ხან მესამე მხარეს.

ასე წინ და უკან სიარულში თვალი წავასწარი მარცხნივ, ფერდის დაქანების ქვემოდან ამოჩენილ თავს. ახალგაზრდა ვაცი იყო და მე მიყურებდა. როგორც კი შეგხედე, გაქრა. მაშინვე გადავირბინე მისკენ, მაგრამ აღარაფერი დამინახავს.

ამ დროს, შორს, ქვემოთ, მიბ-ბულაყის გღმა, ცნობილ საბალახოებში, დავინახე დიდი ჯოგი. უბინოკლოდ ვერაფერს ვიტყოდი გადაწყვეტით, მაგრამ რქიანებსაც ვამჩნევდი და ურქოებსაც. ჯოგი ძოვას ამთავრებდა და ნელ-ნელა ადიოდა ნაშლეებში. მინდვრის ძირებში კიდევ სამი ცალი გავარჩიე. ისინი ჯოგისაგან განცალკევებით, დანდობილად ბალახობდნენ. გადავწყვიტე, მეცადა მათთან მიპარვა. იქნებ ჩამესწრო.

ფერდობი ძალიან დავიდებულნი იყო და ნაშალიანი. ამან მომცა საშუალება სწრაფი გლოსირებით დაშვებისა. ხრიალ-ხრიალით ჩამოვედი ქედის თითქმას ნახევარ სიმაღლეზე, როცა ეს საშვი დაიძრა. სვენებ-სვენებით მიიწვედნენ ნაშალეებისაკენ, იქით, სადაც წითელ კლდეებში უკვე მთლიანად შეიკრიბა დიდი ჯოგი.

მიპარვაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. დასაქარგი მაინც აღარაფერი მქონდა და უცებ მივიღე გადაწყვეტილება. წავეუქე. სამიხნე შკალარვას მეტრზე გადავაყენე და დავცხე.

ტყეები აირივინე. ტყეებში გარშემო ხედებოდა, აფრთხობდა მათ და იმის მაგივრად, რომ პირდაპირ ზემოთ გაქცეულიყვნენ, თავგზააბნეულინი აწყდებოდნენ წინ და უკან. ჩემგან ისინი მხოლოდ რწყილისხელა, მოთეთრო წერტილად მოჩანდნენ, მაგრამ მაინც შესამჩნევი იყო, რომ



ერთი მათგანი გაცილებით მსხვილი და რქიანია. ასეთ მანძილზე უპოტიკოდ სროლა ზღაპარია, ვარაუდით ვერსოდი. ცდა ღირდა. უკვე შეიდი გავისროლო, როცა ერთი მათგანი მხედველობიდან გაჰქრა. ვერ ვხვდებოდი, საით წავიდა, რადგან წითელ ნაშალებზე რომ არ გადაუვლია, დანამდვილებით ვიცოდი. მეთერთმეტე გასროლის შემდეგ მეორეც დაეკარგე და დარჩა მესამე, ყველაზე მსხვილი. კიდევ ოთხჯერ მოვსწარი სროლა და მესამემ ნაშალები გადასქრა და კლდეში შემასწრა.

ჩავდიოდი ქვევით და ვფიქრობდი: ტყეები ისე გაჰქრნენ, რომ მიწდგრიდან არ გასულან. შეიძლება წაიქცნენ და უმოძრაოდ კი ბინოკლის გარეშე მათი დანახვა შეუძლებელია. ერთადერთი ლოღეკური ახსნა ეს გახლდათ. ყოველშემთხვევაში აუცილებელი იყო ადგილზე შემოწმება. გადავდო მდინარეზე, ავედი მინდორზე და ზედ წაადექი ახალგაზრდა ორი წლის ვაჟი. ტყეში მარჯვენა ფერდში ჰქონდა მორტყმული და მარცხენა მკერდში გამოსული.

მინდვრის ზედა ბოლოში ეგდო მეორე ვაცო. ზუსტად ასეთივე, თითქოს ტყუბის ცალი. მას ტყეა ზემოდან ჰქონდა ხერხემალში მოხვედრილი და ქვემოთ, მარჯვენა ილიაში გასული. ყირგოზებისაკენ გავიხედე. მათ ცხენები დაეხსადებინათ და გაჩქარებული ძუნძულით ჩემსკენ მოდიოდნენ.

ამოღწივის ოვლში ვახეთქულებმა და ვახარებულებმა. მხარზე ხელებს მირტყამდნენ და რაღაც საქმეზე სიტყვებს გაიძახოდნენ.

ბორისს ვკითხე, რატომ დაჯექით-მეთქი იმ მინდორზე.

„ქედზე რომ ვახვედი, თვალისა და გვარგეთ და რამდენი არ გათვალეირეთ, ვერ მოვხახეთ. არც ტყეები დავინახავს. სროლა საიდანაც გამოდიოდა, იმ ადგილს ვხედავდი, მაგრამ შენ მაინც ვერ ვაგარჩიეთ. ვერც იმას ვხედავდი, რას ვერსოდი. ამ მინდორზე რომ ვადმოხვედი, მაშინ დავინახეთ, მივხვდი, რომ რაღაც მოჰკალი და წამოვედით...“

ბორისმა გულა ჩამოხსნა და დარჩენილი კუმისი დაეკოცა. მეც წყო შემიხვია ვახეთში და მომწოდა. დავექეი და გავაბოლე. ბორისი და აიხა კი ეხდოდნენ ტყეებს, ხელდახელ გაატყავეს და ასო-ასო აქნეს.

შემდეგ ბორისმა მითხრა: „ხაზინი“ შენა ხარ და შენ ვანაწილო“. მე შეიანი და ორი ბარკალი შევახვით ტყეში და ვუთხარი, დანარჩენი თქვენ წაიღეთ-მეთქი. დიდი მადლობით შეახვიეს ხორცი ტომებში, ტახტა-უნავიარების ქვეშ ამოაწყვეს და ჩააკრეს. ბორისმა თავისი კოლმეურნეობის აღრესი მითხრა და თან დაამატა, რომ ბორისი რუსულად მქეია და ყირგოზულად კი ბეკტურგან აღუგებეოვი ვარო.

წყო, ჯიბეში რაც ჰქონდათ, მთლიანად და-

მიტოვეს ვახეთის ნახევებთან ერთად და ვაუდგნენ. კიდევ დიდხანს მიქნევდნენ, როცა მივდებულ კოშთან ჩამოვედი, ერთხელაც მოვკარი მათ თვალი; უკვე ტიუზის ცხენების ბილეს დასდგომოდნენ.

28 აგვისტო. ორშაბათი.

დილიდან დაცხა. მთელი დღე ბათქაუთქის იმოდან ნანსენის მხრიდან. თერთმეტი ზევიჩა მოვიდა დღის განმავლობაში. ღრუბლის ნატამალი არ გამოჩენილა არსად. რამდენჯერმე ვინახავე მდინარეში. მზეზე ვაშრობის შემდეგ კანი მოლურჯო-ნაცრისფერი გამოხდა შევ ჩაღეკილი უწმინდესი სილისაგან, რომლითაც ვაჯერებულა ინილიქეის წყალი.

საღამოსათვის საფანტის თოფი ავიღე, გუშინ მოკლული პატარა ვაცების ნედლი ტყავები, ლურსმნები, ჩაქუჩი და მარილი ზურგჩანთაში ჩავილაგე და ზემოთ წავედი. მიტოვებულ კოშის ძელურ კედელზე, ჩრდილიან მხარეზე ვაქეიმე ტყავები და შევახილე მარილი (პირველად შევემჩინე, რომ ბეწვი საბოლოოდ გააგვრებოდათ, ფერდობზე ჩამოთრევისას ბურტყლიც არ გასცენია. აქამდე მოკლულ ყველა ტყეს ფერდზე თრევისაგან ისე სძვრებოდა ბეწვი-თითქოს ვაპარსესო).

კოშს ზემოთ, პატარა წყაროსთან ავედი და ლურჯი სილა ჩამოვიხანე. უკან დაბრუნებისას, იმ ადგილას, სადაც წყაროდან ჩამდინარე წყალი იშლებოდა. ბუჩქებიდან გარეული მტრედების გუნდი აიშალა, ორი ცალი ჩამოვადე და მეტე კიდევ ერთი, როცა გუნდი შემოტრიალდა.

ამის შემდეგ, სანამ კოშთან, ჩამოვიდოდი, რაღაც ორმოცდაათიოდე ნახვიის მანძილზე სამი ჯგუფი წამოფრთხა კაცკუნისა. მაგრამ აღარ მისერია, ნანადირევი აღარ მქირდებოდა. სიციხის ბრალი იყო წყურვილით შეწყუხებული ფრინველების ასეთი შეგროვება ერთი ხელის დადება სველ ადგილზე.

კოშის გვერდზე წვივის დიდი ბელტები მოეჩეხე, ზურგჩანთა გავტენე, ზედაც იქვე მოგროვილი ხის ნამტვრევები და ჯოხები დაეკარი (საწვავი აღარ მქონდა) და ასე ავიღებულე წამოვედი ქვევით.

ჩემი ბანაკის ზედა ტერასზე რომ ვადმოვედი, დიდი ქვების ძირში დავინახე ლურჯი გერძის გრძელ ქურთუქში გამოწყობილი კაცი. ჩაცვდიქული, ოგი წერაყინით ქვას ძირს უღებდა.

გერძის ლურჯი ქურთუქები ვიცოდი, რომ რომანოვის ჯგუფს ჰქონდა. რომელიმე იმათგანი ჩამობრუნებულა და ახლა გავიგებ იქაურ ამბებს-მეთქი, გავიფიქრე.

ზურგიდან ფეხაქრეფით მივეპარე და ზემოდან დავკლავე:

ვაჟა გიგაშვილი
ნადირობა ჩონ-ტაშში



«Что вы тут копае!»

„აჰა!“ — ვიეთით შეპკივლა და წამოვარდა. გრიშნიოვი იყო, საკავშირო ალბიური ფედერაციის წევრი, ორმოცდახუთი წლის ტანმორჩილი, ხმელი მამაკაცი.

ასეთ მკვეთრ რეაქციას არ ველოდი. ცოტა შემტყვხა. ცუდად შეკავებული სიცილ-ფხუჭუნით ვეკითხებო, რატომ ჩამოხვედით და რამდენი ხართ-მეთქი...

... ყველანი ჩამოვდით, ექსპედიცია დამთავრდა — მიპასუხა.

«Ну, как? С чем поздравить?» — ვეკითხები გახარებულად.

«Да, что вы, у нас же человек погиб, Варaziшვი!»

ვიგრძენი, როგორ დამიგრძელდა ყბა და გვერდზე მომეკცა. ძალიან ვნანობდი ჩემს უადგილო, ვირულ ხუმრობას, მაგრამ გვიან იყო.

დედუწყე გამოკითხვა. ბანაკში ჩავიდეთ და იქ ვიამბობთო, მითხრა.

აჰ, ქვის ქვეშ დაფეხლოთ უკან გასაბრუნებლად საჭირო კონსერვების მარაგი. მივეშველე ამოთხრასა და ჩატანაში.

„ბადრიჭნის კონსერვს ვაგვხსნი, ძალიან მომენტარა. იქ არა გვექონდა“, მითხრა მან. უცნაური დაღლა და დაკარგულობა იგრძნობოდა მის დაპატარავებულ ჩაშქრალ სახეში. მივხვდი, რაღაც მძიმე და საშინელი გადაეტანათ.

ვოვა ვარაზიშვილი ორმოცდაორი წლის, გოლიათური აღნაგობის ვაყკაცი, პროფესიით, ისევე, როგორც ბობ რომანოვი, ექიმი-ქირურგი იყო. თირკმლების სპეციალისტი და საკმაოდ ძლიერი და სახელმძღვანელო ალბინისტი.

... მწვერვალზე მიმავალი ტრასა ორივე ჯგუფმა, ჩვენმა და მოსკოველებისამ, ერთად მოაზღაღეს. შეიზიდა სანოვაგე და საჭურველი, რთულ მონაკვეთებზე დაიკიდა თოკები. ტრასა საგულდაგულოდ და კარგ დროში მომზადდა. ათში ზედა ბანაკიდან დახვეწილად გასულმა მიშა ხერგიანმა და თამაზ ბაქანიძემ აიღეს ვაჭაფშვიგოს პიკი. იქიდან დაბრუნებისას მიშა და თამაზი შეხვდნენ ტრავერსზე გამოსულ მოსკოველებს მოწინავე ჯგუფს და შეატყობინეს, რომ მთავარ ქედზე მძლავრი შტურმი დაიწყო და თბიშვი თიხის შედგმა შეუძლებელიაო. ჯგუფმა განაგრძო ასვლა, ვარაუდობდნენ ზედა ბანაკამდე მიღწევას. ქვედამდე ცოტალია აკლდათ, როცა შტურმი თავს დაატყდათ. იძულებული გახდნენ გამობრუნებულნი იყვნენ. ქარიშხალი თანდათან ძლიერდებოდა.

ვინც დიდ სიმაღლეებზე არ ყოფილა, მისთვის ძნელი წარმოსადგენია, რა არის შტურმი 7000 მ-ზე ზღვის დონიდან. მას ვერ შეედრება

ვერავითარი არქტიკული შტურმი, რადგან ყველაფერს გარდა, უანგზადით შემშლავს ემატება. ადამიანი გასაოცარი სისწრაფით, საათების განმავლობაში იფიქრება და ვეღარ შევლის ვერავითარი საკვები და მედიკამენტი.

მოსკოველთა ჯგუფმა დაიწყო ბრძოლა სიცოცხლისათვის. ყოველი დაკარგული წუთი ბანაკამდე (6500 მეტრზე ყინულში გამოქრილი გამოქვამული) დაშვებაში სიკვდილის მიერ მოგებული წუთები იყო. ძალიან ცუდ მდგომარეობაში შეაღწია ჯგუფმა თავშესაფარში: ხუთ კაცს მძიმე მოყინულობა ჰქონდა, ყველანი სახიფათოდ იყვნენ დასუსტებულნი. დამემ მძიმედ ჩიაიარა. არავინ იცის, როგორ მოხდა, რომ ფიზიკურად თითქოს ყველაზე მძლავრ ვარაზიშვილს ფილტვების ანთება დაეწყო. ეს კი ამ სიმაღლეზე გარდუღალი სიკვდილი იყო. საქმე ისაა, რომ აქაური ვაიშვითებული ჰაერის წყალობით ფილტვი ქალღმერთით იწვის და ამ პროცესის შენელება მხოლოდ ავადმყოფის სასწრაფოდ ქვემოთ დაშვებით შეიძლება. ამ ჯოჯოხეთურ ღამეში კი არ არსებობდა დედაშიწზე საშუალება, რომლითაც მისი ძირს დაშვება მოხერხდებოდა.

დილისათვის ვარაზიშვილი გარდაიცვალა. ჯგუფის მდგომარეობა გაუარესდა. შტურმი იკლო, მაგრამ მაინც მძინვარებდა. მიუხედავად ამისა, არც ერთი საათის დახანება არ შეიძლებოდა. დაიწყეს დაშვება. რადიოთი შეატყობინეს ავარი საბაზო ბანაკში. აქედან სასწრაფოდ გამოვიდა ჩვენი მთავლელების მამული ჯგუფი მიშა ხერგიანის ხელმძღვანელობით.

ზემო ჯგუფს შეხვდა მოსკოველების მეორე ნაწილი, რომელიც ინტერვალით მისდევდა უკან. ამ ჯგუფში იყო თვითონ რომანოვიც. ისინი შტურმში მოყოლილიყვნენ. დამე 6000-ზე გავითათ, მაგრამ შედარებით კარგ მდგომარეობაში იყვნენ.

ამასობაში მიშა ხერგიანის ჯგუფმა ამოღსწრო, დაიწყო მამული სამუშაოები. მამული ჯგუფი განსაკუთრებული კორექტულობითა და სისწრაფით მოქმედებდა. რამდენიმე საათში დაამთავრეს ვარაზიშვილის გვამისა და მოყინულების ჩამოყვანა. თითქმის ყველა წევრი დახმარებას საჭიროებდა დაშვებისას.

500 მ-ზე ჩვენების მეორე ჯგუფი შეეგებათ. მათ თერმოსებით ჩაი და ცხელი საჭმელი ამოიტანეს. ჩვენი ექსპედიციის ექიმმა ხიტო მუსელაიანმა აქვე ჩაუტარა პირველი ოპერაციები მოყინულებს.

„თქვენმა ბიჭებმა სიკვდილს გამოგვიწვეს ხელიდან...“ — დაამთავრა გრიშნიოვმა.

ერთხანს ჩუმად ვისხედით.

„ხვალ ვერტმფრენი ამოვა. მოყინულებს იმით ჩამოიყვანენ...“ — დაამატა ბოლოს.

უკვე დაღამდა, როცა გრიშნიოვი წავიდა და



თან ვახშვად სამყოფი კონსერვები წაიღო. მათ ბანაკი ჩონ-ტაშის ქვათან გაეშალათ.

24 აგვისტო. სამშაბათი

ღამიანად გავედი სანადიროდ. გათენებისას თხემზე დავინახე ჯოგი და პირდაპირ ზემოთ გავემართე. მაგრამ ასვლისას დამეკარგნენ და დაიწყო ისევე იმ დღევანდელივით კუკუ-დამა-ლობანა გუმბათზე. წამდაუწყობ ფრინდებოდნენ ქვებიდან ულარები და საგანგაშო სტვენა-გნია-სით იხვეწებოდნენ ხეობაში. მე კი ყარაბინით-მარჯვებულად, მწყერებ მონადირესავით დავდი-ოდი წალმა-უკულმა და უეცრად შიგ შუა ჯოგ-ში გავერბიე. ჩემგან ყოველ მხარეს გარბოდნენ ტყეები, მაგრამ რომელსაც სამიხნე დავადგი, ყველა თიკანი ან თხა გამოდგა. სანამ რომელი-მე ვაცს მოვლანდავდი, გაქრნენ. დავრჩი ცა-რივად.

... და ისევ ისე, როგორც ამას წინათ მაი-ბუ-ლას ვაღმა, ტიუზის მხარის საბალახოზე (სა-დღე პირველად დაეთოფე ვაცები) დავინახე რქიანი ჯოგი. გადავედი თხემზე და ის იყო დავიწყე ხევეში დაშვება, რომ ვერტმფრენის ტრახტრახი მომესმა. ტრახტრახი ახლოვდებო-და. მაგრამ მაიდაღირის მხარეზე, საიდანაც მო-დიოდა ხოლმე ყოველთვის, არაფერი ჩანდა. გაყვირებული ვაცეები თვალებს და ამ დროს ტიუზის უღელტეხილიდან გასროლილი ქვასავით გამოვარდა ვერესოვის ვერტმფრენი. ტყეების ჯოგი შექანდა და პანიკური ქენებით შეეკიდა ქიუხებს.

ვერესოვმა წრე მოხაზა და ქვემოთ, ჩემს ბანაკთან დაეშვა. გამოვბრუნდი. ვიქარობდი ბა-ნაკისაკენ, რადგან მეგონა, რომ ახლა „ღიკიზე“ გაფრინდება და მეც თან უნდა წამიყვანოს-მეთ-ქი. მოცდევინება კი, კარგად ვიცოდი, რაც არის ვერტმფრენისათვის — საათი სამასი მანეთი ღირს.

საშინელი სისწრაფით გავქანდი დაღმართში. მუხლები ვეღარ შიძლებდნენ და ვგრძნობდი, რომ დიდხანს შეუძლებელია ასეთი ტემპის შე-ნარჩუნება. ამ დროს ჩემს გვერდით მოისმა მკა-ზე, მოკლე დასტვენა და მოულოდნელობისაგან აღვიღზე გავშეშდი. მომესმა ბრაგუნა და ორი ვაცის სილუეტი მომელანდა მზისაგან აქრელე-ბულ თვალბში. მზე ფერდის ფხაზე იჭდა, პირდაპირ თვალბში მირტყამდა და ვერაფერი გვაჩრჩიე, სანამ ვაცები ჩრდილში არ შეცვივ-დნენ. იქ მივაყოლე ტყვია. გასროლის წაშვივე ვიკრძენი, რომ გვერდზე გავუშვი. ტყეები მიშიაღნენ გვერდის ხეის კლდეებში. გადავირ-ბინე ფერდა და დავიწყე ხევისა და ვაღმა წარა-ფების თვალთვლება, მაგრამ ვერაფერი გავა-რჩიე. მხოლოდ ჩემს ქვემოთ ლოდინან გნისით გამოვარდა ერთი ბომბასავით ულარი და სა-ბოლოოდ გამიხეთქა გული.

გამოვბრუნდი გაშვებული. ეს ალბათ ჩემი გამოსათხოვარი ვაპამპულეა იყო ამ მდინარის ნადირობის ღმერთისაგან.

ბინოკლში ვუყურებდი, როგორ ვაღმალავს ვერტმფრენიდან ყუთები, ბენზინის კასრები და ერთიც გრძელი, ბრჭყვიალა კოლოფი. კარგა-ხნის ფიქრის შემდეგ მივხვდი, რომ ეს არის თუთიის კუმბა ვარაზიშჩევის ცხედრისათვის. ამის შემდეგ ვერტმფრენი აფრინდა და უკანვე გაბრუნდა. ეს რატომ ქნა, ვეღარ მივხვდი, ყო-ველშემთხვევაში, საჩქარო აღარაფერი იყო და ნელ-ნელა ჩამოვედი ქვევით.

ბარგთან არაფერი იყო. კუმბოს გარდა იდგა ყუ-თები ახალი პურით, პამიდვრით, ძეხვით, ვაშ-ლით და ბოსტნეულით, ქალაღის პარკში — „ბელომორის“ კოლოფები და „ტრეზორის“ ბლოკები.

დავჯექი და ძეხვით და პამიდვრებით ვისაუხ-ზე. პურის მოტეხვა არ ვამხსენებია, ეტყობა გა-დადეჩვიე. შემდეგ ვარეთ გამოტანილ ბარალონ-ზე გულაღმა გავიშოტე და „ტრეზორი“ გავა-ბოლე.

●
 ცოტახანში დაიწყეს თითო-ოროლად მოსვლა, რომანოვის ბიჭებმა. დაიწყო გამოკითხვები. ამ-ბავს ყველა სხვადასხვანაირი დეტალი ჰყვებო-და და ძნელი იყო დაზუსტება.

დაბრუნდა ლიონია ვერესოვი. ბენზინზე ვაფ-რენილა. სამყოფი მარაგი ამოზიდა. ოთხი წერი-ლი მომიტანა, ყველა თვეზე მეტი ხნის გამოგზა-ვნილი.

მერე „ღიკიზე“ გაფრინდა და პური და სხვა პროდუქტები წაიღო. ვაცის ხორციც გავატანე, რაც მქონდა.

„ღიკიდან“ მოყინულები: ბორის რომანოვი და კიდევ ორი-სამი კაცი ჩამოიყვანა.

მოყინულებს ძალიან ყოჩაღად ეჭირათ თავი. მძიმე სანახავეები იყვნენ ვაშავებულ-ვალურჯე-ბულები, ქირთურგული მყარატლით შემოჭიდ-ნილი, იოღში ამოთხუპნული, დასიებული სახე-ვებითა და კიდურებით. ხიტოს დროული და გამოცდილი დახმარების წყალობით განგრენის საშიშროება ჯერჯერობით აცილებული იყო. შემდეგში ასეც მოხდა: თითიც არ დაუკარგავს არც ერთს.

ვერტმფრენმა კიდევ ერთი რეისი გააკეთა „ღიკიზე“, დაბრუნდა, ვაცის წერილი ჩამომი-ტანა: „ხვალ დილით წამოპყვეი ვერესოვის და მთელი დარჩენილი ბარგიც წამოიღეო“. შემდეგ ისევ ჩასხა მოყინულები და პირდაპირ პრე-ვალსკისკენ დაუღო.

ვაჟა ზიგაშვილი
 ნადირობა ჩონ-ტაშში

მე და რომანოვმა მოვილაპარაკეთ საღამოს სანადიროდ წასვლაზე, იგი ორმოცი-ორმოცდამორი წლის, ბიჭივით შენახული, ღამაში მამაკაცია. პროფესიით, როგორც ვთქვი, მედიკოსია. ერთ-ერთი უძლიერესი მთასვლელია კავშირში (განსაკუთრებით სასიმალო ალბინიზმში). მას და ვარაზიშვილს ერთადა აქვთ დაპყრობილი ხან-ტენგერი, ორი სხვადასხვა, ურთულესი მარ-შრუტით. ამ რაიონში რამდენჯერმეა ნაწყფი, მაგრამ ტყეებზე არც ერთხელ უნადირა.

საღამოსათვის ზურგჩანთებში ჩავტენით გერმის ქურთუკები, წყალგაუმტარი ლაბადები და საგზაო. თან ორი ახალგაზრდა წამოგვყვა: სლავა და იურა. ბორისს და სლავას ორღულა თოფები აქვთ, იურას „გეიკო“ მივეცი.

გადავდით მაი-ბულაკის უნაგირში და ზეერვა-ზეერვით შევყევით ხეობას სიღრმეში. უკვე ყველა ნაცნობი საბალახოები გავსინჩე. გადავსინჩე კლდეებიც და ვერსად ვერც ერთ ტყეს თვალს ვერ დავადგე.

გამახსენდა გივის ავიატებული ანდაზა: „მე რომ ბედი მქონებოდა, კატოია მერქმეოდაო!..“ ბედი არ გინდა?.. ამ ხეობაში ისე არ შემოესულვარ, რომ სადმე, მიუვალ კლდის წვერებში მინც არ დამენახოს ტყეები და ახლა, როცა სავანგებოდ წამოვიყვანე ზალხი სანადიროდ, ჰკანება გაქრა. ერთ ბებერ ვაცს მინც ვადმოეხედა რომელიმე კიუხიდან.

ვგრძნობდი, თანდათან როგორ სკეპტიკურად განწყვენენ ჩემი თანამგზავრები. ახლა რამდენიც გინდა გელაპარაკანა, ამით ველარ დაარწმუნებდი, რომ აქ როდესმე ტყეები არსებობდნენ.

მე უკვე გადაიხარა და საცა ბინდი დაწვებოდა, მაგრამ არ მინდოდა უკან გაბრუნება, სანამ ყველა შესაძლებლობას არ გსინჯავდი.

დავითანხმე, რომ ცოტა კიდევ შეესულიყავით ხეობაში. იმ ადგილებამდე მივალწივით, საიდანაც მაი-ბულაკის სათავის ყინვარი მოჩანდა. აქაურობის დათვლიერების შემდეგ დავრწმუნდებოდი საბოლოოდ, რომ ტყეებმა დასტოვეს ეს ხეობა.

ჩავექვი კლდეში. დიდხანს გულდასმით ვათვლიერე ხეობის თავი. მანძილი შორი იყო და განსაკუთრებული დაკვირვება სჭირდებოდა. ბოლოს, უკანასკნელ მწვანე ნაგლეჯებზე ძლივს გავარჩიე ნადირის ტანის დამახასიათებელი სიმრგვალებები.

რომანოვს ბინოკლი მივეცი და ავუხსენი, რომელ ადგილს უნდა დაკვირვებოდა. კარგახნის წვალეების შემდეგ აღიარა, რომ ვერაფერს ვერ ხედავს... ასეც იყო მოსალოდნელი. მიუწვეველი თვალისათვის ასეთ მანძილზე ნახირის გამოცნობა თითქმის შეუძლებელია.

— მე ვხედავ ჯოგს თუ გგერა, სასწრაფოდ

წავიდეთ, თუ არა და, უკან გაბრუნდეთ. ვუთხარი მე.

— მგერა, — თქვა რომანოვმა. იურა და სლავა შევიპირეთ, რომ უნაგირში დაგვლოდებოდნენ და ხრილით დაეკანდით ხეობაში. სწრაფი ძუნძულით ავეყვით მდინარის ნაპირს. ნახევარი მანძილი რომ ავათავეთ, ისევ მივეცი ბინოკლი ბორისს და ვუთხარი: ახლა ნახე-მეთქი.

ერთხანს უყურა ბინოკლში. უცებ სახეზე გავოცება გამოეხატა და გულიანად გაიცინა თავისი მსხვილი, თეთრი, ჩვიდმეტო წლის ზანგის კბილებით:

— ვხედავ!.. ახლა ვხედავ!.. სწრაფად განვაგრძეთ ძუნძული.

უკვე კოლომეტრზე მივუახლოვდით, როცა შევნიშნე, რომ ტყეების ნაწილი წითელ ნაშალებზე გადმოაღის ჩვენსკენ. ბინოკლში გამოჩნდა, რომ თხები და პატარა ვაცები არიან. მსხვილები ისევ იმ მინდორზე ძოდნენ.

ცოტაც ავიარეთ და რომანოვს ასეთი გეგმა შევთავაზე: ის ზემოთ, ნაშალების თავში უნდა ასულიყო, კლდეების ძირში გადაევლო და იმ ფერდის კიდეში ჩამქდარიყო, რომელზედაც თხები და ახალგაზრდა ვაცები გადმოდიოდნენ. მე ისევ ქვემოთ დავუდგებოდი და ასე ორას მეტრში დავცხებდი. ზემოთ გაქცეული ჯოგი მას შეაწყდებოდა და საშუალება მიეცემოდა ახლოდან ფინთხით სროლისა.

აჯობებდა, დიდრქიანებთან მიბარვის საშუალება გვექნოდა. მაგრამ ამჯერად აღარ გამოვიდოდა თხემისაგან გაპარვის ფოკუსი და ისევ რომელიმე პატარა ვაცს უნდა დავჭერებოდი.

ბორისი ნაშალების თავში ამობოდა. მე გზა განვაგრძე, მივადექი გვერდის კეხს, რომელიც ჯოგისაგან მფარავდა. შემდეგ ღარში ავცოცდი და კიდესთან ვაჩერდი. აქედან ორი მეტრით გადადასრობდა იყო საჭირო, რომ თხების ჯოგს სასროლად გადავდგომოდი. მაგრამ ჯერ ბორისს უნდა დავკავებინა თავისი ადგილი. ამ ნადირობაში ჩემთვის მთავარი იყო, ბორისს, როგორც სტუმარს, მისცემოდა სროლის საშუალება, დანარჩენი როგორც აეწყობოდა, ისე მოვიტყეოდი.

აქედან ექვსას-შვიდას მეტრში ვხედავდი მწვანე გაშლილ ვაცებს. ერთი ბერხენი თავაწეული იდგა და ჩემსკენ იყურებოდა. ჩაივტუნტე ისე, რომ ვაცებიც ველარ ჩანდნენ და დავიწყე ცლა.

რომანოვს საკმაოდ რთული მონაკვეთი ჰქონდა გასალოვლი და ჩემი ვარაუდით ჯერ ადრე იყო მისი გამოჩენა, მაგრამ შემდეგ წუთში ის მოულოდნელად გამოცხადდა კეხის ზედა უნაგირში. დავინახე, რა ნერვიულად შეგავლო თოფი და მივხვდი, რომ ზედ წაადგა თხების არევის. ჩემი ჩარევა აღარ იყო საჭირო. დავიწყე პირდაპირ გადასვლა, დიდრქიანების ჯოგზე



უტეოესი სასროლი პოზიციის შესარჩევად. ამ დროს გაეარდა... ზემოთ შეესული თხები ჩემგან არა ჩანდნენ, მაგრამ დავინახე, როგორ გაქანდა აღმართში ვაცების ჯოგი. ადგილზევე ჩავეჭყვი და დაუწყვე ვაცებს თოფვა. სინათლე აღარ იყო საკმარისი, ცუდად ჩანდა. მაგრამ მიინც ირჩეოდა, სადაც აშუქებდნენ აცდენილი ტყვიები ქვიშას. ვერც ერთი ვერ მოვარტყი. სავაზნე დაიცალა. კიდევ ორი ვაზნა მოვექექე ჯიბეში, ჩავაწყვე. ვაცები კლდეებს მოებნენ. ორი მათგანი წარაფებზე ხტუნვა-ხტუნვით ბორისისაკენ გადმოდიოდა. ამ დროს ის განავრძობდა ჩემგან უხილავ თხეშზე სროლას. ცოტა დავახანე და ვესროლე უკანა ვაცს კლდეებში. ბოლო ვაზნები გავისროლე და დავრჩი ცარიელი. მოწინავე, მომცრო ვაცი ზედ ბორისის თავზე დაყუდებულ კლდეზე ვადმოვიდა და განერდა. ბორისი იდგა და რაღაცას ჩაილიჩობდა. პატარა ვაცი ზემოდან დაჩერებოდა. გამიკვირდა, რას შერება ეს კაცი-მეთქი და დაველრიალუ:

— Стреляй, неси смотришь?

თითქოს ვერ გაიგონაო, არც კი განძრეულა. გაკვირვებული და მიანერვიულებული გავვალდი ზევით. ავედი, მივუახლოვდი და დავეუყვირე:

— Что с тобой? —

ბორისი შემობრუნდა. ხელში ვადახსნილი თოფი ეკავა და ხარხარებდა:

— Патронов нет! — ძლივს გამაგებინა.

გულზე მომეშვა და მეც ავხარხარდი.

ასე ვიდექით ორივე და იდიოტებივით ვხარხარებდით. ოცი-ოცდაათი მეტრიდან კი გამშტრებული ვაცი დაგვიჩერებოდა.

უკვე ხშირი ბინდი იდგა. სწრაფად ბნელდებოდა. ამ ბინდმა შევევიშალა სწორედ სროლაში. ამ ბინდმაც დააბნა ახალგაზრდა ვაცი.

რა უნდა გვექნა?... ხელი დავუქნივთ კლდეზე გაშვებულ ტყეს და პირდაპირ დავეშვით. ეს კი მივეჩარეთ. კობლა იქიდანვე ჩავსულთყავით, საიდანაც ამოვედით.

ფერდა ძალიან ციკაბო ვახდა. ძლივსღა ვიკიდებდით ფეხს. რომანოვმა მარცხნივ აირჩია გზა. მე მარჯვნივ, ერთი ღარი ვამჯობინე. ხელფეხგაჩაჩხული, დიდი გაქირავებით ჩავდიოდი და უცებ დავინახე, რომ ქვევით სიცარბიელა: ღარი წყდებოდა. ვამაცია. საშინელი დაძახებით ერთი მეტრით უკანვე ავიწიე და გავჩერდი. ზემოთ აბრუნებაზე ფიქრი ზედმეტი იყო. უკანასკნელი ვარიანტი ცვალე: გადავფოფხდი ღარის გვერდითა კლდეზე. იმედი მქონდა, რომ ვასასკლელს ენახავდი, მაგრამ ჩემს გვერდზე და ქვევით, სამ მეტრზე, მოფრიალებული, უნახეთქო ქარაფი იყო. ქვევით ისევ გრძელდებოდა საჭიდებიანი კლდეები.

„ეს რა ვქენი!.. რა ტყლილ-უბრალოდ გავიქვდე!“ ფიქრობდი გამწარებული და ვერაერთარი გამოსავალი ვერ მომივარებინა.

ქვემოდან რომანოვის მოძრაობის ხმაური მომესმა და დავიყვირე: ცუდ ადგილას ვარ და მომეხმარე-მეთქი.

ბორისი სწრაფად ამოცოცდა და ფრიალოს ძირში გაჩერდა. მან უტრადლებით დათვალა: რა ფრიალო ტინი და ჩემი ადგილსამყოფელი. მერე რამდენადაც შეიძლებოდა, ამოიწია ფრიალოს ძირზე. მარცხენა ხელით მტკიცე საჭიდი მონახა, ფეხები მოიმაგრა, მარჯვენა ჩემკენ გამოვიჭია, ხელისგული საფეხურივით მიადო სწორ კლდეს და დამძიხა:

— Прыгай!..

მე ნერვიული სიცილი ამიტყდა, როგორმეთქი, ვკითხე.

„გადმოხტი პირით კლდისკენ, ფეხი ჩემს ხელისგულს დაკარი და ჩემთან ჩამოხტი, მე დაგიქერ, ნუ გეშინია!“

ვერაფრით ვერ ვაიძულედი თავს ამ ნახტომზე. კიდევ დამარწმუნებელი საბუთების გამოთხოვნა და გამოკითხვა მრცხვენოდა და დამამცირებლად მიმაჩნდა. მიგჩერებოდი რომანოვის დამშვიდებულ, მოთმინებით სავსე სახეს და დროის გასაყვანად ვცდილობდი მეხუმრა. მაგრამ რაღაც უღიმიამო დღუდღუნი გამომდიოდა და უცებ რაღაცანიარად მივხვდი, რას ფიქრობდა ამ წყამს რომანოვი:

... ნახტომი სარისკოა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის. რაც მეტ ხანს იყოყმანებს, მით უფრო სარისკო ვახდება. რაც უფრო სწრაფად და დარწმუნებულად გადმოხტება, მით უფრო მეტირდება რისკი. აუცილებელია დამიჭიროს და გადმოხტეს პანიკისაგან მოთმინებადაკარგული კი არა. დამშვიდებულნი და დარწმუნებულნი..

ვხედავდი, როგორ თანდათან დაუწყწარდა და დაეწმინდა სახე. იყო მხოლოდ უაღრესი დაინტერესებისა და ფხიზელი ყურადღების გამოამეტყველება, როგორც რაიმე საინტერესო ამოცანის ამოხსნისას.

ეს ყველაფერი წამის რაღაც მეოთხედში გავიაზრე გონებაში და გამიჩნდა მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობა რომანოვისადმი, რადგან იმავ წამში ვიგარქენი მისი ვარიანტის გარღუეალი სამართლიანობა და ვიგარქენი ისიც, რომ ამაზე მეტი რომ დაავალო კაცს, ეს იქნება უშუქობა და სახიფათო სისუსტე და ამას გარდა უნამუსობაც, რომელიც შეიძლება დამღუბელიც ვახდეს, პირველ რიგში ჩემთვის და შვიძლებმა მისთვისაც.

ამ წამებში ბორისი არ მაჩქარებდა. მხოლოდ მშვიდად მიცდიდა. იცდიდა ფხიზლად და ყურადღებით.

დავაცოვნი ზუსტად იმდენი, რამდენიც საჭირო იყო გონების გასაწმენდად, ნერვების

პაპა გიგაშვილი
ნაღირობა ჩონ-ტაშვი



დასაწყნარებლად, ფხიზელი მოზომვისათვის. მერე გადავხტი.

რომანოვის ხელის ვულზე ცალი ფეხის დაკვრის შემდეგ, მეორეთი მის მარჯვენა ფეხთან ჩავხტი. იმწამსვე განთავისუფლებული მარჯვენა ზურგზე მტაცა და კლდეზე მიმაკრა. ორი წამის განმავლობაში ორივე დაძაბული ვებლად-ვებოდით ტინს წონასწორობის აღსადგენად. გადავჩრით. რომანოვმა დაიწყო ჩასვლა. მეც ჩავყევი. რამდენიმე წუთის შემდეგ რიყზე ვიდექით. უსიტყვოდ დავადექით გზას.

უკვე ბნელოდა, მაგრამ ქვევში, ფეხთან, მებატენის გრძელი ფრთა შევამჩნიე. ავიღე და რომანოვს ვაჩვენე. გამოამართვა და თავის კოვზოვრ შლავაში გაიჭო.

გადავვითი გალმა. აქ ისევ დავწინაურდი. მოვინახე ტუკების ნაცნობი ბილიკი და სრულ სიბნელეში დავადექით გზას.

უნდავირში იურა და სლავა დავგზვდნენ. მოვინახეთ მუხღრო ადგილი ქვევში. ვივანშვით. ჩავიკეთი გერმის ქურთუკები, შევეხებეთ ლაბადებში და დავიძინე. დამე არ იყო ცივი. ერთ-ორჯერ წამოთქორა, მაგრამ ლაბადებში არ გვივრძენია.

25 აგვისტო. ოთხშაბათი.

გათენებისას ჯერ კიდევ ბნელში გამეღვიძა. ვეღარ მოვისვენე და ავდექი. გავიარ-გამოვიარე. უცნაური ფერის შუქი ჩამდგარიყო ინილკეს სათავის მწვერვალზე. ცობანის შემდეგ ასეთივე შუქით დაიწყო ნათება ნანსენის პიკაჲც. ცა მუქი იასამნისფერი გახდა. უკვე აღგომის დრო იყო და გავადვიე ხალხი. ნარჩენებით წავისაუხმეთ და გავუდექით. ისევ ორად გაიყავით: მე და „ბობ“ რომანოვი ისევ მაი-ბულაკის შიდა ფერდას შევყავით, იურა და სლავა კი გადმოღმას. ორივე ჯგუფში იყო თითო საფანტისა და თითო „მანძილა“ თოფი. აუტუსენი, რომ შეუძლიათ ესროლონ ულარებს, თუ აქ სადმე ჯოგია, ვაფრთხება და ერთ-ერთს შევკაწყვდება.

წავედით. ულარებმა დაიწყეს სტვენა და გადაფრენები. გზადაგზა, ქვებიდან წამდააუწუმ ფრინდებოდნენ ულარები, მაგრამ არც ერთი—საფანტის მანძილზე. მივიარ-მოვიარეთ ფერდი და ზემოდან გადმოვედით გადმოღმა მხარზე.

აქ რომანოვს ვაჩვენე ტუკების ნახაზუნევი, ნაზამთრი მატყლის მოსაშორებელი ადგილები. როცა გვერდის ხეცს მივუხალოვდით, ორჯერ გავირდა თოფი და ხეცს გადაღმა, შორს, ქვემოთ, მწვანე ტერასაზე დავინახეთ გაქცეული უზარმაზარი ჯოგი. ისევე მეტი იქნებოდა ერთად. უმეტესობა დაბე ვაცები იყვნენ. მაგრამ ახალგაზრდებიც ვერაოთ, თხებიც და დაზრდილი თოკენბიც. ასეთი შემადგენლობის ჯოგს აქ პირველად ვხედავდი. შემოდგომა მოახლოვდა და ეტყობა უკვე იწყებდნენ შერევას. არც ასე დაბლა მინახავს ისინი არასოდეს... მთელი

ვრცელი ტაფობი სავე იყო ტუკებით, ეს უნდა იყოს ის ტაფობი, სადაც მე და კოვზუხი კურდღლებმა ზე ვნადირობდით.

მობრუნდნენ აღუღებელი იური და სლავა და გვიამბეს, როგორ წააწყდნენ ჯოგს.

— ერთი სიტყვით, ყველამ ვნახეთ და ვესროლეთ კიდევ. კარგადაც ვისიამოვნეთ. აუცილებელი კი არ არის მინცდამინც მოკლა!.. — თქვა სიცლით რომანოვმა. ეს მართალი იყო პირველი ნადირობისათვის, მაგრამ ამ შემთხვევაში მინც კარგი იქნებოდა, ერთი მინც აგველო, რადგან ყველას ძალიან ენატრებოდა ახალი ხორცი.

წამოვედით ქვევით. რომანოვი და სლავა კურდღლებზე სანადიროდ გადავიდნენ. მე და იური ბანაკში დავეშვით. ავშალე ჩემი კარგები და მოვამზადე ბარგი. „სპიდოლათი“ გუსმენდით სადისპეტჩერო პუნქტს. საფრენ ამინდს არ იძლეოდნენ. ცდა იყო საჭირო. ერთო საათის შემდგომც არ იძლეოდნენ ამინდს, მაგრამ ტრუხის მგობიდან ვერტმფრენის ტრახტარახი მოისმა. ეტყობა, ვერ დააკავეს ვერესოვი.

რომანოვმა და სლავამ სამი კურდღელი და ერთი კაკაბი ჩამოიტანეს. ამ დროს დაჯდა კიდევაც ვერტმფრენი. საჩქაროდ შევყავარ ბარგი, დავეშვებოდნე ყველას და ავფრინდით.


ოცდაათი წუთის განმავლობაში თვალწინ მაკეტითი ვაირბინა ჩემმა სანადირო ადგილებმა, ყინვარის გასაყოფთან, ყინულის გოლიათურ ტორსებში ჩამჯდარმა შაბაიმნისფერმა მერცხაბერის ტბამ, ცენტრალური ქედის პიკებმა, ხანტეგრის უზარმაზარმა მარმარაილოს პირამიდამ.

ვერტმფრენი ვირაჲში დაწვა. შევდიოდით გვერდით დაყირავებულ ყინულის დერეფანში და ამ დერეფნის ბოლოში, როგორც უთავბოლო თეთრი კოშმარი, დაყუდებულყო ორი-ათასი მეტრის სიმაღლე სპეტაკი, ფრიალო კედელი „პობედის“ მწვერვალისა. ეს იყო გასაოცარი და ამზრზენი სანახაობა. პირველმა ფიქრმა მაშინვე ჯუმბერსა და კუხოზე გაივლვა. თვალმა ინსტინქტურად მონახა გვერდის ქედზე მცირე მოშავო ლაქები — ყინულით ჩამოვლესილი კლდინი მონაკეით. ამ კლდიდან მოწყდნენ ისინი ორ კილომეტრიან სიღრმეში, 1961 წლის ზაფხულში, მას შემდეგ, რაც მთავარ ქედზე, გუმბათის ძირას ყინულის თღში დასტოვეს ილიყო გაბლიანის ცხედარი და ხელფეხმყოინულნი და ცივი ღამისთევით ღონეგამოვლესილი უკან ეშვებოდნენ აღებული მწვერვალადან.

წელს კი, 1966-ში, ამ თეთრმა გოლიათმა თავისი მეოცდაათობმეტე მსხვერპლი „შვიწირა — ეოვა ვარაზიშჩევი.

ქვევით თვალი მოვკარი ოთხ კუთხეში დაწყობილ ვაზის წითელ ბალონებს (დასაქლომი მოედნის საზღვრები) და ფერად ფიგურებს — გერმის ქურთუკებში გამოწყობილ ხალხს. ჩვენები იყვნენ. ვერტმფრენმა წრე შემოხაზა და დასაქლომად დაქანდა.

ლევან გოთუა



ქართველმა ხალხმა, ქართულმა მწერლობამ დაკარგა კაცი, რომლის მთელი ცხოვრება და ნიჭი მშობელი ქვეყნის უანგარო სამსახურს შეეწირა.

სამუდამოდ დაგვშორდა ადამიანი, ვისაც მთელი გულისყური ახალგაზრდობისკენ ჰქონდა მოპყრობილი, ვინც თავისი არსებობით, შემოქმედებით ზნეობრივი სიწმინდისა და სიძლიერის იშვიათ მაგალითს გვაძლევდა.

ვინ მოსთვლის, უმეცართაგან შებღალული რამდენი ძეგლი დაუცავს განდგურებისგან, რამდენი სახელოვანი წინაპრისთვის გაუწევია ჭირისუფლობა.

ზედაზნის ფლატეზე გადმომდგარი თუ სვეტიცხოვლის ჩუქურთმების შემეყურე, იგი თითქოს თავადაც ქართული პეიზაჟის ნაწილად ქცეულიყო, თავისი სულითა და გარეგნობით საოცრად ეხამებოდა უამთა სვლაში გაკერებულ ციხე-ტაძართა კარიბჭესა თუ გალავანს.

მწერლის შთაგონების წყარო მრავალჯერ გამხდარა ქვაში ნაკვეთი თუ ფრესკაზე ამღერებული გენია ჩვენი ხალხისა, ეთაყვანებოდა ქართულ ენას, საბას „სიტყვის კონას“ ერთ თავის ნოველაში „უბის საქართველო“ უწოდა.

საუბარში უთქვამს — „გმირთა ვარამის“ რამდენიმე თავი გრემ-ქალაქის ერთ სენაკში დავწერე, რომ წიგნს ისტორიის ცოცხალი სუნთქვა, გარდასული ყოფის სურნელება გამოჰყოლოდაო. ეს მწერლური ახირება როდი იყო; ღვივან გოთუა მასალის ძირფესვიანი შესწავლის შემდეგ თუ მოჰკიდებდა კალამს ხელს. წარსული მხოლოდ დღევანდელ დღესთან და მომავალთან გადაჭაჭკული აინტერესებდა. ვინც მიწაში ჩაჟანგული ციხე-კოშკის სილამაზეს ვერ ხედავს, იმას ვერც კოსმოსისკენ გაჭრილი ხომალდები ააღელვებსო, წერდა ერთ თავის წიგნში.

გულდასაწყვეტი, მოულოდნელი იყო მისი დაცემა...

ამიერიდან ქართველ ხალხს ერთი წმინდა საფლავიც ეხსომება, მრავალი ქარტახილის მომსწრე დიდებულ არმაზში, იქ, სადაც შიშველ, გადაქანებულ კონცხს შეჩახებული მტკვარი მარცხნივ უხვევს, დატრიალებული მორევი წამით ყოვნდება, რომ ისევ შხუილით დაექანოს თავქვე...

ლუდმილა გრიშიკი

უკაინულ-ქართული ლიტერატურული პრობლემებისათვის

საბჭოური ლიტერატურის ჩამოყალიბების პროცესი ბევრ საგულისხმო მომენტს მოიცავს. იანადროული ლიტერატურათმცოდნეობის მიერ ყველაზე უფრო აღიარებულ ერთ-ერთ ასეთ მომენტად მიიჩნევა სხვა ხალხის ცხოვრების სრულყოფილად გაცნობისაკენ სწრაფვა, მისი მდიდარი ტრადიციების, ზნე-ჩვეულებების, ყოფის ჩაწვდომა. აქ დიდ როლს ასრულებს ხელოვნების მოღვაწეთა შეხვედრები, ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადები, დელუგაციითა და ციკლ-გამოცემა, ცალკეულ პიროვნებათა კონტაქტები. ცხადია, ყველაფერმა ამან არ შეიძლება გავლენა არ იქონიოს ჩვენი ლიტერატურის ხასიათის ფორმირებაზე; ხალხთა მეგობრობის თემა, როგორც საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტი, იქცა კ. ზელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მომენტად მრავალეროვნული საბჭოური ლიტერატურის განვითარებაში („ლიტერატურის კრიტიკოსი“, 1939, №5-6, გვ. 220) იგი გვევლინება ქართული და უკრაინული ლიტერატურის განვითარების, ყველა მოძმე ხალხის ურთიერთკავშირის განმტკიცების უცილობელ ელემენტად.

საბჭოური ლიტერატურების დაახლოების პროცესი არასოდეს შემოფარგლულა მხოლოდ ფაქტების დასახელებით. ეროვნებათა შორის ლიტერატურული კავშირების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი მიეკუთვნება თარგმანს, ეროვნული კულტურის დაახლოების საქმეში ყველაზე უფრო ღრმა პროცესს სხვა მოვლენებთან შედარებით.

ეროვნული ლიტერატურის სწორედ ამგვარი შემოქმედებით ურთიერთმოქმედების საინტერესო მაგალითია საბჭოური პერიოდის უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის განვითარება. ამ ურთიერთობამ ღრმა ფესვები

წერ კიდევ ადრე გაიდგა, კიევის მეტრაპოლის პეტრე მოვილას, უფრო გვიან კი დმიტრი ტუფტალას, სტეფანე იაგორსკისა და თვითვე პროკოპოვიჩის ნაწარმოებების თარგმანებით. უკრაინელი, ქართველი და რუსი ხალხების კულტურული და პოლიტიკური ურთიერთკავშირის ჩასახვაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულმა კოლონიამ მოსკოვში, შემდეგ კი უკრაინაში ჩასახლებულმა ქართველებმა, რომელთა შორის იყვნენ დავით გურამიშვილი და მამუკა ბარათაშვილი. ეცნობიან რა ფოლკლორული პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს, ქართველი პოეტები უკვე მაშინ ცდილობენ გამოიყენონ რუსული, უკრაინული და ქართული პოეზია ორიგინალური პოეზიის შესაქმნელად. როგორც მ. ჩიქოვანი აღნიშნავს, ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა დავით გურამიშვილი, რომელმაც რუსულ-უკრაინული პოეზიისა და მელოდიის საფუძველზე შექმნა არაერთი კლასიკური ლექსი. უნარჩუნებს რა თავის პოეზიას ეროვნულ თვითმუსიკობას, დავით გურამიშვილი, ამავე დროს, შეგნებულად ისწრაფვის ჩვენი ხალხების კულტურათა დაახლოებისათვის. პოეტური პარნასის სიმალლიდან ჩამოაქვს პოეტს თავისი სიტყვა და მიუძღვნის მას ადამიანს (მაგალითად, „დავითიანის“ მესამე ნაწილი, ან პოემა „ბაცია მწყემსი“); ხელისუფალთა მხრივ დაბრკოლებების მიუხედავად, ჩვენი ხალხების დაახლოება განსაკუთრებულ წონას იქნეს. ორთავე ლიტერატურის ურთიერთდამოკიდებულების განმტკიცება მჭიდროდ უკავშირდება რუსულ ლიტერატურას, ამ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის მოწინავე მთლიან დაშვადრებას მთარგმნელობითი მოღვაწეობის განვითარების იმდროინდელი მძიმე პირობები გახდა მიზეზი, გამოძენილიყო ლიტერატურული კავშირების სხვა ფორმებიც.



განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტების, კიევიში ქართული სათვისტომოსა და თბილისის ლიტერატურული სალონების მოღვაწეობას. რეაქციის საშინელმა წლებმა ვერ შეაჩერა მთარგმნელობითი საქმიანობა. იგი კიდევ უფრო იზრდება პაველ გარბოვსკის თარგმანების გამოცვლით. ქართული ლექსის თარგმნის ცდა კრიტიკას შეუმჩნეველ არ დარჩა. „კავკასიური პერიოდული გამოცემების მკითხველებმა, — წერს ა. ხახანაშვილი, — საეჭვოა იყოდნენ, რომ ქართველი და სომეხი პოეტები თარგმანში არიან არა მხოლოდ რუსულ და დასავლეთეუროპულ ენებზე, არამედ აგრეთვე, უკრაინულ ენაზე... უკრაინელებმა უკვე დიდი ხანია გაოსცეს რამდენიმე სამეცნიერო ლიტერატურული ჟურნალი, რომლებშიც იბეჭდება ქართველი და სომეხი პოეტების თარგმანები“. ნება-უნებლობა ხარკოვისა და კიევის უნივერსიტეტები ხდება პირველი მთარგმნელებისა და სპეციალისტ-ქართველოლოგების მისამზადებელი ცენტრი.

ჩვენი კულტურების ურთიერთობა, უკრაინული და ქართული ლიტერატურების კონტაქტები ახალ სასიცოცხლო ძალას იძენს საბჭოურ პერიოდში. ოქტომბრის რევოლუციამ, ხალხის ფიზიკურმა და სულიერმა თავისუფლებამ, სოციალიზმის ნათელი იდეების განმტკიცებისათვის ბრძოლამ მოქმედებისკენ მოუწოდა მძლავრ ლიტერატურულ სიტყვას. ახლის ერთიანმა დამარბამებამ იდეამ გააერთიანა ლიტერატურული ძალები.

შემოქმედებითი გამოცდილებით მდიდარი, მრავალეროვნული ლიტერატურის ავანგარდში მავალი დიდი რუსული ლიტერატურა ყოველგვარად იცავდა უმჯობესეს კავშირს სხვა ეროვნებათა კულტურებთან და ხელს უწყობდა ერთგულ ლიტერატურათა შორის მჭიდრო კონტაქტების დამყარებასა და განმტკიცებას.

ახალი სოციალურ-ეკონომიური პირობები, სოციალისტურ ერთა ჩამოყალიბება, ჩვენი პარტიის ბრძნული პოლიტიკა ხელს უწყობდა უკრაინული და ქართული ლიტერატურების შემდგომ დაახლოებას. მთელ რიგ დადებითებებში შიითთებულა, რომ აუცილებელია უკრაინის, რუსეთის, ბელორუსიის, საქართველოსა და სხვა რესპუბლიკების მწერალთა დღეგაციების უფრო აქტიური გაცვლა-გამოცვლა, რომ ნაჭიროა მრავალეროვნული სამშობლოს სხვა ხალხების მწერალთა დაწარმოებების უფრო მეტი თარგმანების გამოცემა უკრაინულ ენაზე. საბჭოური პერიოდის პირველ წლებში ამიერკავკასიაზე დაიწერა წიგნი — „ჩვენი დროის გმირი“ (ო. პოლტორაკი და დ. სოტნიკი).

„ახალი გენერაციის“ ქართველ მეკავშირებთან — მემარცხენებთან კონტაქტების მოწყის-

რიგებამ ხელი შეუწყო უკრაინულ პერიოდულ პრესაში მთელი რიგი მიმოხილვითი ჟურნალური ტურული სტატიების გამოჩენას.

უკვე 1930 წელს ჟურნალ „პლუგის“ მეხუთე წიგნი აქვეყნებს „მემარცხენეობის“ ერთ-ერთი ორგანიზატორის ბესარიონ ელენტის სტატია „საბჭოთა საქართველოს ლიტერატურა“ („პლუგი“, 1930, № 11-12, გვ. 100-112). თითქმის იმავედროულად ქვეყნდება ი. ლიბანოვსკის პუბლიკაცია „ბელორუსული ლიტერატურა დღეს“, რომელშიც ავტორი გმობს „ოქროს საუკუნის“ თეორიას, რაც მიმართულია პრიორიტეტული კულტურისადან, ხოლო „სხილნი სვიტ“ („ალმოსავლურა სამყარო“) აქვეყნებს ცნობებს ახერბაიჯანის თანამედროვე მწერლებზე („სხილნი სვიტ“, 1928, № 3-4, გვ. 307).

პერიოდულ გამოცემებში გამოსვლებმა, აგრეთვე მწერლებთან პირადი კონტაქტებმა განაპირობა ძირითადად სათარგმნელი საბჭოური ლიტერატურის არჩევანიც. „დღეისათვის, — წერდნენ ჩვენი დროის გმირის“ ავტორები, — საქართველოში მწერლები დაჯგუფებულნი არიან დაწყებული ჯგუფიდან, რომლის წევრებიც მითითებულ ეროვნული ტანსაცმლის ტარებას..., და დამთავრებული მწერალთა ჯგუფიდან, რომლის წევრებიც სიმბოლისტი „ცისფერყანწველები“ მარჯვენა ფლანგზე დგანან. ამ ძირითად ორგანიზაციებში შუა არიან მწერლები, რომლებიც არავითარ ჯგუფს არ მიეკუთვნებიან, მათ შორის არიან გამოჩენილი მემარჯვენე მწერლები, როგორც არის მავალითად, სადისკუსიო რომანის „თეთრი საყვლს“ ავტორი მ. ჯავახიშვილი (ო. პოლტორაკი, „ორბოცი წლის წინათ“, წიგნში „ცისარტყელას ხილები“, კიევი, „დნიბრო“, 1968, გვ. 341).

რამდენადაც ო. პოლტორაკი და დ. სოტნიკი მემარცხენე ლიტერატურული დაჯგუფების წარმომადგენლები არიან და უფრო მეტად აინტერესებდათ ქართული კულტურის მემარცხენეთა ფრონტი, 20-30-იანი წლების უკრაინულ პერიოდულ გამოცემებში „მემარცხენეობის“ მწერალთა შემოქმედება განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი. იმავე წელს „ჩერვონი შლიახი“ („წითელი ვხა“) აქვეყნებს ცისფერყანწველის ტიციან ტაბიძის მოკლე ნარკვევს „თანამედროვე ქართული ლიტერატურა“ („ჩერვონი შლიახი“, 1930, № 7-8). როგორც ბ. ელენტი, ისე ტ. ტაბიძე ედილობენ მოგვეცნ ქართულ ლიტერატურაში ლიტერატურული პროცესის დახასიათება, და რაკი სხვადასხვა დაჯგუფებას მიეკუთვნებიან, უფრო თავანთ თანამოაზრებებზე გველაპარაკებიან. თავის მხრივ, „ჩერვონი შლიახი“ უკრაინულ მკითხველს აც-

ლუდვილა გრიციკი
 უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობისათვის

ნობს ს. ჩიქოვანს, ლ. ასათიანს, ბ. ჟღენტს. წამყვან ქართველ პროზაიკებს შორის მოიხსენიება დ. შენგელაია. შემთხვევითი არ არის, რომ ამ პერიოდში იბეჭდება ზემოთხსენებები პოეტების მ. ბაქანიძის თარგმანები. თავის ადგილს იჭერს დ. შენგელაიას „სანავარდოც“. ოლონდ, უკრაინელი ავტორების ზედპირული, ინფორმაციული ხასიათის სტრიქონები ვერ ქმნიდნენ მთლიან წარმოდგენას მომქმ ხალხის ლიტერატურის განვითარებაზე. ამ გარემოებას ხელს უწყობდა ენის უცოდინარობა, არც თუ იშვიათად ეს მის გამოც ხდებოდა, რომ უკრაინულ გამოცემებში ჩნდებოდა საცხები შემთხვევითი ნაწარმოებებიც. მაგრამ მომქმ ხალხის ლიტერატურასთან კონტაქტების მოწესრიგება სულ უფრო იშვიათს ხდებდა ასეთ შემთხვევებს.

3. ტრინასთან, პ. პანითან, ოსტაბ ვიშნასთან, გ. ებიკთან, ვ. სოსიურასთან, დ. დოსვიტინსთან, ვ. ბლაკიტინსთან ხანგრძლივ მეგობრობას უკრაინულ საბჭოურ ლიტერატურაში მოჰყავს გიორგი ნამორაძე (სპეციალობით ექიმი, მოწოდებით ლიტერატორი), რომელიც ამ დღად საქმეს, ორი ხალხის უმეიდროსი კავშირის მოგვარებას, მელი ენთუზიაზმით ეძლევა. გ. ნამორაძე თარგმნის დ. სულიაშვილის, კ. ნაღირაძის, ნ. ლორთქიფანიძის, მ. ჯავახიშვილისა და კ. ლორთქიფანიძის მოთხრობებს. იგი გვევლინება როგორც არა მარტო პირველი მთარგმნელი ქართული ენიდან; თარგმნის რა უკრაინულს, იგი სთავაზობს ქართველ მკითხველს პ. პანიჩს და ა. გოლოვსკის, ი. შხანაცკისა და ი. ბაგუტის, ო. ვიშნასა და ს. ოლინიკის ნაწარმოებებს. 1929 წელს „ნიგოსპილკა“ გამოცემს გ. ნამორაძის „ქართული ლიტერატურის მოკლე ნარკვევს“, სადაც იგი თავს უყრის ქართული ლიტერატურისა და ისტორიის ძირითად მომენტებს. მხატვრული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის განვითარება, უკრაინულ საბჭოურ ლიტერატურაში სხვა ენებიდან პირველი თარგმანები, და მშობლიური ლიტერატურის მოთხოვნილებანი თარგმნილ ნაწარმოებთან მიმართებაში, მთარგმნელს აქტიურ როლს აკისრებდა. 1928 წელს უკრაინის სახელმწიფო გამოცემლობა გამოცემს თანამედროვე ბელორუსული ლიტერატურის აღმანახს „ნოვა ბილორუს“, ს. პილაპენკოს რედაქციით; აქ ფართოდაა წარმოდგენილი სხვადასხვა სკოლისა და მიმართების პოეტებისა და ბელეტრისტების ნაწარმოებები; „ჩერვონა პრესა“ იტყობინება ჩეხური პოეზიის ანთოლოგიის გამოსვლას.

ამიერკავკასია დღის წესრიგში აყენებს სხვადასხვა ეროვნებათა ბევრი ნაწარმოების გამოცემას. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე პრესაში ცნობილი ისტორიკოსების, ეთნოგრაფების, ლიტერატურათმცოდნეების გამოსვლები, ავ-

რეთვე პროლეტარული მწერლების საერთაშორისო ბიუროს მოღვაწეობა, ამ ბიუროს თხოვნით სომეხი პოეტი აკოფ აკოფიანი წერს ნარკვევს — „კავკასიის თანამედროვე ლიტერატურა“ (სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, ჩრდილო კავკასიის ხალხები). ამიერკავკასიის ხალხების კულტურისა და აღმოსავლური კულტურის ათვისებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აღმოსავლეთმცოდნეობის სრულიად უკრაინის სამეცნიერო ასოციაცია, კერძოდ, 1927 წელს ჩამოყალიბებული ლიტერატურული სექცია პ. ტრინას თამჯდომარეობით, და მისი ბუქლეტი ორგანო „სხილნი სვიტო“, რომელიც ხაზს უსვამს აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის კულტურების შემდგომ შესწავლაში უკრაინელი მწერლებისა და აღმოსავლეთმცოდნეობის მნიშვნელოვან წვლილს (მათ შორის არიან ა. კრიმსკი, მ. კულიში, გ. კოციუბინსკი).

„ევროპული კაპიტალიზმის არნახულმა გაქანებამ, — აღნიშნავს ვ. დუბროვსკი, — XVIII-XIX საუკუნეებში მიიპყრო მთელი სამეცნიერო ინტერესი, მაგნიტივით მიიზიდა აზრები და მხოლოდ ახლა, ევროპული კაპიტალიზმის კრიზისის პერიოდში ჩვენ კვლავ მივამარბობთ ცნობისმოყვარე მხერას აღმოსავლეთს“ („სხილნი სვიტა“, 1928, № 2, გვ. 147). სხვა კულტურების გაცნობა ისტორიულად აუცილებელი მოვლენაა. ეხება რა სხვა ეროვნებათა ლიტერატურების პირველ საბჭოურ თარგმანებს, კრიტიკა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისინი მიმართულია იმ მკითხველებისადმი, რომელთა დარწმუნება საქირთა საუკუნეთა მანძილზე ტრადიციის მქონე მთელ რიგ ცრურწმენათა სიტუტეში. საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნული ლიტერატურის დიად ცხოველყოფნად ძალს და სხვა ეროვნებათა ენებიდან თარგმანების სიუხვით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ უკრაინულ თარგმანებში ძირითადად მცირე ფორმებს ეთმობა ადგილი: პოეზია, შემოკლებული ან მთლიანად თარგმნილი ვრცელი მოთხრობები. ამას ლიტერატურათმცოდნეონი და მთარგმნელიც აღნიშნავენ: „... ნაწარმოების საქირთებისა მიხედვით შერჩევის ამოცანა. — შენიშნავს „ჩერვონი შლიახი“, — ისიც არის, რომ საქირთა შეძლებისდაგვარად აუცილებლად შემოკლდეს ნაწარმოები. ამით თანამედროვე მკითხველს საშუალება ექმნება მსოფლიო ლიტერატურის სავანძულის უფრო მეტ ქმნილებას გაეცნოს, და ამიტომაც შეეძლომა არ იქნება ითქვას, რომ მთარგმნელობითი ლიტერატურის სფეროში ახლა, და კიდევ დიდხანს გვექნება მოთხრობისა თუ რომანის შემოკლების ეპოქა“ („ჩერვონი შლიახი“, 1927, № 9-10, გვ. 50).

სხვა მიზეზი, რის გამოც უკრაინულ ენაზე მოზღვადა მცირე ფორმის ნაწარმოებები, იყო



თარგმანში ეგრეთწოდებული მეთოდოლოგიური გამოცდის მოთხოვნა, უფრო სწორად, მრავალეროვნულ საბჭოურ ლიტერატურაში წარმომოხილი პროცესის ყველა საზღვრის უფრო სრულად გადასნის სურვილი, ახალგაზრდა ძალების ფართოდ წარმოჩენა. ამგვარად, 20-30-იანი წლების პერიოდულ გამოცემებში გვხვდება უკრაინულ ენაზე თარგმნილი ს. ჩიქოვანის, გ. ლეონიძის, ვ. ვაფრინდაშვილისა და პ. იაშვილის, ნ. მიწისვილისა და ი. მისაშვილის გალაციონ ტაბიძისა და ტიციან ტაბიძის ლექსები. ოციანი წლების მიწურულში პირველად ქვეყნდება ქართული მხატვრული პროზის თარგმანები. უმრავლეს მათგანს ხელს აწერს გ. გორსკი (გ. ნაპორაძე). „ჩერკონო შლიახის“ მეშვიდე წიგნი ბეჭდავს ი. ტატიშვილის „ორ მტერს“. თანამედროვე უკრაინულ მკითხველს შესაძლებლობა ექნება გაეცნოს უცნობი ავტორის მიერ თარგმნილ პ. იაშვილის „ფერად ბუშტებს“. თავის მხრივ „მოლოდინაიკ“ აქვეყნებს ი. ტატიშვილის „მრეცხავ ქალს“. თარგმნის მეთოდი საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ ბევრი ხელმოუწერელი თარგმანიც გიორგი ნაპორაძეს ეკუთვნის.

ზუსტნაგს რა მკითხველზე, მთარგმნელი და ინტერესებულისა არა მხოლოდ ნაწარმოების შინაარსის, არამედ უკრაინული ლიტერატურისთვის უცხო ქართული სახეების შეძლებისდაგვარად უკეთ გადმოცემითაც. თუ მთარგმნელთა ერთი წრისთვის (გ. ზერკოვი, თ. ფიქელი) „თვითიული სიტყვის“ (სიტყვათა კლასიკური შერჩევის) ზუსტი გადაცემის, ტროპების, ფიგურების, ეფონიისა და გარითმის მოთხოვნა პარამონულად ერთიანდებოდა მშობლიური ენის მოთხოვნილებებთან („...მხოლოდ ამ პირობით... თარგმანი გადაიქცევა ჩვენი ლიტერატურისა და ენის განვითარების უშუალოდ ეტაპების კიბედ“), სხვათათვის თარგმნის გზით უცხო კულტურის ესთეტიკის გადატანა მშობლიურში ნიშნავდა სხვა ენის გრამატიკული ნორმების უხეშ წაბაძას. „ცხადია, რომ, — წერდა ერთ-ერთი მთარგმნელი, — თუ, მაგალითად, ჩინურ ენაში არ არის ზმნა და ზმნური კონსტრუქცია, ჩინური ენიდან თარგმნილ ნაწარმოებშიც არ უნდა იყოს იგი... რამდენადაც მისი (თარგმანის — ლ. გ.) ძირითადი მიზანი არის ის, რომ აღადგინოს მშობლიური ენის ბუნებისთვის რაღაც პრინციპულად უცხო, ამიტომ მხატვრულ თარგმანისთვის შეუძლებელია ყოველგვარი სინტაქსური ნორმები. იმათვეთვე იგი გრამატიკული სიყვითისა და ბოროტების მეორე მხარეზე დგას“.

მთარგმნლობითი საქმიანობის განვითარებისადმი ინტერესმა და ახალი უკრაინული თარგმანების გამოჩენამ სტიმული მისცა ოლ. ფინკელის „თარგმანის თეორია და პრაქტიკის“ გამოსვლას. თუ ადრეულ შრომებში თარგმანის

მკვლევარები ძირითადად პოეტური თარგმანის საკითხებს მიმოიხილავდნენ, თ. ფინკელის წიგნში წამოჭრილი იყო მხატვრული პროზის თარგმნის მნიშვნელოვანი საკითხები „ყოველი პროზაული უნარი, — აღნიშნავს ავტორი, — არის ისტორიული განვითარების პროდუქტად გააჩნია თავისი საკუთარი ციფრობრივი თავისებურებანი, სპეციფიკური გამოთქმები, ტერმინები და მიმოქცევა, მაოზე დაკორექტებამ შესაძლოა მოგვეცეს მოულოდნელი ეფექტი. ასევე, არ შეიძლება ავტორისეული ენის ინდივიდუალურ თავისებურებათა უფლებებუყუყუა“. თ. ფინკელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ავტორის პოეტის ძირითადი პრინციპების შენარჩუნებას. თარგმანის მეცნიერების მეტრიკალებს პროზისკენ ხელი შეუწყო თეოსინამიდეალიზმ, ლიტერატურის განვითარების შინაგანმა კანონზომიერებამ. საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში მომხდარი დიდი სოციალური ძვრების ფართო ტილოებს საჭიროებდა. ლიტერატურის მნიშვნელოვანი ესთეტიკური პრობლემების, ამ პრობლემათაგან მთავარის — ხალხის ცხოვრების ასახვისათვის, მოწოდებული თარგმნილი მხატვრული პროზა დრამად შეიქრა ჩვენს ლიტერატურაში.

უკრაინულ ენაზე გამოდის კონსტანტინე ლორთქიფანიძის „პირველი დედა“, ნიკოლოზიქიფანიძის „დანგრეული ბუდეები“, ნ. მიწისვილის და სხვათა ნაწარმოებები. ისინი ასახავენ ქართველი ხალხის ცხოვრებას სხვადასხვა ასპექტში და თუ ზოგიერთი მათგანი, როგორც მაგალითად, კ. ლორთქიფანიძის „პირველი დედა“ შეიცავს რევოლუციური კონსიპიუმის ელემენტებს, სხვებში იგრძნობა ადამიანის, მისი შინაგანი ცხოვრებისადმი დიდი ინტერესი.

დიდი ყურადღება ეთმობა თარგმნისთვის პეშპარატად რევოლუციური, მხატვრულად სრულქმნილი ნაწარმოების შერჩევას. ლიტერატურათმცოდნეობაში მუდმივად იგრძნობა სწრაფვა — არ ჰქონდეს ადგილი შემთხვევითობას სხვა ეროვნებათა ნაწარმოებების ურთიერთგაცნობის საქმეში. სამამულო კრიტიკამ გაილაშქრა თარგმნისთვის სტიქიურად შერჩეული მთელი რიგი ნაწარმოებების მიმართ. უარყოფითი შეფასება დაიმსახურა მ. დგებუაძე-ფულარის ნაწარმოებმა „გრძნობათა ნანგრევებზე“. აანალიზებს რა ნაწარმოებს, კ. მ. აღნიშნავს, რომ იდეურად და მხატვრულად იგი ქართული ლიტერატურის დონეზე არა დგას („მოლოდინაიკ“, 1929, № 8, გვ. 117-118). თხუთმეტ საუკუნეზე მეტი ხნის ქართული ლიტერატურა, — შენიშნავს იგი, — ჩვენი მკითხველისთვის ჯერაც უცნობი რჩება.

ლუდმილა პრინციპი
 უპარინულ-პარტული ლიტერატურული
 შრტიმდროზისათვის



ამასთანავე კ. მ. ასახელეს მთელ რიგ მიწერ-
ლებს, რომელთა ნაწარმოებებიც, მისი აზრით,
იმსახურებს უკრაინულ მკითხველის ყურად-
ღებას. რეცენზენტის კვალიფიკატორი გამოსე-
ლა, სათარგმნელი ნაწარმოებების შერჩევისა-
თვის მის მიერ არჩეული პოზიცია (განსა-
კუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იგი მიწერ-
ლის მსოფლმხედველობას), არა მარტო ქარ-
თული ლიტერატურის, არამედ თარგმნის პრაქ-
ტიკის დიდ ცოდნას. იძლევა საფუძველს და-
ეასკვნათ, რომ კ. მ. ინიციალებში იგულისხმება
უკრაინული და რუსული ენებიდან მთარგმნე-
ლის ხარკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-
ფილოლოგიური ფაკულტეტის სლავურ-რუსუ-
ლი განყოფილების აღზრდილის, უკრაინისტი-
ს, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორის მი-
ხეილ პავლეს ძე კინწურაშვილის (იასამანი)
გვარი. მ. კინწურაშვილის კრიტიკული შენიშვნ-
ები, გამომხატურება იმ დროს გამოცემულ
ქართულ ნაწარმოებებზე მარტო იმაზე როდღ
ახდენდა გავლენას, რა და როგორ თარგმნილი-
ყო. ქართველური ენებიდან თანამედროვე უკ-
რაინულ თარგმანებზე მისი გამოსვლები ქარ-
თულ ჟურნალ „მნათობში“ იყო პირველი სინ-
ჯი სლავური, კერძოდ, რუსული და უკრაინ-
ული ენებიდან თარგმნის პრობლემის გადაწყ-
ვეტის მნიშვნელოვანი ამოცანების დასახვისა.
ახალი თარგმანების გამო (ძირითადად ევროპუ-
ლი ენებიდან) ქართულ და უკრაინულ პრესა-
ში მთელი რიგი სტატიების გამოქვეყნება აშ-
კარა გავლენას ახდენს გ. ნამორაძის თარგმა-
ნებზე. მხატვრულ თარგმანში სიხუსტის გარკ-
ვეული კრიტერიუმების გამოშვების არაობიექ-
ტურობა კვლავ დიდხანს მტკიცდება გ. ნამო-
რაძის თარგმანებში. მაინც თარგმნის ხანგრძ-
ლივი პრაქტიკა აფიქრებინებს მას ვადახდლოს
წარსულს, შეაჯამოს რაც გაკეთდა, განსაზღვ-
როს მთარგმნელობითი სიხუსტის კოორდინა-
ტები. მთარგმნელმა, შეინიშნავს გ. ნამორაძე,
ზუსტად უნდა გადმოსცეს რა და როგორ თქვა
ავტორმა. ორიგინალის ავტორისეულად აღდ-
გენის სწრაფვა ასე თუ ისე აშორიშორებს
მთარგმნელისა და თარგმან-ბეჭდვით, სამაგი-
ეროდ მის მუშაობაში სხვა უკიდურესობა
ვლინდება: თარგმნისას იგი მისდევს უკრაინუ-
ლი მხატვრული პროზის სტილს, ამგვარად,
თარგმანს აკლდება ქართული პროზისთვის და-
მასხაითაებელი ეროვნულ-სპეციფიკური ნიშ-
ნები. გ. ნამორაძის მთარგმნელობითი პრაქტი-
კაში არსებული ორი პერიოდის სახლდარსა და,
მხატვრული პროზის თარგმნის პრაქტიკაში სა-
ერთოდ, დგას პ. ქუთათელაძე-(სამოსონიძის)
„პირველი ქარიშხალი“, სადაც გ. ნამორაძე,
რომელიც ჯერ კიდევ ვერ აღწევს თავს თარგმ-
ნის აღრეულ მეთოდს, დედნის სტრუქტურის

შესატყვისაობა, მისი სიტყვებით რომ ეწოდება,
ესწრაფვის მოძებნოს უკრაინული ენის
ღებლობებში ავტორის იდენტური ენობრივი
ქსოვილი.

სხვა ეროვნულ ლიტერატურებთან რუსული
ლიტერატურის თანდათან უფრო გაზრდილმა
ურთიერთდაკავშირმა განაპირობა ის, რომ რუ-
სული ლიტერატურის მეშვეობით უკრაინულ
ლიტერატურას შესაძლებლობა მიეცა გასცნო-
ბოდა მოამბე ხალხების, და კერძოდ ქართულ
ლიტერატურას.

შემთხვევითი არ არის, რომ 30-იანი წლების
მეორე ნახევარში უკრაინულ გამოცემებში
გვხვდება მ. ჯავახიშვილის არაერთი მოთხრო-
ბა, კ. გამსახურდიას „ხოვანის მინდია“, დ. შენ-
გელაიას „ბათა ქექია“ და სხვ. ომამდელი ათ-
წლეულის როგორც უკრაინული, ისე ქართუ-
ლი პროზა თანამედროვეობის ფილოსოფიური
გაზარების უმაღლეს საფეხურამდე აღის („უკ-
რაინული ლიტერატურის ისტორია“, რვა ტო-
მად, კიევი, „ნაუკოვა დუმიკა“, 1970, ტ. 6.
გვ. 200).

აღსანიშნავია ქართული ფორმების სხვადა-
სხვაობა. საწარმოო და სოფლის მეურნეობის
თემაზე შექმნილი რომანების პერიოდის უკრა-
ინული ლიტერატურა მდიდრდება დ. შენგე-
ლაიას ახალი რომანით „სანავარდო“ და კ. გამ-
სახურდიას „მთვარის მოტაცებით“. უკრაინუ-
ლი პროზაიკოსების ნაწარმოებებთან ერთად,
რომლებიც გამოეხმარნენ „პრავდის“ მოწო-
დებას — გაემლიერებინათ მუშაობა ისტორი-
ულ რომანებზე, საკმაოდ გაეშუქებინათ ხალ-
ხის ისტორიული წარსული, ჩნდება თარგმანი
მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელისა“, რო-
მელიც ეძღვნება ვასული საუკუნის 20-30-იანი
წლების ფეოდალური ტირანისა და თვით-
მყარობელური წყობის წინააღმდეგ ხალხთა
ბრძოლას. და მაინც, თარგმნის გაცოცხლებულ
პრაქტიკას სასარგებლოსთან ერთად განვითარ-
ების ახალ ეტაპზე ჰქონდა უარყოფითი მო-
მენტებიც თუ 30-იანი წლების შუა ხანებამდე
ქართული ენიდან თარგმნილი ყველა ნაწარმო-
ები უშუალოდ დედნიდან სრულდებოდა, მეო-
რე ნახევრიდან დაწყებული იგი რუსული ენის
მეშვეობით ხორციელდება. უკრაინულ ენაზე
ომამდელი ათწლეულის ქართული ნაწარმოებ-
ების გამოჩენასთან ერთად ქართული ენიდან საბ-
ჭოური პერიოდის თარგმნის პრაქტიკაში იგარ-
ძნობა თავისებური რედაქტირება, დედნის დახ-
ვეწვა, შევსება, ნაწარმოების უფრო კარგად
ჟღერისთვის, როგორც მას მთარგმნელი მიიჩ-
ნევდა, აგრეთვე დედნის „ხედმეტის“ ხარჯზე
შემცირება. თუ მ. ჯავახიშვილის აღრეულ მოთ-
ხრობებში გ. ნამორაძე ცდილობს (მართალია,
ხშირად დეტალურადაც აღადგენს რა თვითე-
ული წინადადების სტრუქტურას) გადმოსცეს
უკრაინულ ტექსტში ავტორისეული დიალოგი-

ბის ფსიქოლოგია, არ დაკარგოს უკრაინულ თარგმანში დედნის უმცირესი კომპონენტები, ახალი თარგმანები გ. ნამორაძისა, იმის გამო, რომ ისინი შესრულებულია არა დედნიდან, არამედ რუსული ტექსტიდან, მხოლოდ უხეშად გადმოსცემენ ნაწარმოების შინაარსს, მის ჩინიხს.

დედანზე მუშაობისას გ. ნამორაძე ეძებს მის უკრაინულ შესატყვისებს. თუ ადრე მშობლიური ენის სინტაქსი ასე თუ ისე ბორკავდა მის შესაძლებლობებს, და მის პრაქტიკაში წამოჭრილი მთელი რიგი საკითხების გადაჭრისას მთარგმნელი ტექსტს მისდევდა, ახლა გ. ნამორაძე უკვე გარკვეულ პოზიციაზე დგას. მთარგმნელი სათუთად ეპყრობა დედამს, როგორც ერთ მთლიანს. ქართული ხალხის ტრადიციებთან, ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული სახეების სისტემა ნაკლებ სიძნელეებს უქმნის მას. მშობლიური ენის გრძობა მთელი მისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის მანძილზე ვასდევს გ. ნამორაძეს. იმის მიხედვითაც კი, თუ როგორ იქცევა რთული ადგილების თარგმნისას სხვა ავტორი — ევგენი პლუგი, შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მუშაობისას იგი მხოლოდ რუსული თარგმნით კი არა, გ. ნამორაძის პეკარდითაც ხელმძღვანელობდა. ეს თეზისი დასტურდება თვით მთარგმნელის ჩანაწერებიდანაც. პეკარდებიდან და რუსული თარგმანების მეშვეობით უკრაინული თარგმანების დიდი რაოდენობა გვაჩვენებს, რომ პეკარდი საერთოდ, რა თქმა უნდა, დასაშვებია მუშაობაში. მაგრამ ის უნდა შესრულდეს როგორც ქართული, ისე რუსული ენების ბრწყინვალე მცოდნის მიერ ერთის მხრივ; და მეორეს მხრივ პეკარდის შემსრულებელი მოვალეა იყოს მთარგმნელის თანაგვართი თარგმნის გასრულებამდე (უსრულიტრატორისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივ-მუზეუმი, გ. ა. ნამორაძის არქივი, ამონაწერი № 21). იყენებენ რა გ. ნამორაძის გამოცდილებას, ევგენი პლუგი და ოლ. პახომოვსკაია, დ. შენგელაიას რომანის „ბათა ქეჟიას“ მთარგმნელი, ისწრაფიან რაც შეიძლება ზუსტად გადმოსცენ დედნის შინაარსი, მაგრამ მათ არ აკმაყოფილებთ „გაურკვეველი“ და „უთარგმნელი“ ადგილების ასნის მუღმივი პრაქტიკა, რაც დედნის ფორმას „სკიპავს“. ისინი, მათი წინამორბედებივით, უფრო ხშირად იმეორებენ ქართული ტექსტის სინტაქსს.

მაგრამ საუკეთესოდ შემუშავებულ თეორიას და დიდ პრაქტიკაზე დამყარებული რუსული თარგმანი პირველ ხანებში ეხმარება მთარგმნელებს დასძლიონ გ. ნამორაძის პრაქტიკაში არსებული ყველა „უთარგმნელი“ ზღუდეები.

მთარგმნელებს უკვე აღარ აბრკოლებთ დედნის ბერკითი ორნამენტი ე. პლუგი და ოლ. პახომოვსკაია ეძებენ უკრაინულ შესატყვისობებს. რაც სტრიქონს არ სცილდება, არ ახნებს

მკითხველს, არამედ ორგანულად შეიქმნება თარგმანში. ავტორები თვლიან, რომ მთარგმნელი ბელა თარგმანი იყოს მთლიანი, არ დაიარღვეს ნაწარმოების ქსოვილი გამუდმებული კომენტარებით, იყოს იგი საკითხავად ადვილი.

პირველს თარგმანზე ზუსტად გადასცემდნენ უკრაინულ მკითხველს დედანს, მაგრამ მისი ხასიათის, შინაგანი განუწყობრებლობის ღრმა გაგებისთვის დაბრკოლებებს წარმოქმნიდნენ. მკითხველს შეეძლო გაეგო ნაწარმოების საუკეთეტი, მაგრამ გარდა ქართული სახელწოდებების, სახელების, რეალიებისა, ცოტა რამ თუ ეუბნებოდა მას, რომ თარგმანი ერთ-ერთი ფურცელია ქართული მხატვრული ლიტერატურისა, რომელსაც აქვს არა მხოლოდ თავისი საცხოვრებელი, ტანსაცმელი, არამედ გააჩნია თავისი ხასიათი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ორგანიზმი. რუსული თარგმანის მეშვეობით ქართული ნაწარმოებების თარგმნისას უკრაინული ავტორები რამდენადმე სცილდებიან დედანს.

მხატვრული პროზის თარგმნის სპეციფიკისადმი სექტრატურა, უგულვებელყოფელმა დამოკიდებულებამ, თუნდაც ყველა მისი მოთხოვნის დაქმავიფილების მიუხედავად, რა თქმა უნდა, გავლენა იქონია თარგმნის პრაქტიკაზე. დედანი ცოტას როდი კარგავდა რუსულ თარგმანში. და როცა ის უკრაინელი მთარგმნელის ხელში ხვდებოდა, ნაწარმოები მუშავდებოდა კიდევ ერთხელ. ამგვარად, ხვდებოდა არაზუსტი, „ასლის გადაღება არაზუსტი ან დამახინჯებული სურათიდან“.

საბჭოური ლიტერატურის ჩამოყალიბებისა და განვითარების რთული პერიოდი კი, მრავალრიცხოვანი ლიტერატურული დაგუფებები და მიმართულებანი (თარგმნებოდა ძირითადად ახალი პერიოდის ნაწარმოებები) მითხოვდა, როგორც აღნიშნავდა მ. გორკი, არა მარტო ერთ-ერთი ეტლურის, არამედ ავტორის შემოქმედებითი პიროვნების განვითარებას ისტორიის კარგ ცოდნას.

პროზული თარგმანის ყურადღების ცენტრში დგას შინაარსი, უფრო სწორად ნაწარმოების სიუჟეტური ხაზი. ოლონდ, თუ რეალური სასიცოცხლის საუფქელის მქონე სიუჟეტურ განშტოებებს მთარგმნელები როგორღაც თავს ართმევენ, სხვა ხასიათის წაალსკვები, ეთქვათ სიმბოლური და მითოლოგიური პლანისა. როგორც დეკადენტობის ნაშთი იმავე „სანაჯარდოლი“ (დ. შენგელაია), და აგრეთვე სიმბოლური და მითოლოგიური პლანისა, როგორც ალგორითული შინაარსის შექმნის ზეჩხი კ. ვასახურდიას „მთვარის მოტაცებაში“, პაერში გამოკი-

ლუდმილა ზინციკი
უკრაინულ-ქართული ლიტერატურული
ურთიერთობისათვის



დებულებითაა, ხშირად მხატვრული ნაწარმოებებს ზედმეტ, იფფასიან არშისა ჰკავს.

მინც, დედანსა და უკრაინულ თარგმანს შორის დიდი განსხვავებაა, და მთარგმნელის მიერ არცთუ იშვიათად დაშვებული უხეში შეცდომების მიუხედავად, დედანის კარგი მცოდნე და უკრაინელი მწერალი-მთარგმნელების (ო. სტურტა და ო. ნოვიცკი, გ. ნამორაძე და ო. სოროკა) თანამშრომლობამ დადებითი გავლენა იქონია უკრაინული თარგმანების ხარისხზე. მათი ანალიზი ცხადყოფს, რომ დედანზე მუშაობის ღრას მთარგმნელი — მწერლის მონაწილეობისას, რომელმაც არ იცის დედნის ენა, უღიღისი პასუხისმგებლობა ენიჭება პქარდს, ავტორის მიერ ეროვნული ნაწარმოების გავებას, მის ღრმა კავშირს შინაგან და გარგან (სახოგადობრივ-პოლიტიკური, კულტურული, ლიტერატურული და ენობრივი) გარემოსთან. ქართული ენიდან პოეტური თარგმნის სფეროში ეს დაამტკიცა მ. ბაჟანის მუშაობამ შოთა რუსთაველის „ფეხვისტყაოსანზე“. პროზაულ თარგმანის სფეროში იგივე დადასტურა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძენე სიცრუისას“ თარგმანის შედეგებმა ერთის მხრივ, და „არსენა მარაბდელმა“ მიორეს მხრივ. საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში დიდმა ცვლილებებმა, მრავალეროვნული საბჭოური კულტურის სწრაფმა აყვავებამ ხელი შეუწყო ეროვნებათა შორის დამოკიდებულებების უფრო აქტიურ განვითარებას. როგორც საერთაშორისო, ისე საკავშირო მასშტაბით ლიტერატურული მონაპოვრების ინტენსიური გაცვლა-გამოცვლის პირობებში თარგმნას, როგორც განსაკუთრებული იდეური მნიშვნელობის საქმეს, საგანგებო პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. თარგმნის უმაღლესმა მისიამ — ემსახურნა ეროვნული კულტურის გამდიდრებისა და ინტერნაციონალიზმის განმტკიცებისათვის დიდი ინტერესი აღძრა მისი ბუნებისა და სპეციფიკისადმი

„შეიძლება ყოველგვარი გადაქარბების გარეშე ითქვას, — შენიშნავდა ა. ფედოროვი, რომ კულტურის, ლიტერატურის, ფილოლოგიური მეცნიერების ისტორიაში ჯერ კიდევ არ ყოფილა პერიოდი, რომ ასეთი ძალითა და ცხოველყოფილობით გამოჩნეულიყო ინტერესი თარგმნისადმი და მასთან დაკავშირებული სხვადასხვაგვარი თეორიული პრობლემებისადმი“ (ა. ვ. ფედოროვი, „თარგმნის ზოგადი თეორიის

საფუძვლები“), ახალი პერიოდის ქართული ინული ლიტერატურული ურთიერთდამოკიდებულების არა ერთი თარგმანი მოწმობს, რომ კიდევ დიდხანს ფართოდ იყენებდნენ ადრეული თარგმანების არცთუ სახარბიელო პრაქტიკას. მაგრამ თეორიული აზრის განვითარებაში წინსვლამ, ქართული ენიდან თარგმნის პრაქტიკამ დადებითად იმოქმედა უკრაინულ თარგმანებზე, ამას ხელი შეუწყო როგორც უკრაინაში, ისე საქართველოში მთელი რიგი თეორიული შრომების გამოქვეყნებამ.

ბოლო ათწლეული იმათაც აღინიშნება, რომ უკრაინულ ლიტერატურაში მოვიდა ქართული ენიდან მთარგმნელთა ახალი თაობა (ო. სინიჩენკო, გ. ხალიმოვნეკო). ახალი თარგმანების გულდასმით შესწავლა მოწმობს, რომ მათი ხარისხი შესამჩნევად ამაღლდა.

დიდი ოსტატობით თარგმნის ო. სინიჩენკო ეგნატე ნაიშვილის პროზას. მწერლის მიერ აღწერილი თვითული სახის ბუნების ღრმა გავება, მთარგმნელის მიერ მასალის კარგი ცოდნა ეხმარება მას გამოამქლავოს დედნის ოდნავ შესამჩნევი კავშირი ქართული ლიტერატურის სხვა ნაწარმოებებთან მათი არსის მხოლოდ ღრმად ჩაწვდომის გამო, რომ ო. სინიჩენკო არაჩვეულებრივი წარმატებით გადმოსცემს ავტორის ნათქვამს.

ზრუნავს რა თავისი თარგმანის მაღალ კულტურაზე, ო. სინიჩენკო ზომიერების დიდი გრძობით გადმოსცემს დედნის მხატვრულ თავისებურებას, ამა თუ იმ ხერხს, საშუალებათა იმ სისტემას, რომლის პრიზმაშიც მწერალი ხედავს გარემომცველ სამყაროს და რომელიც შეადგენს მწერლის ესთეტიკური შეხედულებების გარკვეულ სისტემას. ზუსტად ასახავენ რა ქართული დედნის პოეტიკას, ო. სინიჩენკო და გ. ხალიმოვნეკო არა მარტო აახლოვებენ მკითხველს უცხო ეროვნების ავტორთან, არამედ კიდევაც უხსნიან მას მწერლის ტალანტის თავისებურ ბუნებას.

ესწრაფვიან რა დედნის ასახვის მაქსიმალურ სიზუსტეს, უკრაინელი მთარგმნელები ამასთან ერთად უნარჩუნებენ დედნის თავის ვანუმეორებულ სახეს; ამით ისინი ასახავენ ქართული ლიტერატურის ღრმა შინაგან სიმდიდრეს, უფრო სრულად გადაშლიან საბჭოური ლიტერატურის მრავალფეროვან არეს.





ალექსი ჭინჭარაული

„ილიადას“ პირველი ეპოსი თარგმანის გამო

„მე გახლავართ ენათმეცნიერი, ფილოლოგი და, ბუნებრივია, ჩემი უმთავრესი საზრუნავია ენა და მისი ბედი. მე დაემათავრე უმაღლესი, არც ვაციე, არც ვაცხელე, დავიცავი დისერტაცია და ახლა უკვე საქმიანობას შევუძღვები. ბუნებრივია, ენის პრობლემები მიინტერესებს უპირატესად. გამოგიტყდებით, დიდად მაფიქრებს ქართული ენის ბედი და აი, რატომ“:

გაზ. „ტფილისის უწყებანი“-ს 1832 წლის პირველ ნომერში წერია: „აწინდელი მწერალთა და უცოდინართა ქართულისა ენისათა შემოიღეს ხმარება ლექსთა სპარსულთა, სომხურთა და რუსულთა, გარნა ამით არავის ძალუძს დამტკიცება, რომელ არ იყოს ქართულსა ენასა ზედა თანასწორმნიშვნელნი ლექსნი. კარგმან მწერალმან, რომლისა საგნისა აღწერაც უნდა მოინდომოს, რომელ ფრაზასა ზედაც უნდა იყოს, მას ძალუძს ბუნებითსა ენასა ზედა გამოღება და წარმოადგენა თვით უმცირესისა აზრისა და გრძნობისა. იგი არ იხმარებს არარომელთა ლექსთა სხვათა ენისათა, გარდა მათსა, რომელთაც უმუდლიათ კანონი მოქალაქობისა და რომელნიც იხმარებთან ყოველსა ენასა ზედა, ესე იგი ტენიციებრთა“.

ასე წუხდა ქართული ენის სიწმინდის შერყვნის გამო ჩვენი წინაპარი 140 წლის წინათ და ეს საწუხარი, სამწუხაროდ, დღესაც ისევ დავგრჩა, რადგან ამ ჩვენს დიდებულ ენას ზოგი ვინმე დღესაც ურცხვად და უღიერად ეკიდება, ეკიდება ისე, თითქმის მისი ერთი-ორი უმწიფარი ორიგინალური თუ ნათარგმნი ნაწარმოების ამ ენაზე გამოქვეყნებით აღწახალაურებული ვალი დაედოს ქართული ენისა და მასზე მოლაპარაკე ხალხისათვის.

საყოველთაოდ ცნობილი და მარტივი ჭეშმარიტებაა: ყოველ ენას თავისი წესები აქვს და, როგორც ყველა წესს, ენის წესებსაც ჰყავს

თავისი დამცველი. კულტურული ერის საზოგადოებაში მშობლიური ენის სიწმინდის დამცველია ყველა: ენათმეცნიერიც, მწერალიც, ეკონომისტიც და ასტრონომიც. სამწუხაროდ, ქართული ენის წინაშე არა თუ არაპუმანიტარული დარგისა, არამედ პუმანიტარული დარგის სპეციალისტებიც ბევრს ეცოდათ.

ისიც ცნობილია, რომ ახალი ქართული ენის ზრდა-განვითარების ერთ-ერთი მდიდარი და ბუნებრივი წყარო ძველი ქართულია. გასული საუკუნეების ქართველი მოღვაწენი ხარბად ეწაფებოდნენ ამ წყაროს. ბევრი რამ გააცოცხლეს, შესძინეს ახალ ქართულს და შთამომავლობას დაუტოვეს.

ეს პროცესი დღესაც გრძელდება და კვლავაც ვაგრძელებდა. პირველი სიტყვა ამ საქმეში, უდავოა, ქართველ მწერლებს ეკუთვნის და ამბობენ კიდევაც. ოღონდ გაანჩია: ენს, რას და როგორ ამბობს. თუ ვინმემ ჰარბად, უეგმოვნოდ და უადგილოდ იხმარა ძველი ქართულის ფორმები თუ სიტყვები, კრიტიკოსნი მათ უციეინებენ და მართალნიც არიან: როცა ზომიერების გრძნობას ვკარგავთ ანდა ენის ნორმებს ემახინჯებთ, მშობლიურ ენას დათუერ სამსახურს ვუწვევთ.

ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს თარგმანის ენა, ეგრძოდ კი პოეტური ქმნალებს თარგმანის ენა; რაიგითს მთარგმნელს უჭირს ლექსის ზომასა და რომისთან ერთად შინაარსის ადეკვატურობაც დაიცვას და ძალაუნებურად ცოდავს, — საკუთარი ენის ნორმებს ამახინჯებს.

უფრო რთულდება მდგომარეობა, როცა საქმე მსოფლიო ლიტერატურის შედევრთა თარგმნას ეხება. აი, რას წერს ამის შესახებ ჩვენი სასიქადულო მწერალი კონსტანტინე გამსახურდია: „უბედურებაა, როცა არაპოეტი დიდა

პოეტის თარგმანს იკისრებს. ჩვენში უმეტესს ნაწილად არაპოეტები ჰკიდებენ ხელს დიდი კლასიციზმის გადაქართულებას.

ყველა კულტურულ ენაზე თარგმნილია „ფაუსტი“ ლექსით და მე თითქმის არც ერთი უნაკლო თარგმანი ხელში არ მომხვედრია. ფრანგები ძლიერ გონივრულად იქცევიან ასეთ შემთხვევაში. თითქმის ყველა დიდი პოემა მათ პროზითა აქეთ ნათარგმნი როგორც ჰომეროსის, ისე ვირგილის, ოვიდის, ჰორაციის, დანტეს, ვოლპტოკის და გოეტესი.

რადგან გენოსი პოეტის თარგმანს უთუოდ ვიკრტოვს მთარგმნელის კალამი სჭირია, სხვა-ნაირად იგი უთუოდ ეზონის გალუქილი ზღაპრები გამოვა“ (რჩეული თხზულებანი, 1967 წ., ტ. VIII, გვ. 186).

არ შეიძლება არ დაეთანხმო დიდი მწერლისა და გამოცდილი მთარგმნელის ამ შეგონებას. ამიტომაც ჩვენ მივიჩინა, რომ გონივრულად მოიქცნენ ზ. კიკნაძე და თ. ჩხენკელი, როცა მათ ჰომეროსის „ოდისეა“ პროზით თარგმნეს.

რუსებს აქეთ „ილიადას“ რამდენიმე პოეტური თარგმანი, რომელთა შორის საუკეთესოდ მიიჩნევენ ნ. გნედიჩის თარგმანს. ვ. ვერესაევი წერს: «Перевод Гнедича — один из лучших в мировой литературе переводов «Илиады» («Илиада», 1949 г. стр. 5). მაგრამ იქვე შენიშნავს: «Главный недостаток — архаический язык перевода».

„ოდისეის“ რუსულ თარგმანთა შორის საუკეთესოდ ყუკოვსკისეული თარგმანი ითვლება, თუმცა ს. ოშეროვი შენიშნავს: Перевод Жуковского лишен филологической точности, в нем есть и ошибки; «арханизация» достигается введением многочисленных понятий из древнерусского быта, совершенно чуждых гомеровскому миру» (Гомер, Илиада. Оды, 1967 г., стр. 713).

როგორც ჩანს, საქვეყნოდ სახელმწიფოებრივ მთარგმნელებსაც კი უჭირთ ჰომეროსის ლექსად გადმოღება (გნედიჩის ოცი წელი მოუნდომებია „ილიადას“ თარგმნისათვის!). ამდენად, ალბათ ძალიან თამამი და თავდაჯერებული უნდა იყოს ახალბედა მთარგმნელი, რომ მან ჰომეროსის ლექსად თარგმანს მოჰკიდოს ხელი და აი, ჩვენში გამოჩნდა ასეთი კაცი — „ციცკარის“ 1972 წლის მერვე ნომერში დიბეჭდა „ილიადას“ ზვიად გამსახურდიასეული თარგმანი ლექსად.

აი ამ თარგმანის დასაწყისი:

მიმღერე, ღმერთქალო, რისხვით ვით აღიძრა აქილდეგს ბელისძე, აქვევლთ მხედრობას რაოდენ ეძვირა მისი განრისხება, რაოდენ მკლავ-მაგარ მებრძოლთა სულები ჩადენა ჰადენსი...

საყოველთაოდ აღიარებული წესია ქართული ენისა: უცხო ენის გემინირებული თანხმოვანი

ქართულში ერთ თანხმოვნად გადმოდის, ამ ტომ „აქილდეგს“, „აპოლონს“ და მისთვის ცალკულ პირთა ამოთა კირვეულობა: ვემოჩილოთ ენის წესებს და ტრადიციასაც ანგარიში გაუქვით. გავიხსენოთ ადგილი შამქორის ბრძოლის აღწერიდან: „დაათრენეს ისარნი სისხლითა და კრმალნი ჰამდეს ცხოცრთა მტერთა მათთასა და მეფე იქცეოდა მსგავსად აქილდეგისა“ (ქ. ც. II, 71,8); გავიხსენოთ იოანე კომპიელოს ნათქვამი: „დაითი—ეთქუა, — ზესთა ვანდიდნეს, მით კრმალი კორცსა ჰამს მისი, აქილდეგისებრ ძალითა მპყრობ ელადესთა ჰამს ისი“ (იქვე, 114,2); გავიხსენოთ აგრეთვე „ვითარცა იტყვს თვთ სადამე ალექსანდრე: „არა დიდი იყავ აქილდევი, არამედ დიდსა მიმთხვე მაქებელსა უმიროსს“ (იქვე I, 342,12).

მდარია „მელისძე“ (უნდა პელეგისძე), მაგრამ ამაზე წვემოთ, მიყვებით ტექსტს:

„ძვირა“ ახალ ქართულში ნიშნავს „ძვირი მოეჩვენა“. ძველში კი ზმნის ეს ფორმა და მნიშვნელობა საერთოდ უცნობია. კონტექსტის მიხედვით მთარგმნელს უნდა ეთქვა. „ძვირად დაუჯდა“, მაგრამ მას სამმარცვლიანი სიტყვა სჭირდებოდა და დიდი „ძვირად დაუჯდა“ „შეუღმუშა“ სამმარცვლიან სიტყვად (ეძვირა“), მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვა დედნის კონტექსტისათვის სრულიად გამოუსადეგარია.

„ჩადენა“ დიალექტური სიტყვაა, მაგრამ ჩემის აზრით, დიალექტური სიტყვად გამოყენება თარგმანის ენაში უფრო ასატანია, თუნდაც მას ლიტერატურული სინონიმი მოეპოვებოდეს, ვიდრე არარსებული, უხეიროდ შეთხზული ან აზრის დამამახინჯებელი სიტყვისა.

მაგრამ სტრიქონ-სტრიქონ მიყვოდა ძალიან შორს წავეყვანს. სჯობია თარგმანს საერთო ნაკლებ ვიმსჯელოთ.

ჰომეროსის ქმნილებათა თუ სხვა „ძველ“ თხზულებათა თარგმნისას არქაული ფორმების გამოყენება ქართულში, რუსულში და სხვა ენებშიაც წესად იქცა და ამ ხერხს უდავოდ აქვს გამართლება. ოლიონდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთარგმნელმა ზომიერების გრძნობა არ უნდა დაკარგოს. ამას რუს მთარგმნელებსაც უეჭოვნებდნენ. ზ. გამსახურდიას აშკარად დალატობს ზომიერების გრძნობა ძველქართულის გამოყენებისას, იგი ჭარბად და უდავლოდ ხმარობს ძველქართულ სიტყვებსა და ფორმებს. ამგვარად ჩვენ ეს ამბავი აგერივად არ გავუზხებთ.

ჩვენ მთარგმნელს ვედავებით ენის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმათა დარღვევის გამო, ვედავებით ძველი ქართულის უტოლინარობით დაშვებულ უხეშ ენობრივ შეცდომათა გამო, ვედავებით ძველი და ახალი ქართულის უღვეთოდ არევის გამო, რის შედეგადაც მისი ენა აღარც ძველია, აღარც ახალი, არის რაღაცა სტროგატა ქართული ენისა.



ცნობილია, რომ ძველ ქართულში ერთზე „მოილო“ ითქმოდა, მრავალზე — „მოიხვნა“, ასევე: წაილო — წარიხვნა, მიულო — მიუხვნა, გაალო — განახვნა და ა. შ. ჩვენს ენაში ამ წესის აღრევის შემთხვევას ვერ ნახავთ. სხვათაშორის ეს წესი დღემდე შემოინახა ფშაურმა დიალექტმა და იქაც მტკიცედ არის იგი დაცული („ჩქარა მიიხვენ აბჯარნი...“).

ზვიად გამსახურდია წამადუწუმ ურევს ღებ— და ზუამ — ზმნურ ფუძეებს — მხოლოდობითში დასმულ ობიექტთან ხმარობს ზუამ — ზმნას, რითაც ამახინჯებს ენის ბუნებას:

„საზღაურს... ჩემად წარვიხვამ“ (უნდა „წარვიღებ“), „მწვადი შეამზადეს, შესწვეს ნაღვერდალზე, შემდეგ გარდმოიხვნეს“ („გარდმოიღეს“), „მსხვერპლისთვის მოიხვენს ქერის მარცვლეული“ („მოიღეს“), ურვიდა აქილევს... ქალისთვის, რომელიც წარუხვენს ძალით აქველთა („წარუღებს“), „წარმოვიხვებით ურიცხვი ნადავლი“ („წარმოვიღეთ“), „ატრისძემ... წარიხვნა ჩემი ნატყვენავი“ („წარიღო“), „...და ქალს წარმოვიხვამ“ („წარმოვიყვან“), „წარიხვნა თან ჰეკატომები“ („წარიღო“), „მეთავით (sic) წარვიხვამ მას შენი კარვიდან“ („წარვიღებ, წარვიტან“), „წარვიხვნათ გოლოლი“ („წარვიღოთ“).

ძველ ქართულში ზტ — ძირი — ამ—თემისნიშნით იყო: წარ-ვ-ი-ხუ-ამ. ზ. გამსახურდია (როგორც ჩანს, წართმ-ევ-ა-ს ანალოგიით) — ევსუფქსასც უმატებს და „წარხვნას“ მაგიერ „წარხმევას“ ხმარობს: „ნადავლთა წარხმევა“.

საერთოდ ამ ზმნის ხმარების ათი შემთხვევიდან ცხრა უცილობას უშვებს, მაგრამ მაინც არ ეშვება, სულ ეს ზმნა აყვარა პირზე: „...და თავით (sic) გარდაზღენ ყველანი ხმელეთზე, აღგვალეს ზღვისპირად, მიიხვნენ ჰეკატომს მშვილდფიცხელ ზევსისას...“ კონტექსტის მიხედვით ჰეკატომმა მოაქვთ, ამდენად, მიხვნა — ზმნა საერთოდ უდავლია. ამას გარდა „მოიხვენ“ შეუძლებელი ფორმაა, უნდა: „მოიხვენ“ („მოპყავს, მოაქვს ზევრი“).

მთარგმნელს ერთხელ მიეცა საშუალება ამ ზმნის სწორად ხმარებისა, მაგრამ იქაც დაარღვია წესი: „მოიღეს ჭაბუკთა დიდ-დიდნი ბარძინნი, პირთამდე აღავსეს“ (უნდა: „მოიხვენს“ და „აღავსნეს“).

ზეერს არას ვიტყვით ზმნასთან პირის ნიშნის უდავლო ხმარების გამო: გადა-მ-ყარეს, და-ს-ტვა, მიმო-მ-ვანტეს, გა-მ-ბედავს, და-მ-კეპეს...

მთარგმნელი ავამეგნონს „სპათა მამფალს“ უწოდებს: „ქირზე, წარმოგზავნა შენთან ავამემნონ, მამფალმან სპათამან“; „გარნა ავამემნონ, მამფალმან სპათამან, მიუგო აქილევსს“; „ატრისძე მამფალი სპათა...“ მამფალი ივ. ჯავახიშვილის განმარტებით „არტანუჯელ კლარჯ

მთავრების სახელწოდება“—ა (იხ. გვანამრთლექსიკ.), ე. ი. ეს არის ქართულ-საქართველო-ციალური, ვიწრო კუთხური ტერმინი და, ცხადია, მისი ჰომეროსის ეპოსში გადატანა არ შეიძლება, არ შეიძლება ავამემნონს ვუწოდოთ მამფალი ისევე, როგორც არ შეიძლება ვუწოდოთ მას ერისთავი, ათაბაგი, მარჯანი, პიტახ-ში და მისთ.

აპოლონმა ისრები დაუშინა აქაველთ და მსწრაფლმომავდინებელი ჭირით დაუწყო ხოცვა. ამ ჭირს ზ. გამსახურდია სახადს უწოდებს. ეს სახადი ხან „მწვავეა“, ხან „უწყალო“, ხან „მომწყველი“, ხანაც „სასტიკი“ (სტრიქონში მარცვლთა რაოდენობის საჭიროების მიხედვით): „...ცალკერძ დაგვერია უწყალო სახადი“; „გვამოროს აქაველთ მხედრობას მომწყველი სახადი“; „დაცხრობს იგი მძინეარებს მწვავე სახადისას“... „ფობობს, რომელმან ლაშქარს მოუვლინა სასტიკი სახადი...“

სახადი ვახლავთ „გადამღები სენი, რომელიც ერთხელ მოხდის შემდეგ აღარ ემართებათ“, ხოლო ძველქართულად სახადი „იგივეა, რაც ტიფი“ (გ. ლ.).

ის, რითაც აპოლონი ძუძავს აქაველთ, არის არა უბრალო სახადი, არამედ შავი ჭირი, ყამი (მო). მთავი ახლაც არსებობს გადმოცემა, რომ ეპამიანობის დროს ყამნი ისრებს ესროდნენ ადამიანებს, ეს ისრები შავ ლაქებს ტოვებდნენ სხეულზე და, ვისაც ეს ლაქა დაეტყობოდა, მისი სიკვდილი გარდაუვალი იყო. მასასადამე სიტყვა „სახადი“ სრულიად უფარგისია იმ ავადმყოფობის გადმოსაცემად, რასაც აპოლონის ისრები იწვევენ, რაგინდ „სასტიკი“, „მწვავე“ და „უწყალოც“ არ უნდა დავარქვათ მას.

ზვიად გამსახურდიასათვის საზღაური, ძღვენი, ჭილდო, მონაპოვარი, ნადავლი და არამადანი სინონიმებია (ხმარობს იმას, რომელიც მისეული თარგმანის სტრიქონში უმტკივნეულოდ ჩაეტევა): „შენი საზღაური ნილავა აჭარბებს ჩემსა მონაპოვარს, ოღეს დამაშერალი მივალ ხომალდისკენ მცირედის ნადავლით“ (მთარგმნელს უნდა თქვას: როცა ბრძოლის ველადან ხომალდებზე ვბრუნდებით, შენ ყოველთვის ჩემზე მეტი ალავი მოგაქვს ხოლმეო); „შენ კი შენს საზღაურს, ტურთა ბრიხედის დამითობ, ვამსოვლეს“; „სამაგზის და თხვგზისაც გივლავენ საზღაურს“; „თქვენაც განმიზადეთ სხვა რამ საზღაური, სანაცვლოდ ქალისა“; „ეით უნდა შესთხოვდე სულდილთა აქაველთ საზღაურს რაიმესო“ „უწყო, რომ არავინ მადირსებს შემდგომში საზღაურს შენოდენ“; „ან იქნებ გეგოროს, თვით შეინარჩუნო შენი საზღაური, მე კი მაძილო დათობა ქალისა და ესრეთ დაშინეა“; „წარუხვნა ჭილდო და თავით მიითვისა“...

ალექსი ზინბარაშული „ილიადას“ პირველი ძეგის თარგმანის გამოს



„...ეგ მოყვებება თქვენთვისაც, ამაღაც არ-
მაღანს მოველი“;

„წილს რაჟამს განვიგლებთ ნადავლზე, შენ
ხლები უმაღვე პირველი“;

„მიქაილ წარხმევას აწ იმა ძღვენიასა“...

ეგ კი არა და, თუ ზ. გამსახურდიას დაეუ-
ყვრებო, სახელდელია და ურვადიც სინონიმე-
ბია: „მე კი დამითმობდეთ ძეს ჩემსას უსახო
სახყედლის სანაცვლოდ“; „... რომ მე არ
ინებებ ქრისეს სახყედლი სანაცვლოდ ქალ-
ისა“... „(ქურუმში) ეწვია ტყვექმნილი ასულის
სახსნელად უსახო ურვადით“; „სურდა გამოს-
ყვოდა ტყვექმნილი ასულის უსახო ურვა-
დით“; „ატრისქემ უარჰყო ურვადი ქურუმის
ასულის სანაცვლოდ“...

ღაინტერესებული მკითხველი კონტექსტისა
და ლექსკონიების დახმარებით ადვილად დაა-
დგენს, შეიძლება თუ არა ერთმანეთს ასე
უპაველაიოდ შევეუნავოთ საზღაური, მონა-
პოვარი, არმაღანი, ნადავლი, ჭილდო და
ძღვენი... ურვადი მიანც კურიოზია. ურვადი
გახლავთ „საცოლის გამოსასყიდი გადასახადი,
რომელსაც სასიძო უხდიდა ქალის მშობლებს
(ფულით ან ნატურით)“ (გლ). სხვა მნიშვნე-
ლობა ამ სიტყვას არა აქვს და არც ჰქონია.
ქურუმში თავისი ქალიშვილის დახსნას ცდი-
ლობს ტყვეობიდან. რანაირად შეიძლება მის
მიერ მიტანილ სასყიდელს ეწოდოს ურვადი
(„საცოლის გამოსასყიდი გადასახადი“)?

ზ. გამსახურდია რაგინდარა სიტყვას ხმარ-
ობს იმ მნიშვნელობით და იმ ფორმით, როგორც
და რომელიც მას უნდა. აი, კიდევ ამისი
საბუთები:

„აღსდგა (სს“ რაღაა?) და აღმართა მარჩ-
ბვი სასმისი“; საბას განმარტებით მარჩბივი
არის „ტყუბო ცხოველი“, „უკეთუ იყენენ
ყრმა ორნი მუცელსა შინა, ეწოდების მარჩ-
ბვი“. განმარტება ნათელია: ტყუბ არსებებ-
ზეა საუბარი. ზ. გამსახურდია რომ „მარჩბივ
სასმისს“ ეძახის, ეს არის ფეხიან-სადგამიანი
სასმისი, двудонный кубок, бокал. ორ სას-
მისზე რომ იყოს საუბარი, ეგება კიდევ ყო-
ფილსყო შესაძლებელი გვეთქვა მარჩბივიო,
აქ კი ერთი, რაღაც გარკვეული ფორმის სას-
მისია და რანაირად შეიძლება იგი იყოს
მარჩბივი ანუ ტყუბი?

„ვისრამიანში“ წერია: „(რამინმა) შესტ-
ყორცა ცერმართალი ისარი მას ადგილსა“-ო
(1962 წ. გამოც. 147,15), ამ თხზულების
ლექსიკონში ცერმართალი განმარტებულია,
როგორც „ოთხფრთიანი ისარი“. აპოლონის
ეპითეტია „შორს განმგმირაგი“, „შორს მაზაი-
ნებელი“ (далеко разящий). იგი მშვილდ-
ისრით აზიანებს ხოლმე. ამდენად, „მშვილდ-
ფიცხელი“ აპოლონის ეპითეტად მისაღებში
სიტყვაა, მაგრამ, როცა ისრის სახელ-

წოდება „ცერმართალს“ აპოლონისს ეპი-
თეტად ვხმარობთ, ეს კი აბსურდია: მით
ამებდეთ ზევის ცერმართალ ძეს, ღიად
აპოლონს (ისევ ორი „ლი“)

არ გაგიკვირდეთ და ზ. გამსახურდიას
„ბარძაყი“ და „ბარკალიც“ ერთმანეთში
ერევა:

„...მერმე შეუქციეს ზვარაკებს თავები,
ყელნი გამოადრეს, ჩამოკრეს ბარძაყნი,
ცმელი მოახვიეს ორმაგად გარშემო; ბარძაყნი
დასწვეს და თავათაც (sic) შეექციენ შიგ-
ნეულს მსხვერპლისას...“ ქართულ ენაზე
(ძველზედაც და ახალზედაც) ბარძაყი არის
„ღამიანის ფეხის ნაწილი თვისდა და მუხლის
თავს შუა“ (გლ), ხოლო ცხოველის იმავე
ნაწილს ბარკალი ეწოდება. ასეთ რამეებს ან
დახსომება უნდა, ანდა, ყოველ კერძო შემთ-
ხვევაში, ლექსიკონში ჩახედვაა საჭირო.

რუსულ თარგმანში რომ ყველასათვის გასა-
გებად წერია: «Шествуй к нам Аполлона
умиластивъ жертвой священной», ქარ-
თულში იკითხება: „აღგვალე მიერ და შეს-
წირე მშვილდფიცხელ ღვთაებას ზვარაკი“.
რას ნიშნავს „აღგვალე მიერ?“ ეს სიტყვა-
სიტყვით ნიშნავს: „ადი იქიდან.“ კი მაგრამ
„წადი“ და „ადი იქიდან“ ერთია? ზ. გამსახურ-
დიასათვის ერთია. მისთვის მთავარია ფრაზა
ძველქართულად ეღერდეს, მნიშვნელობას ან-
გარიში არ ეწევა.

ძველ ქართულში „სთნავს“ ნიშნავს: „მოს-
წონს.“ „უყვარს.“ ზ. გამსახურდიას კი მის
მაგიერ ბუნებაში არარსებული „სთნევს“,
„სთნეოლი“ ფორმები უხმარია: „უსმინა
ვერცხლის მშვილდისანამ აპოლონმ, ღია
სთნევს ქურუმში“; „უკეთუ ოდესმე სთნეოლი
საქმით თუ სიტყვითა...“

თეტისი ეუბნება ზევის: „...да уверюсь всех
ли презреннейшей я меж бессмертных бо-
гинь остаюся...“

ეს აზრი სარეცენო თარგმანში ასეა გად-
მოცემული: „...და მაშინ შევიტყობ, რაოდენ
გეთნევი ყოველთა ღმერთთაგან“. ეს ფრაზა
რომ ახალი ქართულით ზუსტად ვთარგმნოთ,
გამოვა: „...და მაშინ შევიტყობ, რამდენად
გემირფერები ყველა ღმერთებისაგან“. არც
მეტრ, არც ნაყლები! ისიც უნდა დაეუმატოთ,
რომ ღმედანში ღმერთქალებზეა საუბარი და
არა ყველა ღმერთებზე.

შინა „თქვას“, როგორც ახლსა და „მდა-
ბიურს“, ზ. გამსახურდია გაურბის და მის
ადგილზედაც „რქვას“ ხმარობს: „ესრეთ რქვა
თეტისმან“; „რქვა მან და შეძრწუნდა ჰერა“;
„ესრეთ რქვა ჰეფესტომ“; „რქვა მან და გზას
თვისას გაუღდა“; „რქვა მან და დევური მარ-
ჯვენა დაუშვა“ და ა.შ. ეს „რქვა“ აქ ყველა-
გან „თქვას“, „წარმოთქვას“ ნაცვლად იხმა-



რება. „რქვა“ ორი პირის გადმოსაცემად (თქვა მან ის) არ გამოიყენება, იგი ყოველთვის სამ პირის გულისხმობს და ირბი ბობიქტის ნიშნისავე მოითხოვს (პ-რქვა მან მას ის); ზმნის ამ ფუძის ასე უაღვილოდ ხმარება დედნის შინაარსს ამახინჯებს.

„ესრეთ განიზრახა ძემან კრონოსისამ...“ ძველქართულად, სადაც „ძემან“ არის, იქ „კრონოსისმან“ უნდა, მაგრამ ეგ არაფერი, მთავარი ის არის, რომ ზ. გამსახურდიას ჰგონია, „განიზრახა“ „თქვას“ ნიშნავსო. შდრ. კიდე: „მარადის გიგეოლა შენ ჩემგან უჩუმრად ზრახვა იღუმალი და განზე თათბირი, ჯერაც არაოღეს გითქვამს გულახილიად შენნი განზრახვანი“; „ჰერაც, ამაღლ გსურს შეიტყო ყოველნი ჩემნი განზრახვანი...“

არც ძველქართული კავშირების ხმარების საკითხია სახარბელოდ; ეტყობა მთარგმნელს ზოგი მათგანის მნიშვნელობაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. აი, რამდენიმე მაგალითი: „დალათუ“ და „დადაცათუ“, ძველად ნიშნავდა „თუმცას“, სარეცენზიო თარგმანში კი იგი „უეთუს“ „ეთუსის“ ადგილას არის ნახმარი: „დალათუ მე გამცნობ, რაიცა ჯერ მიჩნდეს შენდა საუწყებლად, დასჯერდი...“ მთარგმნელს უნდოდა ეთქვა: „უეთუთ მე გამცნობ...“

კავშირი „რამეთუ“ ხან „თორემისა“ და „თუ არასა“ მნიშვნელობით არის ნახმარი, ხან კი „რადღავანც“ („რაითა“) კავშირის მნიშვნელობით: „...მოხუცო, უწყოდე, დღეიდან ნულარ გამოჩნდები გემთა სიახლოეს, რამეთუ ვედიავარ, ვეღარც ვარშამანგი და ვეღარც ფაენი ვეღარ დაგისხნიან“;

„...ოაეც, მიგმხრონ ტრაელთა მხედრობას, რათა აქველნი ზღვასთან მიამწყვდიონ და მოსრან თვისთავე ხომალდთა წინაშე, რამეთუ (უნდა: რაითა) იხილონ თვისისა ხელმწიფის რაობა ყოველთა...“ კავშირი „რამეთუ“ (რადღავანც) სრულიად უაღვილოა და აზრს ამახინჯებს.

„... მომეახლებენით და მეზრახეთ. თქვენა ხართ გარნა ბრალუენი, ხელმწიფემან თქვენმან რახან მოვავლინნათ ბრიუეს ასულისთვის...“ „გარნა“ (ნიშნავს: „მაგარამ“) აქ „განას“, მნიშვნელობით უხმარია მთარგმნელს და ვერც კი შეუძენვია, რა უაზრობა გამოუვიდა. უაღვილოა აგრეთვე „რომ“ კავშირის ნაცვლად ნახმარი „რახან“, მაგრამ ამ მეორეს ის უპირატესობა აქვს, რომ ორმარტეხანია და მთარგმნელისათვისაც ესაა მთავარი — ჰეგზამეტრის ზომა დაცულია!

„შთენილმცა ყოფილხარ ხომალდთა წინაშე ვაების კიდეგან რახან მოგივიეს ეგოდენ მცირედი უავლი სააქაოს...“ ამ ფრაზას კაცი ვერაფერს გაუგებს. „შთენილმცა ყოფილხარ

ხომალდთა წინაშე“ და „უავლი მოგივიეს“ უაზრობის სასუცხოო ნიმუშებია.

„...ეითარ შეისმინე ჩემი ღაღადისი, მოწყავე ყური შენი, ოდეს განმადიდე და ტანჯვა მოხზადე აქველთ მხედრობას“. მთარგმნელს რომ ამ ყურით მოთრეული „მოწყავე ყური შენის“ მავიერ პირველ სტრიქონში შინაარსი გასაგებად გადმოეცა, აჯობებდა, თუმცა მეორე სტრიქონის „ტანჯვა მოხზადე“ მაინც გაუგებარი დარჩებოდა.

„...სმინეთოს! სამსხვერპლო შენი თუ შემემკოს ოდესმე ქებული, ანუ შემეწიროს ოდესმე მსუქანი ბარკლები ზვარაჟთა და ცმელთა პოხილთა, ვვედრი, შეისმინე ჩემი ღაღადისი...“ შავით თეთრზე წერია: „მსუქანი ბარკლები ზვარაჟთა და ცმელთა პოხილთა“-ო. გამოდის, რომ საუბარია ზვარაჟთა და „ცმელთა პოხილთა“ მსუქანი ბარკლების შეწირვაზე.

„ცმელი“-გადაუმდნარი ქონია, „პოხილი“-მსუქანია. „ცმელი პოხილი“ გამოდის გადაუმდნარი მსუქანი ქონი. მსუქანი ქონი შეიძლება არსებობდეს? მსუქანი ქონის მსუქანი ბარკლები რაღაა? „ცმელთა პოხილთა“ მთარგმნელს დასჭირდა მომდევნო სტრიქონის დასაგრძელებლად, ჰეგზამეტრის დასაცავად და ჩაქედა კიდეცა. აზრი? აზრი ის არის, რაც ზემოთ ენახეთ — უაზრობა.

აი, კიდე „სახლისო“ საკითხავეები: „...ან იქნებ წალთა და ტარიგთა შებოლვას ელის სუნენლოვანს.“ „წალთა და ტარიგთა“ წვავენ, თუ შაშხს აკეთებენ? „სუნენლოვანი შებოლვა“ მაინც რაღაა? „მან ბრძენმა უწყოდა ყოველი წარსულში, აწყუოში, მყოფადში“. როცა ამ ერთმანეთზე მიწყობილ გრამატიკულ ტერმინებს ჩაიკითხავ კაცი, ძალუნებურად გაგონდება სხვა მწყობრთა სახელებიც: აწყუოს კავშირებითი, თურმეობითი...

„ნურას დამიფარავ მაგ შენს გონებაში, მითხარ ყოველივე...“ გულწრფელი პასუხის იმედი რომ მქონდეს, ზვიად გამსახურდიას შევევდებოდი: ნურას დამიფარავ მაგ შენს გონებაში, მითხარ ყოველივე: რატომ მოეკიდე ესდენ მძიმე საქმეს აგრე ჰიპოპოდი?

„... შორსმტყორცნმა აბოლოლომ მას გამოუფელინა ზურგქარი კეთილი...“ „გარნა ამ საქმესთვის მერმისში ვიზრახავთ...“ „მუნეე გამოსტენეს აქილლევს პელისძე კარვის წინ მჯლომარე...“ საინტერესოა, რა საშუალებები გამოტენეს, რომ კარვის წინ მჯლომარე აქილევს პელევსისძე „გამოეტენათ“?

ცნობილია, რომ ძველ ქართულში ადამიანის საკუთარ სახელს მოთხრობითის ნიშანი არ ერთვოდა. ამ წესს ზოგჯერ ზვიად გამსახურ-

ალექსი ბინძარაული
„ილიადას“ პირველი მძიმის თარგმანის გამო



თავის სამართლებლად ეს ვერაფერი საბუ-
თია. სხვებმაც თარგმნეს „ილიადა“, მაგრამ
მათ პერსონაჟთა სახელები არ დაუმახინჯე-
ბიათ. ზ. გამსახურდიას უჭობდა ბერძნული
ფორმები დატოვებინა (ხომ დატოვა უცნულ-
ლად „კალხას თესტორიდეს“) ვიდრე თავისე-
ბურად ემოკლებინა გმირთა სახელები.

ხოლო რაც შეეხება პოეზიის ინტერესებს,
ეს ინტერესებს უკვე იმით შეილახა, რომ
„ილიადის“ პირველი ქება ბუნებაში არასე-
ბული ქართულით ითარგმნა. პოეზიის ინტე-
რესები იმითაც შეილახა, რომ მთარგმნელმა
თავი ვერ გაართვა ლექსად (პეგზამეტრით)
თარგმნას და ნაირნაირი, ენის დამაქინებელი
და დედნის შინაარსის დამამახინჯებელი ფორ-
მები თუ სიტყვები მოიშველია.

ლექსის საზომის დაცვის მიზნით ზ. გამსახუ-
რდია ხშირად სრულიად უადგილოდ იყენებს
ნაცვალსახელებს, ზმნიზედებს და მისთ., რო-
მკლთაგან ზოგი ტექსტს წინშეწვლილს არ
უცვლის და მხოლოდ იმას აწვეებს, რომ საკი-
როების ვარგულს, უადგილოდ არის სტრიქონში
გახირობილი და მკითხველსაც თვალში ეჩხირება,
ხოლო ზოგი (ამჭერად, მყის, უმალ, მარადის...)
დედნის შინაარსსაც ცვლის.

ჩვენ ქვემოთ მოვიტანთ ამონაწერებს და
ხაზს გავუსვამთ იმ სიტყვებს, რომლებიც უფ-
უნჭიოთი ანდა დედნის შინაარსის შემარყვენ-
ლნია. მკითხველს, ვფიქრობთ, კომენტარის მი-
წოდებაც კი არ დასჭირდება.

„...სამყოფს მოწყვეტილი ბეჭდეს (უნდა:
ბეჭვდეს) სელსა და კვლა ჩემთან სარეცელს
მუნ იზიარებდეს.“

„... ორთა ძმათ, აქველ სპათა უფროსობით
მუნ გამორჩეულთა“; „ბოლოს მიამურეს თა-
ვიანთ ვემებს და კარვებს მუნ გამლილთა“,
„კაცთა სინტიელთა მუნ შემვიერდომეს და მო-
მასულიერეს“; ხოლო აქველთა განაწყვეს მა-
შინვე მუნ მკვიდრად ნაგების ბოზონის გარშე-
მო ყოვლად დასაწყველი...“

ეს „მუნ“ პირდაპირ გაპირვების ტალკეპია.
თუ ვრთი მარცვალი მიგაკლდა, ხომ თვითონ
არის მზად, ჩაუმატე და პეგზამეტრი გამარ-
თულია! თუ ორი მარცვლი გინდა, „მუნს“ ეე
მიუმატე:

„... ქალიც უხალისოდ მისდევდა მაცნეთა.
ხოლო აქილევსი მხედრებს განერიდა, მუნვე
განმარტოვდა ვერცხლისფერ ზღვისპირად, დაჯ-
და ტირილად და თანაც ჩასტეკროდა მორევს
ქაფმორეულს“; „მუნვე აპოლონის ქნარი ჯა-
დოსნური სენას დაატკობდა“; „ხოლო დანა-
რჩენი დაჰკვესა მუნვე და შამფურზე ააგვის...“

სამი მარცვლია საჭირო? — ზეად არის
„მუნთქვესვე“:

„შვილდა კარავში და გამოიყვანა ტურდა

ქრიზეიდ მალემსრბოლთ გადასცა, მათაც მო-
აშურეს მუნთქვესვე ხომალდებს...“

„ეურჩიე მუნთქვესვე მოელბოთ ღვთაება გა-
წვლისებული“...“

„შურს იგებს, ამაღაც განსაჯე, თუ ძალგის
აწ ჩემი მწეობა...“ „სამგზის და ოთხგზისაც გი-
ზღავენ საზღაურს, თუ ზევსმან მოგვამდა
აწ ვალღანსრული ტროას დაქვეცა და ალაფის
მოზიდვა...“

„...აწ ქველის განზრახვით გმირთა ანდუო-
ბას მიმართა ნესტორმან და აგრე იტყოდა...
„და ყოვლინ ტროელნი აწ იზეიმებენ დიდის
განცხრობითა, ოდეს შეიტყობენ თქვენ ორთა
შუღლობას...“

„...აწ კი მოისმინე ჩემი ნაუბარი გულში
შთაიბუქდე...“

„ამაოდ მიელტვი აწ ჩემს მოლორებას, ამაოდ
მაცდუნებ...“

„მერმე აათრიეს კვლავ შვიი ხომალდი
ქეიშიან ნაპირზე...“

„...აღმართეს ანძა და გაშალეს მაშინვე
თეთრი იალქანი...“

„...წილს რაჟამს განვივდებთ ნადავლზე, შენ
ხლები უშაღვე პირველი.“

„...რქვა მან და ორნივე მსწრაფლვე
წარავლინა სასტიკის ბრძანებით...“

„კურთხეულ ღმერთთა და ამხოფლად
ყოველთა მოკვდაეთა წინაშე...“

„...რამეთუ ღმერთები მას უფრო უსმენენ,
ვინაც ყურად იღებს მათ სიტყვას ამხოფლად...“

„ემა, ძეო ჩემო, რად გშობე ამხოფლად
სევგამწარებულმან...“

„ვინ შეედრებოდა ოდესმე ამხოფლად
მოკვდაელ შობილი?“

„...სამგზის უკეთესი გელის საზღაური ახლო
მომაჟალში.“

უკეთუ შეისმენ ჩვენს რჩევას ამაჟამად და
რისხვას დაიცხრობ...“

„...ფოაბოს აპოლომ წარახენა ამჭერად
ჩემი ქრიზიდე...“

„...დედაო! უკეთუ ძალგის, შეეწიე ძეს
შენსას ამჭერად...“

„...მამაო ზევესო, უკეთუ ოდესმე საქმით თუ
სიტყვითა,
შეწვენა ძალმედვა შენის მეუფების,
მისმინე ამჭერად...“

ჩვენ ძველბერძნულს ხელი არ მიგვიწვდებდა
და თარგმანის დედანთან მიმართების საკითხს
დეტალურად ვერ განვიხილავთ. ქართული
ტექსტის რამდენიმე ადგილმა მაინც აღიარა
ეჭვი და ეს ადგილები ჩვენი თხოვნით, ძველ
ბერძნულს შეუღარა პროფესორმა ე. ყაუხ-
ჩიშვილმა (რისთვისაც მას დიდ მადლობას
მოგახსენებთ). ჩვენი ეჭვი გამართლდა: თარგ-

ალექსი მინვარაული
„ილიადას“ პირველი ძეგლის თარგმანის ბამო

მანი ხშირად სცოდავს და დედნის აზრს ამხინჯებს.

რამდენიმე მაგალითი. ზ. გამსახურდიას თარგმანში ვკითხულობთ: „მოიღეს ქაბუტთა დიდ-დიდნი ბარამინი, პირთამდე აღავსეს, თავნი წაუქციეს, მერმე დღორიგეს მუნ თანდამსწრეთა“. დედანშია: **Κορυαί μὲν κρητῆρας ἔπεισε ψαγοῖσι ποταμοῖσι, ἡμῶτα δ' ἄρα πᾶσαι ἔπειρε μῆλαι δειπάσαι.**

სიტყვისიტყვით: ქაბუტებმა სასმლის ქუჩულები (სასმისები) პირამდე აავსეს და დაიწყეს ყველასათვის თავების ჩამორიგება. ქართულ თარგმანში მეტია „თავნი წაუქციეს“. სასმისისთვის თავის წაქცივა მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული რეალიაა და მისი შეტანა -ქ, სადაც არ არის, დედნის უხეში დამახინჯება; ისიც საკითხავია: მწვედ ვიღაუქციეს ხოლმე სასმისს თავს თუ ის, ვინც სვამს?

ქართულშია: „არცინ დაშენილა მუა ფეხზე ნდგამარე, არამედ ვასწიეს და გამოეგებნენ მავსა და მეუფეს“. დედანშია: ...**ἐξ ἐξῆταυ εἰσὶν ἡταρδὺ ἔναχτοι ἡσὲν τὰ ἔλχη μῆται ἔπειρε/ῥμῆσαι, ἀλλ' ἄνοιτι ἔταυ ἔπαυται;** სიტყვისიტყვით: „...ვერავინ გაბედა მოეცადა (დამჯდარს) მომავლისათვის არამედ ყველანი წამოღენენ მის შესახვედრად“. გამოიღის, რომ „მჯდომარეს“ მაგიერ მთარგმნელმა „მდგომარე“ დაწერა და დაუმავა ზმნა „ვასწიეს“ (თანაც რა წყობაა: „ვასწიეს და გამოეგებნენ“!?).

ქართულშია: „ცხრა დღეს იმუსრეოდა ლაშქარი მძვინვარე ღმერთის ისართავან, მეცხრე დღეს უწოდა პელისქემ აქველთ და იწყოთათობი“. დედანშია: **Ἐννῆμαρ μὲν ἄνα εἰραχτὸν ἔχῃστο κῆλα θῆστο, ἤν ἔεῖατη δ' ἄγορῆ ἤε καλῆσῃατο λαθὸν Ἀχιλλῆστ.**

თარგმანი დღენაკლული გამოვიდა: დედანში „მეთე დღეზეა“ საუბარი, ზ. გამსახურდია კი „მეცხრე დღეს“ წერს.

აქილევსი ლანძღავს აგამემონს: „მე, ბილწო მემთვრალე, ძაღლისსახიანო, სამფრთხალით არემო“.

დედანში იკითხება **Κυσῶπα**, რაც სიტყვისიტყვით ნიშნავს: ძაღლისთვალე, ძაღლისსახისა, ძაღლის შესახვედობის; მნიშვნელობით კი **κυσῶπα** ქართულად იქნება: პარლიკით ურცხვი, ძაღლივით უსინდისო.

გენლიზს **„Κυσῶπα“** უთარგმნია, როგორც „псобразный“ და კარგადეც გამოსვლია: **псобразный** რუსულად ძაღლის მსგავსს ნიშნავს, ქართული „ძაღლისსახიანი“ კი ამ მნიშვნელობას მოკლებულია, შოშველა კალკია (სულ ერთია, რუსულისაა ეს კალკი, ბერძნულისა თუ ინგლისურისა). ასე კალკირებას თუ ვაყვებოდით, რუსული «псобразное лицо» ქართულად „ცულისსახიან სახეა“ უნდა გვეთარგმნა...

მხატვრული ნაწარმოების თარგმანის უპირველესი დანიშნულება ისაა, რომ უცხოენოვანი არსებული თხზულება მაქსიმალური ნიშნულტითა და დედნის მხატვრული ღირსებების შენარჩუნებით გადმოვიღოთ ჩვენს ენაზე, გადმოვიღოთ იმ ენაზე, როელზედაც ეწერათ და ვმეტყველებთ ამჟამად, გადმოვიღოთ ისე, რომ საშუალო მკითხველს არ გაუჭირდეს მისი აღქმა და გაგება.

ქველს ვმოქმეში შექმნილი თხზულებების თარგმნისას არქაულ ლექსიკას, არქაულ ფორმებსა თუ კონსტრუქციებს ყოველთვის იცნებდნენ, იყენებდნენ და კვლავაც გამოიყენებენ ერთეულებით, რუსებიც და სხვა ხალხებიც, ვისაც დამწერლობა ჰქონია და ქველი ენა შეუნარჩუნებია. აქ დასაძრახისი არაფერია.

ასეთ შემთხვევაში რამდენიმე პირობა (როგორც მინიმუმი) მაინც უნდა დავიცვათ:

1) მთარგმნელმა ზედმიწევნით უნდა იცოდეს ენა, რომელზედაც კლასიკური თხზულება დაიწერა;

2) მან კარგად უნდა იცოდეს თავისი ენა (ქველიც და ახალიც);

3) თავისი ქველი და ახალი ენის ფორმებს ერთმანეთში არ უნდა ურევდეს, სიტყვის მნიშვნელობას თვითნებურად არ უნდა ამახინჯებდეს;

4) ქველი ენის გამოყენებისას ზომიერების გრძნობა არ უნდა დაკარგებდეს;

5) დიდი ქმნილების მთარგმნელს დიდა პოეტური ნიჭიც უნდა ჰქონდეს.

როცა მთარგმნელი ამ პირობებს ვერ იცავს, მისი შრომა ამაოა, მისი მთარგმნელობითი საქმიანობა მხოლოდ მშობლიური ენის დაკნინებად იტანისათვის შეცდანილობა, ჩვენის აზრით ამ პირობებს ვერ აკმაყოფილებს და ესაა ზვიად გამსახურდიას აქილევსის ქუსლი, როგორც მთარგმნელისა.

...ერთს უნიათო წერილში, რომელსაც რატომღაც „იუმორესკა“ დაარქვა და, რომლის დასაწყისიც მე ამ წერილის დასაწყისად ვისესხე, ზვიად გამსახურდია ქველი ქართული ენის ხმალამოღებულ დამცველად გამოიღის, დასკინის ენათმეცნიერებს და მათგან იცავს „შევიწროებულ“ ქველ ქართულ სიტყვა-ფორმებსა თუ კონსტრუქციებს. მისი თარგმანის გაიცემის შემდეგ პირუთენელმა მკითხველმა თერთან განსაჯოს, ვისგან სჭირდება დასცვა ქველ ქართულ ენას (და, საერთოდ, ქართულ ენას).

P. S. „ილიადას“ პირველი ქების თარგმანზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ სიტყვა ისევ გავეცრებოდა და გაკაროთ. „ილიადას“ სულ 24 ქებისაგან შედგება. როცა ზვიად გამსახურდია ამ თხზულება ასეთ ენით ბოლომდე თარგმნის და გამოამხუფრებს, მაშინ სურათი ალბათ უფრო სრული და გამოკეთილი იქნება.

ლორენს სტერნი და თანამედროვე ინგლისური ლიტერატურა

დღეს, როდესაც ასოციაციურობის საკითხი ასე ფართოდ დგას დასავლურ ლიტერატურაში, არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ის მწერლები, რომელთა შემოქმედებაშიც პირველად გაიღვა ამ ლიტერატურული მეთოდის თეტიკის გარკვეულმა მხარეებმა. ერთ-ერთი ასეთი მწერალი იყო მე-18 საუკუნის ინგლისური სენტიმენტალური ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელი ლორენს სტერნი. მან თავის შემოქმედებაში გამოიყენა და ყურადღება მიაქცია ისეთ მოვლენას, რაც მისი დროისათვის უდიდესი ნოვატორობა იყო, ხოლო ჩვენი ეპოქის ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა.

ლ. სტერნის შემოქმედებით მე-20 საუკუნის მწერლები და ლიტერატურათმცოდნეები დაინტერესებულნი არიან არა მხოლოდ იმიტომ, რომ მის შემოქმედებაში სრულიად ახლებურად და საინტერესოდ არის დაყენებული რომანის პრაბლემები, დროის კონცეპციისა და ნაწარმოების სტრუქტურის საკითხები, არამედ იმიტომაც, რომ „სტერნიმა ინტერესის სფერო გარეგნულიდან აღმანის გონების შინაგანი მხარეების გახსნისაკენ გადაიტანა“. ერთ-ერთი პირველი თანამედროვე ინგლისელი მოდერნისტი მწერლის ვირჯინია ვულფის ეს შეფასება სტერნის მრავალმა თაყვანისმცემელმა გაიზიარა. იმიტომაც არის, რომ სტერნს დღეს უფრო მეტად აღაზრებენ ფ. კაფკას, ჯ. ჯოისს და მ. პრუსტს, ვიდრე მის დიდ თანამედროვეებს ს. რიჩარდსონსა და ჰ. ფილდინგს.

მართალია, მე-20 საუკუნის ბურჟუაზიული ინგლისელი და ამერიკელი ლიტერატურათმცოდნეების გარკვეული ნაწილი მოხერხებულად იყენებს სტერნის შემოქმედებას თავისი რეაქციული და სუბიექტივისტური ლიტერატურულ-ფილოსოფიური თეორიების დასამტკიცებლად, ცდილობენ სტერნის შემოქმედება და კერძოდ მისი რომანი „ჯენტლმენ ტრისტრამ შენდის ცხოვრება და ფიქრები“ პირდაპირ გამოაცხადონ „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურის წინამორბედად. მიუხედავად ამისა, ეს თეორიები ზოგჯერ სრულიადაც არ სცილდება სტერნის გმირთა პრეტენზიულ ფრიადისტულ ფსიქო-ანალიტიკურ ცდებს.

ლ. სტერნის შემოქმედების ასეთი ანალიზის ნიშნულზე დანიელი მეცნიერის კ. დე ფროუს სადოქტორო დისერტაცია „ლორენს სტერნის“ რომანების ანალიზი თანამედროვე ფსიქოლოგიის მიღწევათა შუქზე“. სადისერტაციო შრომის ავტორს მოცემული აქვს სტერნის ნაწარმოებების პერსონაჟთა ფრიადისტური ფსიქო-ანალიტიკური ცდები. მისი აზრით, პერსონაჟთა ურთიერთშორის მიმართება მხოლოდ ექსტრალურ კომპლექსებით არის განპირობებული. როგორც კ. დე ფროუს ასკვნის, სტერნი მიეკუთვნება ისეთ მწერალთა რიცხვს, რომელთა შემოქმედება გამოუცნობი სფინქსია. ამის დასადასტურებლად დანიელ მეცნიერს მოყავს ციტატა „ტრისტრამ შენდიდან“, სადაც ავტორი ლაპარაკობს, რომ „დედამიწის მცხოვრებთაგან არავის ძალუძს იმის გაგება, თუ რა ხდება სინამდვილეში ამ წიგნში“. მწერლის ბიოგრაფიული ფაქტის მოშველიებით კ. დე ფროუს ცდილობს დაგვიდასტუროს სტერნის გასაოცარი მიღრეკილება სექსუალური და ეროტიული საკითხების მიმართ. თავისი ამ დებულების დასამტკიცებლად იგი იყენებს ნაწარმოებში გაბნეულ ფალიკურ სიმბოლოებს, უწყაშურ ანეკდოტებს და ოხუნჯობებს.

ლორენს სტერნის — ინგლისური ლიტერატურის ამ გიგანტის შემოქმედების გამოუცნობ სფინქსად გამოცხადებისათვის დანიელი მეცნიერის არგუმენტების უმეტესობა მეცნიერულ

ლორენს სტერნის — ინგლისური ლიტერატურის ამ გიგანტის შემოქმედების გამოუცნობ სფინქსად გამოცხადებისათვის დანიელი მეცნიერის არგუმენტების უმეტესობა მეცნიერულ



სიღრმეს და დამაჯერებლობას მოკლებულია. სტერნის შემოქმედების შეფასებაში ასეთ უკიდურესობამდე კ. დე ფროუ უთუოდ იმან მიიყვანა, რომ თავისი ფსიქოლოგიური მეთოდი ამჯერად ვერ გამოიყენა ზოგიერთი ფროიდისტული კომპლექსის ასახსნელად (მაგალითად, ტრისტრამ შენდისა და მამამისის დამოკიდებულების საკითხი და სხვ) ასეთი არამეცნიერული, მანდახან ვულგარული გამოხატვები დასული მსჯელობა პერსონაჟთა შორის არსებითი მიმართების დამახასიათებელ კრიტერიუმად ვერ გამოდგება.

ინგლისელი მოდერნისტი მწერლები და განსაკუთრებით ვ. ვულფი იმან დაინტერესა, რომ ჯერ მე-18 საუკუნეში, როცა ინგლისური რომანი აყვავების ხანას განიცდიდა, ფილინგის, სმოლეტისა და რიჩარდსონის რომანები უდიდესი შინაარსითა და თავგადასავლებით იყო დატვირთული, სტერნმა გამოაცხადა, რომ რომანში შინაარსს არავითარი ვადაშუქვები მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომაც რომანში „ჩვენ ტრისტრამ შენდის ცხოვრება და ფიქრები“ ორი პრინციპი მოქმედებს: ე. წ. წინსვლითი და უკუსვლითი თხრობა. პირველი ამბავია, ხოლო მეორე — გმირის ფიქრები. ეს პირობითი გამოთქმა უკუსვლითი თხრობა ნაწარმოების „მშის სხივია“ (ტერმინი „მშის სხივი“ ჯ. ლოკის ფილოსოფიურ შრომებში გამოყენებული მეტაფორული სახეა, რომელსაც ფილოსოფოსი იყენებს ისეთი ფიქრების ერთმანეთთან დასაკავშირებლად, რომელთაც ერთი შეხედვით არავითარი ერთიანობა არ ახასიათებს), თუ ნაწარმოებიდან ამ თხრობას ამოვიღებთ, „ტრისტრამ შენდის“ ყოველგვარი ლიტერატურული ღირებულებაც დაეკარგება. ამიტომაც მიმართავდა სტერნი მკითხველს რომანის პირველსავე თავებში: „მკითხველო, უნდა შეებრძოლო მავნე ჩვეულებას... კითხვისას მხოლოდ ამბები და თავგადასავლები რომ გიტაცებს და ცდილობ ნაკლებად მიიღო ცოდნა და ერთუდილია, რომელსაც ეს წიგნი აუცილებლად მოგცემს, თუ მას ისე წაიკითხავ, როგორც წესი და რიგია“.

მეთოდი, რომლითაც ლ. სტერნს აქვს აგებული რომანი „ტრისტრამ შენდი“, როგორც პერსონალური და იდიოსინკრეტული მონოლოგი, დასავლეთის სამყაროს მოდერნისტი მწერლებისათვის მეტად საინტერესო და მახლობელი გახდა. სტერნისეული დაუკავშირებელი, ასოციაციური თხრობა, მისი გმირების „შინაგანი მონოლოგის“ თავისებურება მე-20 საუკუნეში სრულიად სხვა კუთხით იქნა გამოქმედილი, როგორც ვარკვეული ჯგუფის ლიტერატურათმცოდნეთა შრომებში, ასევე „ცნობიერების ნაკადის“ მიმდევართა ლიტერატურულ ქმნილებებში. აღიარებულია, რომ სტერნის ასოციაციურ თხრობას და მის მსოფლმხედველობას გარკვე-

ული აზრით საფუძვლად უდევს მე-18 საუკუნის ინგლისური ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის მონაპოვებრი, კერძოდ ჯ. ლოკის ფილოსოფიური ტრაქტატი „ცდები ადამიანის გონების შესახებ“. ხოლო „ცნობიერების ნაკადის“ ლიტერატურა აღმოცენდა ზ. ფროიდისა და ე. იუნგის, ხოლო შემდეგ უ. ჯეიმსის ფსიქოლოგიურ ნაშრომებზე დაყრდნობით. მართალია, დიდი განსხვავებაა ჯ. ლოკის ასოციაციების თეორიასა და „ცნობიერების ნაკადის“ ფილოსოფიას შორის, მაგრამ უდავო ფაქტია, რომ დღეს არც თუ ისე იშვიათად ლაპარაკობენ მათ მსგავსებაზეც. თვით ჯოისს არა ერთხელ აღნიშნავს ის გარკვეული გავლენა, რომელიც მასზე მოახდინა სტერნმა „ტრისტრამ შენდის“ უჩვეულო ტექნიკით. ცნობილია, რა აღფრთოვანებული სტატიები მიუძღვნა ვირჯინია ვულფმა სტერნის შემოქმედებას და კერძოდ „სენტიმენტალურ მოგზაურობას“. მან ამ ნაწარმოების ერთ-ერთი გამოცემისათვის დაწერა მეტად საინტერესო წინასიტყვაობა, სადაც სრულიად გაბედულად აღიარა სტერნი მოდერნისტების წინამორბედად. მან აღნიშნა ორიგინალური თვისება იმ აზრით, რომ იგი ზოგჯერ დუმილს უფრო ღიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე სიტყვებს. აქ იგი გულისხმობს სტერნისეულ ტირებების მხარებას, რომელიც სიტყვის თანატოლია. პარადოქსია, მაგრამ მაინც აზრით ისინი ზოგჯერ უფრო მეტად დატვირთულია, ვიდრე ესა თუ ის წინადადება. ტირებებისა და სასვენი ნიშნების ორიგინალური ხმარებაა ჯ. ჯოისმა „ულისეშიც“ ოსტატურად გამოიყენა და შესაძლოა ეს სტერნის ერთგვარი დამსახურებაც იყოს.

სტერნის შემოქმედებით ძალიან გატაცებული და დაინტერესებული რომ არის მე-20 საუკუნის მოდერნისტი მწერალთა გარკვეული ნაწილი, ამას მოწმობს ინგლისელი მეცნიერის ლ. პარტლის მიერ შედგენილი სქელტანიანი ბიბლიოგრაფია სტერნზე, რომლის სათაურია „ლორენს სტერნი და მე-20 საუკუნე“. როგორც ბიბლიოგრაფიის წინასიტყვაობაშია მითითებული მე-18 საუკუნიდან მოყოლებული სტერნს ბევრი მკვლევარი ჰყავდა, მაგრამ მისი შემოქმედების კუმირატივ კვლევა მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება. სტერნის შემოქმედების შესწავლა თანამედროვე ეტაპზე ორი გზით მიდის: პირველია, სტერნის რიტორიკული მეოიოდის, სტილის, ნაწარმოების სტრუქტურის საკითხები, ხოლო მეორე — მისი დამოკიდებულება ინგლისური ლიტერატურის მეგვიდრეობასთან და გავლენა თანამედროვე ლიტერატურაზე.

ლ. სტერნი გაბედულად აცხადებდა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში, რომ მისი მიზანი იყო დაეწერა არა უბრალო რომანი, ამბავი ან უბრალო მოთხრობა, როგორც მისი თანამედროვე-



ბი ფილდინგი ან რიჩარდსონი წერდნენ, არამედ „ამბავი იმაზე, თუ რა ხდება ადამიანის გონებაში“. ამიტომაც არის, რომ ლოკისა და სტერნის სახელს ასე ხშირად უკავშირებენ ერთმანეთს. ზოგიერთი მკვლევარის აზრით (ჟ. ტრაუგოტი, უ. ჯროსი, რ. სტედმონდი), ლოკის ფილოსოფიური ტრაქტატი „ცდები ადამიანის გონების შესახებ“, მისი „აზრების ასოციაციურობის“ თეორია საფუძვლად უდევს სტერნისეულ გაგებას აზრთა ასოციაციურობისა და დროის კონცეპციის თაობაზე. ეს აზრი მხოლოდ ნაწილობრივ არის მართალი, ლოკის დამსახურება არც ისე დიდია, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს.

ინგლისელი მკვლევარის ე. აუტრახაზის აზრით, ფრანგი მწერალი და ფილოსოფოსი მონტენი გაცილებით დიდ გავლენას ახდენს სტერნზე, ვიდრე ლოკი. აუტრახაზის მტკიცებით, მონტენის ამოცანა იყო გამოეხატა გონების ირაციონალური ხასიათი. სტერნიც რომ ადამიანის აზრებისა და ფიქრების ირაციონალური ხასიათის ამოხსნას ცდილობდა, ამას ვერაფერს უარყოფს, თუმცა მისი მიღწევები ამ საქმეში ბოლო დრომდე არ იყო აღიარებული. სტერნი, ვარკვეული აზრით, თითქოს, იზიარებს კიდევ ლოკის ასოციაციურობის თეორიას, მაგრამ ეს საყოველთაოდ აღიარებული აზრი ბოლო დროს უკუგდებულ იქნა.

მიუხედავად იმისა, რომ „ტრისტრამ შენიღ“ აგებულია იმ პრინციპებზე, რასაც „გონების ირაციონალური კავშირები“ ჰქვია და რასაც ლოკი იღვათა ასოციაციის უწოდებს, სტერნის მახვილგონიერების, კომიზმის ტექნიკა, რომელიც ეს ასოციაციურობა ელინდება, წარმოშობილია ისეთი რენესანსული მწერლობისაგან, როგორც არის მონტენი.

ჯ. ლოკი თავის უზარმაზარ ნაშრომს „ცდებს“ უწოდებს, რომელიც ადამიანის გონების შესწავლას შეეხება. მონტენი ერთ-ერთი პირველი პირივინა იყო, რომელმაც გამოიყენა ეს მოკრძალებული და საოცრად ტევადი ტერმინი ადამიანის გონების შინაგანი ფსიქიკის დასაბასიათებლად. ლოკისეული გონებრივი კომპლექსის ანალიზი ბევრად განსხვავდება მონტენისაგან, მაგრამ მონტენის მიერ ყურადღების გამახვილება გონებაზე, როგორც რეალობის ცენტრზე, მისი დიდი დამსახურებაა და რენესანსის ნაყოფია.

ამ სტატიის მიზანია, ვაარკვიოს რა მიმართებაშია ერთის მხრივ, ლოკის ფილოსოფიური თეორია „გონების ასოციაციურობის თაობაზე“ ლ. სტერნის შემოქმედებასთან. მეორე მხრივ რა პარალელები შეიძლება იქნას გავლებული სტერნის შემოქმედებასა და „ცნობიერების ნაყადის“ ლიტერატურასთან, ამდენად, როგორი გავლენა მოახდინა სტერნის ნაწარმოებებმა მე-20 საუკუნის მოდერნისტ მწერ-

ლებზე (ჟ. ჯოისი, ვ. ვულფი, ჟ. კონრადი და სხვები).

ლოკისათვის ასოციაციურობა გონებში წარმოიქმნება. ლოკის თეორიის ნაწილი კომიკური სახეცეკვილებით შედის ტრისტრამ შენიღის სამყაროში, მაგრამ ის არავითარ როლს არ ასრულებს წიგნის სტრუქტურაში. როცა ლოკი თავის ფილოსოფიურ ნაშრომში ლაპარაკობს აზრების ასოციაციურობის შესახებ, იგი უზოგადესი ტერმინებით იხილავს აზრებს შორის ბუნებრივ ურთიერთობათა და კავშირთა იმ საყიბებს, რაც ნორმალურ ადამიანს ახასიათებს. შემდეგ ლოკი გადადის იმ „შეცდომით“ კავშირებზე, რაც რომელიც შემთხვევის ან ჩვეულების მიზეზია. ასეთ შემთხვევებს იგი უწოდებს გონებრივ გადახრას ანუ აბერაციას. აზრები ადამიანის გონებაში ისეთი ერთიანობით ყალიბდება, რომ ძალიან მთელი მათი გამოცალკეება. ისინი ყოველთვის ჯგუფურად არიან და როგორც კი ერთი გაცნობიერდება. მისი მომდევნო ასოციაციური აზრები მასთან ჩნდება ხოლმე. თუ ორ აზრზე მეტია ასე ერთად შეერთებული, მაშინ ერთმანეთისაგან განუყოფელი აზრების მთელი ჯგუფი ერთიანად ელინდება. გონების ამ მდგომარეობას ლოკი უწოდებს სიგიჟეს. იგი არსად არ ცდილობს გონების ეს ერთი შეხედვით შემთხვევითი ან ჩვეულებრივი ასოციაციები დაუკავშიროს გონების „ბუნებრივ“ მოქმედებებს. მაშასადამე, იღვების ასოციაციურობა ლოკისათვის შეცდომითი აბერაციაა.

პრინციპი, რომელიც ხაზს უსვამს ასოციაციურობის იმ სახეს, რომელზედაც ლოკი ლაპარაკობს, არის იდეების ასოციაციურობა რაიმე ჩვევის გამო, გონებაში სხვადასხვა აზრების კავშირი მხოლოდ იმისათვის, რომ რაიმე გარკვეული ჩვევის ან მიზეზის შედეგად ეს აზრები ყოველთვის თანხვდებიან. მართალია, ეს დეფინიცია მეტისმეტად შეზღუდულია, რადგანაც აზრთა ასოციაციურობა ცნობიერი იქნება ეს თუ ქვეცნობიერი, უფრო ღრმა ანალიზის მოითხოვს, რათა ნათლად გამოვავლინოთ გონებრივი მოქმედების კანონზომიერებანი.

სტერნი თავისი თანამედროვე ფილოსოფოსებისაგან განსხვავებით მხატვრულ თხრობაში იყენებს ასოციაციის ორივე სახეს — როგორც „ბუნებრივს“, ასევე „აბერაციულს“. მისი მსჯელობით, ყოველი აზრი, ფიქრი, მართალია, გამომდინარეობს გამოცდილებიდან, მაგრამ მისი გარკვეული ნაწილი ჩვენთვის გაუცნობიერებელია, თუმცა მწერალი იმავე დროს ცდილობს, ჩვენთვის საცნაური გახადოს გამოცდილების ზოგადი ხასიათი. ცნობილი სირთულე, რაც

წელი უპილავა
ლორენს სტერნი და თანამედროვე
ინგლისური ლიტერატურა

„ტრისტრამ შენდის“ თბრობის თავისებურებით არის გამოწვეული, სწორედ შედეგია სტერნისეულ ფიქრთა იმ „საშიში გადაზრების“, რომელიც შესაძლოა, ადამიანისათვის მაშინვე საკლებით ცხადი არ იყოს, მაგრამ მისი არსებობა უდავო ფაქტია და პიროვნებისათვის მეტად მნიშვნელოვანია, ცნობს თუ არა იგი ამ ფაქტს.

აქ საინტერესოა, როგორი ლოგია აქვს სტერნის ასოციაციურობას? ვაგვს თუ არა იგი „ცნობიერების ნაკადის“ ან „შინაგანი მონოლოგის ტექნიკის“ თავიდანვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტერნის ასოციაციურობას გარკვეული აზრით „ფარული ლოგია“ გააჩნია. როგორც რუსი ლიტერატურათმცოდნე ტ. მოტილიოვა წერს „შინაგანი მონოლოგი“ რომანში მეტად საჭირო, მოქმედი ინსტრუმენტია. უდიდესმა დასავლელმა მწერლებმა „ცნობიერების ნაკადის“ ტექნიკა საკმაოდ დახვეწეს, რაც საბოლოოდ დასავლეთ ევროპულ რომანში გვირის შინაგანი მონოლოგის სახით გამოვლინდა. ამ ინსტრუმენტის საშუალებით ისინი შეუძლავნ ასოციაციური, აზროვნება ნაწილ-ნაწილ დაუქუცმაცებინათ. ამით აპირებდნენ სიტყვიერი ხელოვნების საზღვრები ისე გაედიდებინათ, რომ ახალი ძალით ეჩვენებინათ ადამიანის პიროვნების უცნობი მხარეები და ასპექტები.

„ცნობიერების ნაკადის“ ერთ-ერთ პირველ პრაქტიკოსად ფრანგ მწერალ ედუარდ დიუჟარდეს თვლიან, რომელმაც თავის თეორიულ ნაწარმოებში — „შინაგანი მონოლოგი“ ამ თეორიის ძირითადი დებულებები წამოაყენა. როგორც ე. დიუჟარდენი აღნიშნავს, შინაგანი მონოლოგის საიხლე მდგომარეობს იმაში, რომ იგი გადმოგვეცემს აზრების ნაკადს იმ თანმიმდევრობით, როგორითაც ის ისახება პერსონაჟის გონებაში, მაგრამ აქ ლაპარაკია არა იმაზე, რომ აზრების შერჩევა არ ხდება, არამედ ამ შერჩევას არავითარი რაციონალური ლოგიკის ნიშანწყალი არ გააჩნია. სწორედ ეს ძირითადი განსხვავება არსებობს სტერნის გვირების ასოციაციური აზროვნებასა და ვ. ვულფის გვირების „შინაგანი მონოლოგს“ შორის. ვ. ვულფის გვირების შინაგანი მონოლოგი ხშირად არ ექვემდებარება არავითარ ლოგიკას იმიტომ, რომ მისი აზრით, თვით „ცხოვრება ეს სიმეტრიულად განლაგებული ნათურები კი არ არის, არამედ მკრთალად გასჩვიოსნებული შარავანდედი“. იმიტომაც არ არის დაცული მის გვირთა აზროვნებაში არავითარი სიმეტრია, ხოლო მკრთალად გასჩვიოსნებული შარავანდედი ალბათ ფიქრთა უსასრულო ნაკადია, რომელიც ჩვენი ცხოვრების განუყოფელი თანამგზავრია. განა მწერლის ვალი არ არის გადმოგვეცეს ყველა ის თვისება, ეს იდუმალი ან თითქმის დაუკავშირებელი სული რამდენადაც განუსაზღვრელი და რთული იყოს იგი.

სტერნისეული ასოციაციური თბრობა ერთ-

გვარი სახით ჯერ კიდევ გვიანდელი ტენდენსის ეპოქაში იყო გამოყენებული, ხოლო იმდენ მწერალთა ნაწარმოებები, როგორიც არის სტერნის, რაბლეის და ბერტონისა, ეს პრინციპი საკმაოდ მკაფიოდ არის მინიშნებული. აღსანიშნავია, რომ ბერტონის ნაწარმოებში „მელანქოლიის ანატომია“ არის გამოკვლევა ადამიანის გონების განსაკუთრებულ შემთხვევებზე. ბერტონის ნამდვილი ნათესაბიანა სტერნთან და მონეტანთან მდგომარეობს იმაში, რომ ასოციაციურობა მისთვის სრულიად გარკვეული სახეა მოქმედებისა, იგი მოუხმობს მთელს ცოდნასა და გამოცდილებას, რათა ანალიზი გაუქაოს გონების ზოგად, მაგრამ „სამწუხარო კავშირებს“ და მის გამოწვევებ მიზეზებს.

მონეტანსა და სხვა მწერლების მაგალითიდან გასაკვირა არ არის, რომ სტერნი ლოკზე უფრო მეტად გრძნობდა გონების ასოციაციური ჩვევების ძალას. ამის დასადასტურებლად სტერნს კირდებოდა გასაგები და ცხადი მაგალითების მოყვანა. ის მთელს თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახმარის ასოციაციურობის პრინციპს, მკითხველისათვის ძალიან ძნელია ამ ტექნიკისათვის თვალყურის მიდევნება, რადგან ნაწარმოების გვირი ტრისტრამ შენდი იშვიათად უჩვენებს გზას ასოციაციური ბილიკებისაკენ. ტრისტრამის ასოციაციურობა არ არის ლოკისეული. მის მსგეობა და ფიქრები ერთ-ერთ შეხედვით ერთმანეთთან დაუკავშირებელ აზრებს აერთებს. ყველაზე მეტად დაუკავშირებელი ასოციაციურობის უკანაც კი ისეთი აზრი (კავშირი) იმალება, რომელიც თავისთავად ცალ-ცალკე რაციონალური არ არის, მაგრამ გააზრების შემდეგ შეიძლება საცნაური გახდეს. ასოციაციითა ორგანიზების საშუალებით ტრისტრამი აღწევს რაღაც „სიმართლის“ მავზარს და თანდათანობით ავლინებს თავის სახეს. ამ გზით ვლინდება პერსონაჟთა თავისებურება ნაწარმოებში. ყოველი ხასიათის შეცნობა მაშინ ხდება შესაძლებელი, როცა მკითხველი თანდათანობით აღდოს უღებებს და იღებს ასოციაციითა იმ ძირითად წყობას, რაც ნაწარმოებს გააჩნია.

ამ წყობის გაგება ადვილი არაა. ერთი ან ორი გვერდის წაითხვით არ შეიძლება ორი ან რამდენიმე შენდისაური ასოციაციის აზრი. სტერნის აღიარებს, რომ გონებაში რჩება რაღაც შთაბეჭდილებანი, რომელიც ზოგჯერ ადამიანისათვის გაუცნობიერებელია და რაც მთავარია, ეს შთაბეჭდილებანი გარკვეულ ვავლენას ახდენს მასზე. თბრობის დროს სტერნს რამდენიმე ასეთი შთაბეჭდილება ამოაქვს ზედპირზე და მკითხველს უტოვებს შესაძლებლობას გახსნას კავშირი ამ აზრებს შორის.

ტრისტრამ შენდი ძალიან ცოტას გვეუბნება იმ პრინციპებზე, რომლებსაც თვითონ არ ეთანხმება. ის დასცინის მკითხველს, რომელმაც

არაფერი იცის გონებრივ ოპერაციებზე. ის გადასვლა ერთი აზრიდან მეორეზე, რომელიც ამ ნაწარმოებში განუწყვეტელი მეორდება, არის ამ ნაწარმოების „მზის სხივი“. სტერნი აქ აშკარად იყენებს ლოკის საყვარელ სახეს „მზის სხივი“ (sunshine). ეს მეტაფორა, როგორც აღვნიშნეთ, ლოკმა ისეთი კავშირების აღსაწერად გამოიყენა, რომელიც არსებობს ერთი შეხედვით დაუკავშირებელ აზრებს შორის.

„ტრისტრამ შენდის“ ერთ-ერთ თავში სტერნი წერს, რომ „შეიძლებაოდეს ადამიანის სულში სარკის ჩასმა, მაშინ ძალიან ადვილი იქნებოდა ადამიანის სულის იდემალების გამოცნობა. მაგრამ ეს, ალბათ, შესაძლებელია რომელიმე სხვა პლანეტაზე, მაგალითად მერკურზე. დედამიწაზე კი სხვაგვარად ხდება. ადამიანის სულს ჩავეტივინა გაუმჭვირვალე ქვიშაველი. ამიტომაც თუ გვიანდა ადამიანის სულში ჩაიხედოთ, სულ სხვაგვარი ქცევა გეპარტება“.

რას გულისხმობს სტერნი, როცა ასეთი სარკის ან სარკმლის საკვირვებზე ლაპარაკობს? მას უნდა ადამიანის გონებისა და ფიქრის შინაგან, მიუწვდომელ ლაბირინთებში ჩაიხედოს. ეს „შინაგანი“, რაც „ტრისტრამ შენდის“ გამოხატულია იმ უცნაური, ვიქტორი, სულელური და თითქმის დაუკავშირებელი აზრებით, ფიქრებით და გამოვლენებებით, განაპირობებს ადამიანთა მოქმედებებს, ხასიათთა უცნაურ ფექტაციებს.

სტერნის შემოქმედების ამ მხარემ დააინტერესა ვ. ვულფი. მისი ძალზე გახმაურებული სტატია „თანამედროვე მხატვრული პროზა“ დასავლურ ლიტერატურაში „ცნობიერების ნაკადის“ მეთოდის მანიფესტი გახდა. ვ. ვულფის ნაწარმოებების ცენტრში ხშირად პერსონაჟი არ გამოდის, არამედ მისი შეგრძნებები, ფიქრთა გაუთავებელი ალოგიური ნაკადი, ყოველივე ეს ძალიან ხშირად ნაწარმოების თვითმიზანი ხდება და ასოციაციური თხრობა ფერეზად იქცევა ხოლმე. მართალია, ვ. ვულფის რომანი „მისი დელოუი“ თანამედროვე ინგლისური ლიტერატურის ერთ-ერთ შედეგად ითვლება. ხოლო მეორე რომანი „მოგზაურობა სულს მიღმა“ 20-იანი წლების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოებია, მათში მაინც არ ხდება ხასიათების გამოკვეთა; რომანს „მოგზაურობა სულს მიღმა“ არა აქვს გარკვეული სიუჟეტი, იგი უფრო მოგვაგონებს იმპრესიონისტული მანერით შესრულებულ ჩანახატებს, რომელიც გვირის უსასრულო ფიქრთა სროლის დახასიათებას ემსახურება. ვ. ვულფი აღმერთებს სტერნის „დანაწარმულ და დაუკავშირებელ წინადადებებს“, მის ექსცენტრიულ სიტუაციებს. იგი ცდილობს სწორედ ეს სტერნისეული მეთოდი გადაიტანოს თავის შემოქმედებაში. ვულფის აზრით, სტერნმა მხატვრულ თხრობაში სწო-

რედ ის მხარე განავითარა, რომელიც აქამდე იგნორირებული იყო. ის წერს, როგორც ვ. ვულფი ციხთხულობს „ტრისტრამ შენდის“... „მზის სხივი“ დებით, რომ არსებობს ცხოვრებისეული სხვა მხარეებიც, და ეს სხვა მხარეები უფრო მნიშვნელოვანია“. მართალია, სხვადასხვა ფილოსოფიურ საფუძველზე აღმოცენებული მხატვრული მეთოდი ორივე მწერლისა ძალიან ბევრ რამეში განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ამ მწერალთა ერთიანობა მხოლოდ იმაში შეიძლება გამოიხატოს, რომ მათ ერთა მიზანი აქვთ დასახული — ეს არის გონების გაუცნობიერებელი მხარეების ზედპირზე ამოტივტივება, თუმცა ამ ერთ მიზანს სხვადასხვა გზით აღწევენ. ერთი კი შეიძლება ითქვას, რომ სტერნიც და ვულფიც შექმნეს გარკვეული მხატვრული სტრუქტურა ადამიანის გონების მოქმედების ზოგიერთ ხასიათზე. ორივეს ღრმად სწამდა, რომ ჰუმანიტეტის ძიება შეიძლება „ფიქრთა შინაგან დინებაში“.

მე-20 საუკუნის „ცნობიერების ნაკადის“ რომანიტების შემოქმედება გარკვეული აზრით დაფუძნებულია თანამედროვე ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის მონაპოვებზე: ამ მხარე სტერნიც მხატვრულად აღიქვამდა მისი ეპოქის თანადროულ ფსიქოლოგიაში ადამიანის ფსიქიკის თაობაზე შექმნილ მეცნიერულ აღმოჩენებს, ზოგიერთ საკითხში ეყარებოდა ლოკს და საერთოდ შემოქმედებითად ეყიდებოდა რენესანსული მწერლების — სერვანტესის, რაბლესა და მონტენის შემოქმედებას. მაგრამ სტერნს მოდერნიზტებისაგან განასხვავებს სწორედ ის, რომ მისი უბრველესი მიზანი არასოდეს არ ყოფილა და შემოქმედებაში ფეტიშად არ უქცევია ადამიანის ცნობიერი და ამ ქვეცნობიერი ფიქრების დეტალიზაცია და ამ ქვეცნობიერი ფსიქოლოგიური კონფლიქტების გამოცხადება ადამიანის ყოველგვარი ქცევის სტიმულად.

ლ. სტერნის შემოქმედებაში თავისებურად დაისვა კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია დროის კონცეპციასთან ლიტერატურაში. ვინაიდან ეს ცალკე სტატიის საგანია, ჩვენ მას აქ გავკრით შევხებით. ლ. სტერნმა გაბედულად დაარღვია რომანისათვის დამახასიათებელი დროის საზღვრები. მართალია, მან გარკვეულად გაიზიარა ზოგიერთი ლოკისეული მოსაზრება დროის კონცეპციის თაობაზე. მაგრამ ლოკისაგან განსხვავებით დროისა და სინამდვილის თავისებური მხატვრული აღქმა მოგვცა. ეს პრობლემა მწვავედ დგას ისეთ მწერალთა შემოქმედებაში, როგორცაა თ. მანი, ვ. ვულფი, ჯ. ჯოისი, მ. პრუსტი და სხვები: ამ საკითხს მრავალი ნაშრომი მიეძღვნა და იგი

ნელი უპილავა
ლორენს სტერნი და თანამედროვე ინგლისური ლიტერატურა

საკანკებო კვლევის სფერო გახდა. თუ ავიღებთ ვ. ვულფის შემოქმედებას, იგი იზიარებს დროის ბერკანონისებულ სუბიექტურ-იდეალისტურ აღქმას. ა. ჯანტიევას აზრით, დრო ვ. ვულფის რომანში „მარის დელოუეი“ წარმოგვიდგება როგორც, ბერკანონისებული „წმინდა ხანგრძლივობა“, რომელიც გმირთა ცნობიერების ხანგრძლივობასთანაა დაკავშირებული. დრო და სივრცე აქ განსხვავებული ცნებებია, რომელთა შორის კავშირი არ არსებობს. დროს რომანში თეორიული განზომილება აქვს, რომელიც რეალურ დროსთან კავშირში არ არის... დროისა და სინამდვილის ასეთი აღქმა მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ მოგონებებთან, რომელიც გმირთა ცნობიერებაში აღმოცენდება ამა თუ იმ ასოციაციის წყალობით.“ დროის პრობლემას სტერნი არაერთგზის უბრუნდება „ტრისტრამ უინდისი“. ტრისტრამის მამა ვალტერ შენდი მეტაფიზიკური აზროვნების საშუალებით ცდილობს დაამტკიცოს რა მექანიზმისა და გონების რაწინააღმდეგობის საშუალებით ხდება, ის, რომ აზრთა და ფიქრთა ნაკადი დროის ძალიან მცირე მიწაკვეთში ეტევა. ამ აზრიდან გამომდინარე იგი ცდილობს დაასკვნას რაში მდგომარეობს დროისა და სივრცის იდეა, რა მასალისაგან იქმნება თვითონ იდეა, აზრი. ეს იდეა ჩვენთან ერთად იზადება თუ გზადგავა ვიქენო მას სხვა ცოდნასთან ერთად.

ვალტერ შენდის აზრით, მეტად საჭიროა ზუსტად განისაზღვროს დროის ცნება, რადგან ამის გაურკვევლად არასოდეს არ გვექნება ის წარმოდგენა უსასრულობაზე. თუ აღამიანის შენაგან სამყაროს ჩავედრმავებებით, მის მოძრაობას გულისხმობთ მივადევნებთ თვალს. შევნიშნავთ, რომ იმ დროს, როცა ჩვენ ერთმანეთს ვესაუბრებებით, ვაზროვნებთ და ჩიბუნს ებოლებთ ან თანმიმდევრულად ვანიჭებთ აზრებს გონებაში, მაშინ ვიცით, რომ ვარსებობთ და ამრავად, არსებობა ან არსებობის უსასრულობა, რომელიც ეფარდება ჩვენს სულში არსებულ აზრთა თანმიმდევრობას, მიგაჩანა ჩვენს საუბართა დრო-ჟამად და ჩვენს აზროვნებასთან ერთად არსებობს... ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენ დროის გამოთვლას ვაწარმოებთ, მიჩვეულნი ვართ გავზომოთ იგი საათებით, წუთებით, წამებით, კვირებით, თვეებით... ამ შემთხვევაში აზრთა თანმიმდევრობას თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება და ამის გამო ვითომ არავითარი სარეალობა არ მოაქვს.

ჩვენგან დამოუკიდებლად ყოველი ჯანმრთელი აღამიანის თავში განუწყვეტლივ ირევა ათასწილი აზრი, რომელიც ჭკვიანებურად მისდევს ერთი მეორეს და აღამიანის გონებაში ერთმანეთს გარკვეულ მანძილზე ენაცვლებიან...“

თავისი თანამედროვეებსაგან განსხვავებით სტერნიმ დაარღვია რომანის ტრადიციული

თხრობა და მანერა. შეცდომა იქნებოდა გვეთქვამა, რომ სტერნიმ თავის შემოქმედებაში სტერულად ვადმიიტანა ლოკისეული დროის ცნებები. ინგლისელი მკვლევარი ჯ. მ. სტედმონდი წერს ამის თაობაზე: „სტერნის მოდერნელობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ლიტერატურაში ერთ-ერთმა პირველმა დასვა საკითხი, რა კავშირშია აღამიანის გაუცნობიერებელი ფიქრები ერთმანეთთან, თუმცა ლოკის დამსახურება ის არის, რომ მწერალმა ამ მნიშვნელოვან თემას ყურადღება მიუქცია. რადგანაც ის მწერალი იყო, ლოკის თეორია კონკრეტული სიტუაციის გამოყენებით მხატვრულად თარგმნა. ისევე როგორც ჩვენს ეპოქაში მ. პრუსტმა მხატვრულად თარგმნა ბერკანონი, ხოლო ჯოსმა ფრეიდი და იუნგი“. რა თქმა უნდა, ძნელია დავთანხმო ასეთ აზრს, რადგანაც ცნობილია, რა დიდი კავშირიც არ უნდა ჰქონდეს მწერლის შემოქმედებას მისი დროის ფილოსოფიასთან, იგი არასოდეს არ ხდება ამა თუ იმ ფილოსოფიური თეორიის „მხატვრული თარგმანი“, მით უმეტეს, ამის თქმა სრულიად შეუძლებელია სტერნიზე.

როდესაც სტერნი აღარებენ ვ. ვულფს, მ. პრუსტს, ფ. კაფკას, თ. მანს, ჯ. ჯოსისა და ბევრ სხვა თანამედროვე ინგლისელ მწერალს, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ ზემოაღნიშნული მიზეზების გამო სტერნიმ ბევრად გაუსწრო თავის ეპოქას და ზოგიერთი მკვლევარის (უ. ბ. უოტკინსი) გამოთქმა რომ ვიხსნათ „ცნობიერების ნაკადის“ პირველი პრაქტიკოსი გახდა.“ ისევე, როგორც ჯოსთან ან ვულფთან. სტერნი ცდილობს მეხსიერებაში შემორჩინოს წარსულს აწმყოსთან ერთად ცხოვრების უფლება მისცეს. წარსულს ამა თუ იმ პერსონაჟის ფიქრთა ნაკადის მხატვრული ასახვის ისეთივე უფლება აქვს, როგორც აწმყოს. მათ შემოქმედებაში, ისევე როგორც სტერნიან, არ არსებობს პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი ამბავი. ხშირად სრულიად უმნიშვნელო წვრილმანი უდიდეს მნიშვნელობას იძენს და განზოგადების საგანი ხდება.

„ტრისტრამ შენდის“ მე-4 ტომის რამდენიმე თავი ეთმობა იმ ამბავს, თუ რამდენწილი ცხვირი არსებობს ამქვეყნად, რა სამსახურს უწევს ცხვირი აღამიანს, ან რატომ აქვს ზოგიერთს დიდი ცხვირი; მთელი ხალხი მსჯელობს მათ ქალაქში ჩამოსული მხედრის დიდ ცხვირზე. ამ მსჯელობაში ჩაბმულნი არიან ფილოსოფოსნი თუ თეოლოგნი. ლოკოსნი თუ უბრალო მოკვდავი. მაგრამ ეს თითქმის „წვრილმანი“ ამბავი კომიზმის უდიდეს საფეხურებამდე აყვანილი და საწავლელი მახვილგონიერების პარადის ბრწყინვალე ნიმუშია. ამიტომაც უძღვინის „ტრისტრამ შენდის“ მე-4 ტომს მე-12 საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოსის იოანე სელსბერიელის ეპიგრაფი. „მე არ შემიწია უბი-



რი ხალხის მსჯელობისა, მაგრამ მინც ვთხოვ მათ, მოწყალეების თვლით შეხედონ ჩემს იხზულებას, რომელშიც მიზნად დავისახე საოხუნჯოდან სერიოზული ამბავი მომეთხოო, ხლო სერიოზულიდან საოხუნჯოზე გადავსულიყავი“.

სტერნი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს წერილმანებს; ცნობილია, ის გასაოცარი ეფექტი, რომლითაც ის მიზანს აღწევს ამ დეტალიზაციის საშუალებით. რა პრინციპზეა დამოკიდებული წერილმანებთ ასეთი ვატაცება. ეს არის ღირებულებათა თანაფარდობის თეორია. საინტერესოა, ერთი წერილმანი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტების შემოქმედება გონებაზე, რა განუზომელი წონა ენიჭება მათ ჩვენი აზრების ფორმირებისა და წარმართვის დროს? ეს წერილმანები, რომელთაც ღირებულებათა სასწორზე თითქოს პაირის წონა აქვთ, ცხოვრებაში განუზომლად დიდ მნიშვნელობას იძენენ, ინდივიდის შეგნების მარეგულირებლები და გზის მაჩვენებელი ხდებიან.

ინგლისელი მეკლევარები არტუტ ისე იშვიათად ლაპარაკობენ სტერნისა და ჯ. ჯოისის ნაწარმოებთა გარკვეულ ნათესაობაზე. ამ საკითხზე გამოთქმულ ბევრ აზრს შეიძლება არ დავეთანხმოთ. მაგალითად, მეღსობრი გეორგიო თანამედროვე ინგლისურ ლიტერატურაში მანერაზმის თაობაზე დაწერილ ერთ-ერთ თავის ესეში როცა ფილდინგის, სტერნისა და ჯოისის ნათესაობაზე ლაპარაკობს, წერს, რომ მხედველობაში უნდა მივიღოთ სამივე მწერლის ირლანდიური წარმომავლობა. რასაკვირველია, ეს არც თუ ისე დიდი არგუმენტია, რომ მათი შემოქმედების შემხვედრი წერტილები აღვნიშნოთ.

საერთოდ ჯოისს არა ერთხელ აღვნიშნავს ის დიდი როლი და გავლენა, რომელიც მასზე მოახდინა სტერნმა. რ. ელმანი — ჯ. ჯოისის ბიოგრაფი — წერს, რომ ჯოისისათვის ძალიან მნიშვნელოვანი და მისაბაძი იყო სტერნის შემოქმედება. ჯოისი კიდევაც წერდა: „მე შემეძლო ეს წიგნი (იგულისხმება „ულისე“) ტრადიციულ მანერით დამეწერა. ყველა რომანისტიკმა იცის ეს რეცეპტი. ძნელი არ არის უბრალო, ქრონოლოგიური სქემის მოყოლა, რომელიც ადვილი გასაგებია კრიტიკოსებისათვის. მაგრამ მე ხომ სხვა გზით მსურს თხრობა. დრო, მდინარე და მთა ჩემი ნაწარმოების ნამდვილი გმირები არიან. თუმცა საშუალებები, რომელთაც მე ვიყენებ, ყველა რომანისტიკათვის ხელმისაწვდომია — ქალი და კაცი, დაბადება, ბავშვობა, ღამე, ძილი, ქორწინება, ღოცვა, სიკვდილი. ამაში არაფერია პარადოქსული. მხოლოდ მე ვცდილობ ესთეტიკობის გამო თხრობის რამდენიმე გეგმა ავავგო. წაგიკითხავთ ოდესმე ლორენს სტერნი? სწორედ „ტრისტრამ შენდის“ თხრობის მრავალპლანაინი პლასტიკა ჯოისს ასე რომ აინტერესებს.

ჯოისის რომან „ფინეგანის ქელეხში“ ირლანდიური წარმომავლობის მწერალისადაც ყოველ მათგანს მწერალი უსადაგებს იოგის ძალის ცენტრებს. რატომ აირჩია ჯოისმა მხოლოდ ირლანდიელები და კერძოდ სტერნი? როგორც ცნობილია, ჯოისიც თვითონ ირლანდიური წარმომავლის მწერალი იყო. ჯოისი უდიდესი პატიოტი იყო თავისი სამშობლოსი და საოცრად შესტიყოდა ველი მშობლიურ ირლანდაზე. თავისი სიცოცხლის უმეტესი ნაწილი სამშობლო კუთხის მოწირებულმა გაატარა, ხოლო მის შემოქმედებას წითელ ზოლად გასდევს ირლანდიელთა რელიგიური, პოლიტიკური და კულტურული უხედურება ინგლისელთა ბატონობის ეპოქაში და რაც მთავარია, სულიერი დაყენება ამ ერის არსებობაში. ამიტომაც ჯოისი ცდილობს უყურადღებოდ არ დატოვოს არც ერთი მონაპოვარი, რაც კი ირლანდიელებს შეუტანიათ კაცობრიობის კულტურაში და განსაკუთრებით ინგლისურ ლიტერატურაში. სვიფტის, უაილდის, შოუსა და იეტსის გვერდით მოხსენებულია სტერნიც, რომელსაც ჯოისი უსადაგებს ეპითეტს — სტერნი — ჭიბი — (ლათ. omphalos). ეს ალბათ, ატრბუტია სტერნისა, რომლის ნაწარმოების „ტრისტრამ შენდის“ გმირიც მეოთხე ტომამდე დედის საშობი და გარესამყაროსთან კავშირი ჭიპარის მეშვეობით აქვს დამყარებული. ჯოისის მეკლევარი ს. გილბერტი „ულისეზე“ დაწერილ გამოკვლევაში აღნიშნავს, რომ „ჭიბი არის დაბადების სიმბოლო, რომელიც თაობიდან თაობისათვის ყოფილა ცნობილი...“ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ჯოისის „ულისეს“ ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო თაობათა კავშირი, წარსულის გააწყობის დენოზოტიკა, მაშინ ნათელი გახდა ჭიბის — omphalos-ის თემის მნიშვნელოვანი ფუნქცია. ამ თემისთან დაკავშირებით საინტერესოა ერთ-ერთი ეპიზოდი, კერძოდ „პროთეოსის“ ეპიზოდი „ულისედან“, სადაც მოთხრობილია ნაწარმოების პერსონაჟი, სტივენ დედალუსი თუ როგორ დახეტიალობს მდინარის ნაპირას. ეს ეპიზოდი აუცილებლად აღვიძრავს ასოციაციებს „ტრისტრამ შენდის“ პირველ თავებთან, სადაც ტრისტრამის დაბადებასთან დაკავშირებით სტერნი მსჯელობს ადამიანის არსებობის აზრზე, მის მნიშვნელობაზე საზოგადოებაში. ასეთი მიმსჯევებები და ერთნაირი სიტუაციები აშკარად მიგავიშნებს ჯოისის შემოქმედებაში სტერნის გავლენაზე.

შემოთქმულის გარდა, შეიძლება მოიძებნოს სხვა ანალოგიური სიტუაციები, რომლითაც

ნელი უზილაპა
ლორენს სტერნი და თანამედროვე
ინგლისელი ლიტერატორა



ისი სტერნისაგან არის დავალებული. მაგალითად, ლათინური საკომუნეკაციო ფორმულა, რომელიც პირველად სტერნმა შემოიტანა ეკლესიის მსახურთა გაღიზიანების მიზნით და მას კომიკური თუ ცოტა არ იყოს უწმამური ტონი მისცა. ამან არ შეიძლება არ მოგვაგონოს ჯონისისეული სასულიერო სიმბოლოების ხმარება თავისი ლათინური რიტუალით. ცნობილი „შავი მესა“ ვალპურგის დამის ანუ კირკეს ეპიზოდში ამის შესანიშნავი ნიმუშია. მთელი „ულისე“ პირველი სტრიქონებიდანვე (ბევ მულიგანას მიერ მესის რიტუალის დაცინვა) გაუღენთილია ზემოაღნიშნული სიტუაციით.

ჯონის-სტერნისეული თანხედრი ადგილები რომ მოვხაზოთ, ეს მოითხოვს უდიდეს გრუდიციასა და ცოდნას და მკვლევარის ძალიან დავიანგებულ თვალს.

რა თქმა უნდა, ამ ორი მწერლის შემოქმედება დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც შემოქმედებითი მეთოდით, ასევე მხატვრული მსოფლალქმით. საერთო ამ ორ მწერალს შორის, ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ის იყოს, რომ „ტრისტრაშ შენიდი“ და „ულისე“ სავსეა ათასნაირი ციტატებითა და მწიგნობრული ინფორმაციებით. წარსულის ენოტერული კულტურა მთელს „ულისეში“ ისეა ვაშლილი, რომ წარსული აწმყოს გადაეჭლათოს და ყოველივეს სიდრპის განზომილება მიეცეს. რა თქმა უნდა, ცნობიერების საზღვრებს მიღმა არსებული ექსკურსები, რომელიც ეგზომ დამახასიათებელია ორივე წიგნისათვის, მხოლოდ გარეგნული მანიფესტაციებია იმისა, რომ აღაშინის ცნობიერების მიუწვდომელი რეგიონები გამოიკვლიოს. ჯონისმა, რომელიც ფროიდისა და იუნგის თეორიები გამოიყენა თავის შემოქმედებაში, ასე თუ ისე მეტნაკლები დასაყრდენი პოვა თავისი მიზნის განსახორციელებლად. სტერნი კი იმით დაკმაყოფილდა, რომ თავის თხრობას აზრების დაუკავშირებელი, გაფანტული, ნახევრად ავტობიოგრაფიული ხასიათი მისცა. ამიტომაც არის, რომ ამ ორი მწერლის სტილის ტექნიკაში, ასე ცხადად შეინიშნება შეხვედრის წერტილები, თუმცა ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მსგავსება ფორმალური ხასიათისაა. როცა ზოგიერთ მაგრამ არსად არ აღნიშნავენ იმას, რომ სტერნი გამოაცხადოს „ცნობიერების ნაკადის“ პირველ პრაქტიკოსად, ხშირად მოაქვთ ხოლმე ისეთი ციტატები, რომელშიც სტერნი პერსონაჟთა ასოციაციურ თხრობას გადმოგვცემს. მაგრამ არსად არ აღნიშნავენ იმას, რომ სტერნის ნაწარმოებთა ამ ფორმალურ მხარეს მისი მხატვრული აზროვნების სტრუქტურისათვის ვადატყვევებელი მნიშვნელობა არა აქვს. საერთოდ კი, სტერნთან ასოციაციურ კავშირებს მოდერნისტიკისაგან განსხვავებით „ფარული ლო-

გია“ გააჩნია. მოვიტანთ ერთ-ერთ ციტატას რომლის მსგავსი მრავლად მოპყავს ზოგიერთ ინგლისელ ლიტერატურათმცოდნეს, რათა თავისი რეაქციული მოსაზრებანი დაადასტუროს. აი, ერთ-ერთი ნიმუში Bonjour! დილა მშვიდობისა! — აღრიანად ჩავიცვამთ თბილი ტანსაცმელი — თუმცა დღეს დილით საკმაოდ ცივა და სწორადაც მოქცეულხართ — უმჯობესია, ყარგ ბედაურზე იჯდე, ვიდრე ფეხით მიჩაჩქაქებდე — საცობი ძალიან საშიში ნივთია. როგვან ბრძანდება თქვენი თანამეცოდრე --- მისგან შექენილი თქვენი შვილები“

ფაქტია, რომ აქ სტერნი ახდენს ფიქრთა ნაკადის რეგისტრაციას და ფართო გზას აძლევს ასოციაციურ მსჯელობას. ჯონისე „ულისეში“ დაახლოებით იგივე პროცესს იმეორებს, თავისუფლად მისდევს თავისი გვირების უსაზნაო გონებრივ ხეტიალს. სიტყვიერი ვართობა, სასუნევი ნიშნების სტილისტურ ზერხებად გამოყენება, უხეში, ერთი შეხედვით ლოგიკური გადასვლები თუ ცალკეული პასაჟები მხოლოდ გარეგნულად, ფორმალურად მიგვანიშნებენ სტერნსა და ჯონის შორის მსგავსებაზე და ბოლოს, ორივე მწერალი რაც შეიძლება მეტისმეტად ტვირთავს და აფართოებს ყოველ წუთს ფიქრებითა და აზრებით ისე რომ დროის თანმიმდევრობას მთლიანად უარყოფს. ამიტომაც უწოდებს სტერნი თავის რომანს „რაფსოდიულს“. ეს „რაფსოდიულობა“ არის ნაწარმოების მთელი „სტრუქტურა“.

როგორც ვხედავთ, ორივე მწერალს სხვადასხვა მეთოდით აქვს, მაგრამ ის ცოტალური შთაბეჭდილება და ეფექტი, რომელსაც ისინი აღწევენ, თითქმის ერთნაირია.

კაცობრიობის მთელი ცოდნის თავმოყრის ცდა, ფიქრით მიუწვდომელი „არქიტექტურული“ ნაწარმოების აგება, რომელიც ერთი შეხედვით ფარული, ალოგიური პროპორციებით არის ნაშენი, სტერნს, მართალია, თავისი ეპოქის დიდი რეალისტიკისაგან განსხვავებებს, მაგრამ იმავე დროს იგი მთლიანად იზიარებს ინგლისური ლიტერატურის ჯანსაღ და მოწინავე ტრადიციებს.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, საზღვარგარეთული კრიტიკა ცდილობს დაამახინჯოს სტერნის შემოქმედების ისტორიული გავება და გამოიყენოს იგი თავისი „ექსპერიმენტული“ ლიტერატურული თეორიებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელი მოდერნისტიკები გარკვეულ ზარკს უხდიან სტერნის შემოქმედებას, იგი ინგლისური ლიტერატურისათვის რჩება უდიდეს კლასიკოსად, რომელმაც თავისი ნაწარმოებებით ამხილა ბურჟუაზიული მორალის გახრწნილება, ინგლისური ბურჟუაზიის კლერკალიზმი და ფარისევლობა.



ჩინი

საქართველო

ჯამბუკ ბაბნიძე

შ ა ნ დ ო რ კ ე ტ ე ფ ი

დაბადების ან ორმოცდაათი წლისთავის გამო

მოულოდნელი და იდუმალებით აღსავსე იყო სიკვდილი, რომელმაც რომანტიკული ბურუსით შემოსა ცხოვრებიდან ნაადრევად წასული, უნგრული ეროვნული მწერლობისა და კულტურის ბრწყინვალე წარმომადგენლის შანდორ პეტეფის სახე. მისი გვაში ჯერაც გაცივებულ არ იყო, მშობლიურ მიწას ჯერაც არ მიუბარებინა პოეტის ნეშტი, როდესაც მისი შემოქმედება უკვდავების შარავანდედით შეიმოსა. მისი სახით, არა მარტო უნგრეთში, არამედ მსოფლიო პოეზიამ შეიძინა შთაგონებითა და ახალი იდეებით გამსჭვალული პოეზია.

მშობლიური უნგრეთის ავსტრიული უღლისაგან გათავისუფლებას შეეწირა ოცდაექვსი წლის გენიალური ჭაბუკი პოეტის სიცოცხლე. 1849 წლის 13 აგვისტოს უნგრეთის რევოლუციური ძალები უკანასკნელად შეებრძოლნენ ავსტრიის იმპერატორისა და მეფის რუსეთის გაერთიანებულ არმიას. ვილაგოშთან უთანასწორო ბრძოლაში უნგრეთმა იარაღი დაჰყარა. მაგრამ პეტეფი არ მოსწრებია ამ დღეს. ამ საბედისწერო მარცხამდე 31 ივლისს სოფელ შეგეშვარის გზაჯვარედინზე უკანასკნელად ნახეს პეტეფი, რომელიც მტრის თავდასხმებს იგრიებდა. ვინ იფიქრებდა, რომ სამშობლოს გათავისუფლებით გულანთებული პოეტი იმ დღეს უკანასკნელად ხედავდა თავისი ქვეყნის ჩამავალი მზის სხივებს და მტრის ხიშტზე წამოგებულ მისი მგზნებარე გული მათ შორის აღმოჩნდებოდა, ვინც მსხვერპლად მიიტანა თავისი სიცოცხლე სამშობლოს გადასარჩენად... იდუმა-

ლებამ მოიცვა მისი ბედი. იმ დროს, როცა ასე უჭირდა უნგრეთს, ხალხის აზრი ვერ შეგუებოდა იმას, რომ მან დაკარგა სულიერი მოძღვარი. რა ხმები არ დადიოდა პეტეფის სიკვდილზე, რაწიანი ლეგენდა არ გავრცელდა, მაგრამ პირველ ხანებში არც ერთ ლეგენდაში არ იყო მოთხრობილი პეტეფის სიკვდილის ამბავი. ხალხის აზრით, ის ხან სერბიაში იყო, ხან ხორვატიაში, პეტერბურგში, ციმბარში, ევროპის გზებზეც ენახათ იგი, მაგრამ ამ ლეგენდებით პეტეფი ხალხის წარმოდგენაში ცოცხალი იყო. აქედან ცხაღზე უცხადესია, როგორი წუხილით და დარდით ეთხოვებოდა ხალხი თავის საყვარელ პოეტს.

მხოლოდ მოგვიანებით შეითხზა ლეგენდა, რომლის მიხედვითაც პეტეფის ნეშტი ჩუმად იქნა მიწას მიბარებული... უნგრეთში რამდენიმე ადგილია, სადაც ხალხს მიაჩნია, რომ პეტეფის ნეშტია დასვენებული. ამიტომაც ეს საფლავები ხალხს წმინდა ადგილებად მიუჩნევიან, ესენი „წმინდა საფლავებია“.

ერთი ასეთი „წმინდა საფლავი“ ვათხარეს კიდევ. მოახდინეს თავის ქალის ანთროპოლოგიური ანალიზი, მაგრამ დამტკიცდა, რომ ეს თავის ქალა პეტეფის არ ეკუთვნოდა. მიუხედავად ამისა, ხალხში მაინც გავრცელდა ხმა, რომ გვაში გადასვენების დროს მოიპარეს და შეცვალეს. ასე რომ, უნგრელ ხალხს იგი თავის მიწაზე ეგულება და ვერავითარი ანთროპოლოგიური ანალიზი ამ რწმენას ვერ შეუცვლის.

პეტეფის ხანმოკლე სიცოცხლე აღსავსეა



უდიდესი კონფლიქტებითა და მძაფრი ტრაგიკული კოლოზებით. მისი ცხოვრებისეული პოეზია თუ პოეტური მრწამსი ემსახურებოდა იმ ამაღლებულ იდეალებს, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია წინარე რევოლუციური უნგრეთისათვის. მისი ფორმულა იყო: „თუ ხალხი იბატონებს პოეზიაში, მაშინ ის იბატონებს პოლიტიკაშიც. ეს კი — საუკუნის ამოცანაა“. ასე, რომ პეტეფის პოეზია გარკვეულად რევოლუციური იდეალებს დაექვემდებარა. ამიტომაცაა, რომ პეტეფის პოეზია იყო ის უმაღლესი მწვერვალი, რომელსაც მიაღწია ეროვნულმა ხელოვნებამ თავისი განვითარების აყვავების ხანაში.

XIX საუკუნის 20-30-იანი წლები უნგრელთა ეროვნული აღზევების, კულტურული ფორმირებისა და მკვეთრი წინააღმდეგობების ეპოქა იყო. ზოგიერთი კრიტიკოსის თქმით, ამ ერმა თითქოს გვიან გამოიღვიძა, მაგრამ ძლიერი ტემპები აიღო. სწორედ ამ დროს გაიფურჩქნა პეტეფის ტლანტი.

გასაოცრად მდიდარია ოცდაექვსი წლის ასაკში გარდაცვლილი პოეტის ბიოგრაფია. ბევრი უბედურება და ხელმოკაცრულობა გამოიარა შანდორ პეტეფიმ, ჰქონდა შემოქმედებითი სიხარულით გაბრწყინებული ბედნიერი წუთებიც, მისი სიცოცხლის მანძილზე ორ მუხა — პოეზიას და თეატრს ემსახურებოდა ერთგულად პოეტის ქნარი. თავდაპირველად, თითქოს, გაუჭირდა არჩევანის ვაყეობა, მაგრამ უნგრულ ლიტერატურას იგი შემორჩა როგორც უნაზესი ლირიკოსი, ზოგადსაკაცობრიო იდეალებით შთაგონებული პოეტი, რომელმაც ახალ სიმაღლეებს აზიარა უნგრული პოეზია.

გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, როცა სრულიად ჰაბუკი თავისი განვლილ ცხოვრებას აფასებდა და გრძნობდა კიდევ მოახლოებულ სიკვდილს, დღიურებში წერდა: „... ჩემი ცხოვრება საესე იყო უკუღმართობებით, ჩემი ახლანდელი ბედნიერება მე დავიმსახურე, ექვსი წელი მოხეტიალე ვიყავი, ღმერთისაგან და ხალხისაგან დავიწყებულნი; ექვსი წელი თან დამდევდა ორი პირქუში აჩრდილი: ხელმოკლეობა და სულიერი ავადმყოფობა, და ეს როდის? სიკვამლეში, ცხოვრების საუკეთესო წლებში, რომელიც ბედნიერებისათვის არის შექმნილი — თქვესმეტრიდან ოცდარო წლამდე. მაგრამ ბედს არ ვეძღვრი, რომ ასე მოხდა. ვისაც გაჭირვება არ უგრძნვია, ის ვერც დააფასებს ბედნიერებას“.

პეტეფი ნიშნავს „პეტრეს ძეს“ და წარმოადგენს სლოვაკური გვარის უნგრულ სიტყვა-სიტყვით თარგმანს. პეტეფის მამა — იშტვან პეტროვიჩი, ერთ დროს საკმაოდ შეძლებული კაცი იყო. დედა, მარია პრუხა, სლოვაკი თურქის ქალიშვილი, საკმაოდ ცუდად ფლობდა უნგრულს.

1823 წლის ახალწლის ღამეს იშტვან პეტრო-

ვიჩის და მარია პრუხს სლოვაკური წარმოშობის ამ უბრალო უნგრულ ოჯახს შეეძინა ვაჟი, რომელსაც ბედმა არგუნა უნგრეთის უპირველეს პოეტად ყოვდა.

უწინესო გაატარა პეტეფიმ ყმაწვილობა, აქ დაიწყო მისი შემოქმედებაც. აქ აიღვა პეტეფიმ ენა, აქ მოისმინა პირველად უნგრული მელოდიური სიმღერები და ხალხური ზღაპრები. მოგვიანებით იგი ფელდჰაზას თვლიდა თავის სამშობლოდ.

შანდორი ექვსი წლისაც არ შესრულებულიყო, როცა სკოლის მოწაფე გახდა. მრავალმხრივი განათლება მიაღებინა იშტვან პეტროვიჩმა თავის შვილს, სასწავლებლიდან სასწავლებელში, ქალაქიდან ქალაქში გადაჰყავდა, რათა მის პირშემოს რაც შეიძლება კარგი განათლება მიეღო. პეტეფის მამას, რომელსაც ხელის მოწერაც ძლივს შეეძლო, ეჩქარებოდა შვილი დროზე გაეყვანა „მაღალ საზოგადოებაში“, რაც გარკვეულად დააკმაყოფილებდა მის პატივმოყვარეობას და აუხდენელ ოცნებებს.

თხუთმეტი წლისა იყო პეტეფი, როცა მამამისი გავიქრდა. ამას ისიც დაემატა, რომ აღიღებულმა დუნაიმ მათი სახლ-კარი წალეკა და ვალბებში ჩაფლული ოჯახი ღია ცის ქვეშ დატოვა. ეს ისეთი დარტყმა იყო, რომ თავდაყირა დააყენა პეტეფის მთელი მომავალი გეგმები. უსახსრობის გამო შანდორი იძულებული იყო ლიცეუმის მეექვსე კლასიდან სწავლისათვის თავი დაენებებინა. ამერიდან შემშილი და სიცვიე გახდა მისი მუდმივი თანამგზავრი.

მოხეტიალე დასში მსახიობობამ, ჯარისკაცობამ, ხანგრძლივმა მოხეტიალე ცხოვრებამ მომავალ პოეტს მთელი სიმართლით დაანახვა მშობლიური უნგრეთი, დამშუელი, მიშველტიტველი, მილიონობით სასოწარკვეთილებამდე მისული მათხოვრით, მოჯამაგირით და უფლებაყირილი ყმა-გლეხებით. გიმნაზიაში თავდაზნაურობის შეილებთან სწავლის შემდეგ, ამ მწარე სინამდვილის გაცნობამ და უშუალოდ განცდამ შემაპყრუნებელი გავლენა მოახდინა მომავალ პოეტზე.

1844 წელს ოცდაერთი წლის პეტეფი სამუდამოდ დასახლდა პეშტში. აქ მან მუშაობა დაიწყო პეშტის „მოდების ჟურნალში“ რედაქტორის მოადგილედ. იგი აქტიურად ჩაება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამასობაში თანდათან ყალიბდება და მწიფდება პოეტის მსოფლმხედველობა.

პეტეფის მსოფლმხედველობა იმ ახალმა, ბოზოქარმა საუკუნემ მოიტანა, რომლის ღვიძლი შვილიც ის იყო. აი, რას წერს პოეტი თავის ეპოქაზე: „გარეგნულად ჩემი საუკუნე მშვიდლია, მაგრამ ჩვეულებრივზე უფრო გაფითრებული. იგი იმ მიძინებულ ვულკანივით ფეთქავს, რომელიც ყოველ წუთში მზადაა ამოსაფრქვევად. აი, როგორია ჩვენი საუკუნე. შემოძ-



ლია კი არ დაგემსგავსო მას? მე ხომ ამ საუკუნის ერთგული შვილი ვარ?!“ ტყუილად არ უწოდებდა ის თავის შემოქმედებს „ველკანის კრატერში ამოწებული კალძით ნაწერ პოეზიას“. ამიტომაც ბობოქრობდა ასე ძალუმად საფრანგეთის რევოლუციის გამოძახილი პოეტის გულში. უნგრეთის რევოლუციის ტრეფიას საოცრად ეშინოდა ეს რევოლუცია მის გარეშე არ დაწყებულყო.

პეტეფიმ, მისმა პოეზიამ უდიდესი როლი შეასრულა უნგრელი ერის თვითშეგნებისა და მისი ისტორიული პროცესების მომწიფების საქმეში. თუმცა შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს პეტეფი და მისი თანამოაზრეები იყვნენ უნგრეთის 1848 წლის რევოლუციის ბელადები. რა თქმა უნდა, ეს ასე არ იყო. რევოლუციის მომზადებასა და ხელმძღვანელობაში წამყვან როლს თამაშობდა უნგრეთის თავდაზნაურობა. რევოლუციური იდეების გავრცელება უნგრეთში ერთ-ერთმა პირველმა სწორედ თავადაზნაურობის წრის წარმომადგენელმა ლიოშ კოშუტმა დაიწყო, რომელიც შემდგომ ამ რევოლუციის ბელადი გახდა. ლ. კოშუტი და მის ირგვლივ შემოკრებილი ლიბერალურად განწყობილი თავადაზნაურობა უნგრეთის რევოლუციას მიზნად უსახავდა დრომოქმული ფეოდალური საზოგადოებრივი წყობილების კაპიტალისტური სისტემით შეცვლას. მათ კარგად ესმოდათ, რომ ამ მიზნის განხორციელება შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვების შედეგად და მათ საზრუნავს იმათივედ შეადგენდა რევოლუციის ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლაში გადაზრდა.

პეტეფი და მისი თანამოაზრეები კაფე „პილვაქსიდან“ და „ახალგაზრდა უნგრეთიდან“ რევოლუციის ხალხურ, უკიდურეს რევოლუციურ-დემოკრატიულ ფრთას ეკუთვნოდნენ. მაგრამ, პეტეფი, გამოხატავდა რა უნგრეთის საზოგადოების ყველაზე მდაბიო ფენების მისწრაფებებს, ბოლომდე ვერ ჩასწვდა შექმნილ სიტუაციას. მოთხოვნები, რომელსაც იგი რევოლუციის უყენებდა ნაადრევი იყო და ამიტომ, გასაჯიბი არ არის, რომ პოლიტიკურმა მოწინააღმდეგეებმა იგი „ანარქისტად“, „სამშობლოს მოღალატედ“, „რუსის აგენტად“ და ვინ იცის, რად არ მონათლეს. პეტეფი ზედმეტ იმედებს ამყარებდა ხალხის ფართო მასებზე, რომლიც თუ ოდნავადაც არ იყვნენ მზად, ებრძოლათ თავისი უფლებების მოსაპოვებლად.

რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობაში ჯერ კიდევ 1848 წლის მარტში იჩინა თავი შეცდომებმა, რომლებმაც თავიდანვე გადაწყვიტა რევოლუციის ბედი. პოეტი ხელავდა, რომ ბრძოლა სასურველი გზით ვერ წარიმართა, მაგრამ მას ბრძოლის არც სათანადო გამოცდილება ჰქონდა, არც ცოდნა, რომ რევოლუციის

შემდგომი განვითარებისათვის სწორედ დაესახა. რაც დრო გადიოდა, იგი უფრო და უფრო ვარდებოდა უკიდურესობაში, რის ნიშნადაც მან თითქმის ყველა თავის მეგობართან გაწყვიტა ურთიერთობა. საბოლოო ჯამში, თავისი უკიდურესი „დემოკრატიულ-პლემბური“ იდეებით თითქმის მარტო დარჩა ბრძოლის ველზე.

პეტეფის ცხოვრების ამ მნიშვნელოვანი მომენტების გათვალისწინების გარეშე, შეუძლებელია მისი შემოქმედების სწორი შეფასება, რადგან პოეტის ყოველი ლექსი გარკვეულად ეხმიანება იმ მოვლენებს, რასაც ადგილი ჰქონდა მის ცხოვრებაში.

პეტეფის პოეზიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს უნგრულ ლიტერატურაში. მისმა შემოქმედებამ დაახლოებით ისეთივე გადატრიალება მოახდინა უნგრულ მწერლობაში, როგორც ბაირონმა ინგლისურ და ჰაინემ გერმანულ პოეზიაში. პეტეფიმ რაღაც ისეთი შემოიტანა, რაც ერთი შეხედვით, თითქოს მისი წინამორბედი პოეტების მხატვრული ტრადიციის გაგრძელება კი არა, არამედ ძველთან, წარსულთან კავშირის გაწყვეტა და თავიდან დაწყება იყო. მან თავის პოეზიას საფუძვლად დაუდო ეპრობრევიად მდიდარი უნგრული ხალხური პოეტური მეტყველება და კლასიკურ სიმალღმედ იყვანა იგი. რისი დამახასხურება სწორედ იმავითაა, რომ შეგნებულად დააყენა პოეზიის ხალხურობისათვის ბრძოლის საკითხი. „რაც უნდა ილაპარაკონ, — წერდა იგი თავის მეგობარს, პოეტ იანოშ არანს, — ჰემმარიტი პოეზია არის ხალხის პოეზია. შევითანხმდეთ იმაზე, რომ ეს ტენდენცია უნდა გახდეს „წამყვანი“. პეტეფისათვის ხალხურობა, საზოგადოების უღარიბესი ფენის წარმომადგენელთა ცხოვრების ასახვა მარტო მხატვრულ მეთოდს კი არ წარმოადგენდა, იგი იქცა პოეტის ესთეტიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამად. ამით პეტეფიმ ბოლო მოუღო უნგრულ ლიტერატურაში კლასიციზმის დროს დანერგულ „მრავალსიტყვიანობას“, პოეზიის „სახეიშო ჩაცმულობას“ და „მძაღლ სტილს“. ამიტომ გასაჯიბი არ არის, რომ უნგრული რეაქციული კრიტიკა, რომელსაც უნარი არ შეეწყვედა მხარდამხარ გამოყოლოდა გენიალური პოეტის ნოვატორულ პოეზიას, ცეცხლითა და მახვილით შეეგება ახალგაზრდა პოეტს. მაგრამ თავის აღვირახსნილ კრიტიკოსებს არც პეტეფი დარჩენია ვალში. საკადრისი პასუხი გასცა ყველას, ვინც კვალში ვერ შისდევდა ეპოქას, ვისაც უნდოდა ლაფში ამოესგარა ჰემმარიტი პოეზია. „ამ ვევატონებს, — წერდა იგი თავისი კრებულის წინასიტყვაობაში, — წარმოდგე-

ჯუშუბარ ბაგნიძე
შანდორ პატივი



ნაკი კი არა აქვთ უნგრულ რითმებსა და საზომებზე. ისინი უნგრულ ლექსებში ეძებენ ლათინურ მეტრიკას და გერმანულ კადენციებს. ჩემს ლექსებში კი ეს არ არის. უნგრული საზომები და რითმები ჯერ დაკანონებული არ არის. მხოლოდ ახლა დგება მისი ჩამოყალიბების დრო. მე კი ბევრ რამეში ინტუიციით ვმოქმედებ. სწორედ იმ ადგილებში, სადაც მე მახრალევენ რითმისა და საზომების დარღვევას, ვგონებ, სწორედ იმ ლექსებში ვუახლოვდები ყველაზე მეტ სრულყოფილებას, კემშირიტ საფლავსა საზომებს“.

პეტეფის შემოქმედება უადრესად მრავალფეროვანია. იგი ვერ ეტყვა ერთი ლიტერატურული მიმართულების ჩარჩოებში. მართალია, პეტეფი, არანთან და ეოტეგოშთან ერთად გვევლინება უნგრული რეალიზმის ფუძემდებლად, მაგრამ მის ლექსებში სამყაროსა და სინამდვილის ლირიკულ-რეალისტური მსოფლათქმის პარალელურად ვხვდებით ნაწარმოებებს (ლირიკული ციკლი „ღრუბლები“, პოემა „მოციქული“, „ჯადოსნური თოკი“ და სხვ.), რომლებიც გამსჭვალულია რომანტიკული სულისკვეთებით. ეს იმით აიხსნება, რომ რომანტიკულად რეალისტური მიმართულება უნგრეთში ერთდროულად ისე ვითარდებოდა, რომ რომანტიზმს არ დაუკარგავს თავისი ელფერი, პირიქით, მან ნოყიერი ნიადაგი მოუშხადა რეალიზმს.

უნგრულ რომანტიზმს გააჩნია დასავლეთეუროპული რომანტიზმის საერთო და განმასხვავებელი ნიშნებიც. 1848-49 წ. რევოლუციამდე უნგრულ რომანტიზმს საფუძვლად უდევს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელშიც თავად უნგრული რომანტიკოსები იღებდნენ მონაწილეობას. მათი პესიმიზმი არ გამოუწვევია ჩვეულებრივი რომანტიკული ილუზიების მსხვრევას ან რევოლუციური იდეალების მსხვრევით შეშინებას. პირიქით, უნგრული რომანტიკოსების პესიმიზმის მიზეზი ძირითადად მდგომარეობს იმაში, რომ ევროპაში აფეთქებულმა ძლიერმა რევოლუციურმა ტალღებმა გვერდი აუარა უნგრეთს. ისინი მთელი არსებით მოელოდნენ ამ რევოლუციას და ამ რევოლუციის მოლოდინში ვითარდებოდა რომანტიკული სულისკვეთებით გამსჭვალული ლიტერატურა.

რომანტიზმის, როგორც საყოველთაო ევროპული ლიტერატურული მიმართულების პეტეფისეულ გაგება მეტად თავისებურია. პეტეფი თითქოს ერთგვარ სინთეზს ახდენს XIX საუკუნის რომანტიკული ლიტერატურული მოძრაობისას, ლოგოკურ დასასრულამდე მიჰყავს ის წინააღმდეგობანი, რომელიც თავს იჩენს რომანტიზმში და მას გზას უუკავებს ახალ სფეროში, რომელიც ბევრი მისი თანამედროვისათვის მიუწვდომელია.

პეტეფის შემოქმედებაში განსაკუთრებული

ადგილი უკავია სატრფიალო ლირიკას. ე. წ. უნგრული სენდრის ცოლად შეერთვამდე (1847 წ.) უნგრული პოეტის შთავგონების წყაროა ხან პორტობადელი მედუქენე ქალი, ხან შორ გზაზე შემთხვევით ამგზავრებული ერეკლე, მაგრამ ეს უკმაპუი პოეტის მხოლოდ წუთიერი გატაცებაა. პოეტის დამოკიდებულება ასეთი სიყვარულისადმი განსაკუთრებით კარგადაა გადმოცემული ლექსში „ოთხცენიანი ეტლი“. წუთიერი ტრფობა არ არის დღეგრძელი. იგი უმაღვე გაქრება და მხოლოდ მოგონებალა თუ დარჩება მასზე. ეს ლექსი საინტერესოა მხატვრული გადაწყვეტითაც. თავიდან პოეტი მიმზიდველ რომანტიკულ სურათს ხატავს. ავერ გზაზე წელა მიზონონობს ეტლი. ეტლში სხვა მგზავრებს შორის პოეტიც მოკალათებულა. გატრეცილი მთვარე დააბორტებს დაფლეთილ ღრუბლებში. გოლოვარე ქვრივივით იგი თითქმის ქმრის საფლავის ბორცვს ეძებს იქ. ვაქრუქანა ქარი კი საქმიანად დაბრძანდება მეზობლის ყანაში და ყვავილებისაგან მათობგელა სურნელებას ყიდულობს. პოეტის ამფსონებს დრო გაჰყავთ ლაუბობასა და სიმღერაში. პოეტმა დრო იხელთა ან გვერდზე მქდომ ერეკლეს რამდენჯერმე გადაუჭრჩხულა: „ხომ არ ავეერჩია ცაზე ვარსკვლავი ჩვენთვის? ვარსკვლავი იგი ოდესმე გაგვიძღვება ვარდასულ დღეთა მოგონებაში, თუ ბედი ერთმანეთს დაგვაშორებს“... და უტეპ ყველაფერი მთავრდება ერთ სტრიქონში, ფუნჯის ერთი მოსმით, მოყვლდ, ლაკონურად, დეტალიზაციის გარეშე — „და ავირჩიეთ ვარსკვლავი ჩვენთვის“.

უნგრული პოეტი თავდავიწყებით უმღერის ამაღლებულ, წმინდა სიყვარულს. ღარიბი მწყემსის იანჩისა და გლეხი გოგონას ილუზიის სიყვარული („იანოშ რაინდი“) სამაგალითოა ამ თემაზე შექმნილ უნგრულ პოეტურ ძეგლებს შორის. პოეტი სასტიკად ამითრანებს ღალატთანა და მრუშ ადამიანებს, სიყვარულის გამტეხი, ავხორცი ადამიანები „მგლის კერძად ჰყავს გამოყვანილი (მგლების თავგადასავალი“).

1845 წელს პეტეფიმ გამოსცა სატრფიალო ლირიკული ციკლი „კვიპარისების რტოები ეტელკას საფლავიდან“. ლექსთა ეს ციკლი აუზღენელი სიყვარულის სევდიანი მოთქმაა. ეტელკა ჩაბოსთან პოეტს სულ ცოტა დრო აკავშირებდა, მაგრამ ამ გოგონამ სამუდამო დაღი დაამჩნია მთელ მის ცხოვრებას. ახალგაზრდების მიერ მოწყობილ ერთ-ერთ საღამოზე პოეტს მთელი არსებით შეუყვარდა ეტელკა. მაგრამ სრულიად მოულოდნელად გოგონა გარდაიცვალა. პეტეფი ყოველდღე დადიოდა გარდაცვლილი სატრფოს საფლავზე, რომ უფრო ახლოს ყოფილიყო თავისი სევდისა და სიყვარულის საგანთან. ბოლოს იმ თოხაში დასახლდა, სადაც ეს გოგონა გარდაიცვალა. „ეტელკას ციკლი“ გარკვეულად რომანტიკული ფერ-



ბით არის შეზავებული. ეს სიყვარული ძირითადად ჰაბუკი პოეტის ფანტაზიის ნაყოფი იყო, რადგან მას ეტელკასათვის ფაქტიურად სიყვარული არც კი გაუმქლავებია.

პეტეფის სატრფიალო ლირიკის შედევრებს მიეკუთვნება მეორე ციკლიც „სიყვარულის მარგალიტები“, რომელიც მიმზიდველი გარეგნობის ბერტა მედიანსკისადმი მიძღვნილი. უმელო სიყვარულით გამოწვეული პესიმისტური ნოტები ლექსთა ამ ციკლის განუყოფელი თანამგზავრია. ამ ციკლში შესულია ცნობილი ლექსები — „ვარდი ხარ?“, „სიყვარულის ალამი“, „შემოდგომის დილა“ და სხვ.

სატრფიალო ლირიკის მომეტებული ნაწილი პოეტის მეუღლის იულია სენდრეისადმი მიძღვნილი. აქ უკვე რომანტიკულ, ზეციურ სიყვარულს ცვლის მისი მეუღლის სახე, რომელიც პოეტის შთაგონების ქემარტივი წყაროა:

მე რა გიწოდო, ან რა დავარქვა,
სათავევ ჩემი სიყვარულისა.
ჩემო ზღაპრულო მზეთუნახავო,
ჩემი ოცნების ფრთების შემსხმელო,
შენ ერთადერთო განძო სულისა,
ყველა განძთაგან უძვირფასესო,
ულამაზესო,
სულზე უტკბესო,
ჩემო პაწიავ, სატრფოვ და ცოლო,
მე რა გიწოდო ან რა დავარქვა?*

პეტეფის პოეზიას ხშირად თავისუფლებისა და სიყვარულის პოეზიად ნათლავენ. მაგრამ ამ „თავისუფლებაში“ სრულებითაც არ იგულისხმება მართო ავსტრიელი დამპყრობლების უღელქვეშ მგმინავი უნგრელი ხალხის ეროვნული გათავისუფლება. პეტეფისათვის ამ სიტყვის მნიშვნელობა გაცილებით უფრო ფართოა. იგი მოითვებს ზოგადსაქაობრივი იდეას აღამიანის იმ უფლებების შესახებ, რომლის პრინციპებიც ჩამოყალიბდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ბრძოლაში.

თავისუფლება სალოცავი ღვთაებაა პეტეფისათვის, მაგრამ არა ირრეალური, სადაც სამყაროს მიღმა მდგომი, არამედ რეალურად ხილვადი და განსაცდელი, თითქმის ისეთივე, როგორც ანტიკური აღამიანებისათვის იყო ანტიკური ღვთაებები. პოეტი მზადაა თავისი ხელით მოკვთილი საკუთარი თავი თავადვე მიართვას მსხვერპლად თავისუფლებას, ამ დიდებულ სისხლიან ქალღმერთს.

ცნობილი ფაქტია, რომ პეტეფის არ სწამდა ღმერთი. იგი თავდავიწყებით ლოცულობდა მხოლოდ თავისუფლებისათვის, ეს იყო მისი ღმერთიც, მისი ნათელიც. პეტეფისათვის ის

* ყველა ციტატი მოკვეყვს გრ. აბაშიძისუფლი თარგმანიდან.

ქვეყანა მშვენიერი, სადაც იციან რა არის თავისუფლება და სადაც აფასებენ მას, ის ლტონრატურაა შემოქმედებითად სრულყოფილი და მიმზიდველი, რომელიც მკითხველს არასოდეს შეუნელიებს თავისუფლებისადმი აღმაფრენას, ის საქმიანობაა უკეთილშობილესი, რომელიც ხალხთა უფლებებისა და მსოფლიო თავისუფლებისკენა მიმართული.

თავისუფლების ასეთ მტკიცეულ აღქმას მართო პეტეფის შემოქმედებაში როდი ვხვდებით. იგი ეპოქამ მოიტანა თან და ამ მაღალი იდეალის წინაშე მრავალმა ევროპელმა მწერალმა მოიხიდა ვალი. მაგრამ ამ პოეტებთან თავისუფლების აღქმა მისტიკურ საზურველშია გახვეული. ასეთი იყო მავალითად ინგლისელი შელი, რომლის პოეზიაც თავდავიწყებით უყვარდა პეტეფის. მაგრამ თავისუფლების პეტეფისეული იდეა ილუზიებში არ გადაზრდილა, იგი დარჩა უნგრულ მიწაზე, სადაც დიდ პოეტს მოეძებნებოდა ამ მხრივ მისაბაძი კერები. ეს კერები იყო კოშუტი, რომლის პოლიტიკური წერილები ბიბლიური პათოსით ქადაგებდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ იდეებს. არა შელისაგან და სხვა ევროპელი პოეტებისაგან, არამედ კოშუტისაგან მიიღო პეტეფიმ მეგვიდრეობად თავისუფლების ზოგადსაქაობრივი იდეალების „მზა სქემები“, რომელსაც შემდგომ ვენიოსმა პოეტმა მხატვრული სახე მისცა.

საკმაოდ ბევრი რამ პეტეფიმ შეითვისა ფრანგი რესპუბლიკელებიდანაც. პოეტის აზრით, თავისუფლების დაუძინებელი მტრები მონარქისტები არიან. მათ შორის კი ხელმწიფეა ყველაზე სასტიკი და ულმობელი. ამიტომ გაისმის მისი მოწოდება, არ დაინდონ ხელმწიფეები, სწორედ მათშია ყველა უბედურების საწყისი:

ღღეს რომ მოთიბავ მაღალ ბალახს პირბასრი
(ველით,
ხვალ ისევ მწვანედ იბიბინებს მინდორი
ვრცელი.
ხეს მოსჭირი რტოებს, გადაბეღავ... მაგრამ
დროებით,
ხე ისევ მალე იშრიალებს ახალ რტოებით.
ძირფესვიანად ამოთხარე ძველი ხეები,
სახარობელაზე ხელმწიფეები!

პეტეფი ამით გარკვეულად ეხმიანება საფრანგეთის რევოლუციის იდეალებს. პოეტს, რომელსაც ნათლად ეხატებოდა თვალწინ უნგრეთის მომავალი, ვერ წარმოუდგენია თავისი სამშობლო მაღალი საზოგადოებრივი წოდების ვეფატონებითა და ბანოვანებით, ხელისუფლების სათავეში მოპარპაშე თავდაზნაურობით. თავისუფლების პეტეფისეულ მსოფლალქმაში ერთ-ერთი

ჯუშუბერი გავანიძე
შანდლორ პეტეფი

მთავარი, კონკრეტული მოთხოვნა იყო ხალხისა და პიროვნების თავისუფლება, წოდებრივ პრივილეგიათა მოსპობა, თანასწორუფლებიანობა. რევოლუციისწინა უნგრეთს პოეტი ადარებხს ბიბლიური მოსეს ღრთინდელ ებრაელობას, რომელიც დაბნეული ფარასავით დაეხეტებოდა უღაბნოში. ისევე, როგორც ოდესღაც ღმერთმა მოსე ცეცხლის სვეტით წინ წაუძღოლა ებრაელობას აღთქმული მიწისაკენ, „ჩვენს ღრთინდელ ღმერთმა ამ ცეცხლის სვეტად ხალხს მიუჩინა ცეცხლი პოეტის“. სწორედ იგი უნდა წაუძღვეს ხალხს ქანაანისკენ, აღთქმული ქვეყნისკენ და „როცა კანონის წინაშე მშვიდად წარსდგება ყველა ერთგვარ უფლებით, ჩვენ მაშინ ვიტყვით: „აა, მოვედით, აღთქმული მხარე ეპოვეთ ნამდვილად!“ ეს აღთქმული მხარე, ახალი ქანაანი პოეტისათვის დიდი ხნის ნანატრი თავისუფლებაა.

უნგრული მარსელიოზას, „ეროვნული სიმღერის“ ავტორის ხშირად შავ ღრუბლებად შემოჯარებოდა ხოლმე საშობლოს უბედურებით გამოწვეული უიმედო ფიქრები. ამიტომ მოუწოდებდა იგი უნგრელ ხალხს: „აღსდგეთ, უნგრელნო! ხელი მოკიდეთ იარაღს! აღსდგეს ყოველი ადამიანი, რომელშიც იმ სისხლის თუნდაც წვეთი მაინც არის შენარჩუნებული, ვინც უნგრეთი დღემდე შეგვიწინარჩუნა. ჩვენ სხვა მეგობარი ერი არა გვყავს, რომელსაც შეგვიძლია დახმარების ხელი ვთხოვოთ; ჩვენ ისევე მართო ვართ, როგორც უღაბნოში მდგარი ხე; მხოლოდ ღმერთისა და ჩვენი იმედით შეგვიძლია ამქვეყნად ცხოვრება; მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ უნგრელ ერს სიცოცხლე და სინდისი შეგუნარჩუნოთ“. ლექსში „გული“ პოეტი მზად არის ამოიგლიჯოს საკუთარი გული, რადგანაც მას მხოლოდ ტანჯვა მოაქვს მისთვის, დარგოს იგი მიწაში და როცა იქიდან დაუნა ამოვა, ამ დაუნის გვირგვინით შეამკოს ის გმირი, ვინც თავისუფლებას ანაცვლებს თავის სიცოცხლეს.

პეტეფის შემოქმედებაში 1848 წელი დიადი საბრძოლო განწყობილების ეპოქაა. 1848 წლის

მარტის ამბებმა სამუდამო დალი დაამჩნეს მისი კერპთა, „ქვეყნის წალეკვის დრო“. ლექსში „1848“ სწორედ ეს იდეა გატარებული:

გვწამს ერთი ღმერთი — თავისუფლება,
ქვეყნად სხვა რწმენა არ დაინდობა,
ძალა ძველ კერპთა
დავაბოთ ვართად.
მათ ნანგრევებზე უზარმაზარი
განდეს ახალი რწმენის ტაძარი,
მისთვის ლამპარი არა გვეკირდება,
თავისუფლების მზით გაბრწყინდება.

ამავე პერიოდს მიეკუთვნება პოემა „მოციქული“, რომელიც მისი ეპიკური პოემებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. თავის დროზე უნგრული კრიტიკის ერთი ნაწილი ყოველმხრივ ცდილობდა მიეჩქმალა ამ პოემის მნიშვნელობა. პეტეფი მის დაბეჭდვას არც მოსწრებია. პოემა „მოციქული“ მისი შემოქმედების შეჯამებაა, ეს არის უნგრელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის შესანიშნავი გამოხატულება. ამ პოემაში განზოგადდა და კონდენსირებული სახით გადმოვიცა ის, რასაც პეტეფი აქამდე თავის რევოლუციურ ლექსებში, დღიურებში, პირად ბარათებში და პოლიტიკურ წერილებში წერდა. მისი სიძულვილი მეფეებისადმი, თავისუფალი, რესპუბლიკური უნგრეთის ხილვა, ჰუმანური სულისკეთება, ხალხის ღრმა რწმენა.

შანდორ პეტეფი უნგრელი ხალხის თავისუფლებისმოყვარე ძიებათა სიმბოლო გახდა. აქ ერთხელ კიდევ გავიხსენებთ ჩეხი პოეტი დემოკრატის იან ნერუდას სიტყვებს: „პეტეფი კლასიკოსი არ ყოფილა; ის მხოლოდ პეტეფი იყო: სიყვარულის, პატრიოტიზმისა და თავისუფლების ყველაზე მგზნებარე მომღერალი... მშვენიერ ცეცხლოვან უნგრელ ერს არა პუთლია უფრო დიდი შვილი, ვიდრე პეტეფია. ამ ხალხს არ გასთენებია იმაზე ზედნიერი დღე, ვიდრე ის, როცა პეტეფი დაიბადა...“



გურამ შანშიაძე

თბილისი გუზინ, დღეს, ხვალ...

ჩვენში ერთი უხერხული ტრადიცია დამკვიდრდა: როგორც კი ვინმე უცხოელი გვესტუმრება, პრესის, რადიოს, ტელევიზიის წარმომადგენლები იმავე წუთში მივარდებიან ხოლმე და ეკითხებიან — „როგორ მოგწონთ თბილისი?“

ზრდილობიანი სტუმარი, რასაკვირველია, მხოლოდ სიკეთეს იტყვის ქალაქისას, ხოლო ნაკლებად გაგვიმტყუანებენ. ამას მოითხოვს სტუმარ-მასპინძლობის ელემენტარული ეთიკა.

გაზეთები კი იმავე წუთში აიტაცებენ ხოლმე მათ ნათქვამს და ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე ბეჭდავენ. თუ ვისმაც ეტყობა ჩვენი სტუმრების შთაბეჭდილებების მიხედვით, გამოდის, რომ ცხოვრობდე თბილისში, ეს ნიშნავს — ერთდროულად ცხოვრობდე პარიზში, ლონდონში, სტოკჰოლმში, რიო დე ჟანეიროში, ტოკიოში, რადგან, პარიზელს თბილისელმა პარიზი „გაასხენა“, ლონდონელს — ლონდონი და ა. შ.

მასსოცს, ერთხელ ერთმა ჩვენმა სოლიდურმა გაზეთმა ცნობილი ფრანგი მსახიობის ბერნარ ზლიეს ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც იგი ამბობდა: „მითხრეს, თბილისი ხომ პატარა პარიზიაო; რა გაეწყობა, თქვენმა სატელევიზიო კომპეია ერიდოს კომკი გამასხენა“.

საოცარი ის კი არ არის, რომ ფრანგი სტუმრის სიტყვებში აშკარა ირონია გამოსკვივოდა, არამედ ის, თუ როგორ გამოაქვეყნა იგი გაზეთმა. დაეუფლო, ირონია ვერ იგრძნეს, იმას ხომ მაინც უნდა მამხედარიყვნენ, რომ ახლა თითქმის ყველა საშუალო სიდიდის ქალაქშია სატელევიზიო კომკი აღმართული. გამოდის, რომ მთელი პლანეტა დიდი, საშუალო და პატარა პარიზებით ყოფილა სავსე.

განა არ არის დრო, ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოვუდლო ამ პროვინციალიზმს? განა

არ არის დრო, ერთხელ მაინც ბოლომდე ვიმსჯელოთ გულწრფელად და სინამდვილეს პირდაპირ შევხედოთ თვალეზში? განა ჩვენზე უკეთ ვინმემ იცის, როგორია ჩვენი დედაქალაქი? განა საამაყოდ და სატრაბახოდ გვაქვს საქმე? განა არ ემარა, რომ ბოლო ორი უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე გამეფებულმა თვითკმაყოფილებამ, უდარდებლობამ და მამებლობამ დიდი სიმძნელების წინაშე დააყენა არა მარტო ჩვენი დედაქალაქი, არამედ მთელი რესპუბლიკა?

ჩამოსულ სტუმარს ნუ მივვარდებით და ნუ ვეკითხებით, მოსწონს თუ არა თბილისი. თუ მოეწონება, იგი თვითონვე იტყვის ამას, აღტაცებას ვერ დამალავს.

ნურც ის გაგვახარებს მაინცდამაინც, რომ თბილისი თურმე „ძალიან ჰგავს“ სტუმრის მშობლიურ ქალაქს.

თბილისი თბილისს უნდა ჰგავდეს, ესაა ჩვენი შთავარი ამოცანა და საზრუნავი.

თანამედროვე დიდი ქალაქი უზარმაზარი და ურთულესი ეოცხალი ორგანიზმია, რომელსაც აქვს თავისი გული, ფილტვები, სისხლძარღვები, ნერვიული სისტემა, ტენი...

დღე-ღამის განმავლობაში ქალაქი სუნთქავს და შთანთქავს უამრავ უანგზაღს. ქალაქი შთანთქავს და ინელებს უამრავ სასურსათო და სამრეწველო პროდუქციას, წყალსა და სანაწავს.

ქალაქს აქვს თავისი ნერვიული დაძაბულობა და რიტმი.

აქედან გამოდინარე, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ქალაქის რთული ორგანიზმის განმრთელობასა თუ ავადმყოფობაზე, მისი ქსოვილის ყოველგვარ წყლულზე.

ერთი სიტყვით, ჩვენ ამ წერილში გვინდა გავარკვიოთ, რა სტაევა ჩვენს დედაქალაქს. თუ თბილისს ამ თვალსაზრისით მივუდგე-



ბით, გულახდითადად უნდა ველიართ, რომ მისი ჯანმრთელობა ვერაა სახარბიელო დღეში.

თბილისი საქართველოს დედაქალაქია. ისაა ჩვენი ერის სახე და ტიპი. აქაა ძირითადად თავმოყრილი ყველაფერი ის, რაც განსაზღვრავს ქართველი ერის კულტურულ და სულიერ ცხოვრებას, ინტელექტუალურ სამყაროს, ქართველი ხალხის მიერ შექმნილ მატერიალურ, კულტურულ და მეცნიერულ ღირებულებათა დონეს, ქართველი კაცის შინაგან ბუნებას თუ გარეგნულ სახეს. ამ წერიაში გვიჩინა ვიმსჯელოთ გულახდითად, ვილაპარაკოთ დაუფარავად. ვილაპარაკოთ სიმძნელებზე, ვილაპარაკოთ იმ დაუდევრობასა თუ დანაშაულზე, რამაც ასე დაჩრდილა ჩვენი დედაქალაქის სახე. ნუ შეგვეშინდება იმისა, თუ რას დაგვეწამებენ ცრუ პატრიოტები, რადგან ცრუ პატრიოტიზმს სიკეთე არასდროს მოუტანია ერისათვის.

დავიწყეთ თუნდაც გარეგნული იერიდან, ქალაქის არქიტექტურული სამოსიდან. თვალი გადავაგლოთ, რა აშენდა ორი უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე, ისეთი, რითაც შეგიძლია ვიამაყოთ, რა შევძინეთ ჩვენს დედაქალაქს, რით გავალამაზეთ მისი ქუჩები და მოედნები.

ვაი, რომ სამიოდე შენობის გარდა ვერაფერს ჩამოვთვლით და ნაკლისაგან ისინი არ არიან დაზღვეულნი. თუმცა კარგია ფილარმონის ახალი შენობის მშენებლობის ხარისხი, მაგრამ რამდენად კარგადაა შერჩეული მისი მდებარეობა? ან რამდენად სწორია არქიტექტურულად სასტუმრო აჭარის ადგილმდებარეობა? განა შეიძლება ამოღენა, ხალხმრავალი შენობის ადგილი ტეფარჩითი ისე, რომ არ გავითვალისწინოთ ტრანსპორტი? უფრო რთულ არქიტექტურულ ნიუანსებზე აღარაფერს მოგახსენებთ.

ასეა თუ ისე, ეს შენობები მაინც მიეკუთვნებიან ჩვენი დედაქალაქის ღირსშესანიშნოებათა რიცხვს. მაგრამ ენახოთ ჩვენი ახალმშენებლობანი, თბილისის ახალი გარეუბნები.

მე არ ვიცი, რა გრძნობა იპყრობს ხოლმე ჩვენს არქიტექტორებს, მშენებელ ინჟინერებს, როცა ისინი ამ მასივებს შესცქერაინ. პირადად მე სირცხვილის გრძნობა მწყვეს.

თავი რომ დავანებოთ ერთფეროვან, მოსაწყენ, ყოველგვარ არქიტექტურულ ღირებულებას მოკლებულ შენობებს, თავი რომ დავანებოთ მათ ქაოსურ განლაგებას, ლანდშაფტისა და პეიზაჟის გაუთვალისწინებლობას, დღევანდელი დიდი ქალაქისათვის დამახასიათებელი საარსებო პრობლემების, პირველ რიგში ტრანსპორტის გაუთვალისწინებლობას, სამარცხვინოა თვით მშენებლობის ხარისხი. არქიტექტურას ვინ დაეძებს, იმისაც მაღლობელი უნდა ვიყოთ, თუ შენობა თავზე არ ჩამოგვექცა. ხალხს ასახლებენ ისეთ ბინებში, სადაც ყველაფერი თავიდანაა გასაკეთებელი. მობი-

ნადრეთა შესახლების შემდეგ სახლი ხელახლა „შენდება“. აბა კარგად დავაკვირდეთ მშენებლებს, რომლებსაც სიცოცხლის სულ რაღაც ათიოდე წლის სტაჟი აქვთ. რა სამარცხვინოდ გამოიყურებიან. ჩამონგრეული, ჩამობინძურებული კედლები გულსაკლავ სანახაობას ქმნიან.

ხარისხსაც რომ თავი დავანებოთ, საინტერესოა, მათი დაპროექტების დროს თუ ითვალისწინებდნენ, რომ ხვალ და ზეგ თბილისში უდიდესი სისწრაფით გაიზრდება ტრანსპორტის რაოდენობა, კერძოდ, ავტომობილების რიცხვი, ხოლო მანქანას თავისი დასაყენებელი ადგილი სჭირდება? ვიმეორებ, აღარაფერს მოგახსენებთ იმ მრავალ არქიტექტურულ ნიუანსზე, რომელთა გაუთვალისწინებლობა დღეს, რბილი გამოთქმა რომ ვიცმართო, სრულ უპასუხისმგებლობას ნიშნავს.

საყმარისი იყო ეს საყვედური გამოგვეთქვა სათანადო ორგანოების მიმართ, რომ იმევე წუთში დაიწყებოდა თავის მართლებების საკმაროდ აგრესიული ცდა. არ არის მუშახელი, არ არის თანამედროვე სამშენებლო მასალა, — გაიძახოდნენ ისინი.

მაგრამ განა იმევე პირობებში არ შენდება კივი და მინსკი, ვილნიუსი და რიგა, ტალინი და ერევანი, ალმა-ატა და ტაშკენტი? განა შეიძლება ჩვენი მშენებლობანი ოდნავ მაინც მივიდეს ახლოს გნებაზე ხარისხით, გნებაზე არქიტექტურული ღირსებებით, მათ მშენებლობებთან? შეიძლება რაღაც სპეციფიკური პირობების გამო ჩვენში მართლაც უფრო რთულად იყოს მუშახელის საქმე, მაგრამ ამ საკითხის მოსაგვარებლად ხომ უნდა გვეზრუნა, ისევე, როგორც ზრუნავენ სხვა ქალაქების მესვეურნი?

სამშენებლო მასალა არა გვაქვს! — ვაიძახოდნენ ჩვენი მშენებლები და ცდილობდნენ ხალხისათვის თვალში ნაცარი შეეყარათ. განა არ ვიცოდით, რომ ყველაზე მაღალი ხარისხის აგური მალულად (უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ აშკარად) იყიდებოდა კერძო პირებზე; ხოლო ცხვარიკამაში თუ თბილისის ირგვლივ მდებარე საკურორტო სოფლებში რამდენი შენობა გადახურეს „სიმყარებით“, ესეც მავათ სინდისზე იყოს. ეს მაშინ, როცა კანონითაა აკრძალული „სიმყარის“ კერძო მშენებლობებზე გამოყენება. განა არ ვიცოდით, რომ ყოველ მშენებლობაზე შეიძლებოდა გვეყიდა ცემენტი, კაფელი, სანტექნიკა და ათასგვარი მასალა, რასაც კი მოვისურვებდით?

თბილისი და რიგა ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სისუფთავეში. რაც თავი მახსოვს, გამარჯვებული სულ თბილისი გამოდიოდა, ხოლო რიგა... ყოველთვის უფრო სუფთა ქალაქი იყო თბილისზე. საიდან? რა მანქანებით? როგორ ახერხებდნენ ასეთ აღქმიმიკოსობას?

ხოლო როგორი იყო თბილისის მეურნეობა, ეს კიდევ შარშან გამოჩნდა, რო-



ცა პირველივე მკაცრმა ზამთარმა მთელი სიგრძე-სიგანით გამოავლინა მისი ნამდვილი სახე.

არა მგონია, ბევრგან იყოს უფრო ცუდად მოგებული ქუჩები, ვიდრე თბილისშია; უფრო ცუდი სატრანსპორტო მომსახურება, ვიდრე თბილისშია; უფრო ცუდი საეკონომიკური მომსახურება, ვიდრე თბილისშია; უფრო ცუდი სატელეფონო მომსახურება, ვიდრე თბილისშია; უფრო ცუდად ნაგები საცხოვრებელი სახლები, ვიდრე თბილისშია.

ალარაფერს მოგახსენებთ ამ საცხოვრებელი სახლების უსამართლოდ განაწილებაზე, რაშიც ჩვენმა დედაქალაქმა „მოუხსნელი რეკორდი“ დაამყარა.

იმედად რევზ ლაღიძის სიმღერაა გვეონდა მარჩინელი — „თბილისო, შზის და ვარდების მზარეო...“ თუცა თბილისში მგესა და თბილისელებს შორის დიდი ხანია ჩამოწვა მტკრისა და ავტომობილის ნაშუაგვი ვაჭების სქელი ღრუბელი, ხოლო ვარდი და მიხაკი რა ღირს ბაზარზე, ეს ქალაქის მესვეურებმაც კარგად იციან.

დაუდევრობა, უსახუხისმგებლობა, ქურდობა და თაღლითობა — ეს ერთი მზარე იყო, რის შედეგადაც უკანასკნელი 7 წლის მანძილზე, როგორც ოფიციალური ცნობებიდან ვიცით, ვერ აითვისეს იმდენი თანხა, რამდენიც 21 თანხ პირობით ბინას ააშენებდა. 21 თანხ ბინის აშენება კი, თავისთავად ცხადია, თუ სრულებით არა, რამდენად შეამსუბუქებდა თბილისის მძიმე საბინაო პირობებს.

ახლა ვილაპარაკოთ იმაზე, რაც აშენდა. რამდენად სწორად იგეგმებოდა ქალაქი? რამდენად მეცნიერულ საფუძველზე იყო დამყარებული ქალაქის ახალი რაიონების განაშენიანება და ძველის რეკონსტრუქცია?

პირველად ქალაქის მთავარ არქიტექტორს შოთა ყავლაშვილს ვეწვიეთ.

რამდენად აკმაყოფილებს თბილისის ახალი რაიონების არქიტექტურა თქვენს ხუროთმოძღვრულ თავმოყვარეობას? როგორც თბილისის მთავარი არქიტექტორი, რას იტყვით ქალაქის ახალშენებლობებზე, მის დადებით თუ უარყოფით ტენდენციებზე?

აი ამ კითხვით მიემართეთ შოთა ყავლაშვილს. მის პასუხსაც აქვე მოგახსენებთ:

— სიმაყის გრძობა ეუფლება თვითველ ჩვენგანს, როცა მოაწმინდის პლატოზე ვადმომდგარი დაყუარებთ თბილისს, თხუთმეტსაუკუნოვან ქალაქს, ქალაქს, რომელსაც არა ერთი თუ ორი მნახველი მოუხიბლავს თავისი არსებობის მანძილზე, ქალაქს, რომლისათვისაც ხობტა შეუსხამს მრავალ უცხოელს, თბილისს, რომელიც მრავალი ლექსის თემა გამხდარა.

რით ხიბლავდა და ხიბლავს თბილისი მნახველს? — უპირველეს ყოვლისა, თავისი არა-

ჩვეულებრივი ბუნებრივი მდებარეობით, თავისი ძველი არქიტექტურით, მეტეხითა და ნარიყალათი, თავისი განუმეორებელი ენკლავული პოზიციით, რუსთაველის პროსპექტითა და... რამდენიმე ცალკეული სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობით. დიას, საუბედრობად, რამდენიმე შენობითა და ნაგებობით, რომლებიც უფრო მეტი, უხარისხო მასობრივი მშენებლობის ფონზე გამოჩნდებიან თანამედროვე არქიტექტურული გადაწყვეტით, ფორმებითა და შესრულებით.

რა შეიძლება ითქვას ჩვენი დედაქალაქის მასობრივ მშენებლობებზე, ახალ საცხოვრებელ მასივებზე, თვით საცხოვრებელზე?

კარგი თოქმის არაფერია.

დავიწყით თავიდან. ომისშემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით 50-იან წლებში, თბილისში ფართოდ გაიშალა საცხოვრებელი სახლების მასობრივი მშენებლობა. მასობრივი მშენებლობა წარმოუდგენველია დიდი მასშტაბის ინდუსტრიული მეთოდებით მშენებლობაზე გადასვლის ვარჯიშზე.

რას წარმოადგენს მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები?

უპირველეს ყოვლისა, ეს არის მაღალკვალიფიციურ დონეზე შედგენილი საპროექტო დოკუმენტაცია, ტიპურ კონსტრუქციულ ელემენტებზე მორგებული პროექტი, — რომლის განსახორციელებლად საჭიროა მრეწველობამ მასიურად, ქარხნულ-ინდუსტრიული მეთოდით გამოუშვას პროექტში გამოყენებული კონსტრუქციული ელემენტები, რომლებიც ასევე ტექნიკის გამოყენებით მიწოდებული და აწყობილი იქნება საშენებლო პოლიგონზე.

იმ დროისათვის კი ჩვენს საშენებლო მრეწველობას არ შეეძლო დიდი რაოდენობით დაემზადებინა საშენებლო კონსტრუქციული ელემენტები და თანაც მრავალი ტიპისა, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა განაშენიანებაში სიათანადო მრავალფეროვნება შეგვეტანა. ეს იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ წლების განმავლობაში საბურთალოს, 26 კომისრის რაიონის და დიღომის საცხოვრებელი მასივები შენდებოდა ფაქტიურად ერთი ტიპური საცხოვრებელი სახის პროექტით. თვით პროექტიც არ იყო სრულყოფილი. მისი შიგა გეგმარება და ფასადების არქიტექტურა მალე მოძველდა. მაგრამ მისი განახლება მოხდა... 5 სართულიანი სახლის პროექტის 8 სართულად გადაკეთებით, უმნიშვნელო დეტალების დამატებით.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მასობრივი მშენებლობის განსაკუთრებით დაბალმა ხარისხმა უფრო მეტად გამოამჟღავნა პროექტის ნაკლიც, ხოლო მცხოვრებლების მიერ-

გურამ შანჭიშიძე
თბილისი: გუშინ, დღეს, ხვალ...

თეონეტურად გაჩაღებულმა გადაკეთებებმა საბოლოოდ დაამახინჯეს საცხოვრებელი კვარტალების სახე.

გარდა თვით საცხოვრებელი სახლებისა, უკეთეს შთაბეჭდილებას არც მთლიანი კვარტალები და მიკრორაიონები ტოვებენ. დღემდე არ მოხერხდა ჩაბარდეს ექსპლუატაციაში თუნდაც ერთი კვარტალი ამოთავრებული სახით. მშენებლობის ზედმეტად გაჭიანურებული ვადები საშუალებას აღარ იძლევა ბინებში ჩასახლება დაყოფნად კვარტალების კეთილმოწყობაზე, თუნდაც კეთილმოწყობაში მხოლოდ ამ კვარტალში ცხოვრების ელემენტარული პირობების დაკმაყოფილება ვიგულისხმობთ (წყლისა და გათბობის, გაზისა თუ ელემენტარული აგების, აგრეთვე პირველადი მომსახურების ობიექტების არსებობა), რომ აღარაფერი ვთქვათ გამწვანებასა და, საერთოდ, მისი გარეგნული სახის შექმნაზე.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები, გამომდინარე ვიწრო უწყებრივი ინტერესებიდან, თავს ვალდებულად სთვლიან, ჩაერიონ ქალაქგეგმარებისა და ქალაქმშენებლობის საკითხებში, რაშიც, ხშირად, ზემდგომი ორგანოების მხარდაჭერასაც იღებდნენ. ეს კი უაღრესად ართულებს თბილისში ქალაქგეგმარების დისციპლინის დაცვას. ამის მაგალითი მრავალი თბილისის განაშენიანების პრაქტიკაში. და, საერთოდ, არსებული სისტემა მშენებლობის დაფინანსებისა და წარმოებისა, ძლიერ უშლის ხელს მშენებლობის ერთიან ხელმძღვანელობას. უამრავი დაფინანსებული და სამშენებლო ორგანიზაცია უფრო ხშირად სახსრებსა და ძალებს იყენებს საკუთარი შეხედულებებით და არ მოხერხდა მშენებლობის საქმის კოორდინირება ერთი ორგანიზაციის სისტემაში.

ცალკე საუბრის თემას წარმოადგენს ჩვენში არქიტექტორებისა და კონსტრუქტორების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. რომ არაფერი ვთქვათ ყოველდღიურ საქმიანობაზე, თვით კონსტრუქციის დროსაც კი, როცა კონსტრუქციის მიზანი არის მომავლის ტიპის საცხოვრებელი სახლის შექმნა, არქიტექტორები დამოკიდებულნი არიან წინასწარ ნაკარნახევ კონსტრუქციულ სქემებზე, რომლებიც ხშირად არა თუ შემოწმებულნი არ არიან პრაქტიკაში, არამედ პრაქტიკულად არც არსებობენ. ამის კარგი მაგალითია 1970 წლის კონსტრუქციის საცხოვრებელ სახლებზე, გამოცხადებული სპეციალურად ახალ კონსტრუქციულ სისტემაზე — ННС-04 და თუ ცოტა წინაც გავიხედავთ, დამაფიქრებელია ის ფაქტიც, რომ დღესდღეობით ჩვენი ყველა საპროექტო ორგანიზაცია უკვე უშვებს საპროექტო დოკუმენტაციას ტექნიკურ-სამუშაო ნახაზების დონეზე ისეთ ახალ კონსტრუქციულ სისტემაზე, რომლის ელემენტების დამამზადებელი ქარხნის მშენებლობა

არც დაწყებულა. და თუ ჩვენ უკმაყოფილონი ვართ ბოლო ორ ათწლეულში მასშტაბურ მშენებლობისა, დიდი შრომა გასაწევი დღეს იმისათვის, რომ ხვალ მიინც ვიყოთ კმაყოფილი ჩვენი მასიური მშენებლობის ხარისხით, მისი გარეგნული მხატვრული სახითა თუ გეგმარების თანამედროვე, მეცნიერულ საწყისებზე დაყრდნობილი გადაწყვეით.

რა კეთდება დღესდღეობით ამისათვის? რა სამუშაოები ჩატარდა თუნდაც თბილისის ახალი გენერალური გეგმის დამტკიცების შემდეგ?

ფაქტია, რომ ახალი გენერალური გეგმისა და მისგან გამომდინარე ცენტრისა თუ ცალკეული რაიონების დეტალური დაგეგმარების პროექტების შედგენა ცოტა დაგვიანებით მოხდა, მაგრამ მასშტაბები და მოცულობა ჩატარებულ სამუშაოებისა ძალზე დიდია. თბილისის ცენტრის რეკონსტრუქციისა და დეტალური დაგეგმარების პროექტის საბოლოო ვარიანტის დამუშავება დაწყებულია და მისი ამოთვრება ვათვალისწინებულისა 1974 წლის ბოლოსათვის. 71-72 წლებში საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განიხილა და დაამტკიცა თბილისის ზოგიერთი საცხოვრებელი რაიონის დეტალური დაგეგმარების პროექტები. დამუშავების პროცესშია რიგი რაიონების დეტალური დაგეგმარების პროექტები. მუშავდება საცხოვრებელი სახლების ტიპიური პროექტების სერია, რომელიც საშუალებას მოგვცემს, კვარტალების განაშენიანებისას გამოვიყენოთ სხვადასხვა საერთოლიანობის, გაბარიტების და განსხვავებული არქიტექტურული სახის მქონე სახლები.

მზადდება კონკურსი სხვადასხვა ტიპის სახლების პროექტების შესადგენად. ამავე დროს სათანადო ორგანიზაციების მიერ მნიშვნელოვნად გაზრდილია მომთხოვნელობა სახლებისა და კეთილმოწყობის ყველა ელემენტების ხარისხისადმი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უქმად არ ჩაივლის ჩვენში მშენებლობის პრაქტიკის კრიტიკული შეფასება და მომავლის არქიტექტურა ჩვენი საზოგადოების მოთხოვნების ღონეზე იქნება. ამის საწინდარია ჩვენი არქიტექტორებისა და მშენებლების მიღწევები ინდივიდუალური ნაგებობების მშენებლობაში, რომლებმაც საკუთარი აღიარებაც დაიმსახურეს.

— **თქვანე**, როგორც საქალაქო საბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკი, როგორ შეგავსებთ თბილისის მშენებლობებს? რამდენად აკმაყოფილებს იგი დღევანდელ მოთხოვნილებებს? რა ნაკლოვანებებს წამოსწევდით წინა პლანზე? — ამ შეკითხვით მივმართეთ ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ახ. ბახმა ლომუხანიძეს.

— უნდა აღინიშნოს, — თქვა ბ. ლომუხანი-



დემ, — რომ უქანასკნელ წლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი მოცულობის საცხოვრებელი მშენებლობა, რომლის დაგეგმვა-განთავსება წარმართა ძირითადად ქალაქის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის მიხედვით. კარგ დონეზე აშენდა მთელი რიგი მსხვილი საზოგადოებრივი მშენებლობები და კომპლექსები. განხორციელდა ქალაქის ისეთი მნიშვნელოვანი არტერიების რეკონსტრუქცია, როგორცაა პეკინის ქუჩა, წერეთლის პროსპექტი, ხეთაჯროვის ქუჩა. აშენდა ახალი და რეკონსტრუქციური ექნა ძველი ხიდები. მშენებლობის პროცესშია მთელი რიგი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი შენობები და საინჟინრო ნაგებობანი. დამთავრებულია თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგი და მიმდინარეობს მისი შემდგომი განვითარება.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს მთელი რიგი ნაკლოვანებებისა ქალაქის განვითარებისა და რეკონსტრუქციის, დაგეგმვისა და მშენებლობის წარმართვის საქმეში. კერძოდ, ქალაქის ზოგიერთ უბნის დანაშინიანება ხორციელდებოდა ამ უბნების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების გარეშე; მიკრორაიონებისა და საცხოვრებელი რაიონების მშენებლობა ხორციელდებოდა არაკომპლექსურად — მშენებლობას ძალზე ჩამორჩებოდა კეთილმოწყობის, გამწვანებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საქელის სამუშაოები; ქალაქს ახლაც არ გააჩნია სპეციალური სერია საცხოვრებელი სახლების პროექტებისა, მაგისტრალური ძვრებისათვის არასათანადო მხატვრულ დონეზე შესრულებული განაშენიანება ისეთი ქუჩებისა, როგორცაა ვაჟა-ფშაველასა და წერეთლის პროსპექტები, პეკინის, ოქტომბრისა და ხეთაჯროვის ქუჩები; იყო შემთხვევები, როდესაც სარეკონსტრუქციოდ იგეგმება უბნები და ხორციელდება მათი რეკონსტრუქცია ქალაქთშემზღველური და ეკონომიური ეფექტიანობის გაუნთავისწინებლად ქალაქის მესტაბილი. იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთ საინჟინრო და სატრანსპორტო ნაგებობაზე. ხშირად ქალაქისათვის აქტუალური პრობლემების კომპლექსური გადაწყვეტა ყოფნდება ამ ქაანურდება. მაგალითად, შენდება გვირაბი და ესტაკადა მეტეხის პლატოს ქვეშ, ხოლო გმირთა მოედნის, მარჯანიშვილისა და ძნელაქის ქუჩების რეკონსტრუქცია, რაც ასევე აქტუალურია ქალაქისათვის, ძალზე ჩამორჩება.

უნდა აღინიშნო ერთი გარემოებაც. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ბევრი საზოგადოებრივი შენობა აშენდა სათანადო დონეზე (მაგალითად, სასტუმრო ივერია, ფილარმონიის ახალი შენობა, სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის კომპლექსი, მეტროპოლიტენის მიწისქვეშა დამწვისზედა სადგურები და სხვა), მასიური საცხოვრებელი მშენებლობა დაბალ დონეზეა. მოქმედი ტიპიური პროექტები ხშირ

შემთხვევაში არ პასუხობენ დღევანდელ საყოფაცხოვრებო პირობებს. ამ პროექტების გააჩნია ფასების გადაწყვეტის ვარიანტები მშენებლობის არქიტექტურულ-სამშენებლო ხარისხი საკმაოდ დაბალ დონეზეა. ასევე დაბალ დონეზეა შენობა-ნაგებობათა ექსპლუატაცია. არასწორად იგეგმებოდა და ხორციელდებოდა მშენებლობანი, რაც მთელ რიგ შემთხვევებში ქმნიდა არანორმალურ საცხოვრებელ პირობებს. საცხოვრებელ მშენებლობას ყოველთვის ჩამორჩებოდა მომსახურე ქსელის მშენებლობა. ხშირად საექსპლუატაციოდ იბარებდნენ უხარისხო და დაუმთავრებელ შენობებს, ან შენობათა ცალკეულ სექციებს, რაც არანორმალურ საცხოვრებელ პირობებში აყენებდა მოსახლეობას.

სამწუხაროდ, როგორც მთავართბილმშენი, ასევე მშენებლობის სამინისტრო არავითარ ინიციატივას არ იჩენენ არც ახალი პროექტების თუ სამშენებლო კონსტრუქციების და არც ახალი სამშენებლო მასალებისა და ნაყოფობათა ათვისების საქმეში. საქართველოს სსრ სახმშენი სათანადო ყურადღებას არ უთმობს როგორც მშენებლობის კონტროლს, ასევე ტიპური და ექსპერიმენტული პროექტირების საკითხებს.

ჩამე ეგსტუმრეთ საქართველოს სსრ მინისტროს საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს, პროფესორ **ირაკლი ციციშვილს**. მან ჩვენთან საუბარში განაცხადა:

— მე პირიქით ვფიქრობ, სახმშენი ძალზე დიდ ყურადღებას უთმობს მშენებლობის კონტროლს. თუ ეს მკითხველისათვის მოსაწყყენი არ იქნება, მე შემოდლა მოვიყვანო თორმეტი მაგალითი იმისა, თუ სახმშენის კოლეგიაზე მშენებლობის ხარისხის ამალღებისათვის რა გადამჭრელი ღონისძიებანი მივიღეთ მარტო 1971-72 წლებში. საქართველოს მინისტრთა საბჭოში უქანასკნელი ორი წლის მანძილზე ოთხჯერ გამოიტანეს დადგენილება მშენებლობის ცუდი ხარისხის თაობაზე.

რაც შეეხება ექსპერიმენტულ სახლებს, უნდა განვაცხადო, რომ საქართველოში უკვე კარგა ხანია შენდება სამი ექსპერიმენტული სახლი. ერთი სოხუშში, მეორე ვარკეთილში, მესამე გდანაში. მათ შორის ერთი კონოლითია, მეორე კარკასულ-პანელოვანი, ხოლო მესამე, სოხუშში, სამხრეთული ტიპის ვერანდებიანი შენობა. მიუხედავად ჩვენი დიდი მონდომებისა, დღესდღეობით ამ შენობათა მხოლოდ თითო სართულია ამოშენებული. სამშენებლო სამინისტრომ ვერ იქნა და ვერ მოახა თავი ექსპერიმენტული სახლების აშენების საქმეს.

გურამ შანჭიძემ
თბილისი გუშინ, დღეს, ხვალ...

ახლა რაც შეეხება საცხოვრებელი სახლების ტიპური და ექსპერიმენტული პროექტორების საკითხებს. დღევანდელი მასიური მშენებლობანი წარმოუდგენელია ინდუსტრიალიზაციის გარეშე. შეეცდომა ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინ იქნა დაშვებული, როცა ვერც სახმშენმა და ვერც მშენებლობის სამინისტრომ ვერ გაითვალისწინეს თანამედროვე ბინათმშენებლობის თავისებურებანი, მისი არსი და პერსპექტივები. დღეს სრულიად ნათელია, რომ თანამედროვე ბინათმშენებლობის მასშტაბების გითარბებაში ერთადერთი სწორი გზა ინდუსტრიული, ქარხნული წარმოება და ბინათმშენებელი ქარხნების შექმნა.

უკანასკნელ დღემდე კი ჩვენს რესპუბლიკაში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა სამშენებლო ინდუსტრიისა და საშენ მასალათა მრეწველობის განვითარებას. ამის შედეგად ჩვენი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჩამორჩა მშენებლობის ტემპებს. დღესაც სამუშაოთა დიდი ნაწილი სრულდება კუსტარულად, ხელით, (მოპირკეთება, შელესვა, სანტექნიკა).

ჩვენ საკმაოზე მეტი გვაქვს სამშენებლო სახლების სერები. მივითვალთ გვაქვს სამი სერია მოქმედი მსხვილბანელიანი საცხოვრებელი სახლისა. სამივე სერია თავის მხრივ იძლევა შენებათა 26 ვარიანტს. ინდუსტრიის ჩამორჩენის გამო ამ 26 ვარიანტიდან მხოლოდ სამია ათვისებული.

ამჟამად გვაქვს აგრეთვე კარკასულ-ბანელიანი შენობების რამდენიმე სერია 9-12-14-16-19 სართულიანი სახლებისა, აღარაფერს ვლამბარაკობ ამ სერიების ვარიანტთა საერთო ოდენობაზე, სამუშაოთა, იგივე მიზნების გამო დღესდღეობით ამ სერიებიდან არც ერთი არ არის ათვისებული.

საკმარისია ეს სერები მთლიანად იქნეს ათვისებული, რომ არქიტექტურულად ძალზე მრავალფეროვანი გამოჩნდება ჩვენი დედაქალაქი.

ამ ვითარებაში რაიმე ახალი სერიების მიცემას არცა აქვს აზრი.

ამჟამად დიდი სისწრაფით შენდება ბინათმშენებელი ქარხნები. 1974 წლისათვის ჩვენ უკვე გეგმვება საკმარისი ინდუსტრიული ბაზა. ვცდილობთ გავაუმჯობესოთ ნაკეთობათა ხარისხი. ამ მხრივ სახმშენმა მკაცრი ზომები მიიღო. მაგრამ დაბრკოლებები მაინც ვადაგველობება, თუ დროულად არ მოვაგვარეთ კადრების საქმე. პროფტექნიკური სასწავლებლების ხაზით დაუყოვნებლივ უნდა მოვაშადათ ახალგაზრდა მშენებლები.

— მოგწონთ თუ არა თბილისის გენერალური გეგმა? — ვკითხეთ პროფ. ი. ციციშვილს, — რამდენად შეესაბამება იგი დღევანდელ საერთაშორისო სტანდარტებს?

— თბილისის გენერალური გეგმა საკმაოდ

მაღალ დონეზეა შესრულებული, — მან კიდევაც დაიმსახურა კარგი შეფასება. თბილისის, მისი განვითარებისას საჭიროებისათვის ვითვალისწინებთ ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები — მიწის ეკონომია, პეირის ვაჭუქყიანების თავიდან აშორება, ტრანსპორტის განვითარების სწრაფი პრინციპი, ხმაური და მრავალი სხვა. აქვე მინდა ხაზი გავუსვა, რომ ხმაურის პრობლემა მალე ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა გახდება ქალაქების ცხოვრებაში. ამ საკითხზე დღევანდელი დღიდანვე უნდა დაიწყოთ ზრუნვა, ხმაურის დღიდანვე უნდა გამოეუცხადოთ ენერგიული ბრძოლა, თორემ მომავალში იგი ისეთივე სიმწელეების წინაშე დაგვაყენებს, როგორც დღეს დაგვაყენა თავის დროზე უყურადღებოდ მიტოვებულმა მრავალმა პრობლემამ.

თბილისის უკვე აქვს თავისი განვითარების გენერალური გეგმა. მისი ღირსებები, როგორც ვხედავთ, ერთმანედ აღნიშნეს როგორც შოთა ყავლაშვილმა, ასევე ირაკლი ციციშვილმა. მე უფრო ფართო ინფორმაციისათვის მივმართე ბახვა ლობჯანიძეს და ვკითხე, თუ რა კომპლექსური მეცნიერული შრომები დაედო საფუძვლად ქ. თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმის პროექტს.

ქ. თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის პროექტი, — აღნიშნა ბ. ლობჯანიძემ — დამუშავებული იქნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის დაყვებით სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „თბილქალაქპროექტის“ მიერ.

ქ. თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის პროექტი დამუშავებული იქნა შემდეგი მეცნიერული შრომებისა და გამოკვლევების საფუძველზე და გათვალისწინებით:

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საქ. სსრ საწარმოო ძალთა განვითარებისა და განათავსების საბჭოს მიერ დამუშავებული შრომა — თბილისის სამრეწველო რაიონის განვითარების ჰიპოთეზა.

2. სსრკ სახმშენთან არსებული მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ქალაქმშენებლობის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის მიერ დამუშავებული შრომები სპეციალურად ქ. თბილისისათვის:

ა) ქალაქის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთებისა და გენერალური გეგმის დამუშავების მეთოდიკა და რეკომენდაციები;

ბ) სასოფლო სამეურნეო მიწების შეფასების მეთოდიკა.

3. ამიერკავკასიის ჰიდრო-მეტეოროლოგიის



სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ დამუშავებული შრომა — „დიდი თბილისის“ კლიმატური მიკრორაიონების საკითხები.

4. თბილისის ტიპური და ექსპერიმენტული პროექტირების სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ზონალური ინსტიტუტის მიერ დამუშავებული შრომები თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით:

ა) ქ. თბილისის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დადგენა და მისი დინამიკა საპროექტო ვადაში;

ბ) ქალაქის არსებული განაშენიანების რაიონების რეკონსტრუქციისა და ახალ ტერიტორიაზე მშენებლობის ეკონომიური ეფექტიანობის განსაზღვრა;

გ) ქ. თბილისის მოსახლეობის ობიექტური განსახლების ამოცანის ექსპერიმენტული ამოცანები.

5. საქართველოს ხელოვნების ინსტიტუტის მიერ დამუშავებული შრომა — ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არსებული არქიტექტურული და ისტორიული ძეგლების გამოვლენის საკითხებისათვის.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, დამუშავებული იქნა სპეციალური შრომები თვით ინსტიტუტში „თბილქალაქპროექტის“ მიერ, მაგალითად: ქალაქის ტერიტორიის გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და სეისმური პირობების განსაზღვრისათვის; ქალაქის ტერიტორიის მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის გამოვლენის თვალსაზრისით ქალაქის ტერიტორიის რელიეფის პირობების განსაზღვრისათვის; დამუშავებული იქნა გეგმარებითი შეზღუდვების, არსებული განაშენიანების სიმჭიდროვის, არსებული შენობა-ნაგებობათა ამორტიზაციის პროცენტის განსაზღვრელი რუკები.

ქ. თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა შეთანხმებული იქნა რესპუბლიკისა და საკავშირო ორგანოების მიერ და დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1970 წლის 27 აგვისტოს. ყველა ინსტანციის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია ქ. თბილისის გენერალური გეგმის პროექტის მაღალი არქიტექტურული ხარისხი და დამუშავებული მასალის სისრულე.

ძალაში და ტრანსპორტი — ეს ორი განუყოფელი ცნებაა დღეს.

მხოლოდ ითქმის გეომეტრიული პროგრესიით იზრდება ტრანსპორტის რაოდენობა. ხოლო მისი უდიდესი ნაწილი ქალაქებზე მოდის. ავტომობილებით და ავტობუსებით გადაიტვირთა მხოლოდ თითქმის ყველა დიდი ქალაქი. ტრანსპორტმა არა მხოლოდ ქუჩების კეთილმოწყობის და მისი ვაჭარუნარიანობის პრობლემები წამოჭრა ქალაქში, ტრანსპორტმა ბევრი სერიოზული, დამაფიქრებელი და სწრაფად გადასაქრელი პრობლემების წინაშე დაგვაყენა. მათ შორის უმთავრესია ჰაერის მო-

წამვლის, ქალაქის დანაგვიანების, უბედურ შემთხვევათა მსხვერპლის ზრდის სხვა მრავალი პრობლემა. სულ რამდენიმე ათეული წელი გვაშორებს იმ პერიოდს, როცა კონსტანტინე გამსახურდია რუსთაველის პროსპექტზე თბილისის „პულსს უსინჯავდა“. ხუთწუთში ათ მანქანას ჩაუვლია და მწერალიც სამართლიანად ასკვნდა, რომ თბილისი იმ დროისათვის უკვე შედიოდა დიდი ქალაქების რიცხვში.

ძალზე თვალსაჩინოა განსხვავება მაშინდელ და ახლანდელ თბილისს შორის, მაგრამ კიდევ უფრო თვალსაჩინოა ტრანსპორტის ზრდის ტემპი.

ჩვენი ზემოთ, ქალაქი ცოცხალ ორგანიზმს შევადარეთ. ქალაქის მთავარი მაგისტრალები, პატარა ქუჩები და ჩიხები ამ უზარმაზარი ორგანიზმის სისხლძარღვების სისტემაა. ქალაქს აქვს თავისი არტერიები და ვენები, თავისი წვრილი ძარღვები და უწყრილესი კაპილარები. აქედან გამომდინარე, ქალაქის ორგანიზმშიც ხშირად იგრძნობა „სისხლის უქმარიობა“, „სპაზმები“, „სისხლის შედეგება“, „თრომბები“, „მიოკარდიოინფარქტები“ და „ინფარქტები“. ქალაქის ამ ავადმყოფობებისაგან განკურნვა კი მრავალ რთულ პრობლემასთან არის დაკავშირებული.

„ავტოტრანსპორტი და ქალაქის დაგეგმარება“ — ამ სათაურით მთელი მეცნიერება ჩამოყალიბდა უცხოეთსა და ჩვენში. „ტრანსპორტი და ადამიანი“, „ტრანსპორტი და ქალაქი“, და კიდევ ვინ ამოვლის, რამდენი მსგავსი რუბრიკით გაჩაღდა დისკუსიები „პრავდასა“ და „იზეესტიაში“, „ტრუდსა“ და „ლიტერატურნაია ვაზეტაში“.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ტრანსპორტის პრობლემა თბილისის ერთ-ერთი № 1 პრობლემაა, ერთ-ერთი უმთავრესი „აქილევსის ქუსლია“ იმ მრავალ ქუსლს შორის, რომელიც, სამწუხაროდ, მას გააჩნია. ამ საკითხებზე ძალზე სერიოზულად გვესაუბრნენ და თვალსაჩინო მასალა მოგვაწოდეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრმა **თიმიოზაუზ დავითაშვილმა** და მგზავრთა გადაყვანის სამმართველოს უფროსმა **გიორგი ციციანიამ**.

მაგრამ სანამ უშუალოდ ტრანსპორტის მუშაობის აეკარგის განხილვაზე გადავიდოდეთ, ყოვლისმთქმელი სტატისტიკა მოვიშველიოთ. ჩვენი დედაქალაქის მოსახლეობის რიცხვი 936,1 ათასი კაცია, ტერიტორია 2670 ჰექტარი, დასახლების სიმჭიდროვეა 350 კაცი ჰექტარზე.

1972 წ. ქალაქის ტრანსპორტმა 402,1 მილიონი მგზავრი გადაიყვანა, რაც იმას ნიშნავს,

გზარამ მანჯიკიძე
თბილისი ბუზინი, დღეს, ხვალ...



რომ საშუალოდ თითო მოქალაქე წელიწადში 430-ჯერ სარგებლობდა ტრანსპორტით.

ქალაქის მოსახლეობის სამსახურშია სამგზავრო ტრანსპორტის ყველა სახეობა: 69 მეტროს, 189 ტრამვაის და 8 საბავირო გზის ვაგონი, 170 ტროლეიბუსი და 720 ავტობუსი. გარდა ამისა, ქალაქს ემსახურება 2400 ტექსტილოტორი, აღარაფერს ვლამპარაყობთ საყოფარ მანქანებზე.

ქალაქში მოქმედი სამგზავრო ტრანსპორტის მარშრუტების საერთო სიგრძე 903,4 კმ-ია, შთ შორის მეტრობოლოტენის 12,6, ტრამვაის 96,3, ტროლეიბუსის 75,6, ავტობუსის 716 და საბავირო გზების 3,2. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მთელ რიგ მაგისტრალურ გზებზე ერთდროულად სხვადასხვა სახის ტრანსპორტი მოქმედებს, სამარშრუტო ქსელის სიგრძე 248 კილომეტრია, ხოლო სატრანსპორტო ქსელის სიმჭიდროვე 0,9 კმ/კმ²-ზე.

რა იმედება ამ რიცხვების უკან? შეგვიძლია თუ არა დავასკვნათ, რომ ჩვენი ქალაქის მოსახლეობა უზრუნველყოფილია სამგზავრო ავტოტრანსპორტით?

ვიდრე ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, საჭიროა დავადგინოთ კრიტერიუმი, რომელიც ტრანსპორტის კარგ ან ცუდ მუშაობას განსაზღვრავს. ამ დროს მგზავრის ფსიქოლოგიიდან უნდა გამოვიდეთ. მგზავრს უნდა მალე მივიდეს გაჩერებასთან, ცოტა ხანს უცადოს ტრანსპორტს, იმგზავროს სწრაფად, კომფორტით და მგზავრობისათვის მინიმალური საფასური გადაიხადოს. როგორც ვხედავთ, ტრანსპორტს მრავალმხრივი მოთხოვნები წაყენება. ეს მოთხოვნები შეიძლება სამ ძირითად მოთხოვნად გავრთიანდეს: მგზავრობის მინიმალური დრო, მინიმალური საფასური და კომფორტი.

ამ სამი მაჩვენებლიდან უპირატესი მნიშვნელობა მგზავრობაზე დროის დანახარჯებს აქვთ. არსებული სტატისტიკური მონაცემებით ერთი მიმართულებით სამუშაო მიზნებისათვის გადაადგილებზე თბილისელი მოქალაქე სამუშაოდ 55 წუთს ხარჯავს, ამასთან მოძრაობაზე 41 წუთი იხარჯება, ტრანსპორტთან მისვლასა და მოცდაზე კი — 14 წუთი. ამგვარად, წლიურად მართო სამუშაოზე წასვლა-მოსვლის მიზნით თვითიული თბილისელი 250 საათს ანუ 56 სამუშაო დღეს ხარჯავს. ტრანსპორტზე გზარდლი დროის დანახარჯი იმაზე მიუთითებს, რომ მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურება ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე.

ბუნებრივია დაისვას კითხვა — რით არის ეს გამოწვეული?

ჩვენი აზრით, ამის ერთ-ერთი მიზეზია თბილისის თავისებური გეოგრაფიული მდებარეობა და განაშენიანების სტრუქტურა, ის, რომ ქალაქი განლაგებულია მტკვრის ხეობაში სხვადასხვა სიმაღლის ვიწრო ტერასებზე, რაც გა-

ნაპირობებს ქალაქის წრფივ განლაგებას, ქვეყნის მშენებლობის თანამედროვე ტენდენციების მიხედვით იმპივი გამოიხატა, რომ საცხოვრებელი რაიონები გაშენდა შრომობი დასაქმების ობიექტებისაგან მოცილებით, ქალაქის მიმდებარე თავისუფალ ტერიტორიებზე, გამოიწვია ტერიტორიის მკვეთრი ზრდა და დასახლების სიმჭიდროვის შემცირება. როგორც აღვნიშნეთ, თბილისში დასახლების სიმჭიდროვე 350 კაცი პექტარზე, რაც საგრძნობლად დაბალია, ვიდრე ჩვენი ქვეყნის სხვა მსხვილი ქალაქების სათანადო მაჩვენებლები.

დასახლების დაბალი სიმჭიდროვის დროს ადგილი აქვს ქალაქის სატრანსპორტო კომუნიკაციების საგრძნობ გაჭიმვას. ჩვენი ქალაქის პირობებში ამას კიდევ ამწვავებს ქალაქის დაგეგმარების წრფული განლაგება და ქუჩების ისტორიულად ჩამოყალიბებული სტრუქტურა, რაც საშუალებას არ იძლევა შეიქმნას სამგზავრო ტრანსპორტის მჭიდრო სამარშრუტო ქსელი. ამის მიზეზით საერთო სარგებლობის ტრანსპორტის მოძრაობა გადატანილია მხოლოდ ქალაქის რამდენიმე ძირითად მაგისტრალზე, ცალკეულ რაიონებში ვანშთებებით. ქალაქის მთელი რიგი რაიონები კი (განსაკუთრებით ტრასებზე მოთავსებული საცხოვრებელი რაიონები და საწარმო ობიექტები) სათანადო სავაო პირობების უქონლობის გამო მოკლებულია სამარშრუტო ტრანსპორტით მომსახურებას. ასეთ პირობებში საგრძნობლად არის გავრდილი სატრანსპორტო მაგისტრალზე მისასვლელი მანძილი და დრო, რომლის შემცირების მიზნით შემოკლებულია გაჩერებებს შორის მანძილი. ეს კი საგრძნობლად სცემს მოძრაობის საექსპლუატაციო სიჩქარეს და ზრდის მოძრაობაზე დროის დანახარჯებს.

თუქმის, გლდანის, ვარკეთილისა და დღიშის საცხოვრებელი მასივების სატრანსპორტო მომსახურებისათვის შერჩეული ვერ არის საქალაქო ტრანსპორტის ობტიმალური სახეობა, მიკრორაიონების შიგნით ქუჩების სტრუქტურა საშუალებას არ იძლევა დაგეგმარდეს მჭიდრო სამარშრუტო ქსელი, — მასივის მისასვლელი გზები ვერ პასუხობს დიდი მზიდუნარიანობის მოძრავი შემადგენლობის გამოყენებას, რის გამოც სამგზავრო ტრანსპორტზე მოთხოვნილება საგრძნობლად ჰარბობს დღეისათვის მოქმედ საქალაქო ტრანსპორტის შესაძლებლობას. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იქმნება სამუშაოს დაწყების და დამთავრების პერიოდში, როდესაც ტრანსპორტზე მოთხოვნილება რამდენჯერმე იზრდება. დადგენილია, რომ „პიკის“ საათებში ტრანსპორტი ასრულებს სადღეამისო სამუშაოს ერთ მესამედს. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს „პიკის“ საათებში მგზავრობის მინიმალური პირობები, რაც არსებული ნორმებით ნიშნავს მოძრავი შემადგენლობის ერთ კვად-

რატულ მეტრზე არა უმეტეს 4-5 კაცს, სპი-
როა დღეისათვის მარშრუტებზე მომუშავე მოძ-
რავი შემადგენლობის რიცხვი ერთისამად გა-
იზარდოს. სამუშაოდ, დღეისათვის ეს ვერ
ხერხდება, რის გამოც „პიკის“ საათებში ქალა-
ქი განიცდის „გულის უკმარისობის“ მსგავს
მოვლენას მეტად მწვავე ფორმებში, აქედან
გამომდინარე სერიოზული შედეგებით, როგო-
რიცა მშრომელთა მსიური დავიანება სამუ-
შაოზე და ათასობით ვაცდენილი საათი, ტრანს-
პორტის და გაჩერებებზე დროის უქონო
ფორანგვა, მოქალაქეთა ნერვიული გადატვირთვა
და ქალაქის რიტმული ცხოვრების მოშლა.
სხვას რომ ყველაფერს თავი დაეანებოთ, რო-
გორც არსებული მონაცემები აჩვენებს, ტრანს-
პორტზე შედმეტად დაზარალებული ყოველი 10
წუთი ამუშის შრომის ნაყოფიერებას 4 პროცენ-
ტით ამცირებს.

აი რა ფასი უჯდება საზოგადოებას ტრანს-
პორტის არაღამაკმაყოფილებელი მუშაობა.

ბუნებრივია, დაისმება კითხვა, რა ღონისძი-
ებებით შეიძლება მდგომარეობის რადიკალური
გაუმჯობესება?

ერთი შეხედვით, ამ პრობლემის გადასაჭ-
რელად ყველაზე იოლი გზა სამგზავრო ტრანს-
პორტის მოძრავი შემადგენლობის რიცხვის გაზ-
რდა. მაგრამ საკმარისია ამ გზას დავადგეთ,
რომ მავინვე თავს იჩენს რამოდენიმე სერიო-
ზული პრობლემა. აქედან პირველია საწარმოო
ბაზების უქონლობა.

დღეისათვის 720 ავტობუსი, რომელიც ქა-
ლაქს ემსახურება, განლაგებულია 6 საწარმოში.
არსებული საწარმოო ბაზების სიმძლავრე არა
თუ შესაძლებლობას იძლევა გაიზარდოს მოძ-
რავი შემადგენლობის რიცხვი, არამედ ვერ უზ-
რუნველყოფს არსებული პარკის მომსახურე-
ბის ელემენტარულ პირობებს. საწარმოთა უმე-
ტესობა მოთავსებულია დროებით საწარმოო
ბაზებში. ტერიტორია და საწარმოო სიმძლავ-
რეები კი საგრძნობლად ჩამორჩება არსებული
პარკის მოთხოვნებს. ასე მაგალითად № 1 ასს-ში
214 ავტობუსია, მაშინ როცა საწარმოო ბაზის
სიმძლავრე არ აღემატება 150-ს; ანალოგიური
მდგომარეობაა მე-3 და მე-4 ავტოსატრანსპორ-
ტო საწარმოებში და ავტოკოლონა 2656-ში,
სადაც საწარმოო ბაზის სიმძლავრესთან შედარ-
ებით ორჯერ მეტ ავტობუსს ემსახურებიან.

საწარმოო სიმძლავრეთა უკმარისობა, ტექ-
ნიკური აღჭურვილობის დაბალი დონე, ელემ-
ენტარული სამუშაო პირობების უქონლობა
განაპირობებს იმას, რომ სათანადო დონეზე
არა ღდას მოძრავი შემადგენლობის მომსახუ-
რება. ამის გამო სწორ შემთხვევებში ფერხდ-
ება ავტობუსების ხაზზე გაშვება, მარშრუტებ-
ზე ტექნიკურად გაუმართავი მოძრავი შემად-
გენლობა გადის, რის გამოც ადგილი აქვს ხაზ-
ზე ავტობუსების მწყობრიდან გამოსვლისა და
მეურნეობაში მათი ნაადრევად დაბრუნების

შემთხვევებს. ეს იწვევს ტრანსპორტზე ნორ-
მით გათვალისწინებული მოძრავი შემადგენლობის
დაუშვებელ გაზრდას, რაც სამგზავრო ტრანს-
პორტის ნაკლებობის პირობებში მკვეთრად
აუარესებს მოსახლეობის მომსახურების პირო-
ბებს. საგულახმათა ის ფაქტი, რომ უკანასკნელ
წლებში ქალაქის ტრანსპორტის ინტენსიური
ზრდის პირობებში საწარმოო ბაზების სიმძლავ-
რე თითქმის იგივე დონეზე დარჩა. ამის მიზეზი
ის არის, რომ დროულად არ დამთავრდა ორი სა-
ავტობუსო მეურნეობის მშენებლობა, რომელ-
იც ვითვალისწინებული იყო საქ. სსრ მიწის-
ტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილებით.
ერთ-ერთი მათგანის მშენებლობა, რომელიც
უნდა დამთავრებულიყო 1969 წელს, დღესაც
ქაინაუღდება, თუმცა აღნიშნული საწარმო უკ-
ვე მთლიანად არის შევსებული მისი სიმძლავ-
რის შესაბამისი პარკით.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია № 3
საწარმო, რომელიც 26 კომისრის რაიონს
ემსახურება. საწარმოს ტერიტორია მოქცე-
ულია აეროპორტის გზის რეკონსტრუქციის
ზონაში, რის გამოც ვითვალისწინებულია მისი
სხვა ადგილზე გადატანა. ახალი საწარმოო ბა-
ზის მშენებლობა დაწყებული არ არის, არსე-
ბული ბაზა კი ვერ აკმაყოფილებს პარკის
მომსახურების ელემენტარულ პირობებს.

დღეისათვის თბილისის საავტობუსო მეურ-
ნეობებს 200-მდე მძლოლი აკლიათ, ეს მა-
შინ, როდესაც 600-მდე მძლოლი რესპუბლიკის
სხვადასხვა რაიონებიდან შრომითი ხელშეკრუ-
ლებით არის ჩამოსული. ამ პრობლემამ თავი
იჩინა უკანასკნელ წლებში და მდგომარეობა
წლიდან წლამდე უარესდება. საქმე იმაშია,
რომ სატრანსპორტო საშუალებათა მკვეთრი
რაოდენობრივი ზრდა, რაც უკანასკნელ ხანს
შეინიშნება ჩვენს ქვეყანაში და მათ შორის
ჩვენს რესპუბლიკაში, მოითხოვს მძლოლთა კონ-
ტინგენტის საგრძნობ გაზრდას. დღეისათვის
თბილისის სახელმწიფო ავტოსატრანსპორტის
ნორმალური ფუნქციონირებისათვის სპი-
როა 25 ათასამდე მძლოლი, რაც ქალაქის შრო-
მისუნარიანი მამაკაცების 8-10 პროცენტს
შეადგენს. ცხადია შრომისუნარიანი მოსახლე-
ობის ასეთი დიდი ნაწილის სახალხო მეურნე-
ობის ერთ დარგში დასაქმება სერიოზულ სირ-
თულს წარმოადგენს. შექმნილ ვითარებაში
მძლოლთა ნაკლებობა პირველ რიგში ქალაქის
მომსახურებაზე დასაქმებულ საავტობუსო მე-
ურნეობებში შეინიშნება. ამის მიზეზია ქალა-
ქის ავტობუსის მძლოლის შრომის რთული პი-
რობები და არაღამაკმაყოფილებელი საწარმოო-
საყოფაცხოვრებო გარემო.

გურამ ფანჯიკიძე
თბილისი გუშინ, დღეს, ხვალ...



მძლოლის შრომის სირთულე განპირობებულია ვაზრდილი ფსიქიკური და ფიზიკური დატვირთვით, რასაც ავტობუსის მართვა მოითხოვს ქალაქის ინტენსიური მოძრაობის პირობებში, განსაკუთრებით კი „პიკის“ საათებში. გარდა ამისა, ავტობუსის მძლოლი ძირითად ფუნქციასთან ერთად ასრულებს მთელ რიგ დამატებით მოვალეობებს (კარების გაღება-დახურვა, მგზავრების ასვლისა და ჩასვლისას უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ხშირი გაჩერებები, უკონდუქტორად მომუშავე ავტობუსებში კი კონდუქტორის ფუნქციების ნაწილი. ამას უნდა დაემატათ შრომის არასტანდარტული რეჟიმი, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დროის ხშირი ცვლებადობა და მცოცავი დასვენების დღეები).

მძლოლის რთულ სამუშაოს ემატება შრომისა და დასვენების ორგანიზაციის არადაამკმაყოფილებელი დონე. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მძლოლებს არა აქვთ შექმნილი ელემენტარული პირობები ხაზზე ნორმალური მუშაობისათვის. დღემდე არც ერთი მარშრუტის ბოლო პუნქტში მოწყობილი არ არის მოსადილო პავილიონები და ტულეტები, რის გამოც მძლოლებისათვის არ არის შექმნილი ელემენტარული მოთხოვნათა დასაკმაყოფილებელი პირობები, რომ აღარაფერი ვთქვათ ნორმალურ დასვენებასა და კვებაზე.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ამ მხრივ მდგომარეობა წლიდან წლამდე არ სწორდება, მიუხედავად იმისა, რომ მინისტრთა საბჭომ ორჯერ მიიღო დადგენილება. ამჟამად მხოლოდ ორი პავილიონის მშენებლობა მიმდინარეობს. მდგომარეობა კი დაუყოვნებლივ გამოსწორებას მოითხოვს. ამ მხრივ საყურადღებოა სხვა ქალაქების გამოცდილება. მაგალითად, ქ. კიევიში გაჩერების ბოლო პუნქტებში, განსაკუთრებით ახალი მშენებლობის რაიონებში, მძლოლთა დასასვენებელი პავილიონებისა და სადისპეტჩერო პუნქტების მოსაწყობად ორთაახიანი სტანდარტული ბინები გამოყვეს. რითაც შესაძლებელი გახდა პერსონალის ნორმალური შრომისა და დასვენებისათვის მთლიანი კომპლექსის მოწყობა.

მძლოლების პრობლემასთან დაკავშირებით კიდევ ერთ გარემოებას უნდა გავსვას ხაზი. როგორც აღვნიშნეთ, ტრანსპორტის მკვეთრი რაოდენობრივი ზრდა მოითხოვს მოსახლეობის სულ უფრო დიდი რაოდენობის დასაქმებას მძლოლის პროფესიით. ამასთან დაკავშირებით მწვევაღ დგება მძლოლის შრომის ნაყოფიერების საკითხი. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ დღეისათვის მეტად არასახარბიელო სურათია შექმნილი. კერძოდ, საკითხი ეხება საუწყებო სამგზავრო ავტოტრანსპორტი. მაშინ, როცა საზოგადო ტრანსპორტი განიცდის მძლოლთა

კადრების ქრონიკულ ნაკლებობას, საუწყებო ტრანსპორტის რიცხვი და შესაბამისად დასაქმებული მძლოლების რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება. მაგალითად, 1967 წელს საზოგადოებრივი ავტობუსებისა და საუწყებო ავტობუსების შეფარდება იყო 77 პროცენტი 23-ზე. 1972 წელს კი 63 პროცენტი 37-ზე. ვფიქრობთ, სურათი ნათელია. შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით ეს ტენდენცია არასწორად უნდა ჩაითვალოს, რადგან თითქმის იგივე ანაზღაურების დროს საუწყებო ტრანსპორტის მძლოლის შრომის ნაყოფიერება გაცილებით დაბალია (ორჯერ და მეტჯერ), რაც იწვევს დიდი რაოდენობით მძლოლთა შრომის მფლანგველურ გამოყენებას.

მძლოლთა კადრების ნაკლებობა სერიოზულად ზღუდავს სამგზავრო ტრანსპორტის რაოდენობრივი ზრდის ტენდენციას. ქალაქის მოსახლეობის გადაადგილებაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად საჭირო ხდება არსებულ მძლოლთა კადრების შრომის რაციონალურად გამოყენება. ამ მიზნით საკმაოდ კარგ შედეგს იძლევა ვაზრდილი მზიდუნარიანობის მოძრაიე შემადგენლობის გამოყენება. მაგალითად: „ლიზა-677“ მარკის ავტობუსის „ლაზა“ მარკის ავტობუსთან შედარებით თითქმის ორჯერ მეტი მგზავრი გადაჰყავს.

ამ მხრივ უკანასკნელ წლებში გარკვეული ნაბიჯებია გადადგმული. დღეისათვის თბილისში მძლოარ მზარდნაკადიან მარშრუტებზე 130-მდე „ლიზა-677“ მარკის სპეციალური საქალაქო ტიპის ავტობუსი მუშაობს, მაგრამ მთელ რიგ მარშრუტებზე, სადაც ამ მარკის ავტობუსების გამოყენებას დადებით შედეგი შეიძლება მოეცა მგზავრთა მომსახურების პირობების გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებით გლდანის, ვარკეთილის, თემისა და სხვა დასახლებების მომსახურებისათვის, ამ ღონისძიების გატარება ვერ ხერხდება სათანადო საწარმოო ბაზების უქონლობის და არადაამკმაყოფილებელი საგზაო პირობების გამო.

მეორე უდიდესი პრობლემა ქალაქის ტრანსპორტით მომსახურების საქმეში არის ქუჩის გამტარუნარიანობის, მოძრაობის ორგანიზაციის პრობლემა.

როგორც აღვნიშნეთ, ქალაქის გეოგრაფიული და განაშენიანების სპეციფიკური პირობები განსაზღვრავს ქუჩების სტრუქტურასა და მის გამტარარიანობას. ტრანსპორტის ინტენსიური ზრდის პირობებში ქალაქის ბევრი მაგისტრალი, ქუჩა და მოედანი, განსაკუთრებით ცენტრალურ ნაწილში საგრძნობლად გადაიტვირთა ტრანსპორტით და მაქსიმალური გამტარუნარიანობის ზღვარზე მუშაობს. ეს იწვევს მთელ



რივ საყვანძო ადგილებში ტრანსპორტის მოძრაობის სერიოზულ შეფერხებას. განსაკუთრებით კი „პიკის“ საათებში, რის გამოც ზშირად საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ტრანსპორტის მოძრაობა მთლიანად პარალიზდება. ასეთი „მიკროინფარქტი“ განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს სამარშრუტო ტრანსპორტზე. „პიკის“ საათებში, როდესაც ტრანსპორტზე მოთხოვნილება საგრძნობლადაა გაზრდილი, ზუსტი განრიგის ნაცეკლად საერთო სარგებლობის ტრანსპორტი თითქმის სტიქიურად მუშაობს, სერიოზულად ირღვევა მოძრაობის რეგულარობა და მკვეთრად ეცემა საექსპლოატაციო სინქარე. არის შემთხვევები, როდესაც მთელ რივ მარშრუტებზე ხანგრძლივი დროით მთლიანად წყდება მოძრაობა. ეს, რა თქმა უნდა, საგრძნობლად აუარესებს მგზავრთა მომსახურების პირობებს და მოსახლეობის უკიდურეს უკმაყოფილებას იწვევს.

ასეთ პირობებში სამგზავრო ტრანსპორტის რაოდენობრივი ზრდა ნაკლებ ეფექტური ღონისძიებაა. პირაქათ, ამან შეიძლება უარყოფითი ეფექტი გამოიღოს.

სამგზავრო ტრანსპორტის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფისათვის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ქუჩების გამტარუნარიანობის გაზრდა. ამ მიზნის მიღწევა შეიძლება რადიკალური ღონისძიებების გატარების გზით. ექრძოდ, დაუყოვნებლევ უნდა დაიწყოს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა დიდი თავშეყრის ადგილებში მიწისქვეშა გადასასვლელების, ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის ურთიერთგადაკვეთის ადგილებში საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა, ჩქაროსნული გზების და ტრანზიტული მაგისტრალების მოწყობა და ა. შ. მართალია, ეს ღონისძიებები დიდ კაპიტალურ დაბანდებას მოითხოვენ, მაგრამ მათ გარეშე შეუძლებელი იქნება ქალაქის ტრანსპორტის მუშაობის სერიოზული გაუმჯობესება.

აღნიშნული ღონისძიებების გვერდით საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის საკითხებს. ჩვენი ქვეყნის და საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკაში ცნობილია მთელი რიგი მეთოდები, რომლებიც საშუალებას იძლევიან თავიდან იყოს აცილებული ტრანსპორტის მოძრაობის პარალიზების შემთხვევები. ამ ღონისძიებათა არსენალში მრავალი მეთოდია — ცალმხრივი მოძრაობის ორგანიზაცია, გარკვეულ რაიონებში ტრანსპორტის მოძრაობის აკრძალვა, სამგზავრო ტრანსპორტისათვის მოძრაობის უპირატესობის შექმნა, მისთვის სპეციალური ქუჩებისა და მაგისტრალების გამოყოფა და ა. შ.

ტრანსპორტის მუშაობის ორგანიზაციისთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას კიდევ ერთ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას

უნდა გავცეას ხაზი. საქმე ეხება საქალაქო ტრანსპორტის ეკონომიკას. თანამედროვე ევროპულ ურბოლო პოლიტიკის პირობებში სატრანსპორტო ორგანიზაციისაგან მოითხოვება წარმოების ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები: მოგება და რენტაბელობა.

ქალაქმშენებლობის თანამედროვე ტენდენციების პირობებში, როდესაც ქალაქის ტერიტორია სწრაფე ტემპით იზრდება, რასაც თან მოსდევს სატრანსპორტო კომუნიკაციების გაწვიმა, საგრძნობლად იზრდება მგზავრობის საშუალო მანძილი. ამჟამად თბილისში მგზავრობის საშუალო მანძილი 4,5 კმ-ს შეადგენს მაშინ, როდესაც მგზავრობის საფასური 5 კპი-კი აღებულა იმ ანგარიშიდან გამომდინარე, რომ ეს მაჩვენებელი არ აღემატებოდეს 3,3 კმ-ს. ამის გამო ქალაქის მარშრუტების საკმაოდ დიდი ნაწილი ავტომეურნეობებს მოგების ნაცვლად საგრძნობ ზარალს აყენებს.

ასეთ პირობებში, როდესაც მომსახურება და რენტაბელობა ერთმანეთის მიმართ ანტაგონისტურ კავშირში არიან, ავტომეურნეობები დგანან დილემის წინაშე. მომსახურების გაუმჯობესება მოითხოვს ავტობუსების რაოდენობის გაზრდას, დიდი მზიდუნარიანობის მოძრავი შემადგენლობის გამოყენებას, მოძრაობის ინტერვალის შემცირებას, ტრანსპორტიდან ტრანსპორტზე გადაჯდომის გამორიცხვას, ე. ი. პირდაპირი მარშრუტების დაწესებას, მოძრაობის სინქარის გაზრდას, ე. ი. გაჩერებათა რიცხვის შემცირებასა და ექსპრესული მოძრაობის დაწესებას. მაშინ, როცა ეკონომიკა საწინააღმდეგო მოთხოვნას აყენებს, რომ თითო ავტობუსით გადაყვანილი იყოს რაც შეიძლება მეტი მგზავრი და რაც შეიძლება მოკლე მანძილზე. აქედან გამომდის ავტომეურნეობების მისწრაფება — მარშრუტზე ამუშაოს იმ რაოდენობის და ისეთი ტევადობის მოძრავი შემადგენლობა, რომელიც უზრუნველყოფს მთელი დღის განმავლობაში ავტობუსის ნორმალურ დატვირთვას, — გაზარდოს მოძრაობის ინტერვალი, შემციროს საღამოს და ღამის რეისები, როცა ავტობუსის შეგვება საგრძნობლად მცირეა, დაანაწევროს მარშრუტები და გაზარდოს გადაჯდომათა რიცხვი, უარი თქვას ექსპრესულ და ნახევრად ექსპრესულ მარშრუტებზე. ასეთია სამგზავრო ტრანსპორტზე მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტის მიღების შედეგი.

მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ იქნა წამოჭრილი ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტის დაგეგმვის პრინციპების გადამსწვდის საკითხი, დღემდე იგი ვადაუჭრელი რჩება.

როგორც საავტომობილო ტრანსპორტის მი-

ზურამ ზანჯიშიძე
თბილისი გუშინ, დღეს, ხვალ...

ნისტრის და მგზავრთა გადაყვანის სამმართველოს უფროსის ძალზე პროფესიული და საქმიანი საუბრიდან შეგვიძლია დავასკვნათ, თბილისის ტრანსპორტით მომსახურების საკითხი არამც თუ შესაბამემა ნორმალურ მოთხოვნებს, არამედ ვერ ვხედავთ მოკლე დროში მისი გაუმჯობესების ეფექტურ გზებს. ამ პრობლემას ვერ გადავჭრით აღმინისტრირებით ან შიშველი ენთუზიაზმით. ეს რთული, მეცნიერულ-კომპლექსური სამუშაოა, რომელიც ორგანულადა დაკავშირებული დედაქალაქის მრავალ გადასატრელ პრობლემასთან.

ავტონისპექციის თვალსაზრისით რამდენად აკმაყოფილებს თბილისი თანამედროვე მოთხოვნების დონეს და რამდენად სწორად იგეგმება ახალი რაიონები? — ამ კითხვით მივმართეთ თბილისის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის უფროსს **ზურაბ ხატელიშვილს**.

ევროპისა და აზიის ბევრ ქალაქში მოძრაობის სიჩქარე „ბიჯის საათებში“ ზოგჯერ ფეხით მოსიარულის სიჩქარეზე ნაკლებია. ასე რომ თბილისი არ წარმოადგენს გამონაკლისს. საუკუნემ გარკვეული პრობლემის წინაშე დააყენა საქაანო ტრანსპორტისათვის განკუთვნილი ქუჩებიანი ქალაქები. დღეს ძველი თბილისის ვიწრო ქუჩები, სადაც ადრე თავისუფლად დანაწარმობდა ჰავადაქმებისა და ორბელიანების ფაქტონი, სრულიად გამოუსადეგარია ახალი სახის ტრანსპორტისათვის. გარდა ამისა, თბილისს მისი რელიეფი და ამით გამოწვეული განაშენიანების თავისებურებაც ანსხვავებს თანამედროვე ქალაქისაგან. და ამ მიზეზით ქალაქში ტრანსპორტის აბსოლუტური უმრავლესობა ქუჩების მხოლოდ ხუთ პროცენტს იჩრევს სამოძრაოდ.

ბუნებრივია, რომ ქალაქის მშენებლობა ფეხს ვერ აუწყობს ავტომობილიზაციის სწრაფ ტემპს. თბილისის განვითარების გენერალური გეგმა 2000 წლისათვის ითვალისწინებს ახალი საავტომობილო ტრასების, მიწისქვეშა გვირაბების მშენებლობასა და ესტაკადების მოწყობას. მანამდე კი აუცილებელია ვიფიქროთ და პრაქტიკულად გადავწყვიტოთ გზების საკითხი უახლოესი წლებისათვის, რადგან სადღეისოდ არსებული ერთმანეთით გამოსავალი — **მოძრაობის მაღალ ტექნიკურ დონეზე ორგანიზაცია**, რამდენიმე წლის შემდეგ სრულდებათად **ადარ იქნება საქმარისი და ხვალ ტრანსპორტის მოზღვაეების პირობებში არსებული გზები** ვივარ უზრუნველყოფენ მის შეუფერხებელ გატარებას.

ბოლო ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში თბილისს შეემატა რამდენიმე ახალი რაიონი. მათი ქუჩების გაბარიტული სიგანე ზოგჯერ დღევანდელ მოთხოვნასაც ვერ აკმაყოფილებს. მით უმეტეს ვერ მოემსახურება იგი ხვალინდელ ტრანსპორტს. ამასთან ახლად გა-

ყვანილ ქუჩებზე არ კეთდება მიწისქვეშა გადასასვლელები და სხვა დამხმარე ნაგებობები. გარდა მეგობრობის გამზარისა (სტრუქტურა) თი მიწისქვეშა გადასასვლელი გააკეთეს ქვეითად მოსიარულეებისათვის, რაც მოვალეობის მოხდას უფრო ჰკავს ვინემ ხვალინდელ დღეზე ზრუნვას), მშენებლებს არც ერთ ახლად გაყვანილ ქუჩაზე არ გაუკეთებიათ მიწისქვეშა გადასასვლელი. ამ მხრივ უფრო იმედის მომცემია აეროპორტისაკენ მიმავალი უწყვეტი მაგისტრალის მშენებლობა, რომელიც მომავლის ყველა მოთხოვნის დონეზე შენდება.

იგი ალბათ უახლოეს ხანში ჩადგება მწყობარში. დიდი მნიშვნელობა ექნება აგრეთვე საბურთალო-დიდუბის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობას. მაგრამ ეს როდია საქმარისი. უახლოესი წლებში აუცილებელია კიდევ რამდენიმე ასეთი ხიდის აშენება, ქალაქის გრძივი და განივი, შეუნელებელი მოძრაობის მაგისტრალების გაყვანა. ეს კი გულისხმობს ქუჩების გადაკვეთას სხვადასხვა დონეზე და მათ აღკურავს მოძრაობის მარეგულირებელი უახლოესი საშუალებებით. უნდა დანიერგოს ტრემეტრული მეთოდები. მოძრაობის ორგანიზაციის კორდინატორი სისტემების დანერგვა მაქსიმალურად გაადვილებს მძღლის მუშაობას, უფრო გამტარუნარიანს გახდის ქუჩებსა და მაგისტრალებს. ამასთან აუცილებლად უნდა გაიყვანონ სატრანზიტო გზები, რადგან დღეისათვის თბილისში გადის ტრანზიტით მიმავალი რამდენიმე ათასი ავტომანქანა. ამ ნაკლისაგან ქალაქის ქუჩების განტვირთვა მნიშვნელოვანდ შემცირებს სატრანსპორტის „საკობებს“ და უფრო მოქნილს გახდის შიდასაქალაქო ტრანსპორტის მუშაობას.

როგორც უკვე ითქვა, ყოველივე ეს ქალაქის განვითარების გენერალურ გეგმაში გათვალისწინებულია 2000 წლისათვის. სამწუხაროდ, ტრანსპორტის განვითარების დღევანდელი ტემპები მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ვერ დაელოდება ამ სიახლეებს. საქირაა დღესვე ვიზრუნოთ და მთელი ძალების მაქსიმალური დამაბებით ვიმუშაოთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება ხელი შევუწყუთ მოძრავი ტრანსპორტის განვითარების საკითხს. თბილისისათვის (და არა მარტო თბილისისათვის) ხვალინდელ ტრანსპორტის იდეალური სახეა მეტროპოლიტენი.

რა თქმა უნდა, მეტროპოლიტენს არ შეუძლია მიწისზედა ტრანსპორტი მთლიანად განტვირთოს. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვიტყვით უარს ელექტროტრანსპორტის ისეთ სახეობებზე, როგორიც ტრამვაი და ტროლეიბუსია. მათი ხაზები ძირითადად უნდა გაიყვანონ ქალაქის გარეუბნების ისეთ ქუჩებში, სადაც სხვა სახის ტრანსპორტი არ იმოძრაეებს.

ტრამვანის დღევანდელი სიჩქარე, რომელიც 13 კილომეტრს არ აღემატება, 30 კილომეტრამდე მაინც უნდა გაიზარდოს.

საქალაქო ელექტროტრანსპორტთან შედარებით ჯერჯერობით პრიორიტეტს კვლავ ავტობუსი ენაჩუნებს, რამდენადაც მისი საქსპლოატაციო სიჩქარე მეტია და უფრო მოქნილი. თუმცა ავტობუსსაც აქვს ერთი დიდი ნაკლი, იგი მუშაობის პროცესში გამოყოფს მოწინაველ ვაზს. მაგრამ უახლოეს ხანში ჩვენს ქალაქში შემოვა თხევადი გაზის ძრავებზე მომუშავე ავტობუსები, რომლის მიერ გამოყოფილი მვენე გაზი ერთიორად ნაკლები იქნება ბენზინის ძრავიანი მანქანებიდან გამოყოფილ გაზებზე.

როგორც ვხედავთ, პრობლემები ბევრია და რთული. მათი გათვალისწინება ახლავს გემართებს და მათ გადასაჭრელად დღეიდანვე უნდა ემსახობოდ.

თბილისის სატელეფონო ქსელი დიდი ხანია იქცა ფელეტონის და მწვევე ირონიის თემად. ვინ არ დავსაჯა, ვინ არ მოიხსნა, მაგრამ საქმის არაფერია ეშველა. ეს იმიტომ, რომ მხოლოდ მაშინ გამოვიღოთ ხელი, როცა კატასტროფის წინაშე დავდევით. დღევანდელი ცხოვრების რიტმი და, მით უმეტეს, დედაქალაქისა, წარმოუდგენელია ტელეფონის გარეშე. მთელი ტერმინოლოგიის სისტემა დასჭირდა იმის დაანგარიშებას, თუ რა ეკონომიური ზარალი მიაყენა დედაქალაქს ტელეფონების ცუდად მუშაობამ. ვინ დათვლის, წარმოება-დაწესებულებებში რამდენი სამუშაო საათი ვაცდა ცუდი კავშირის გამო, რასაც აურაცხელი ეკონომიური ზარალი მოჰქონდა და მოაქვს ჩვენს მურყნობისთვის. ამას დავუმატოთ ადამიანების ნერვიული აღგზნება, ნერვიული გადაღლა, რასაც უშუალოდ იწვევს სატელეფონო ქსელის ცუდი მუშაობა. სატელეფონო სისტემის სრულ ქაოსს თან ერთვოდა მომსახურე პერსონალის აღვირახსნილობა, აბონენტთა მიმართ სრულიად უსაბუხისმგებლო, ცინიკური დამოკიდებულება, გამოძალვა, შეუწყნარებელი ალბ-მიცემობა, წლების განმავლობაში ტელეფონის ნომრებით ვაჭრობა და ვინ მოთვლის რამდენი მაქინაცია.

ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა ცნობათა ბიუროების მომსახურება, ხოლო საქალაქთაშორისო სადგურში თითქმის ვერ შეუქვეთავდა ლაპარაკს ის კაცი, რომელმაც მხოლოდ ქართული იცოდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვეტილი ზომები მიიღო სავანგამო მდგომარეობის გამოსასწორებლად. უკვე არსებულ საგალო მდგომარეობაზე და მისი გამოსწორების პრაქტიკულ გზებზე გვესაუბრა კავშირგაბმულობის ახალი მინისტრი ზურაბ ჩხეიძე.

— თუ სამინისტროს საერთო საქმიანობაზე გვექნება საუბარი,—თქვა მან,—იგი არც თუ ისე მოუწესრიგებელი მუერნეობაა. მე მხედველობაში მაქვს სამინისტროს ყველა დარგი და

სამსახური, რომლებიც ძირითადად დამაკმაყოფილებლად მუშაობს. გამოჩაყლისს საქმეებს განს ქალაქის სატელეფონო სამსახური, რომელიც სამინისტროს საქმიანობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს შეადგენს და თუ მხოლოდ ამ დარგზე ვისაუბრებთ, რასაკვირველია, მისი მუშაობის საზომად სიტყვა „მოუწესრიგებელი“ რბილი გამოთქმა იქნება. მდგომარეობა უფრო ცუდადაა. მიზეზი ბევრია და მეტად სერიოზული.

დღემდე მოუწესრიგებელია ისეთი საკითხები, რომლებიც 10-15 წლის წინ უნდა ვადაწყვეტილიყო. ცუდადაა კადრების მომზადების საქმე, წარმოების დღევანდელი განვითარების დონე ითხოვს მაღალკვალიფიციური მუშასპეციალისტს და ტექნიკურ პერსონალს, მით უმეტეს, ეს საჭიროა კავშირგაბმულობის დარგში მისი სპეციფიკის გამო.

სამინისტროს რესპუბლიკის მასშტაბით ათეულ ათასობით სჭირდება ასეთი კადრი, მაგრამ დღემდე არ გააჩნია პროფტექნიკური სასწავლებელი, ასევე არა აქვს ტექნიკური სასწავლებელი. ახლად მიღებული პირველივე გასაპირის დროს სტოვებს სამუშაოს, რის გამოც დიდი დენდობაა.

ძალზე დაბალია შრომის და საწარმოო დისციპლინა. სამინისტროს ხელმძღვანელობისა და ხელმძღვანელების მითითებები უმეტეს შემთხვევაში არ სრულდებოდა. თითქმის არ ტარდებოდა პროფილაქტიკური შეკეთებები სატელეფონო სადგურების არც ერთ უბანზე.

ძალზე ცუდ მდგომარეობაშია ქსელი, საკაბელო სისტემა და ავტომატურ სადგურების შემავრთებელი ხაზები. თავის დროზე მათი შეკეთება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა, დღეს კი დაგროვილია 3-4 წლის მოცულობის სამუშაო. ტექნიკა თანამედროვეა, მოითხოვს, მხოლოდ მოწესრიგებას და ნორმალურ მოვლა-პატრონობას.

ერთი შეხედვით, თბილისის სატელეფონო სადგური თითქმის დამოუკიდებელი ორგანიზაცია იყო, რომელსაც არავითარი საერთო არ ჰქონდა სამინისტროსთან და რომლის ყოფილი ხელმძღვანელობა დაინტერესებული იყო ყველაფრით, გარდა ნორმალური მუშაობისა. მოუწესრიგებელია სააბონენტო სამსახური. ათეული ათასობით განმცხადებელმა არ იცის თავისი რიგი და დაახლოებით ვადა თუ როდის ეღირსება ტელეფონს. ბევრი 10-15 წლის განმავლობაში ელოდება რიგს, ეს მაშინ, როდესაც, 68-70 წლებში ადრიცხვაზე აყვანილები უკვე დაკმაყოფილებულნი არიან.

ზურაბ მანჯიკიძე

თბილისი გუზინი, დღეს, ხვალ...



ზოგიერთი უზნეო მუშაის არაობიექტური გადაწყვეტილებით ასეთი არაკანონიერი, მანკიერი დამოკიდებულება აბონენტთა და ზოგიერთ თანამშრომელს შორის იქცა. მე მგონი, დღევანდელი მდგომარეობის განმპირობებელ მთავარ მიზეზად. საქმის გამოსწორებაც, ვფიქრობ აქედან უნდა დაიწყოს. ახლო მომავალში ჩავატარებთ დიდ რეორგანიზაციას. მარჯვენა და მარცხენა ტექნიკური კვანძის ნაცვლად შევქმნით ხუთ კვანძს ქალაქის რაიონების მიხედვით.

ვეცდებით ხელმძღვანელობა დაეკომპლექტოთ კვალიფიციური, პრინციპული, კეთილსინდისიერი სპეციალისტები.

შესწავლილი სატელეფონო ქსელის ყველა უბანზე არსებული მდგომარეობა, ცნობილია რაა გასაკეთებელი. შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა ძალზე დიდია, საჭიროა დიდ რაოდენობით მასალები და მაღალკვალიფიციური მუშაკები. შედგენილია სამუშაო გეგმა-გრაფიკი, რომელიც ეტაპებადაა დაყოფილი და ითვალისწინებს სატელეფონო ქსელის სრულ მოწესრიგებას. ამას დასჭირდება არანაკლები 2-3 წლისა. ეს სრული მოწესრიგებისათვის, ხოლო მდგომარეობა დროთა განმავლობაში თანდათანობით უნდა გამოსწორდეს. იმედო ვაქვს, მიმდინარე წლის ბოლოსათვის ქალაქ თბილისის მოსახლეობამ უნდა იგრძნოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება როგორც სატელეფონო ქსელის, ასევე საქალაქაშორისო სადგურის მუშაობაში. საქალაქაშორისო სადგური დაკვეთებს გარდა 07-სა მიიღებს დამატებით 08-ზეც; 08-ზე მიღებული დაკვეთები უნდა შესრულდეს მაქსიმუმ 30 წუთის განმავლობაში. ვაპირებ ქალაქის ყველა რაიონში დაიდგას ავტომატები საბჭოთა კავშირის ქალაქებთან ავტომატური კავშირისათვის. სპეციალურად მიმდგრებული ტექნიკური პერსონალის მიერ უზრუნველყოფილი იქნება ავტომატების ნორმალურ მუშაობა.

გათვალისწინებული გვაქვს ავტომატის მაქსიმალური გამოყენება თვით სადგურში, რომელიც მთლიანად გადაწყვეტს ტელეფონისტიების უკმარისობის საკითხს.

გადაწყვეტილია პროფტექნიკური სასწავლებლის კომპლექსის, კავშირგაბმულობის ტექნიკუმის და საერთო საცხოვრებლის მშენებლობის საკითხი. ეს მომავლის საკითხებია. დღეისათვის კი აუცილებელია შრომისა და საწარმოო დისციპლინის მკვეთრი ამაღლება. მომსახურე პერსონალსა და ხელმძღვანელ ამხანაგებს შორის სახელმწიფო და პარტიული დისციპლინის ამაღლება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს დადგენილებებში მოცემულია მკაფიო ღონისძიებები, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს თბილისის სატელეფონო სადგურის ნორმალურ მუშაობას. აღნიშ-

ნავს, უმთავრეს სატყვივარზე ვილაპარაკეთ. კიდევ ბევრი რამ სტკივა ჩვენს თბილისს, მაგრამ ყველაფრის ერთ წერილში ჩატევა შეუძლებელია და არცაა საჭირო. მაგრამ არის ერთი უმთავრესი საკითხი, რომელზეც ჩვენ აუცილებლად გვმართებს საუბარი. თანაც უნდა ვილაპარაკოთ გულახდილად, პირდაპირ, არ უნდა შეგვეშინდეს სიმართლისა, არ უნდა შეგვეშინდეს საკუთარი ნაცლის მხილებისა. არაფერი ისე არ ავაობებს ცხოვრებას, როგორც თვითკაყოფილება, ობივაციულობა, მოვლენათა შეუფასებლობა, ტრაბახი.

თბილისი ისტორიული ნანგრევები როდია, რომ მნახველი მხოლოდ არქიტექტურულმა ნაშთებმა და ჩუქურთმებმა მოხიბლოს. თბილისი ცოცხალი ორგანიზმა, თბილისი საქართველოს ტვინი და გულია. ხოლო თბილისის ყველაზე უმთავრეს, ყველაზე ორგანულ კომპონენტს წარმოადგენენ თბილისელები.

ღიახ, თბილისელები, ცოცხალი ადამიანები, რომლებიც ავსებენ ჩვენს ქუჩებს, წარმოება-დაწესებულებებს, სკოლებს, ინსტიტუტებს.

საბავშვო ეტლებში მწოლარე, ქუჩებსა და ბაღებში უღარდელად მოსიერნე პატარა თბილისელები, რომლებმაც ჯერ არც კი იციან ვინ არიან, რანი არიან, რა ეროვნებისანი არიან...

თბილისში ჩამოსულ სტუმარს უპირველესად თბილისელები მოხვდება თვალში, მერე ქუჩები და არქიტექტურა.

ქართველებს გვიყვარს თავის მოწონება ჩვენი კულტურით, რაინდობით. ჩვენ ვტრაბახობთ (განსაკუთრებით სუფრაზე), რომ საქართველოში მეფობს ქალის კულტი და სათანადო ლექსიკური არგუმენტაციაც კი მოგვყავს, რომ ქართულად გამოითქმის დედ-მამა, და-მამა, ქალ-ვაჟი, ცოლ-ქმარი. მაგრამ ვაი რომ მხოლოდ ლექსიკაშია შეინარჩუნა ქალმა თავისი უპირატესობა. თორემ ძნელია ეს იგრძნოთ ჩვენს ავტობუსებსა და ტროლეიბუსებში, როცა კუნთებ-დამსხველვებული რაინდები უღარდელად სხედან სკამებზე, ხოლო ქალები საცოდავად წყდებიან წელში. ძნელია ეს იგრძნო პოეტის საათებში, როცა უმწეო ქალებს თბილისელი მამაკაცები ენერგიულად იშორებენ იდაყვებით და ისე ივალავენ გზას ავტობუსისა და ტროლეიბუსის შესასვლელისაკენ.

სამწუხაროდ, ყველა ჩვენი სტუმარი როდი იცნობს უძველეს ქართულ კულტურას, მის ლიტერატურას, ფერწერას და, საერთოდ, ჩვენი ეროვნული სულიერი საგანძურის ნიჟურებს. ისინი ჯერ ხალხს აკვირდებიან, პირველივე დასკვნებიც ქართველი ერის შინაგან კულტურაზე

მათი საქციელიდან გამომავალი. ჩვენდა სავალალოდ, ამ მხრივაც ბევრი გვაქვს თავშისაყცემი. არა მგონია, რომელიმე ქალაქის ქუჩებში გაიგონოთ იმდენი გინება, რამდენსაც გაიგონებთ თბილისის ქუჩებში. თანაც იგინებიან ისეთი თავმომწონე ვაჭარები, უკულტურობა რომ დასწამო, შეიძლება იქვე ავიგონ წესი.

თითქმის ყოველდღე ვახდებით მოწმე ასეთი სურათისა, — კინოთეატრის საღაროსთან ხუთი კაცი რომ იდგეს რიგში, მოვა კარგად ჩაცმული, წარმოსადგევი, კარგი შესახედავი ახალგაზრდა კაცი და ყოველად უსინდისოდ, შუბლის ძარღვფაწვეტილი ურიგოდ იღებს ბილეთს.

ვისაც საღ მოხედება, იქ ისარის სივარტის ნაწიწავს, ასანთის კოლოფს, ათასგვარ ნაგავს. მაღაზიაში, ქუჩაში ან ტრანსპორტზე უბრალო, შემთხვევითი დაჯახებაც კი ამაზრუნენ აყალბაყალბო, წყევლასა და ლანძღვა-გინებაში გადაიზრდება ხოლმე.

ზოგან გათაყენდებულმა მობინადრებმა ეზოს ვაზნოები შემოაკავეს და საკუთარ „მიკროფონებდა“ აქციეს. ეს უფრო უარესია, ვიდრე ქურდობა, რადგან ქურდი ჩუმად იპარავს, ამ ადამიანებმა კი დღისით-მზისით, ასეულ მობინადრეთა და ქალაქის ხელისუფალთა თვალწინ დააყარნენ უკანონობა. მერე ისე გათახედდნენ, რომ ბავშვებს თამაშს უკრძალავენ, „ჩვენს სამფლობელოში“ გამომოვარდნილი ბუბრით ნათესებს გვიფუჭებო.

ალარაფერს ვამბობთ კულტურული მომსახურების დონეზე დედაქალაქის სავაჭრო დაწესებულებებში, სასადილოში, რესტორნებში, ტრანსპორტში. რამდენჯერ უნდა მიმართო ჩვენი გამყიდველების უმრავლესობას, რომ პასუხი გაღირსოს. მათ ზრდილობასა და კულტურაზე ალარაფერს მოგახსენებთ.

კაცს გული გიკვდება, როცა ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობის ზოგიერთი წარმომადგენელი არაფრად ავდებს მგზავრების გულისწყრომას და უსიკრთვილოდ, უფრო მეტიც, გამომწვევადაც კი აბოლებს სივარტეს ისედაც ჩახუთულ ავტობუსში თუ ტროლეიბუსში.

მალღობა ღმერთს, აქ მაინც ვერ მოვიმიზეზებთ სამშენებლო მასალის უკმარობას ან გენერალური გეგმის უქონლობას. იმასაც ხომ უქანგავი ფოლადის კონსტრუქციები არ უნდა, რომ ტაქსის რევიზი თითო ბავშვიან ან ფეხმძიმე ქალს ურიგოდ დაუთმობთ ადგილი.

როგორც ბევრ რამეს, ამ რეციდივებსაც კარგა ხანია შევეგუეთ, პრესაში, ტელევიზიაში თუ რადიოში ტრაპანით ყურადღებაც მოვადუნეთ და მთელი სიღრმით ვედარ ვხედავდით ჩვენს ირგვლივ გამეფებულ უმსგავსოებებს.

ეს ცუდი ატმოსფერო უმიზეზოდ არ შექმნილა იმ ქვეყანაში, სადაც ოდიოთავნე ფასობდა

ქალის კდემამოსილება და მამაკაცის რაინდობა, ზრდილობა და სიტყვაბასუხი, თავმომწონელობა და დიდსულოვნება. ეს გარემოებაც პრიოდუქტია იმ მიზეზებისა, რამაც განაპირობა ჩვენი რესპუბლიკის ასეთი სამარცხენო ჩამორჩენა მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის დარგებში. ყველაფერს თავისი ვირუსი ჰქონდა და ვირუსის თვისებაც კარგად მოგვხსენებდათ, იგი იოლად ვრცელდება.

ერის ქემშარიტ გულშემატკივრებს ყოველთვის აღარდებდათ და აფიქრებდათ სამშობლოს, ერის ბედი. მალღობა ღმერთს, რომ ისინი ბევრზე ბევრნი არიან, თორემ უამისოდ ვედარაფერი გვიშველიან.

ამ მოვლენებით დაკავშირებით ერთი რამ მინდა გავიხსენო. ამ რამდენიმე თვის წინ წარმოდგენილი ენებათაღელვით ჩაიარა საქართველოს მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ. ცოტა უფრო ადრე კი არანაკლები მღელვარებით ჩატარდა ქართული მხატვართა მეორე ყრილობა. არც ერთგან და არც მეორეგან, ჩვეულებისამებრ, არ ყოფილა საუბარი წმინდა ლიტერატურულ თუ შემოქმედებით საკითხებზე, არ ყოფილა დავა თეთრ ლექსზე, რომანსა თუ ანტირომანზე, არ გაურჩევიათ ფერისა და კომპოზიციის საკითხები. მწერლებიც და მხატვრებიც გულისტკივილით ლაპარაკობდნენ იმ მრავალ საკიბროტო პრობლემაზე, რაც დღეს ასე ალელვებს პატიოსანი ადამიანის გულს და რომელთა თავის დროზე გადაუჭრელობამაც დიდი სიძნელებების წინაშე დააყენა ჩვენი მწერლობა, ჩვენი მხატვრობა, ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია და მეცნიერება. ლაპარაკობდნენ იმ სიძნელებებზე, რომელმაც დააქვეითა ჩვენი ხელოვნება, მეცნიერება, სოფლის მეურნეობა თუ მრეწველობა.

თვალი გადავავლოთ წარსული წლების ყრილობებს თუ პარტიული კრებების სტენოგრაფებს. განა მაშინ კი არ გამოთქვამდნენ ჩვენი შემოქმედებითი თუ სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლები თავიანთ გულისწყრომას?

რასაკვირველია, ამ დოზით არა, მაგრამ თუკი მსმენელი იყო სადმე, სათქმელი ადრეც ითქვა. მაგრამ ეს გულისწყრომა პირმოთენია მიერ შედუღაბებული კედლების გამო ყოველთვის როდი მიდიოდა ადრესატამდე.

მაინც რა პრობლემაზე, რა საკიბროტო საკითხებზე ილაპარაკეს ჩვენმა მწერლებმა და მხატვრებმა?

გურამ ფანჯიკიძე

თბილისი გუმბინ, დღეს, ხვალ...

დაბრკოლება და პრობლემა ყოველთვის იღვება მშრომელი და მოაზროვნე ადამიანის წინაშე. ცხოვრება მით უფროა საინტერესო, რომ ყოველი ახალი დღე ახალ პრობლემებს აყენებს ადამიანის წინაშე. არა, ამ პრობლემებზე როდი იყო იქ საუბარი.

სიტყვაში გამოხატული ამხანაგები გულისწყრომითა და აღშფოთებით ლაპარაკობდნენ იმ შეცდომებზე, რომელიც დაჩნდებოდა ქართველი კაცის სულსა და გონებას.

ყველასათვის ცნობილია, რა დღეშია დღეს ქართული წიგნი. არა მგონია, რომელიმე რესპუბლიკაში არსებობდეს უფრო ჩამორჩენილი პოლიგრაფიული მრეწველობა, ვიდრე ჩვენშია. არც ერთ რესპუბლიკაში არ გამოდის ისეთი უხარისხო პოლიგრაფიული ნაწარმი, როგორც საქართველოში.

ფიროსმანმა საყოველთაო სახელი გაუთქვა ქართულ ფერწერას და, საერთოდ, მიუღს ქართულ კულტურას, ქართველი კაცის შემოქმედებით ინტელექტს. ახა ვისი გული არ ავისო სიამაყით, როდესაც პარიზში, ლუვრის დარბაზში საფრანგეთის ეროვნული აღლუმით გაიხსნა მისი უკვდავი ტილოების გამოფენა.

რა გაკეთდა საქართველოში იმისთვის, რომ ბოლოსდაბოლოს აშენებულიყო ფიროსმანის მუზეუმი? მსოფლიოს ყოველი კუთხიდან ჩამოსულთ შესაძლებლობა ჰქონოდათ ენახათ მისი შედეგები? ვანა ცოტაჯერ იდგა ეს საკითხი ქართველი მხატვრების ყრილობებზე თუ პარტიულ კრებებზე? უკვე აღარაფერს მოგახსენებთ დავით კაკაბაძის თუ სხვათა და სხვათა მუზეუმებზე. აღარაფერს ვამბობთ, რა სიციფროვემი, რა საშინელ პირობებში უხდება მუშაობა ზოგ ჩვენს რედაქციას, რომლებიც სულიერ საზრდოს აწვდიან რესპუბლიკას.

სამაგიეროდ არნახული სისწრაფით შენდებოდა რესტორნები. რესტორნები ქალაქში, რესტორნები რაიონებში, სოფლებში, ავტოსტრადებზე... შენდებოდა მშვენიერი პროექტებით, სანამთუო გულმოდგინებით. ახა ავიღოთ რესტორან „არაგვის“ მშენებლობის ხარისხი და შევადაროთ იგი უნივერსიტეტის ახალ კორპუსს...

ვანა სავალალო არ არის, რომ ჩვენი სიამაყე — ისტორიული ძეგლების უმრავლესობა კატასტროფიულ დღეშია? რით უნდა ვიმართლოთ თავი ჩვენი შეილებისა და მომავალი თაობების წინაშე? რამდენი ბრძოლა დასპირდათ ქართველ მწერლებს, რომ შეეჩერებინათ ქვის კარიერების აფეთქება გელათის მიდამოებში, როცა საფრთხეში იყო ქართული კულტურის სიამაყე — უნიკალური ფრესკები.

ვანა თავისმომპრელი არ არის პომპეზური

ღრეობები, ქორწილები, სადღესასწაულო ღონისძიებები და ქელები?

წაიკითხეთ უცხოელი სტუმრების შეხვედრები საქართველოზე, რომლებსაც ისინი საკუთარ სამშობლოში აქვეყნებენ ხოლმე უკან დაბრუნებისას. როგორ ჰგვანან ისინი ერთმანეთს, რამოდენა ადგილი უჭირავს იქ ქართული სუფრის, სადღეგრძელოების აღწერას. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს საქართველოში ხალხი ჭამა-მისის გარდა არაფერს აკეთებდეს, თითქოს მთელი ქართული კულტურა და ქართველი კაცის მთელი სულიერი სამყარო მხოლოდ უხვი სუფრა, ყანწრების ტრიალი და „მრავალქამიერი“ იყოს.

ცნობილია თურქმა მწერალმა აზიზ ნესინმა დაწერა — საქართველოში ჭერის გარდა არაფერი მიწაზე. ის გულისხმობდა ყანწით შესმულ სადღეგრძელოებს, როცა თვალი გამუდმებით ჭერისაკენ ჰქონდა მიპყრობილი. ცნობილია ამერიკელმა მწერალმა არტურ მილერმა საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შემდეგ თავისი შთაბეჭდილებანი გამოაქვეყნა „ნიუ იორკ ტაიმსში“, თავისი ქართული შთაბეჭდილებანი მან მხოლოდ ერთ ფრაზაში ჩასტია — „საქართველოში შამანურის დილის 9 საათიდან სვამენო“.

მიღიარული სუფრით თავის მოწონება და ყელყელაობა სამარცხვინო ტრადიციად იქცა. ვინ მოთვლის, რამდენ პასუხისმგებელ თანამედრობის პირს მოუწონებია თავი ყოველგვარ საზღვარს გადაცილებული ღრეობით, როცა მის სუფრას უხვად ამშვენებდა ისედაც გადაგვარების პირას მისული ქართული ფაუნის იშვიათი ნიმუშები.

ვინ დათვლის, რამდენჯერ ვაგწითლებულვართ ჩვენი თანამემამულეების, უნამუსოდ ნაშოვნი ფულით გაღლებული და სულიერად გადაგვარებული ადამიანების ნამოქმედართი მოსკოვში თუ ჩვენი სამშობლოს სხვა ქალაქებში. სამწუხაროდ, ზოგი მათი საქციელის მიხედვით მსჯელობს საქართველოზე. ამიტომაცაა, რომ ამ ადამიანებმა ქართველი კაცის სახელი ბევრის თვალით აქციეს თავხედის, სპეკულანტის, განგსტერისა და მილიონერის სინონიმად.

უნამუსობისა და უსამართლობის აღწევებამ სუსტ ადამიანებს დააკარგვინა ლამაზი იდეალები, რომანტიზმი. დააკარგვინა შეგრძნება პატიოსნებისა და სიმართლის სიდიადისა. ფულმა და ოქროს ელვარებამ მათ გონებაში ჩაყლაპა პატიოსანი და ამღლებული გრძნობები. სიმდიდრემ მათი შეგრძნებიდან და მათი სახლებიდან გამოდევნა კეთილშობილება, ჰუმანიზმი, სიკეთე. ნივთებმა დაკარგეს თავისი დეკორატიული დანიშნულება, მათ მხოლოდ განძის ფუნქცია შეიძინეს. ხოლო მაქინაციებით, უპატიოსნო გზებით დაგროვილი ფული და სიმდიდრე თანდათანობით ძალაუფლებაში გადაიდა. ისინი ყიდულობდნენ თანამედრობებს, ყიდუ-



ლობდნენ სამართალს. შეილებიხათვის ყიდულობდნენ ადგილებს ინსტიტუტებსა და ასპირანტურებში. როდესაც ეს ერთმა ინგლისელმა ჟურნალისტმა დაგვიწერა, ძალიან გავწიწმბოდით და პასუხიც კი გავეცით ჟურნალ „ოკონომის“ ფურცლებზე, მაგრამ ვის ვატყუებთ, ვის ვედავებთ, ვანა ასე არ იყო?

ბუნებით ნიჰიური, შემოქმედი ქართველი ადამიანის სულში თანდათან გაბატონდა ობიექტული.

ვანა ამას ვერ ხედავდნენ პატიოსანი ადამიანები? ვანა ამას ვერ ხედავდნენ ქართველი მწერლები, სხვა შემოქმედებითი მუშაეები თუ კემპარბიტი მეცნიერები, რომლებიც არავისზე წაყლებ არ აგებდნენ პასუხს თავისი ერის წინაშე? ვანა ისინი ხმას არ იღებდნენ? ქართველმა მწერლებმა ბევრჯერ აღიმაღლეს ხმა ამ უმსგავსეობათა წინააღმდეგ, მაგრამ ვინ იყო ყურის დამგდები.

უბედურება ის იყო, რომ უკვე დაკანონებული უნამუსო გზით გამდიდრებულმა ნაძირალებმა დიდი ხანია დაკარგეს მორიდების გრძნობა. ისინი დღისით-მზისით, ყველას დასანახავად ამზეუტრებდნენ თავიანთ სიმდიდრეს, თავიანთ ძალას. არავითარი მორიდება არავის წინაშე! ისინი მშვენივრად გრძნობდნენ, რომ უნამუსობის აღზევების პერიოდში თვითონ იყვნენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი. საზოგადოებრივი ცინიზმი კი სწორედ ის იყო, რომ ხშირად ასეთი ადამიანები ოფიციალურად გვიკითხავდნენ მორალს პატიოსნებასა და კეთილშობილებაზე. და ეს ხდება სად? — სამწუხაროდ, საქართველოში, სადაც ოდიოზან ფასდება ადამიანის სულიერი სიღიადე, კულტურა, სისადავე, პატიოსნება, ნიჰი და ნამდვილი მამულიშვილური საქმიანობა.

კორჩაგინი, რომელიც ასაზრდოებდა ახალგაზრდათა სულიერ მისწრაფებებს, ახალი თაობის ერთი ნაწილისათვის დიმილისმომგვრელი გმირი ვახდა და მათ ამაში ვერ დაადანაშაულებ. მათთვის მისაბამ გმირად აქციეს საქმოსნის ტიპი, რომელსაც გიბეში „ყველაფრის გარანტია“ ჰქონდა.

რა სულიერი სისპეტაკე უნდა მოვთხოვოთ იმ მომავალ ექიმს, რომელმაც კარგად იცის, მამამისს რა ფანტასტიური თანხა დაუჯდა მისი ინსტიტუტში მოწყობა?! რომელ პატიოსნებაზე და სულიერ სისპეტაკეზე შეიძლება ესაუბრო იმ სტუდენტს, რომელმაც 50 მანეთი ჩადო მატრიკულში და ისე მოაპოვა სამიანი?! რა სულიერებით წაელენ ისინი ფაბრიკებსა თუ ქარხნებში, სამეცნიერო თუ პედაგოგიურ ორგანიზაციებში, სამედიცინო თუ სხვა დაწესებულებებში, როდესაც იმ მაგალითებით არიან

აღზრდილნი, რომ ცხოვრებაში მთავარეფექტული — სულ ერთია, რა გზით იქნება სწავლა? — სული — საკუთარი სინდისის გაყიდვით თუ ათასგვარი მაქინაციით და კომბინაციით.

ჩვენი სოციალისტური წყობის ძალისა და ძლიერების ცხოველმყოფელი წყარო ის არის, რომ მის ჯანსაღ ორგანიზმში დიდხანს ვერ დაიბუდებს მაგნე ბაცილა და ჩვენს კომუნისტურ პარტიას ყოველთვის აქვს ძალა, ღროზე ამოწვას ყოველგვარი სენი, რაც ჩვენი საზოგადოების ყანმრთელ სხეულს აავადებს. სწორედ ეს ძალა იყო, დაბეჯითებით, მტკიცედ და განუხრელად რომ ატარებდა ჩვენი პარტიის ლენინურ კურსს.

და დღეს ერთადერთი ლოგიკური შედეგის მოწმენი ვართ ყველანი. როგორ მთელდება გაბზარული რწმენა, როგორ ვადამდები სიამაყე დაეუფლა პატიოსან ადამიანებს, როგორ იმატა სინდისის ქენჯნამ მათში, ვინც ცთუნებას ვერ გაუძლო და უნებლიეთ შეცდა... ქართველ ხალხს მტკიცედ სწამს და სჯერა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ყველაფერს გააკეთებს სამართლიანობისა და პატიოსნების აღსადგენად, გვეჯერა, რომ ბუშას თუ კოლმეურნეს, ხელოვანს თუ მეცნიერს, რომელთა პატიოსან მხრებზე დვას საქართველო — არ გაუტრუფდებათ ეს იმედები! ახლა, ისე როგორც არასდროს, გვმართებს ვიბროძოლოთ და ვიშრომოთ ისე, რომ დროზე ჩამოვრეცხოთ სამარცხენო ლაქა ჩვენს რესპუბლიკას, ჩვენს დედაქალაქს.

აღსადგენია და გამოსასწორებელი ბევრი რამ სოფლის მეურნეობისა თუ მრეწველობაში, მშენებლობებზე თუ წარმოება-დაწესებულებებში, პედაგოგიკისა თუ სამეცნიერო ფრონტზე, მაგრამ უმთავრესი უმთავრესთა შორის არის ის, რომ პატიოსან ადამიანებს განუუმტკიცოთ რწმენა, მოუშუშოთ ის ღრმა და უხეში კრილობა, რომელიც წლების განმავლობაში მიაციენეს მათ სულს.

ეს იოლი და ორ დღეში გადასაქრელი პრობლემა როდია, მაგრამ სიძნელებები ვერ შეგვაშინებს, როცა მიხანი ნათელია. ამ სულიერი ტკივილების მოშუშებაში ჩვენს პარტიასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის საქართველოს ყველა მშრომელს — ქართველ მწერლებს, სახელოვან ქართველ ინტელიგენციას.

დღეს ღალატია პასიურობა და უმოქმედობა, ნიპილიზმი და ვანზე ვანდგომა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ადამიანის სულსა და გონებაში კვლავ დაიპიროს თავისი კეთვნილი ადგილი პოეზიაში და მუსიკაში, კაცთმოყვარეობამ და კეთილშობილებამ, რომანტიულმა და რევოლუციურმა იდეებმა. ახალგაზრდობამ თავისი სიტყვა უნდა თქვას.





ინგლისი

ბრემამ ბრინო კინოს შესახებ

ინგლისური უფროალი „ბუქსელერი“ იუწყება, რომ გამოცემლობა „სეკერ ენდ ვარბურგმა“ გამოსცა ცნობილი ინგლისელი მწერლის გრემემ გრინის სტატიების კრებული მიძღვნილი კინოსადმი.

უფროალის აზრით, ეს წიგნი ნათლად წარმოგვიდგენს მწერლის შემოქმედებით სახეს და მის შეხედულებებს კინოზე.

განსაკუთრებით საინტერესოა შენიშვნები მსოფლიოს კინოს გამოჩენილ მსახიობებზე, როგორცაა გრეტა გარბო, ბეტ დევისი, მარლენ დიტრიხი, ინგრიდ ბერგმანი.

ინდოეთი

ბენგალური ლიბრარტაშრის ანთოლოგია

ახე ეწოდება ცნობილი ბენგალელი მწერლისა და ლიტერატურათმცოდნის ბულდხადევმ ბოშუს ახლახან გამოქვეყნებულ ერთტომეულს. 1953 წელს გამოვიდა მისი კაპიტალური ნაშრომი „XIX—XX საუკუნეების ბენგალური ლიტერატურის ანთოლოგია“. ახალი გამოცემა შედგენილია ინგლისურ ენაზე. მწერლის ჩანაფიქრით, იგი განკუთვნილია იმ მკითხველთათვის, რომლებსთვისაც უცნობია ბენგალური ენა და ბენგალის ეროვნული

ლიტერატურის ისტორია. კრებული წარმოდგენილია ხუთი უანრით: პატარა მოთხრობა, რომანი, დრამატურგია, ლიტერატურული კრიტიკა და პოეზია. კრებულში განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი პოეზია. მკითხველი აქ შეხვდება სამი თაობის წარმომადგენლებს, განსხვავებულს თავისი სტილითა და მეთოდებით.

თუმცა პოეზიის განყოფილება ფართოდაა წარმოდგენილი, კრიტიკოსი სინანულს გამოთქვამს, რომ მასში არ არის შეტანილი რევოლუციური პოეზია, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბენგალიისათვის.

კრიტიკოსის შეფასებით, კარგადაა წარმოდგენილი პროზის განყოფილება, სადაც შესულია ადამიანის სიყვარულით და ღრმა რეალიზმით გამსჭვალული ნაწარმოებები.

ერთ-ერთმა თანამედროვე ბენგალიელმა მწერალმა აჩინტაკუმარ სენგუპტამ მოთხრობაში „მიწა“ შექმნა ღარიბი გლეხის ამაღლებელი სახე. იგი იძულებულია გაყიდოს მიწის პატარა ნაკლეჯი, რათა შვილის განათლებისათვის გადაიხადოს ფული.

ღიღი მღელვარებით იკითხება პოპულარული პროზაიკოსის ბიხუტობიშუანა ბანდოპაღხაის მოთხრობა, სადაც აღწერილია ახალგაზრდა ქალიშვილის მძიმე ხვედარი მშობლების, შემდეგ კი მეუღლის ოჯახში. ძლიერ შთაბეჭდილებას ტო-

ვებს სხვა ნაწარმოებებიც რომლებიც, როგორც კრიტიკოსი წერს, ბრწყინვალედაა თარგმნილი და ძვირფასია იმით, რომ შექმნილი სახეები ტიპური და დამახასიათებელია არა მარტო ბენგალიისათვის, არამედ ინდოეთის დიდი ნაწილისათვის.

დრამატურგია წარმოდგენილია ბულდხადევმ ბოშუს პიესით „ფოთლები“ ცვივანა“.

კლასიკური ენები და თანამედროვეობა

ინდოეთის დედაქალაქში ჩატარდა სანსკრიტული ენის შესწავლის პრობლემებისა და ამ ენაზე შექმნილი ლიტერატურისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც პირველია „იუნესკოს“ მიერ გათვალისწინებულ კონფერენციათა სერიიდან — „კლასიკური ენები და თანამედროვეობის პრობლემა“. ამ ღონისძიებაში ათასხუთასამდე ინდოელი მეცნიერი და მსოფლიოს 74 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა, დილეგატთა შორის საბჭოთა ინდოლოგებიც იყვნენ.

კონფერენციაზე ოთხსამდე მოხსენება წაიკითხეს. სანსკრიტული ენის ნაციონალური და საერთაშორისო მნიშვნელობა, ამ ენისა და სხვა ინდური ენების ურთიერთობა და მიმართება მსოფლიოს სხვა ენებთან და ლიტერატურებთან, ინდური კულტურის ადგილი მსოფლიო კულტურის საგანძურში,



აი, რა საკითხებს მოიცავდა მოხსენებათა უმრავლესობა.

კონფერენციის დოკუმენტთაგან აღსანიშნავია რეზოლუცია, რომელიც კლასიკური ინდოლოგიის სპეციალისტთა საერთაშორისო ასოციაციის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს.

იუგოსლავია

ნეგოშის პრემია — ბრანკო ჩოპიჩუს

იუგოსლავური ლიტერატურის კლასიკოსის პ. ნეგოშის დაბადების 150 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, 1968 წ. დაწესდა უმაღლესი ეროვნული ლიტერატურული პრემია. ნეგოშის პრემიის ლაურეატები არიან მიხაილო ლალიჩი, მიროსლავ კრლეჟა და მეშა სელიმოვიჩი.

1972 წელს პრემია მიიღო ცნობილმა იუგოსლაველმა მწერალმა ბრანკო ჩოპიჩუმ **მითხრობების კრებული**სთვის „ბაღის უვავილის ბაღი“ („ვარდისფერი ბაღი“).

ლიბანი

პასან ალ-კანაფანის დღაღუპა

ბერიუთში უცნობმა პირებმა მოკლეს მწერალი და ჟურნალისტი ალ-კანაფანი. იგი დაიბადა 1936 წ. ქ. აკაში (პალესტინა), 1948 წ. ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, მისმა ოჯახმა, ისევე როგორც პალესტინელი არაბების სხვა ათასობით ოჯახმა, დატოვა სამშობლო და გადასახლდა ლიბანში.

ახალგაზრდობაში ალ-კანაფანი მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდა: მუშაობდა სტამბის მუშად დამასკოში, შემდეგ ჟურნალისტად და

მასწავლებლად კუვეითში.

ალ-კანაფანს ეკუთვნის მრავალი მოთხრობა და პიესა, რომლებიც ეძღვნება პალესტინელი არაბების ბრძოლას.

მონღოეთი

მონღოეთის პინუს მომავალი

ზარშან მონღოეთის სტუდიამ „მონღოლიკნომ“ გამოუშვა მრავალი ფილმი, რომელთაც მაყურებელთა დიდი აღიარება ჰპოვა. ეს იმას მოწმობს, რომ სტუდია კარგად ართმევს თავს მის წინაშე დასმულ ამოცანებს.

სტუდიამ შექმნა მთელი რიგი ფილმებისა თანამედროვე თემაზე, როგორცაა „დასაწყისი“ და „თანამედროვენი“, რომლებიც ეძღვნება ახალგაზრდა მუშების აღზრდის პრობლემებს, მათ მისწრაფებებს, დაიკავონ ღირსეული ადგილი ცხოვრებაში.

სტუდიაში მუშაობს ათობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. რეჟისორების, კინომსახიობებისა და ოპერატორების უმრავლესობას განათლება მიღებული აქვს საბჭოთა კავშირში.

სტუდია მომავალში ითვალისწინებს გამოუშვას 8-10 სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 100-მდე დოკუმენტური სამეცნიერო ფილმი და აგრეთვე მოახდინოს ფილმების დუბლირება.

პოლონეთი

ვლადისლავ რაიმონტის „გლახეზი“ ცისფერ ეპრანზე

როგორც პოლონური გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ იუწყება, პოლონელმა კინე-

მატოგრაფისტებმა ცისფერი ეკრანისთვის შექმნეს ფილმი, ვლადისლავ რაიმონტის შესანიშნავი რომანის „გლახეზის“ მიხედვით.

1924 წელს მწერალს ამ რომანისთვის მიენიჭა ნობელის პრემია. ეს ნაწარმოები პოლონელი მოქალაქეებისათვის სკოლის მერხიდანვე არის ცნობილი, ყოველ მათგანს თავისებური წარმოდგენა აქვს რომანის გმირებზე, ამიტომ მისი გადაღება განსაკუთრებულ სიმძნელებთან იყო დაკავშირებული.

ფილმის რეჟისორმა იან რიტკოვსკიმ გულდასმით შეარჩია მსახიობები და როგორც პოლონური პრესა აღნიშნავს, მის არჩევანს ძნელია არ დავეთანხმოთ.

საფრანგეთი

პრემია საზოგადოებას

საფრანგეთის აკადემიის სპეციალური ჟიური ყოველწლიურად პრემიით აჭილდოვებს სხვა ენაზე ფრანგულ ლექსთა საუკეთესო თარგმანებს. 1972 წელს ეს ჯილდო წილად ხვდა ჩუვავს საბჭოთა პოეტს გენადი აიგის, რომელმაც შეადგინა და ჩუვავურ ენაზე გამოსცა თანამედროვე ფრანგული პოეზიის ანთოლოგია.

სენეგალი

ბამოკილა შურნალი „ქაღუ“

1972 წელს სენეგალის რესპუბლიკაში იწყო გამოცემა პოლიტიკურ-საოჯახო-დოკტრინული ჟურნალი „ქაღუ“ („ცოდნა“). ეს პირველი პერიოდული გამოცემაა ადგილობრივ, ვოლოფურ ენაზე.

ჟურნალის გამოცემაში მონაწილეობას იღებს სე-

ფან 60 333.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236